ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

კავკასიურ-
ახლოაღმოსავლური კრებული

XV

თბილისი
2013

რედაქტორები: **ირინე ტატიშვილი**
მანანა ხვედელიძე
ლევან გორდეზიანი

© პროგრამა "ლოგოსი", 2013

პროგრამა "ლოგოსი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13 (თსუ VIII კორპუსი), ოთ. 14,
0179 თბილისი. ტელ. 225-02-58

ISBN 978-9941-437-50-2

სარჩევი

სარჩევი 5

ნიკოლოზ აგლაძე

ორი შუმერული საკანონმდებლო ტექსტის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის რამდენიმე ასპექტი 7

Nikoloz Agladze

TWO SUMERIAN LEGISLATIVE TEXTS: SOME ASPECTS OF COMPARATIVE-TYPOLOGICAL ANALYSIS 13

ნანა ბახსოლიანი

„საყვარელი მგის“ – მეფე აგათირსათი 14

Nana Bakhsoliani

„FAVOURITE OF THE SUN“ - KING AZATIWAT 18

გია გელაშვილი

მიხაკო წერეთლის რამდენიმე წერილი შორდროვანია კოლექციიდან 19

ლევან გორდეზიანი

ღუდი თუ ღვინო? 83

Levan Gordeziani

BEER OR WINE? 85

ირინე ტატიშვილი

ასირიოლოგიის შესავალი (მასალები სახელმძღვანელოსათვის) 86

ქეთევან ქევანიშვილი

გურტაკეთის ყორღანის გოლმორფული გამოსახულების ინტერპრეტაციისათვის 142

Ketevan Kevanishvili

TO THE INTERPRETATION OF ZOOMORPHIC IMAGES OF ZURTAKETI KURGANS 155

ჯემალ შარაშენიძე

რამდენიმე არასასიამოვნო სიტყვა ეკა ავალიანის წიგნზე “ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია: განვითარების ტრაექტორიები ძვ.წ. III ათასწლეულიდან III საუკუნემდე”, თბ., 2012 156

Nana Khazaradze

ON THE HISTORY OF LUWIAN HIEROGLYPH DENOTING “VINE” 163

მანანა ხვედელიძე

ჰიმნები ამონისადმი 169

მანანა ხიდაშელი

კულტურის განვითარების ძირითადი ციკლები აღმოსავლეთ საქართველოს ძველ კულტურაში 176

Manana Khidasheli

THE MAIN CYCLES OF CULTURE DEVELOPMENT IN ANCIENT CULTURE OF EAST GEORGIA 199

ნიკოლოზ აგლაძე

ორი შუმერული საკანონმდებლო ტექსტის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის რამდენიმე ასპექტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ძველშუმერული ეპოქის ორ დოკუმენტს, რომლებიც, გაზიარებული მოსაზრებით, ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეოთხე საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება.[1] ჩემი მიზანია, გამოვკვეთო განსხვავებები ამ ორ ტექსტს შორის და შევეცადო დავასაბუთო, რომ თუ ენმეთენას ტექსტი (ოვალური ფირფიტა), უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ტექსტია და გარკვეული მეტასამართლებრივი ელემენტები მხოლოდ შემოღებული ნორმების „გამართლებას“, საზოგადოებისათვის სწორად მიწოდებას ემსახურება, ურუინიმგინას ტექსტის შემთხვევაში, საქმე განსხვავებულადაა და ტექსტი, პირველ რიგში, პროპაგანდისტულია, ხოლო დანაწესები, სამართლებრივი ნორმები, რომელთა შესახებაც ის მოგვითხრობს, მაინც – მეორეხარისხოვანი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტები, რომელთა შესახებ ვსაუბრობთ, გარკვეულ პერიოდში ერთ მმართველს – ურუინიმგინას მიეწერებოდა და ერთი სოციალური (და შესაბამისად სამართლებრივი) რეფორმის ნაწილად მოიაზრებოდა. მოგვიანებით გაჩნდა მოსაზრება, რომ ისინი ერთობას არ წარმოადგენენ და ოვალური ფირფიტა ლაგაშის ენსის - ენმეთენას დროინდელი უნდა ყოფილიყო.[2] ეს მოსაზრება დღესაც არ ითვლება საყოველთაოდ აღიარებულად. მაგალითად, ელისაბედ მაიერ თეთლოუს წიგნში „ქალი, დანაშაული და სასჯელი ძველი აღმოსავლეთის სამართალსა და საზოგადოებაში“, რომელიც 2004 წელს არის გამოცემული, ოვალური ფირფიტა ისევ ურუინიმგინას მიეწერება,[3] რაც კონკრეტული ნაშრომის კონტექსტში, მართალია, დიდ პრობლემას არ ქმნის, მაგრამ ჩემი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. კამათში ჩართვას არიდებს თავს მარგა როტი, რომელსაც მესეპოტამიისა და მცირე აზიის საკანონმდებლო ტექსტების კრებულში არც ფირფიტა აქვს შეტანილი და არც ურუინიმგინას ტექსტი.[4] ოვალური ფირფიტის შესახებ ასევე არაფერს ამბობს

---

1 იხ. მაგ., История Древнего Востока 1983: 207.

2 იქვე, 208.

3 Tetlow 2004: 9.

4 იხ. Roth 1997.

ძველაღმოსავლური სამართლის ერთ-ერთი უკანასკნელი სახელმძღვანელო.[5] ამგვარი მიდგომა გამართლებულად არ მიმაჩნია და ვეთანხმები იგორ დიაკონოვის მოსაზრებას (რომელიც, შევნიშნავ, მასაც ძალიან ფრთხილად და კითხვის ნიშნის ქვეშ აქვს გამოთქმული), რომ ოვალური ფირფიტა და ურუინიმგინას ცნობილი კონუსები ორ განსხვავებულ მოვლენაზე მოგვითხრობს. მათ შორის მსგავსება არ სცდება ტიპოლოგიური და ტერმინოლოგიური დამთხვევის ფარგლებს, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა დამაჯერებლობის გარკვეული ხარისხით ლოგიკურად აიხსნას.

მაშ ასე, პირველი რაც იწვევს მკვლევარის ყურადღებას, არის განსხვავებული გარეგნული ფორმა, რომელიც განსახილველ ტექსტებს აქვს. თუ ენმეთენას ტექსტი თიხის ბრტყელ ფირფიტაზეა აღბეჭდილი, ურუინიმგინას „რეფორმები“ თიხის კონუსზეა დატანილი[6] და, როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ადგილას უნდა მდგარიყო. ორი (B და C) კონუსების ტექსტის იდენტურება გვაფიქრებინებს, რომ ასეთი ადგილი არაერთი უნდა ყოფილიყო.

შემდეგი მნიშვნელოვანი პუნქტი ჩემი მსჯელობისა არის სამართლის ნორმების რაოდენობა ორივე ტექსტში. ოვალური ფირფიტის ჩვენამდე შემორჩენილი ნაწილი ურუინიმგინას კონუსებზე დაახლოებით ორჯერ მცირეა. ფიფიტა შეიცავს 5 ერთმანეთისაგან თემატურად განსხვავებულ ნორმატიულ დანაწესს, ხოლო „რეფორმების“ ტექსტი მოიცავს ასევე 5 კონკრეტულ სამართლებრივ ნორმას, თუმცა რამდენიმე მათგანი ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს.[7] ორი დანაწესი ეხება ნასყიდობის იძულების აკრძალვას, ორი – გადასახადის გაუქმებას (წყვილად მომუშავე გურუშებისა და ხელოსნებისათვის) და კიდევ ერთი – გადასახადების ოდენობისა და გადანაწილების ცვლილებას. საბოლოო ჯამში, ენმეთენას ოვალური ფირფიტა 5 სხვადასხვა ურთიერთობას აწესრიგებს, ხოლო ურუინიმგინას კონუსში კი ერთი ტიპის ურთიერთობათა მსგავსი მოწესრიგებებია მოცემული.

შევეხოთ არანორმატიულ ნაწილსაც. ოვალური ფირფიტის დაახლოებით ორმოც პროცენტს იკავებს თხრობა უმასთან კონფლიქტის შესახებ და სააღმშენებლო ხასიათის ინფორმაცია.

---

[5] იხ. A History of Ancient Near Eastern Law 2003.

[6] იხ. CDLI. Uruk. 04 C.

[7] აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში გადასახადების ოდენობის ცვლილებას ერთ ნორმად განეიხილავთ.

კონუსებზე კი ამგვარი მღვარის დადგენა ძალიან ძნელია. პრობლემატურია ნორმატიული და არანორმატიული ტექსტის გამიჯვნა. საყურადღებოა, რომ ორივე ტექსტში გვაქვს სიტყვასიტყვით განმეორებული ფორმულა, რომელიც კარგად არის შემონახული და მისი თარგმანი და ტრანსლიტერაცია არ იწვევს ეჭვს, ემთხვევა როგორც შტაიბლესთან, ისე დიაკონოვთან და ჯ. შარაშენიძესთან. მოვიყვან მას, სწორედ ბატონი ჯემალ შარაშენიძის ზუსტ ქართულ თარგმანში: „ღვთაებათა გამწვევი ძალა მმართველის ბოსტნებს ხნავდა“.[8] ურუინიმგინას ტექსტში ამას მოჰყვება ფრაზა : „უხვმოსაელიანი მიწის ნაკვეთები ღვთაებებისა მმართველის ბოსტნებად და ბაღჩებად გადაიქცა“,[9] რომელიც საკმაოდ სარწმუნოდ აღდგება ოვალური ფირფიტის დაზიანებულ მონაკვეთში. ეს დამთხვევა, ბოგი მოსაზრებით, სწორედ ორი ტექსტის ურთიერთკავშირს ადასტურებს. ჩემი აზრით, ეს არგუმენტი შესაძლებელია გაბათილდეს. ზემოხსენებული ფრაზები მესახება ერთგვარ სამართლებრივ ფორმულად, რომელიც უნდა ნიშნავდეს შემდეგს: „მმართველი უკანონოდ სარგებლობდა საკაძრო მოძრავი ქონებით“, „მმართველი უკანონოდ სარგებლობდა საკაძრო უძრავი ქონებით“. თუ მოძრავი და უძრავი ქონების ზოგად ცნებებს შუმერულ ძეგლებში ვერ ვიპოვით, რამდენადმე განსხვავებული წესი მათი ნასყიდობისა (მოწმეების განსხვავებული რაოდენობა, სხვა ფიცი...)[10] დადასტურებულია. ესეც რომ არა, მიწა და პირუტყვი მნიშვნელოვანი, მაგრამ არსებითად და შესახებად განსხვავებული იყო, ამიტომ მათი ცალ-ცალკე ჩამოთვლა, ალბათ, სწორედ ნივთების კლასიფიკაციის ჩანასახოვან ეტაპზე უნდა მეტყველებდეს. თუ ასეა, ჩემი აზრით, ეს ფორმულა ერთგვარ წყალგამყოფად შეიძლება გამოვიყენოთ. უაქტია, რომ ყველა ნორმა, რომელიც რაიმე ხარისხით შეიცავს სიახლეს, ჩვენ მიერ განსახილველ ტექსტებში ამ ფორმულის შემდეგაა მოქცეული. ენმეთენას ოვალურ ფირფიტაში ხსენებული ფორმულების შემდეგ კონცენტრირებულად იწყება ნორმების გადმოცემა. ჯერ გადასახადების შემცირებაზეა საუბარი (ეიმეორებ, მხოლოდ შემცირებაზე და თანაც კონკრეტულად, მკაცრად განსაზღვრული ოდენობით შემცირებაზე), შემდეგ თევზზე საკუთრებაზე, ნაპოვარის სამართლებრივ ბედზე უშუალოდ პოვნის შემდეგ, ქალის მიერ მამაკაცის შეურაცხყოფაზე

---

[8] შარაშენიძე 2005 : 178.

[9] იქვე, 180.

[10] იხ. მაგ., შარაშენიძე 2005, სადაც მოყვანილია როგორც პირუტყვის, ისე მიწის ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითები.

და ბოლოს ორქმრიანობის გაუქმებაზე, რითაც საკანონმდებლო ნაწილი წყდება.

რაც შეეხება კონუსებს, აქ საქმე სრულიად სხვაგვარადაა. ზემოთ მოყვანილი ფორმულის შემდეგ ტექსტში მოდის საუბარი გადასახადზე, რომელიც აქვს შეწერილი ქურუმებს, მაგრამ ამ საკითხის სამართლებრივი მოგვარება მოცემული არ არის. საუბარია მხოლოდ ერთგვარი მაკონტროლებლების მოშორებაზე და პრობლემური გადასახადის შესახებ კი კანონმდებელი არაფერს გვეუბნება. ტექსტში ნათქვამია ასევე, რომ ურუინიმგინამ მოაშორა კონტროლიორები, „გუდუ“-ქურუმები და პურის ბეღლის გამგეები სხვადასხვა გადასახადის გადახდის, ასე ეთქვათ, მონიტორინგს, მაგრამ თავად გადასახადების გაუქმებაზე, ან შემცირებაზე საუბარი არ არის. ასევე რეფორმატორი ამბობს, რომ ისევ დაადგინა სხვადასხვა მინდვრებზე მათი „კანონიერი“ (ბრჭყალებში ჩავსვათ ეს სიტყვა, რადგან ამაში ღმერთები: ნინგირსუ და ბაბა იგულისხმება) მეპატრონის უფლებები. მაგრამ ეს ნორმა, ერთი მხრივ, ძალიან აბსტრაქტულია და გაუგებარია რას შეიძლება ნიშნავდეს რეალურად. მეორე მხრივ, არსებობს საკმაოდ ცნობილი ფაქტი, რომ სწორედ ხსენებული ბაბას ტაძრის მეურნეობა ურუინიმგინას ცოლმა, შაშამ ისეევ საკუთარ გამგეობაში მოაქცია, როგორც აღრე ლუგალანდას ცოლმა.[11] ასე რომ, მოყვანილი დეკლარაციული ხასიათის ნორმა ძალზე არაცალსახა და სპეკულატიურია. როგორც ჩანს, კონუსი, შეიცავს ცრუ-ნორმათა დიდ რაოდენობას. ეს არის დეკლარაციები, რომელთა მიღმა რეალური სანქცია, ან რეალური ქმედება არც არის განსაზღვრული და არც იგულისხმება. ეს ერთგვარი არასამართალია, რომელიც არც მოქმედებს და არც მოქმედების პრეტენზია გააჩნია.

ფსევდოსამართლის კონტექსტში ძალიან საინტერესოა ურუინიმგინას „რეფორმების“ ერთი კონკრეტული მონაკვეთის ლექსიკური შედარება ენმეთენას დანაწესებთან. თუ „ოვალური ფირფიტის“ შესიტყვებები, რომლითაც დანაშაულისათვის მოსალოდნელი სასჯელია აღწერილი, ბედმიწევნით კონკრეტულია (za-AS-da-bi i-sub – სასჯელი იგი დაედება; zu-zu-ni bahar2 i-sus – კბილები აგურით ჩაემტვრევა),[12] ურუინიმგინას ტექსტში ეხვდებით საინტერესო პასაჟს, რომელშიც ჩამოთვლილია მრავალი დანაშაული და ბოლოს ნათქვამია – „e-luh“, რაც პირდაპირ

[11] ძველი აღმოსავლეთის... 1988 : 58.

[12] Steible 1982 : 318.

თარგმანში „გაწმენდას“ ნიშნავს.[13] იგულისხმება, რომ ამ დანაშაულისაგან მმართველმა გაწმინდა ქალაქი. ამდენად, ისევ და ისევ, საქმე გვაქვს არა რეალურ, ქმედით ნორმასთან, არამედ ფაქტის კონსტატაციასთან, ერთგვარ დატრაბახებასთან, რომლის მიღმა რაიმე სანქციის დანახვის საშუალებას კონკრეტული ტექსტი არ იძლევა.

ურუინიმგინას მთელ ტექსტში ნორმატიული თვალსაზრისით ყველაზე კონკრეტულად გაწერილი მონაკვეთი, უდავოდ, გადასახადების საკითხს შეეხება. მაგრამ მმართველი აქაც, ჩემი აზრით, გარკვეულ ეშმაკობას მიმართავს. მაღალ გადასახადებს ის სხვა დარღვევებთან ერთად ახსენებს; ტრაბახობს, რომ ხსენებული დარღვევები ალაგმა; შემდეგ ამას მიაყოლებს ტექსტს, რომ ზემოთ ხსენებული გადასახადები მცირდება და ამას აბამს საკმაოდ გრძელ ჩამონათვალს ისეთი გადასახადებისა, რომლებიც ჯერ არ უხსენებია. გაზიარებული აზრით, რომელსაც, მაგალითად დიაკონოვი გამოთქვამს, აქ საქმე უნდა გვქონდეს ახალი გადასახადების შემოღებასთან,[14] რომლებიც იქამდე არ არსებობდა.

ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი გარემოებები გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ ენმეთენასა და ურუინიმგინას ტექსტები არსებითად განსხვავებულია. თუ პირველი უპირატესად საკანონმდებლოა, მეორე – უპირატესად პროპაგანდისტური. ეს ვლინდება როგორს ტექსტის მატარებლის შერჩევაში, ისე მისი სტრუქტურის თავისებურებებში, ასევე ნორმათა კონცენტრაციასა და ბოლოს აზრის გამოსახატად შერჩეული ლექსიკური საშუალებების შერჩევაში. ეს განსხვავება საკმაოდ ბუნებრივად მეჩვენება, რადგან, როგორც ცნობილია, ენმეთენა ძლიერი და უმასთან ომში გამარჯვებული მმართველია, რომელსაც გარკვეული ავტორიტეტი აქვს და მისი სიტყვა ფასეულია. ურუინიმგინა კი ბოლომდე დაუდგენელი მიზეზებით აღმოჩნდა ტახტზე ისე, რომ წინა მმართველი მის სიცოცხლეში ჩაანაცვლა, მაგრამ არც მოუკლავს და არც ქალაქიდან გაუძევებია. სავარაუდოდ, მას რომელიმე ერთი საკმარისად ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯგუფის მხარდაჭერით უნდა ესარგებლა,[15] თუმცა ხალხის (უფრო ფართო მასების, რომელიც შეიძლება მოვიხსენიოთ ტერმინით „ყველა“) თვალში მისი ლეგიტიმაცია მხოლოდ წინა მმართველის მიერ ჩადენილი დანაშაულებების მხილებით შეიძლება

[13] იქვე, 310; შარაშენიძე 2005 : 183.

[14] История Древнего Востока 1983: 208-210.

[15] იქვე, 207.

მომხდარიყო, აეტორიტეტის მოპოეება კი „ღვთაებრივი, ოდინდელი“ წესრიგის აღდგენით. სწორედ ამის დეკლარირებას ემსახურება კონუსების ტექსტი. ურუინიმგინა, რასაკვირველია, ვერ ისარგებლებდა ენმეთენას მასშტაბის თავისუფლებით, მიეღო პრაქტიკულად ახალი კანონები, ამიტომ ის, ღღეევანდელი ტერმინი რომ გამოეყენოთ, პოპულისტურ ტექსტს ათავსებს ყველას დასანახად და თავის მცირე სიახლეებს, რაც მისი ლობისტების, მისი მხარდამჭერების ინტერესების გატარებით გამოიხატება, პირვანდელი წესრიგის აღდგენით, ქერიე-ობოლთა დაცვითა და ღმერთისაგან რჩეულობის დეკლარირებით ნიღბავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. შარაშენიძე, შუმერული ქრესტომათია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005.
2. ძველი აღმოსაელეთის ხალხთა ისტორია, მეორე გაღამუშავებული გამოცემა, „მეცნიერება“, თბილისი 1988.
3. История Древнего Востока. Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации. Ч. I. М., Главная редакция восточной литературы издательства „Наука“, 1983.
4. A History of Ancient Near Eastern Law / edited by Raymond Westbrook; editorial board, Gary Beckman ... [et al.]., Leiden/Boston 2003.
5. Martha T. Roth, Law collections from Mesopotamia and Asia Minor / with a contribution by Harry A. Hoffner, Jr.: volume editor, Piotr Michailowski. -2nd edition, Scholars Press, Atlanta, Georgia 1997.
6. E. Soellberger, Corpus des inscriptions „royales“ présargoniques de Lagaš, Genève 1956.
7. H. Steible, Die altsumerischen Bau-und Weihinschriften, Teil I, Inschriften aus „Lagaš“, Wiesbaden 1982.
8. Elisabeth M. Tetlow, Women, Crime and Punishment in Ancient Law and Society, volume I, The Ancient Near East, New York/London 2004
9. CDLI. Uruk. 04 B – http://cdli.ucla.edu/cdlisearch/search/index.php?SearchMode=Text&txtID_Txt=P222608
10. CDLI. Uruk. 04 C -

http://cdli.ucla.edu/cdlisearch/search/index.php?SearchMode=Text&txtID_Txt=P222609

Nikoloz Agladze

TWO SUMERIAN LEGISLATIVE TEXTS: SOME ASPECTS OF COMPARATIVE-TYPOLOGICAL ANALYSIS

The article refers to two Sumerian texts dated to the 24-25th century B.C. The author tries to show the difference between the documents which have once been considered as parts of a single reform process. The first text known as *Oval Plaque* and the second, famous *Uruinimgina's cones*, according to the article represent different political and social situation in the state. If *Oval plaque*'s author (probably the ensi of Lagaš Enmetena) has wide field to establish new legislations, Uruinimgina is obliged to mask his innovations and proclaim the adherence to traditions.

ნანა ბახსოლიანი

„საყვარელი მზის“ – მეფე აზათიანი

ლეო ფრობენიუსის თანახმად, კაცობრიობა ისე გაითამაშებს ბუნების წესრიგს, როგორც მას აცნობიერებს. უძველეს დროში იგი ჯერ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს კანონზომიერებაში გაერკვა და მხოლოდ შემდეგ ჩაწვდა დროისა და სივრცის, მზის მოძრაობის წესრიგს. მეფე მზეა, სამეფო კი მზის მოძრაობის ხატოვანი წარმოდგენა [ჰაიზინგა 2004: 32]. მეფე მზე არა მარტო ძველეგვიპტურ, არამედ ხეთურ კულტურულ ტრადიციაშიც დასტურდება. მაგალითად, ხეთების ხანაში წარწერის გარეშე ჩვენამდე მოღწეული მამრი მზის ღვთაების გამოსახულება იკონოგრაფიულად მეფის გამოსახულებასთან ძალზედ ახლოს იდგა. ამით, ისინი, შესაძლოა, შენიღბული გაღმერთებით თავს ეგვიპტელ ფარაონებს უტოლებდნენ კიდეც [ტატიშვილი 2001: 125]. ტიპოლოგიურად, მეფე მზე შუა საუკუნეების არა მარტო ევროპულ, არამედ ქართულ კულტურულ ტრადიციაშიც მოწმდება. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ჯერის ქვედა ნაწილში მიკრულ ფირფიტაზე ასომთავრულით წერია: „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, აღიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისაჲ. ამინ“ [მესხია 1972: 162].

ნ. ხაზარაძის მართებული დაკვირვებით, ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ. ხეთების პანთეონის უზენესი ღვთაება მზე ორგანულად დაუკავშირდა მეფეს [ხაზარაძე, ბახსოლიანი 2012: 89]. ხეთების წარმოდგენით, მზე ამინდის ღვთაებასთან ერთად სამყაროს უზენაესი გამგებელია: „დაე მზის და ამინდის ღვთაებებმა კეთილი თვალით შეხედონ... მზის და ამინდის ღვთაებებმა ქვეყანა კელაე მეფეს ჩააბარეს... მზის და ამინდის ღვთაებებმა კელაე იბრუნეს მეფეზე, მას განუახლეს ძალა, მისი (სიცოცხლის) წლები უსაზღვრო გახადეს“ [ტატიშვილი 2001: 81].

ჩვენამდე მოღწეულ გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში, ძირითადად, ღვთაება თარხუნთასი, რუეა, ქალღვთაება ქუბაბა, მთვარის ღვთაება, იშეიათად კი მზის ღვთაება ფიგურირებს. ვფიქრობ, საყურადღებოა, მზესთან დაკავშირებული რამდენიმე ეპითეტი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წარწერაშია დამოწმებული. მაგალითად, კაისერის მუზეუმში დაცულ კულულუს წარწერაში ვკითხულობთ: „მე ვარ Panunâ კაცი მზისგან

განათებული“ [Meriggi 1967: 45], ხოლო ბოიბეიპინარის ტექსტში კუმუხის დედოფალი Tuḫami აცხადებს: „...ეს ტახტი დაფუძნებული ჩემი მამის Aimi-ს მიერ, საყვარელი ღვთაებებისა, განათებული მზისგან...“ [Meriggi 1975: 78]. მოყვანილი მასალიდან ნათლად ჩანს მმართველის მიერ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში განხორციელებული ღონისძიებები, რომლის განდიდებასაც ზემოხსენებული ეპითეტებით ცდილობს.

ამჯერად, ჩემი კელეეის საგანს ყარათეფეს ბილინგვის (იეროგლიფურ-ლუვიური და ფინიკიური) აეტორის – აზათივათის მზის ღვთაებასთან მიმართების საკითხი წარმოადგენს. წარწერა გვამცნობს: **„მე აზათივათი ვარ, მზით კურთხეული კაცი, თარხუნთის მსახური,** (ის), რომელიც ავარქუმ, დანუნელთა მეფემ, დააწინურა. თარხუნთმა დანუნელთა დედად და მამად მომაელინა და მე განვაერცე აღანას ეელის მიწები აღმოსავლეთისა და დასავლეთის (მიმართულებით). და ჩემი აქ ყოფნის ჟამს დანუნელთა ქვეყანაში სუფევდა ყოველგვარი კეთილდღეობა, ბარაქა და დოვლათი. და გავავსე დანუნელთა ბეღლები. და მივუმატე ცხენს ცხენი. და მივუმატე ლაშქარს ლაშქარი. და მივუმატე ფარს ფარი. **ყოველივე ეს თარხუნთისა და სხვა ღვთაებათა წყალობით გავაკეთე**. და დავამხე თვითდაჯერებულნი ბოროტნი, ქვეყანაში რომ იყვნენ. გაეაძევე ისინი ქვეყნიდან და სახლი ჩემი მბრძანებლობისა სიკეთისათვის დავაარსე... ჩემი სამართლიანობის, სიბრძნისა და სიკეთის გამო **ყოველმა მეფემ** თავის მამად მაღიარა. და ავაშენე შეუვალი ციხე-სიმაგრეები (ქვეყნის) საზღვრებზე. კაცნი ბოროტნი, ყაჩაღნი, რომლებც არ მსახურობდნენ მოფსოსის სახლს, მე, აზითავათამ ჩემს ფერხთ ქვეშ მოვაქციე. და ავაშენე იმ მხარეებში ციხე-სიმაგრეები, რათა დანუნელებს მშვიდობიანად ეცხოვრათ დ ვძლიე ციხე-სიმაგრეები დასავლეთში, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ **ჩემს წინაპარ მეფეებს**. და მე, აზათივათამ, დავანგრიე ისინი და აღვგაეე პირისაგან მიწისა. იქ მცხოერებნი (ჩემი ქვეყნის) აღმოსავლეთ საზღვრებთან დავასახლე, ხოლო მათი აღგილები დანუნელებს მივუჩინე საცხოვრებლად. და განვავრცე დანუნას ქვეყნის საზღვრები **მზის ამოსვლის მხრიდან მზის ჩასვლის მხარემდე**. და ის აღგილები, რომლებიც წინათ შიშს გვრიდნენ (მგზავრებს), სადაც მამაკაციც კი ერიდებოდა სიარულს, ქალისთვისაც აღარ წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს. ჩემს დროს აქ კეთილდღეობა, სიუხვე და ფუფუნება სუფევდა. და მშვიდობიანად ცხოვრობდა დანუნელთა ქვეყანა და აღანის ეელი. და ავაშენე მე ეს ქალაქი. და

დავარქვი მას „აზითავათას ქალაქი“... და დავუწესე მათ (ღვთაებათა) პატივსაცემად მსხვერპლშეწირვა: ყოველწლიურად ხარის შეწირვა. და პურის მოსავლის აღების ჟამს – ცხვრისა. და ყურძნის მოსავლის აღების ჟამს – (კვლავ) ცხვრისა. ...და თუ ვინმე მეფეთაგან, ან კაცთაგან... შემდეგს განაცხადებს: „მე ჭიშკრებს ჩემს საკუთრებად ვაცხადებ და ზედ ჩემს სახელს დავაწერ“, ან თუ ჭიშკრების თაღებიდან ლოდს ამოიღებს, ან მავნებლობას ჩაიღენს და ბოროტი განზრახვით დაანგრევს ამ ჭიშკრებს, **თარხუნთი ცისა და მზე ცისა და ყველა ღვთაება** დაამხობს მას, **მეფე იქნება** იგი, თუ კაცი. აზათიეათის სახელი, მსგავსად მზისა და მთვარის სახელებისა, მარადიულია უკუნითი უკუნისამდე“ [ხაზარაძე 2006: 109].

წარწერაში, ჩემი ყურადღება აზათივათას ტიტულატურამ და თავად მისმა სახელმა მიიპყრო. ესაა რელიგიური შინაარსის მატარებელი „მზით განათებული კაცი“. ჯ. ჰოქინსის დაკვირვებით, საკუთარი სახელი აზათივათი ეტიმოლოგიურად შეიძლება ნიშნავდეს aza+tiwat „საყვარელი მზის“ [Hawkins 1979: 153]. როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული თეოფორული სახელი მზის ღვთაების სახელს შეიცავს და არა თარხუნთისას, რაც დამაფიქრებელია. ღვთაებისათვის საყვარელი, მისი წყალობის ღირსი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, ვინც ღვთაებას ერთგულად ემსახურებოდა [ტატიშვილი 2001: 112]. რასაკვირველია, აზათივათი ღვთაება თარხუნთსაც ისევე ემსახურებოდა, როგორც მზის ღვთაებას, მაგრამ მან საგმირო საქმენი იმ დროისათვის ისეთ დიდ სივრცეში განახორციელა, სადაც მზის სხივები უკიდეგანოდ ანათებს. ანითაც მზის ღვთაების დახმარებით ამარცხებს ამბოხებულ მტრებს, დამარცხებულ ქვეყნებს კი ამინდის ღვთაებას გადასცემს და არა მზის ღვთაებას [ტატიშვილი 2001: 115]. საესებით გასაზიარებელია ი. ტატიშვილის მოსაზრება, რომ ხეთების ხანაში არინას მზე იყო მეფის „დედა და მამა“, მაგრამ მოსახლეობისათვის ისეთი შორეული, როგორც მზე ცაში. სამაგიეროდ, ამინდის ღვთაება, რომელიც ადგილობრივ კულტებში მზის მეუღლედ ან ვაჟიშვილად გვევლინება, ხალხისთვის უფრო ახლობელი იყო. იგი ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა ხათუსას ხელისუფლებასა და ხალხს შორის [ტატიშვილი 2001: 137]. საფიქრებელია, რომ რაიმე დიდი ძნელბედობის ჟამს ავარიქუმს სამეფოს სათავეში კულტის მსახურის დაყენება დაეშვა. მართალია, წარწერაში იგი ნათლად ამბობს, რომ თავად ადანას მეფის ავარიქუმის მიერ იყო დაწინაურებული, მაგრამ მომდევნო ნაწილში მისი სუვერენი ავარიქუმი სრულიად ქრება. პირიქით, იგი კვეხნით ამბობს, რომ

მას სხვა მეუღებიც კი „მამად“ აღიარებენ, რაც მის ავტორიტარულობაზე უნდა მიუთითებდეს. ის, რომ აზათივათი არაა მეფური წარმომავლობის, თავად წარწერაც მეტყველებს: წარწერაში იგი არც სამეფო ტიტულატურით წარმოსდგება და არც სამეფო გენეალოგიით. თუმცა ხაზს უსვამს ადგილობრივი დინასტიის – მოფსოსის სახლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც თავისი წინამორბედი მეფეების სამყოფელი იყო. ჩემთვის მაინც ბუნდოვანი რჩება ის ფაქტი, თუ როგორ „შევიდა“ იგი ამ სახლში. ნათელია, რომ იგი დანუნელთა მეფის – აეარიქუმის ხელდასმით გახდა მისი წევრი. ამ გზით, იგი თავის თავს უკვე უფლისწულად წარმოადგენს. მიზანი ამით მიღწეულია. იგი ლეგიტიმურია. აზათივათი აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა, აგებს ციხე-სიმაგრეებს, აშენებს ქალაქს, რომელსაც თავისი სახელი უწოდა. იგი იეროგლიფურ-ლუვიურ ნაწილში მაღლობას სწირავს ლუვიური პანთეონის მთავარ ღვთაებებს – თარხუნთსა და რუეას. ფინიკიურ ვარიანტში ლუვიური ღვთაებები ფინიკიური ბაალით და რაშაფითაა ჩანაცვლებული.

ჯ. ჰოვკინსის ვარაუდით, აზათივათი ხელისუფლებაში მოდის სარგონის სიკვდილამდე ან მას შემდეგ (ძვ. წ. VIII ს-ის II ნახევარი), მეუობს სინაქერიბის დროს და აქტიურად თანამშრომლობს ასურეთთან, მისი აეტორიტეტი ვრცელდება ადანა-ქუეში, აგებს ყარათეფეს და დგამს მემორიალურ წარწერას. როგორც ჩანს, ასურეთის მმართველთა დასუსტებით აზათივათიც სარგებლობს და უერთდება სიდონის ანტიასურულ ალიანსს. როგორც ჩანს, აქაც, მმართველი თავისი საქმეების განდიდებას ეწევა, საკუთარი თაეი მიაჩნია რა ასურეთის უძლიერესი მეფის თანასწორად და ხეთი მეფეების მიერ ადრე მოპოვებული გამარჯვებების შემდგომ გამგრძელებლად.

ამრიგად, აზათივათი, როგორც ხეთების იმპერიის ნანგრევებზე აღორძინებული ძლიერი სამეფოს პირველი პირი, საეარაუდოდ, მზესთან ორგანულად დაკაეშირებულ სახელს საგანგებოდ ირქმევს (aza+tiwat „საყვარელი მზის“), რათა ამით ხაზი გაუსვას ხეთების ახალი სამეფოს დროიდან სახელმწიფოში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებას, როდესაც მეფის ტიტულატურაში მკვიდრდება გამოთქმა „მე მზე“, „ჩემი მზე“... [Meriggi 1967: A6, 23].

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია შ., ძლევაჲ საკვირველი, თბილისი, 1972.
2. ტატიშვილი ი., ხეთური რელიგია, თბილისი, 2001.

3. ხაზარაძე ნ., ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006.
4. ხაზარაძე ნ. ბახსოლიანი ნ., ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბილისი, 2012.
5. ჰაიზინგა ი., HOMO LUDENS კაცი მოთამაშე, თბილისი, 2004.
6. Hawkins J. D., Some Historical Problems of the Hieroglyphic Luwian Inscriptions, AnSt, 29, 1979, London-Ankara.
7. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: testi-1a SERIE, Roma, 1967.
8. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte II: Testi-2aE3a SERIE, Roma, 1975.

Nana Bakhsoliani

„FAVOURITE OF THE SUN" - KING AZATIWAT

The issue chosen by the author for the present study deals with the mentioning of the name of the sun deity, attested in the Karatepe bilingual inscription, which is represented in the inscription as the proper name of the leader of the country of Que. The conducted study leads the author to the conclusion that, presumably, Azatiwat as the head of the powerful kingdom that sprang up on the ruins of the Hittite empire specially chooses as his name a word organically related to the sun (aza+tiwat „favourite of the sun"), in order to emphasize thereby the continuation of the tradition established in the state from the period of the new Hittite kingdom, when the expressions „I the sun", „my sun" becomes established in the king's titles.

გია გელაშვილი

მიხაკო წერეთლის რამდენიმე წერილი უორდროპთა კოლექციიდან

2009-2010 წლებში ინგლისში სამეცნიერო მიეღინებისას, ქ. ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ფონდში (Ms. Wardrop. d.39/2) ვნახეთ და გადმოვიღეთ 32 წერილის ასლი, შესრულებული ინგლისურ ენაზე. ეს გახლავთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) პირადი წერილები, გაგზავნილი ოლივერ უორდროპისადმი (1864-1946), ჯერ ინგლისში, შემდეგ გერმანიაში ყოფნისას 1911-1912 წლებში.

1910 წელს მიხეილ წერეთელი იძულებული გახდა გასცლოდა საქართველოს. აი, რას წერს იგი: „1910 წელს სასტიკი დევნა გვეყო რუსის ჟანდარმერიამ თბილისში ქართველ ნაციონალებს. ჩვენი ჟურნალი „ერი“ მრავალჯერ იქნა აკრძალული. ბოლოს გავიფანტენით. პეტრე სურგულაძე ქენეგაში წამოვიდა, მე ლონდონში მოვიხდა გარდახვეწა“.[1] წერილების თანახმად, მიხეილ წერეთელი ინგლისში რჩება 1911 წლის 20 მაისამდე. შემდეგ გადადის გერმანიაში. აქ ის ჯერ ლაიფციგშია, შემდეგ, ნოემბრიდან ჰაიდელბერგში. „ჟანდარმერიისგან დევნილი წავედი ლონდონს და იქ დავიწყე ასირიოლოგიის შესწავლა. შემდეგ წელს გადავსახლდი ლაიპციგში და შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დავამთავრე სწავლა“.[2] წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ გაუჭირდა გერმანიის უნივერსიტეტებში ჩარიცხვა.

1910 წლის ივნისში ლონდონში ჩატარდა „დაჩაგრულ ერთა და ხალხთა დამცველი კონფერენცია“, რომელსაც ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად ესწრებოდა მისი უმცროსი მეგობარი მიხეილ წერეთელი,[3] როგორც „სახალხო გაზეთის“ საკუთარი კორესპონდენტი. ამავე წლიდან ის „ქართველი ერის უფლებათა კავშირის“ წევრია.[4]

როგორც №7-8 წერილებიდან ჩანს, 1911 წლის მაისში მიხეილ წერეთელს დაბეჯითებით სთხოვენ კონგრესზე დარჩენას, თუმცა მას ეს არ სურს, რადგან: „არ ბეჭდავენ მემორანდუმს საქართ-

---

1 გელა საითიძე, პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. თბ. 2004.

2 გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, 1, თბ. 1991.

3 მიხ. წერეთელი ვარლამს იცნობდა 1902 წელს ინგლისში ჩასვლიდან–გ.გ.

4 დიმიტრი შველიძე„აი, ეინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!“ თბ. 2001.

ველოს შესახებ და მხოლოდ 7 წუთს იძლევიან სალაპარაკოდ... აბა, როგორ შეიძლება 7 წუთში გადმოსცე რაიმე აზრი საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ ლიტერატურის შესახებ?"

ოლივერ უორდროპისადმი გაგზავნილი მიხეილ წერეთლის წერილებიდან ნათლად ჩანს უდიდესი პატივისცემა, კეთილგანწყობა ერთმანეთისადმი. („ვერ გამოვთქვამ, თუ როგორი მადლობელი ვარ თქვენი. არასოდეს დავივიწყებ თქვენს სიკეთეს და სიცოცხლის მანძილზე არ გიღალატებთ"). წერილები საუცხოო პირველწყაროს წარმოადგენენ აღნიშნულ პერიოდში მიხეილ წერეთლის ცხოერებისა და მოღვაწეობის სურათის შესასებად – ინგლისურ და გერმანულ სამეცნიერო, თუ ყოფით გარემოში. წერილების შინაარსის ზოგადი გაცნობიდან შეიძლება, ისიც არასრულად, გამოვყოთ შემდეგი საკითხები: ა). საუნივერსიტეტო ვითარება გერმანიაში; საპასპორტო ბატალიები. გერმანული ბუნება-ხასიათი. ბ). მუშაობა „ვეფხისტყაოსნის" თარგმანის კორექტირებაზე. გ). მუშაობა შუმერულ-ქართულ ენათა ურთიერთობებზე. დ). ეპისტოლარული თუ პირადი ურთიერთობა ადგილობრივ თუ ქართველ მეცნიერებთან – ციმმერნი, გრეგორი, კონიბერი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, თედო სახოკია, ვარლამ ჩერქეზიშვილი და ა.შ. ე). ოჯახური მდგომარეობა; დახმარება ძმისგან (=ვასილ წერეთელი–გ.გ.). ვ).მიხეილ წერეთლის ცნობილ უსევდონიმებს – Baton, სანგალა, ალაროდიელი – ემატება „სიმონ კიკნაძე", რომელი სახელითაც მოუხდა მას ცხოერება გერმანიაში უპასპორტობის გამო.

პროფ. გ. შარაძე წერს: „როგორც უკანასკნელ ხანს გაირკვა, მიხაკო წერეთელს უთარგმნია და სოლიდურ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალ „The Quest"-ში 1912 წელს (№№ 2-3) გამოუქვეყნებია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" I ტომის 1908 წლის პირველი გამოცემის III თავი ("ქართველების ეროვნული წარმართობა").[5] თუ რა გაჭირვებით გამოქვეყნდა ნაშრომი (წელიწადზე მეტი), ვიგებთ წერილებიდან.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობას, აი, რას წერს ოლივერ უორდროპი მარჯორი უორდროპის თარგმანისთვის წინასიტყვაობის სახით წამძღვარებულ რუსთველოლოგიურ ნარკვევში: „აქ ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ის პირნი, ვინც თავი არ დაზოგეს და დახმარება გაგვიწიეს საბეჭდავისათვის ამ წიგნის დასამზადებლად... არ ძალგეიძს განსაკუთრებითი მადლობა არ შევსწიროთ ბ-ნს მიხეილ წერეთელს, რომელმაც კეთილ

[5] გ. შარაძე, „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე". თბ.1986.

ინება და მთელი ხელნაწერი გადაიკითხა...“ „მას მონაწილეობა აქვს მიღებული „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული ინგლისური თარგმანის მომზადებასა და 1912 წელს ლონდონში მის ბეჭდურ გამოცემაში“.[6]

ამ და კიდევ ბევრ საინტერესო ცნობებს ამოვიკითხავთ წერილებში, რომელთა ქართულ თარგმანსა და ორიგინალებს ვთავაზობ მკითხველს. ვიმედოვნებ, რომ მიხეილ წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით დაინტერესებული პირები ამ წერილებში ბევრ საყურადღებო ცნობას მოიძიებენ და სათანადო კომენტარებსაც არ დაიზარებენ. აღნიშვნის ღირსია მისი პიროვნული თავმდაბლობა, როდესაც აღიარებს ინგლისური ენის არასრულყოფილად ცოდნას, როცა თავის ნაშრომებსა, თუ რუსთაველის თარგმანის კორექტურებს შესამოწმებლად უგზავნის ოლივერ უორდროპს. (ტექსტებში ჩვენ ვიცავთ ავტორის ორთოგრაფიას და სტილს).

წერილი 1

16 Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.
20 March 1911

Dear Sir
With many thanks I have received £ 4 10/ which You were kind enough to send me.
Mr. Tcherkesoff is all right now and we expect You this week as You told me when I was with You. I read all papers which Mr. Karbelashvili has given to You, and I think that it is worthy of troubles to publish a short article on the subject.
I read the „Poem“ as well, but it is very, very bad indeed, and I wonder how Mr.Chkonia could give You such a thing, but probably he sincerely believes that it is a good one, as many authors do.
I send all those papers to You.
Yours very respectfully
M. Tseretheli
P.S. As to the Javakhoff 's article, I am actually copying it and will submit it to You, if You will be disposed to read it.

[6] გ. შარაძე, „ბელნიერებისა და სათნოების საუნჯე“, თბ. 1984.

16 ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
20 მარტი1911

ძვირფასო ბატონო
დიდი მადლობა 4 10/ ფუნტისთვის, რომელიც თქვენ გულმოწყალედ გამომიგზავნეთ.
ბ-ნი ჩერქეზოვი[7] უკვე გამოჯანმრთელდა და ჩვენ გელოდებით თქვენ ამ კვირაში, როგორც მითხარით თქვენთან ყოფნისას.
წაეიკითხე მთელი მოხსენება, რომელიც ბ-ნმა კარბელაშვილმა[8] გადმოგცათ თქვენ; მე ვფიქრობ, ის იმსახურებს გრუნვას, რომ დაიბეჭდოს მოკლე რეცენზია (სტატია) ამ თემაზე.
მე ასევე წავიკითხე„პოემა“, მაგრამ სინამდვილეში ძალზე ცუდია და მიკვირს, როგორ მოგაწოდათ ბ-ნმა ჭყონიამ[9] ასეთი რამ. მაგრამ მას ალბათ გულწრფელად სჯერა მისი სიკარგე, როგორც ეს სხვა ავტორებსაც მოსდით.
მე გიგზავნით მთელ ამ ნაშრომს.
ულრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.
P.S. რაც შეეხება ჯავახოვის[10] ნაშრომს, ამჟამად ვაკეთებ მის ასლს, რომელსაც გადმოგიგზავნით, თუკი გექნებათ მისი წაკითხვის სურვილი.

---

[7] ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე; საერთაშორისო ანარქიზმის ერთერთი ლიდერი. ჯერ რუსეთის მეფის მთავრობისგან, ხოლო ბოლოს ბოლშევიკებისგან დევნილმა, ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა (1876-1904; 1907-1917; 1921-1925 წლები – ინგლისი, შვეიცარია, საფრანგეთი, კვლავ ინგლისი). იგი იყო საქართველოს რუსეთისგან განთავისუფლებისთვის დაუღალავი მებრძოლი. 1894 წლიდან დაუმეგობრდა უორდროპების ოჯახს და ოლიერს და მარჯორის ქართულ ენასაც კი ასწავლიდა. იყო მიხაკო წერეთლის მასწავლებელი და მეგობარი.

[8] კარბელაშვილი, პოლიევექტოს გრიგოლის ძე (1855-1936), იყო მგალობელი, მუსიკოსი, მწერალი, ისტორიკოსი. მან მოამზადა და გამოსცა მრავალი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლი; მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი(1880).

[9] ჭყონია, ილია მირიანის ძე (1860-1927), მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი; გაზეთების „იერიის“ და „დროების“ სპეციალური კორესპონდენტი.

[10] ჯაჯანიშვილი, იოანე ალექსანდრეს ძე (1876-1940), დიდი ქართველი მამულიშვილი, მეცნიერი ისტორიკოსი.

წერილი 2

16 Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.
The 1 April 1911

Dear Sir.
I finished just now the copying of Djavakhoff 's translation and I send it to You. I will be very thankful if You read and correct it. Some passages which I could not understand or translate are to be seen in the text. The author will explain to me how to translate them and I shall put them after in the text. As to the „აბრიალებს თვალებსა“ which You will find there. You can translate it certainly. I could not find any equivalent for it in my poor English.
If You find that for the English reader commentaries are necessary to some words and terms, You can better do it than I.. Or perhaps it would be necessary to change or shorter some passages where repetitions occure very often? In this case also You can make the change better than I or even the author himself: You understand better what is required by the English reader.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

16 ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
1 აპრილი 1911

ძვირფასო ბატონო
სწორედ ახლა დავასრულე ჯავახოვის თარგმანის კოპირება და გიგზავნით მას. ძალზე მადლობელი დაგრჩებით, თუ მას წაიკითხავთ და ჩაასწორებთ. ზოგიერთი პასაჟი, რომლებიც ვერ გავიგე, ან ვერ ვთარგმნე, ჩანს ტექსტში. ავტორი თვით განმიმარტავს, თუ როგორ ვთარგმნო ისინი და მე მათ შემდგომ შევიტან ტექსტში. მაგალითად, „აბრიალებს თვალებს“, რომელსაც იქ შეხედებით, თქვენ, რა თქმა უნდა, სთარგმნით. მე კი, ჩემი ღარიბული ინგლისურით, ვერ მოვუძებნე შესატყვისი.
თუ თქვენ ჩათვლით, რომ ინგლისელი მკითხველისთვის საჭიროა ზოგი სიტყვისა თუ ტერმინის კომენტირება, თქვენ ამას ჩემზე უკეთ შეძლებთ; ან იქნებ შემოკლდეს, ან შეიცვალოს ზოგი პასაჟი,

რომლებიც გეხვდება ძალზე ხშირად? ამ შემთხვევაშიც თქვენ უკეთესად შეიტანთ ცვლილებებს, ვიდრე მე, ან თუნდაც ავტორი: თქვენ უკეთ გესმით ინგლისელი მკითხველის მოთხოვნები.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 3.

16 Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.
April 12 1911

Dear Sir
It was very kind of Mr. Conybeare indeed to come in the Reading Room of the British Museum and to take me in the Oriental Manuscript Department. So to morrow I will give up all the books of the Reading Room and work a fortnight on a Georgian manuscript which Mr. Conybeare was kind enough as to show me. He got also this morning a special authorisation for me to work in the Oriental M.D. So after two weaks it will be done with the British Museum and I have decided to go to Germany as soon as possible after these two weaks. I would like to stay here a month again for my English practice. But it is utterly impossible to find any family in which some member would speak with me during the days, so I have given up this idea.
Many and many thanks for reading Djavakhoff 's translation. It would be very nice indeed, if some English Review publish it. If not, I will send it to the „Deutsche Morgenla[n]dische Gesells[c]haft", as You have adviced.
Please, Mister Wardrop, if You have prepared the second part of „ვეფხის ტყაოსანი", send it to me here or to Leipzig after, and I will do what I can with great pleasure.
I will see You, I suppose, before to leave London, if You are disposed to receive me or if You will have the opportunity to be in London at that time.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

16 ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
12 აპრილი 1911
ძვირფასო ბატონო

დიდი პატივი იყო ბატონი კონიბერის[11] მხრივ, რომ მობრძანდა ბრიტანეთის მუზეუმის სამითხველო დარბაზში და წამიყვანა აღმოსავლური ხელნაწერების განყოფილებაში. ამდენად, ხვალ დავუბრუნებ სამკითხველო დარბაზს წიგნებს და ორი კვირა ვიმუშაებ პირველად ქართულ ხელნაწერზე, რომელიც ბ-ნმა კონიბერიმ საკმაოდ თავაზიანად მაჩვენა. ამ დილას მან საგანგებო ნებართვა ამიღო, რათა ვიმუშავო აღმოსავლურ ხელნაწერთა განყოფილებაში. ორ კვირაში მოვასრულებ ურთიერთობას ბრიტანეთის მუზეუმთან და გადავწყვიტე გერმანიაში წასვლა, როგორც კი მომეცემა საშუალება ორი კვირის მერე. მე კიდევ ერთი თვე სიამოვნებით დავრჩებოდი აქ ინგლისურში პრაქტიკისთვის. მაგრამ სავსებით შეუძლებელია ისეთი ოჯახის პოვნა, რომლის რომელიმე წევრი მთელი დღის მანძილზე დამელაპარაკებოდა. ამიტომ ამ იდეაზე უარი ვთქვი.
დიდზე დიდი მადლობა ჯავახოვის თარგმანის წაკითხვისთვის. ძალზე კარგი იქნება, თუ რომელიმე ინგლისური ჟურნალი გამოაქვეყნებს მას. თუ არა, მე მას გავუგზავნი „გერმანულ აღმოსავლურ საზოგადოებას“, როგორც თქვენ მირჩიეთ.
ბ-ნო უორდროპ, თუ თქვენ მოამზადეთ „ვეფხის ტყაოსნის“ მეორე ნაწილი, გამომიგზავნეთ აქ, ან მერე ლაიფციგში; და რამდენადაც შევიძლებ, დიდი სიამოვნებით გავაკეთებ ყველაფერს.
ვფიქრობ, გნახოთ ლონდონიდან წასვლამდე, თუკი თქვენ ინებებთ ჩემს მიღებას, ან თუ ამ დროისთვის იქნებით ლონდონში.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 4.

16 Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.
April 18 1911

Dear Sir,
I finished the correction of Rusthaveli's translation and write just now to one friend of mine in St Petersbourg to get the ready and exact translation of the passages which I did not understand. Very soonly I will have his answer

[11] კონიბერი, ფრედერიკ კორნუელსი (1856-1924), ცნობილი ბრიგანელი ორიენტალისტი და თეოლოგი; არმენისტი და ქართველოლოგი; ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლივერ უორდროპის მეგობარი.

with the translation. Mister Wardrop, I am afraid, there may be some other mistakes in the text, and if You are not in the hurry very much, let me read and make my suggestions on all the translation. I will work day and night this one month, mean while I will communicate all the passages which I will be not able to understand to my friend, and in one month the book will be ready. Perhaps earlier. Otherwise it is pity that the book may be printed with mistakes. Let me know what is your opinion. If it is impossible to do what I think, I will send back to You the book immediately, but if it is possible, I begin to work immediately also.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

16 ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
18 აპრილი 1911

ძვირფასო ბატონო,
მე დაეასრულე რუსთაველის თარგმანის კორექტირება და ახლაეე ეწერ ერთ ჩემს მეგობარს სტ.პეტერბურგში, რომ მოიძიოს მზა და ზუსტი თარგმანები იმ პასაეებისა, რომლებიც ჩემთვის გაუგებარია. ძალიან მალე მივიღებ მის პასუხს თარგმანთან ერთად. ბ-ნო უორდროპ, ვშიშობ, რომ ტექსტში იქნება სხვა შეცდომებიც და, თუ თქვენ ძალიან არ გეჩქარებათ, მომეცით ნება, წავიკითხო და წარმოეადგინო ჩემი მოსაზრებები მთლიანად თარგმანის თაობაზე. მე ღღე და ღამე ვიმუშავებ ამ ერთ თვეს; ამასთან დავუკავშირდები და გავაცნობ ჩემს მეგობარს იმ პასაქებს, რომლების გაგებასაც ვერ შევიძლებ და ერთ თვეში წიგნი მზად იქნება; შესაძლოა ადრეც. სამწუხაროა, წიგნი თუ შეცდომებით დაიბეჭდება. მაცნობეთ თქვენი აზრი. თუ ჩემი წინადადების შესრულება შეუძლებელია, მაშინ წიგნს უმალ დაგიბრუნებთ; თუკი შესაძლებლად ჩათვლით, მე მაშინვე შევუდგები საქმეს.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 5.

Rosslyn Hill, 53
Hampstead
London. N.W.
April 20 1911

Dear Sir
I thank You for your letter and for £ 4 10/ inclosed which I received to day. The translation of Rusthaveli I will read all what You have given me and try to correct it as I can. But if prof. Marr will come here and see You, it would be a best opportunity to ask him many things about the translation.
As You can see I left my old dwelling and now I am in a boarding house for my English. This month I (?) will devote to the English language and give up the cuneiforms. From that point of view the reading of Rusthaveli in English will be very useful to me also, and pray You, don't trouble yourself about my time. Besides, what can I do better, if, naturally, I will be able enough to suggest something about the translation.
Just after one month, the 20, 21 of May I will leave London. If till that time Mr. Conybeare can make be printed the translation of Djavakhoff 's article I will be very thankful to You both indeed.
My most respectful salutations to Mrs Wardrop, to Mr. and Mrs T. Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

როსლინ ჰილ, 53
ჰამპსტედ
ჩრდ.-დას. ლონდონი
20 აპრილი 1911

ძვირფასო ბატონო
მადლობას გიხდით წერილისა და მასში ჩადებული 4 ფუნტისთვის, რაც მივიღე დღეს. მთლიანად წავიკითხავ რუსთაველის თარგმანს, რომელიც თქვენ მომეცით და, რამდენადაც შევძლებ, ვეცდები ჩავასწორო. მაგრამ, თუ პროფესორი მარრი[12] ჩამოვა და თქვენ გნახავთ, ეს იქნება საუკეთესო საშუალება, რომ ბევრი რამ შეეკითხოთ მას თარგმანთან დაკავშირებით.

[12] მარი, ნიკოლოზ იაკობის ძე (1864-1934),გამოჩენილი ენათმეცნიერი, ორიენტალისტი, არმენოლოგი. საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დარგს; 1910 წელს რუსულად გამოსცა პოემის პროლოგი და ეპილოგი.

როგორც ხედავთ, მე დაეტოვე ძველი ბინა და ამჟამად ვცხოვრობ პანსიონში ჩემი ინგლისურის გამო. ამ თვეს დავუთმობ ინგლისურ ენას და შევეშვები ლურსმნულს. რუსთველის ინგლისურად კითხვაც ძალზე სასარგებლო იქნება ჩემთვის და გთხოვთ, ნუ შეწუხდებით ჩემი დროის გამო. ამის გარდა რას გავაკეთებ უკეთესს, თუ, რა თქმა უნდა, საკმაოდ შემეძლება გირჩიოთ რაიმე თარგმანის თაობაზე.
ზუსტად ერთ თვეში, 20-21 მაისს მივდივარ ლონდონიდან. თუ მანამდე ბატონი კონიბერი შეძლებს დაბეჭდოს ჯავახოვის სტატიის თარგმანი, მე, რა თქმა უნდა, ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენ ორიეესი.
ჩემი ძალზე მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპს, ბ-ნ და ქ-ნ ტ. უორდროპს და თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 6.

16 Lewisham Rd
Highgate Rd
London.N.W.
6 of May 1911

Dear Sir
I have been to day in the British Museum and Mr. Conybeare enquired about the candlestick with an Armenian inscription, but the candlestick itself is of Mesopotamian work and the inscription is of 17 or 18 century, and has no connection whatever with Ani. That is Mr. Conybeare's conclusion after the examination of the candlestick. Mr. Conybeare copied also the inscription and he told me that he will send all the information to You this evening, to forward the copy to Mr.Marr.
I sent the translation of Javakhoff 's article to the editor of the „Quest" and here is the letter which I got from him. Can You advice me what to do with the article? I think it would be better to withdraw it and to send to D.M.G. They accept everything like that in this society.
My respectful salutations to Mrs. Wardrop and to Yourself.
Yours very truly and respectfully
Michel Tseretheli.

16 ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
6 მაისი 1911
ძვირფასო ბატონო,
ღღეს ვიყავი ბრიტანეთის მუზეუმში და ბ-ნი კონიბერი შემეკითხა სომხურ წარწერიან შანდლის შესახებ, მაგრამ შანდალი თავისთავად არის მესოპოტამური, ხოლო წარწერა განეკუთვნება მე-17 ან მე-18 საუკუნეს და არ აქვს არავითარი კაეშირი ანი-სთან. ეს გახლავთ ბ-ნ კონიბერის დასკვნა შანდლის შესწავლის შემდეგ. ბ-ნმა კონიბერიმ გადაიღო წარწერის ასლი და მითხრა, რომ ამ საღამოს გადმოგიგზავნით თქვენ მთელ ინფორმაციას, რათა შემდგომ ასლი გადასცეთ ბ-ნ მარრს. ჯავახოვის ნაშრომის თარგმანი გავუგზავნე „Quest"-ის რედაქტორს[13] და აქაა წერილი, რომელიც მისგან მივიღე. შეგიძლიათ მირჩიოთ, რა ვუყო სტატიას? ვფიქრობ, უკეთესი იქნება, გამოვართვა ის და გავუგზავნო „გერმანულ აღმოსავლურ საზოგადოებას"; ეს საზოგადოება იღებს ყოველივე მსგავსს.
ჩემი მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპს და პირადად თქვენ.
თქვენი დიდად ერთგული და პატივისმცემელი
მიხეილ წერეთელი.

წერილი 7.

16 Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W. 10 May 1911

Dear Sir
I wrote to Mister Javakhishvili about this translation and I am waiting his answer. If he consents that the article would be shortend then I will write to the "Quest" and make them also understand that we never intended to make money out of this article, because, I think, that is the principal point in the letter of Mr.Mead. I prefer, too, that the monograph be printed here in Eng-

[13] „The Quest"- ინგლისური სოლიდური სამეცნიერო ჟურნალი, რომლის 1912 წლის №2 და №3-ში გამოქვეყნდა იე. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" I ტომის 1908 წლის გამოცემის თავი –„ქართველების ეროვნული წარმართობა". ამ ჟურნალის რედაქტორი და „კვესტის საზოგადოების" (1909) დამფუძნებელი იყო ჯორჯ რობერტ სტოუ მიდი (Mead) –1863-1933, ინგლისელი თეოსოფი, რომელიც ხშირად გეხვდება მიხაკო წერეთლის წერილებში.

land and not in Germany. Even the scientific opinion in England is still superior than in Germany, I suppose.
I will not stay for this races Congress, because the paper about Georgia will be not printed, and they allow to speak seven min[u]tes only, and nothing about politics. How it is possible then togive any idea of the history or ethnography or literature of Georgia in seven minutes? This I said to the secretary of the Congress, Mr.Spiller. He could answer nothing, rather he was a little embarrassed. So I went out. – Now I decided to go to Germany 20-21 of this month and I hope to see You before that and hear Rusthaveli's translation, and take it with me, if possible, to correct it as I can.
Mr.Conybeare was kind enough to send me his publication about the old Georgian version of Acts, but unfortunately I have no adress of him to thank him cordially. I hope to see him in these days in the British Museum.
Kindest regards from Mr. and Mrs Tsherkesoff to Mrs Wardrop and to You and my most respectful salutations also to M[rs] Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

16 ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
10 მაისი 1911

ძვირფასო ბატონო
მე მივწერე ბ-ნ ჯავახიშვილს ამ თარგმანის შესახებ და ველოდები პასუხს; თუ ის დაგვრთავს სტატიის შემოკლების ნებას, მაშინ მივწერ „Quest"-ს და გავაგებინებ, რომ ჩვენ არასდროს გვსურდა ამ სტატიით ფული გვეშოვნა, რადგან, როგორც ვფიქრობ, ესაა მთავარი არსი ბ-ნ მიდის წერილისა. მე აგრეთვე მირჩევნია, რომ მონოგრაფია დაიბეჭდოს აქ ინგლისში და არა გერმანიაში. ამასთან მიმაჩნია, რომ მეცნიერული შეფასება (აზრი) ჯერაც უფრო მაღალი ხარისხისაა ინგლისში, ვიდრე გერმანიაში.
მე არ დავრჩები ხალხთა კონგრესზე,[14] რადგან არ ბეჭდავენ მემორანდუმს (დოკუმენტს) საქართველოს შესახებ და მხოლოდ 7 წუთს

[14] 1910 წლის ივნისში ლონდონში ჩატარდა „დაჩაგრულ ერთა და ხალხთა დამცველი კონფერენცია", რომელსაც ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად ესწრებოდა მიხაკო წერეთელი, როგორც „სახალხო გაზეთის" საკუთარი კორესპონდენტი ლონდონში. ამ კონფერენციას მან ვრცელი წერილი მიუძღვნა. ვარლამ ჩერქეზიშვილი ოლივერ უორდროპს 1911 წლის 27 მაისს წერს: „გიგზავნით კონფერენციის ანგარიშს,რომელიც შევადგინეთ მე და წერეთელმა; თქვენ იქ ნახავთ ჩვენი ხალხის სრულ პეტიციას ჰააგის 1907 წლის კონფერენციისადმი." (იხ. გ. გელაშვილი,

იძლევიან სალაპარაკოდ და არაფერს პოლიტიკის შესახებ. აბა, როგორ შეიძლება შეიდ წუთში გადმოსცე რაიმე აზრი საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ ლიტერატურის შესახებ? მე ეს განვუცხადე კონგრესის მდივანს, ბ-ნ სპილერს. მან ვერაფერი მიპასუხა, მხოლოდ ცოტა შეცბუნდა. ამიტომ გამოვედი. – ახლა გადავწყვიტე გერმანიაში წასვლა ამ თვის 20-21 რიცხვში. იმედი მაქვს გნახოთ წასვლამდე, მოვისმინო რუსთველის თარგმანი და, თუ შესაძლებელია, თან წავიღო, რათა შეძლებისამებრ შევასწორო.
ბ-ნმა კონიბერიმ საკმაოდ თავაზიანად გამომიგზავნა თავისი პუბლიკაცია აქტების ძველი ქართული ვერსიის შესახებ. სამწუხაროდ, არ მაქვს მისი მისამართი, რომ გულითადი მადლობა გადაგუხადო. ვიმედოვნებ, რომ ვიხილავ მას ამ დღეებში ბრიტანეთის მუზეუმში.
გულითადი სალამი ბ-ნ და ქ-ნ ჩერქეზოვებისგან[15] ქ-ნ უორდროპსა და თქვენ; აგრეთვე ჩემი ძალზე მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპსა და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 8.

16. Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.
13 May 1911

Dear Sir
I thank You very much for Your letter and especially for the invitation, but I don't know when to come and stay with You one or two days. That is because I don't know whether I will go after one week or stay here for this races Congress. They insist that I must stay. I explained to them how the

---

„ვარლამ ჩერქეზიშვილის რამდენიმე წერილი ოლივერ უორდროპისადმი“– კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(9) 2011). ხომ არ უნდა იყოს ეს „ქართველი ერის უფლებანი“, პეტიციის უფრო სრულყოფილი ვარიანტით? მიხაკო წერეთელი წერილებში ოლივერისადმი, რომლებიც გაგზავნილია 1911 წლის 10, 13, 15 და 20 მაისს, არაფერს ატყობინებს კონგრესზე დასწრების შესახებ; ხოლო 23 მაისს უკვე გერმანიაშია. ჩანს, რომ წასვლამდე მანაც მიიღო გარკვეული მონაწილეობა, თუმცა აღარ დარჩა ლონდონში.

[15] ქალბატონი ჩერქეზოვი არის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეუღლე ფრიდა – ფრანგი მანდილოსანი; ქმრის ერთგული თანამოაზრე, საქართველოს დიდი გულშემატკივარი; იყო ლონდონის კონსერვატორიის სამდივნოს წევრი. (შდრ. დიმიტრი შეულიძე, „ჰი ეინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი?“ თბ. 2001).

business stands and I am waiting a telegramm from them to day or to morrow inviting me to stay or to go to Germany. As soon as I have this telegramm I will inform You.
I thank You very much for Rusthaveli's translation which I am reading just now.
You have well understood Mr Mead's tone in his letter: when I wrote to him that I wanted no money I got from him **immediately** an answer saying that the monograph will be corrected and printed in a few months. Many thanks for Mr Conybeare's adress also.
Mister Wardrop. You know very well that I never will be able to flatter You, but I say to You quite sincerely that eitherYou know Georgian language very deeply or You have an extraordinary intuition to understand Rusthaveli whom many Georgians don't understand, and for me also he is very difficult to understand. This I see now quite clearly when I read the second part of the trsnslation.
Kindest regards from Mr. and Mrs Tcherkesoff to Mrs. Wardrop and to Yourself and the most respectful salutations from me to Mrs Wardrop and to Yourself also.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

16. ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
13 მაისი 1911

ძვირფასო ბატონო
დიდად გემაღლიერებით თქვენი წერილისა და განსაკუთრებით მოწვევისთვის. მაგრამ არ ვიცი, როდის მოვიდე და დავრჩე თქვენთან ერთი ან ორი დღე. ეს იმიტომ, რომ არ ვიცი წავალ ერთ კვირაში, თუ დავრჩები აქ ხალხთა კონგრესის გამო. ისინი დაბეჯითებით ითხოვენ ჩემს დარჩენას. მე ავუხსენი მათ საქმის ვითარება და რომ ველოდები დეპეშას დღეს ან ხვალ, რითიც გადავწყვეტდი, დავრჩენილიყავი, თუ წავსულიყავი გერმანიაში. როგორც კი მივიღებ ამ ტელეგრამას, გაცნობებთ თქვენ.
დიდ მადლობას გიხდით რუსთაველის თარგმანისთვის, რომელსაც სწორედ ახლა ვკითხულობ.
თქვენ კარგად გაიგეთ ბ-ნ მიდ-ის ტონი მისი წერილიდან: როცა მე მივწერე, რომ არ მოვითხოვდი ფულს, უმალ მივიღე მისგან პასუხი, რომ მონოგრაფია შესწორდებოდა და სულ რამდენიმე თვეში

დაიბეჭდებოდა. აგრეთვე დიდი მადლობა ბ-ნ კონიბერის მისამართისთვის.
ბ-ნო უორდროპ, თქვენ კარგად იცით, რომ მე ვერასდროს შევძლებ გეპირფეროთ, მაგრამ სრულიად გულახდილად გეუბნებით, რომ თქვენ ან ძალზე ღრმად იცით ქართული ენა, ან გაქვთ განსაკუთრებული ინტუიცია, რომ გაიგოთ რუსთაველი, რომლისაც ბევრ ქართველს არ ესმის და მეც მიჭირს მისი გაგება. მე ამას ახლა ნათლად ვხედავ, როცა ვკითხულობ თარგმანის მეორე ნაწილს.
გულითადი სალამი ქ-ნ უორდროპს და პირადად თქვენ ბ-ნ და ქ-ნ ჩერქეზოვებისგან. ასევე ჩემი მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპსა და თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 9.

16. Lewisham Rd
Highgate Rd
London.N.W.
15 May 1911

Dear Sir
My situation is settled at last. I am going next saturday to Germany. I am sorry that I could not pass a few days with You, but I will be contented if You allow me to come to see You next thursday. I will bring with me also Rusthaveli, but I have corrected not much because I was nervous all this days and my mind was unsettled. But when I will be settled again I will finish it very quickly. Before to go I will see Mr. Conibeare in the British Museum if he is still there.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

16. ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
15 მაისი 1911

ძვირფასო ბატონო
ჩემი მდგომარეობა ბოლოს და ბოლოს მოწესრიგდა. მომავალ შაბათს მივდივარ გერმანიაში. ვწუხვარ, რომ ვერ გავატარებ

რამდენიმე დღეს თქვენთან ერთად, მაგრამ ვიქნები კმაყოფილი, თუ დამრთავთ ნებას გესტუმროთ მომავალ ხუთშაბათს. მე თან წამოვიღებ რუსთაველს, მაგრამ ბევრის შესწორება ვერ მოვახერხე, რადგან მთელი ეს დღეები ვნერვიულობდი და გონება არეული მქონდა. როგორც კი მოვწესრიგდები, მას ძალზე მალე დავასრულებ. გამგზავრებამდე ვინახულებ ბ-ნ კონიბერის ბრიტანეთის მუზეუმში, თუ ჯერაც იქ არის.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 10.

16. Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.
20 May 1911

Dear Sir
At 4 pm to day I am leaving London. I wrote just now a letter to Mr. A. Sarajishvili praying him to send You his work „ყაღბი აღგილები“ which he will be kind enough as to forward You immediately.
Again I say You, Mister Wardrop, that I cannot express how thankful I am to You. I will never forget Your kindness, and if I live I will try to not disappoint You. I will finish Rusthaveli very soonly and send You immediately. My respectful salutations toMrs Wardrop and Mr and Mrs T. Wardrop. Good bye and best wishes for You. I will write You immediately when arrived to Leipzig.
Yours very truly and thankfully
Michel Tseretheli.

16. ლიუისჰემ როუდ
ჰაიგეიტ როუდ
ჩრდ.-დას. ლონდონი
20 მაისი 1911

ძვირფასო ბატონო
დღეს 4 საათზე მივემგზავრები ლონდონიდან. სწორედ ახლა მივწერე ბ-ნ ა. სარაჯიშვილს,[16] და ვთხოვ გადმოგიგზავნოთ თავისი

[16] სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს ძე (1851-1914), მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ერ-

ნაშრომი „ყალბი ადგილები“, რომელსაც ის სიამოვნებით მოგაწვდით.
ბ-ნო უორდროპ, კვლავ გეუბნებით, რომ ვერ გამოვთქვამ, თუ როგორი მადლობელი ვარ თქვენი. არასოდეს დავივიწყებ თქვენს სიკეთეს და სიცოცხლის მანძილზე არ შეგარცხვენთ (იმედს არ გაგიცრუებთ). მე მალე დაეასრულებ რუსთაველს და მაშინვე გამოგიგზავნით.
ჩემი მორიდებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპს და ბ-ნ და ქ-ნ უორდროპებს. ნახვამდის და საუკეთესო სურვილები თქვენ. მე ლაიფციგში ჩასელისთანავე მოგწერთ.
ულრმესი ერთგულებითა და მადლობით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 11.

to Mr S. Kiknadze
Härtelstrasse N 10.
Pensionat Froster,
Leizig.
23 May 1911

Dear Sir
I arrived to Leipzig but unfortunately it is absolutely impossible to live here without passeport. So I decided to live under the name of **Simon Kiknadze.** So I will pass here this summer, but what I shall do after, when the University will ask me my own passeport, I don't know. My countrymen told me that it is absolutely impossible to be admitted in the University without the legal passeport, and new one, given by the Russian Authorities.
Now I will ask the professors of Assyriology to admit me in their seminaries freely, and if Mr Conybeare knows any professor here and gives me a letter of introduction to him, it will be a great help to me, because without the passeport even the free men are not admitted in the libraries and seminaries. The cause of it are the Jews who used to steal books in all universities of Germany, and that is the reason why the authorities have introduced this passeport- system! But, nevertheless, I think that I will be admitted as a private student if Mr Conybeare will give me this letter of introduction. At the same time I will trie to get my own passeport from Tiflis, but I doubt very much whether I succeed or not.

თერთი ფუძემდებელი (ხაზისადარი). ჟურნალ „მოამბეში“ (1894-1905) დაიბეჭდა მისი რუსთაველოლოგიური ნაშრომი „ეეუხისტყაოსნის ყალბი ადგილები“.

On the translation I work already and will send it You as soon as finished.
My respectful salutations to Mrs Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

ბ-ნ ს. კიკნაძეს
ჰერტელშტრასე № 10,
პანსიონი „ტროესტერ“,
ლაიფციგი
23 მაისი 1911

ძვირფასო ბატონო
მე ჩამოველი ლაიფციგში, მაგრამ, საუბედუროდ, სრულიად შეუძლებელია აქ უპასპორტოდ ცხოვრება. ამიტომ გადავწყვიტე ეიცხოერო **სიმონ კიკნაძის** სახელით. ასე გაეატარებ აქ ამ ზაფხულს, მაგრამ არ ვიცი, რა მეშველება, როცა უნივერსიტეტი მომთხოვს საკუთარ პასპორტს. ჩემმა თანამემამულემ მითხრა, რომ ყოელად შეუძლებელია დაგიშვან უნივერსიტეტში ლეგალური პასპორტის გარეშე; ახალს კი გასცემს მხოლოდ რუსული ხელისუფლება.
ახლა მე ვთხოვ ასირიოლოგიის პროფესორებს, დამიშვან მათ სემინარებზე თავისუფალ მსმენელად; და თუ ბ-ნი კონიბერი იცნობს რომელიმე აქაურ პროფესორს და მომცემს სარეკომენდაციო წერილს მასთან, ეს იქნება დიდი დახმარება ჩემთვის, რადგან პასპორტის გარეშე კერძო პიროვნებასაც არ უშვებენ ბიბლიოთეკებსა და სემინარებზე. ამის მიზეზი არიან ებრაელები, რომლებიც იპარაელნენ წიგნებს გერმანიის ყველა უნივერსიტეტებში. ამიტომაც შემოიღო ხელისუფლებამ ასეთი საპასპორტო სისტემა! მაგრამ, ამის მიუხედავად, ვფიქრობ, დამიშვებენ როგორც კერძო (დამოუკიდებელ) სტუდენტს, თუ ბ-ნი კონიბერი მომცემს სარეკომენდაციო წერილს. ამავე დროს ვეცდები ტფილისიდან მიეიღო ჩემი საკუთარი პასპორტი, თუმცა ძალზე მეეჭვება მივაღწევ თუ არა წარმატებას.
თარგმანზე უკვე ვმუშაობ და დამთავრებისთანავე გამოგიგზავნით.
ჩემი მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპს და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი

წერილი 12.

8 June, 1911
Härtelstrasse, 10.
Pension Troster, Leipzig.

Dear Sir
Just I finished altogether Rusthaveli and I forward it to You registered. You will see that in some places I put my corrections but I am not sure, perhaps the correction are quite wrong provided my ignorance of many English expressions and words. As to many doubtful passages I communicated them to my friend and asked his opinion. When I will receive the proofs then will I put his suggestions, or, if You like, I will send to You those his suggestions separately. I pray You, send me the first proofs, I would be very pleased to read them.
I thank You and Mister Conybeare that You are kind enough for me and that Mister Conybeare has written to Prof. Gregory about my case, but I had nothing from him.It is strange enough, but when I told this to my friends who know very well German professors, they laughed very much and said that German professors are not like English or French professors at all. They said that Germans, even great scientists, are so formalists and gendarmelike that they can never understand the situation of aman like me. So excuse me, please, that I have troubled You and Mister Conybeare for nothing. I did not know that Germans were so heartless, otherwise I would never ask Mister Conybeare to trouble himself and write a letter to any German professor.
Now I have decided to ask the Governor of Tiflis to send my legal passeport and I will write to somebody in Tiflis to go and ask this personally to the Governor. You know that „protekcia" means everything in Russia, and perhaps I will succeed in that way. Otherwise it is utterly impossible to enter the university here.
Again I entreat You, do send me the proof of Rusthaveli from the beginning.
My most respectful greetings to Mrs Wardrop, to Mr. and Mrs.T.Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

8 ივნისი 1911
ჰერტელშტრასე 10
პანსიონი „ტროსტერ“ლაიფციგი

ძვირფასო ბატონო
ახლა დავასრულე მთლიანად რუსთაველი და გადმოგიგზავნეთ დაზღვეულად. თქვენ ნახავთ, რომ ზოგ ადგილებში დავურთე ჩემი შესწორებები, მაგრამ არ ვარ [ბოლომდე] დარწმუნებული, შესაძლოა შესწორებები საკმაოდ მცდარი იყოს, თუ გავითვალისწინებ მრავალი ინგლისური გამოთქმისა თუ სიტყვის არცოდნას. ბევრი საეჭვო პასაჟის შესახებ დავუკავშირდი ჩემს მეგობარს და ვკითხე მისი მოსაზრება. როცა მივიღებ მტკიცებულებას, ჩავურთავ მის რჩევას, ანდა, თუ მოისურვებთ, ცალკე გადმოგიგზავნით მის შეხედულებებს.
თუ შეიძლება, გამომიგზავნეთ პირველი ნიმუში (კორექტურა); ვიქნები ძალიან კმაყოფილი მისი წაკითხვით.
მადლობა თქვენ და ბ-ნ კონიბერის: თქვენ იყავით გულისხმიერი ჩემს მიმართ, ხოლო ბ-ნმა კონიბერიმ მისწერა პროფესორ გრეგორის[17] ჩემი მდგომარეობის თაობაზე, თუმცა მისგან არაფერი შემოსულა. საკმაოდ უცნაურია, მაგრამ, როცა მე ამის შესახებ ვუამბე ჩემს მეგობრებს, რომლებიც ძალიან კარგად იცნობენ გერმანელ პროფესორებს, ბევრი იცინეს და მითხრეს – გერმანელი პროფესორები სრულებით არ ჰგვანან ინგლისელ თუ ფრანგ პროფესორებს; გერმანელები, თუნდაც დიდი მეცნიერები, არიან ისეთი პედანტები და ჟანდარმები, რომ არასდროს შეღიან ჩემნაირი პიროვნების მდგომარეობაში. ამიტომ, თუ შეიძლება, მაპატიეთ, რადგან თქვენ და ბ-ნი კონიბერი ამაოდ შეგაწუხეთ. მე არ ვიცოდი, გერმანელები თუ ასეთი უგულოები იყვნენ, თორემ ბ-ნ კონიბერის არასდროს შევაწუხებდი, რომ მიეწერა წერილი რომელიმე გერმანელი პროფესორისთვის.
ახლა მე გადავწყვიტე, ვთხოვო ტფილისის გუბერნატორს, გამომიგზავნონ ჩემი ლეგალური პასპორტი. ამის თაობაზე ვინმეს მივწერ ტფილისში, რომ მივიდეს და პირადად სთხოვოს გუბერნატორს. თქვენ იცით, რომ რუსეთში „პროტექცია“ ყველაფერს ნიშნავს და

[17] გრეგორი, კასპარ რენე (1846-1917), დაბადებით ამერიკელი, გერმანელი თეოლოგი. ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი 1891 წლიდან. მან სისტემაში მოიყვანა ახალი აღთქმის ხელნაწერები და კრიტიკულად გამოიკვლია ტექსტები. ახალი აღთქმის ხელნაწერთა შესწავლას საფუძველი ჩაუყარა გრეგორიმ ტიშენდორფთან ერთად.

ალბათ მე ამ გზით მიეაღწევ წარმატებას. სხეანაირად ყოელად შეუძლებელია აქ უნივერსიტეტში შესვლა.
კიდევ ერთხელ გთხოვთ, გამომიგზავნოთ რუსთაველის კორექტურები დასაწყისიდანვე.
ჩემი უაღრესად მოწიწებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპს, ბ-ნ და ქ-ნ ტ.უორდროპებს და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 13.

17 .VI. 1911
10. Härtelstrasse, Leipzig

Dear Sir
I thank You very much for Your letter and for Your intention to send me a tipe-written copy of the
whole translation of Rusthaveli.
The day before yesterday Prof. C.R.Gregory was here and called on me, and he was so kind and so ready to do everything for me that I was rather embarassed. He promised me to do all he can. At the same time he adviced to me to send a letter to the Vice Roy asking him for a passeport. So I did. I expect his answer. From Geneva I will receive all my papers to morrow or after to morrow and all that I shall bring to Mr.Gregory. He gave me his adress and asked me to come and see him at home.
If even I will not have my passeport Mr Gregory can arrange my business without a passeport in some other way. So I am very setisfied and quiet, and therefore I work hard on my Sumero-Georgian Grammar having finished already a little Sumero-Georgian vocabulary with the comparison of principal roots. At the end of august or september I hope to send You a short paper about the subject.
Many and many thanks to Mr Conybeare and to You that You have arranged my business through Mr. Gregory.
My most respectful greetings to Mrs.Wardrop, to Mr. and Mrs T. Wardrop and toYourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

17 ივნისი 1911
ჰერტელშტრასე 10
ლაიფციგი

ძვირფასო ბატონო
გიხდით დიდ მადლობას თქვენი წერილისა და გადაწყვეტილებისთვის, რომ გამომიგზავნით რუათაველის მთლიანი თარგმანის მანქანაზე გადაბეჭდილ ასლს.
გუშინწინ პროფესორი გრეგორი იყო აქ და მინახულა; ის იყო ისეთი კეთილი და მზად, ყველაფერი შეესრულებინა ჩემთვის, რომ საკმაოდ უხერხულად ვიგრძენი თავი. დამპირდა, რომ შეძლებისდაგვარად ყველაფერს მოიმოქმედებდა. ამავე დროს მირჩია, გავუგზავნო თხოვნის წერილი მეფის ნაცვალს[18] პასპორტის თაობაზე. მეც ასე მოვიქეცი. მე ველოდები პასუხს. ხვალ ან ზეგ ქენევიღან მივიღებ ყველა ჩემს საბუთს და ყველაფერს მივუტან ბ-ნ გრეგორის. მან მომცა თავისი მისამართი და მთხოვა ვეწვიო სახლში. თუკი ვერ მივიღებ პასპორტს, ბ-ნი გრეგორი დამასაქმებს სხვა გზით. ამდენად მე ძალზე დაკმაყოფილებული და დამშვიდებული ვარ. ინტენსიურად ვმუშაობ ჩემს შუმერულ-ქართულ გრამატიკაზე და უკვე დავასრულე მცირე შუმერულ-ქართული ლექსიკონი ძირითადი ფესვების შედარებით. აგვისტოს ბოლოს, ან სექტემბერში, ვიმედოვნებ, რომ გამოგიგზავნი მოკლე სტატიას საკითხის შესახებ.
დიდი, დიდი მადლობა ბ-ნ კონიბერის და თქვენ, რომ ბ-ნ გრეგორის მეშვეობით მომიგვარეთ საქმე.
ჩემი უღრმესად მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპს, ბ-ნ და ქ-ნ ტ.უორდროპებს და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 14.

Simon Kiknadze, Gautzsch. Schloss
Rheinsberg, Leipzig. 1911.25 July

Dear Sir
I thank You for Your letter and I hasten to let You know that I am obliged to be adressed as Simon Kiknadze and not as M.Tseretheli, for from the

[18] 1905-1915 წლებში საქართველოს მეფისნაცვალი იყო გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი (1837-1916).

Vice-Roy I had yet no answer and without a legal passeport I can not declare my true name at the Police Department: I will be expelled from here in a week. – Nor had I any answer from the University of Kieff though it be already a month that I asked them for my testimonium materitatis. Without these documents I can not go even to see prof. Gregory: he can do nothing unless I get those papers. But as the last semester is almost closed and probably prof. Gregory will go away. I will see him in these days and speak with him. Perhaps he will give me some good counsel.
From my friend stud. Beridze I received very numerous suggestions concerning the most obscure passages of „Vephkhis Tkaosani". These suggestions are very important because they had analyzed almost the whole poem under the guidance of prof. Marr. Besides, Mr.Beridze suggested me to ask You wether You will agree to send the last proofs to prof. Marr? Now I don't know prof. Marr and can say nothing wether it is possible to deal with him or not. As to me I am ready to work very hard for the translation and I am waiting impatiently for the copy.
My wife and my child are here and we are in a little village near Leipzig. My wife sends toYou her deepest considerations and good wishes. They are both well.
My most respectful salutations to Mrs Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

სიმონ კიკნაძე, გაუცშ. შლოს
რეინსბერგი, ლაიფციგი
25 ივლისი 1911

ძვირფასო ბატონო
მადლობას გიხდით წერილისთვის და სასწრაფოდ გაცნობებთ, რომ იძულებული ვარ მომწეროთ, როგორც სიმონ კიკნაძეს და არა მ. წერეთელს, რადგან ვიცე-მეფისგან[19] ჯერაც არ მიმიღია პასუხი და ლეგალური პასპორტის გარეშე არ შემიძლია ჩემი ნამდვილი სახელის გამხელა პოლიციის განყოფილებაში: გაძევებულ ვიქნები აქედან ერთ კვირაში. – ასევე არ უპასუხიათ კიევის უნივერსიტეტიდან; უკვე ერთი თვეა, რაც მე მათ მოვთხოვე ჩემი სიმწიფის საბუთი (ატესტატი). ამ საბუთების გარეშე პროფ. გრეგორის ნახვაც კი არ შემიძლია: ამ დოკუმენტების მოპოვების გარეშე ის ვერაფერს გააკეთებს. მაგრამ, როგორც კი ბოლო სემესტრი დაიხურება, პროფ. გრეგორი ალბათ გაემგზავრება. ამ დღეებში მე მას მოვი-

[19] გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი.

ნახულებ და დაეელაპარაკები. უთუოდ მომცემს რაიმე კარგ რჩევას.
ჩემი მეგობარი სტუდენტის, ბერიძისგან[20] მივიღე ბევრი რჩევა, რომლებიც ეხება ყველაზე ბუნდოვან პასაჟებს „ვეფხის ტყაოსანში". ეს წინადადებები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი აანალიზებენ თითქმის მთელ პოემას, პროფესორ მარრის ხელმძღვანელობით. ამას გარდა ბ-ნი ბერიძე მირჩევს გკითხოთ თქვენ, დამთანხმდებით, რომ გაუგზავნოთ ბოლო ნიმუში პროფესორ მარრს? ამჟამად მე არ ვიცნობ პროფ. მარრს და არ შემიძლია ვთქვა რაიმე მასთან საქმის დაჭერის თაობაზე. რაც შემეხება მე, მზად ვარ დაუღალავად ვიმუშაო თარგმანზე და მოუთმენლად ველოდები ასლს.
ჩემი ცოლი და ბავშვი[21] აქ არიან და ვიმყოფებით პატარა სოფელში ლაიფციგის ახლოს. ჩემი მეუღლე გითვლით თქვენ უღრმეს პატივისცემას და კეთილ სურვილებს. ისინი ორივენი კარგად არიან.
ჩემი უღრმესად მოწიწებული სალამი ქ-ნ უორდროპსა და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 15.

1911, August 5-th, Gautzsch, Schloss
Rheinsberg, Leipzig

Dear Sir
I thank You very much for Your letter and for Your English-Svanetian Vocabulary and also for the tipe-written copy of the translation of Rusthaveli. Very soonly I shall begin to read the translation and I hope to send it back to You in a short time. At the same time I am very glad to hear that Prof. Marr offered his service to read the translation. I am sure that grace to him You can settle the questions about the most obscure passages of the poem. As to

[20] ეს პიროვნება, რომელსაც ასე ხშირად ახსენებს მიხაკო წერეთელი, ნამდვილად უნდა იყოს ბერიძე ვუკოლ მიხეილის ძე (1883-1963), ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, რომელმაც 1912 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და დაიწყო მასწავლებლობა ქუთაისსა და თბილისში. 1912 წელს მან შეადგინა „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა"; მოთავეობდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენას და ეკუთვნის მრავალი ნაშრომი რუსთველოლოგიაში.

[21] მიხაკო წერეთლის მეუღლე იყო მარიამ რევაზის ასული ეახვახიშვილი, ვაჟი – ოთარი (დაიღუპა 1945 წელს).

the Saradjishvili's work I have no need of it, this work being principally a work of criticism, for I am not able at all to amend the text itself. You and Prof. Marr can do it better and perhaps Saradjishvili's work will be useful to You in some respect.

With great pleasure I read Your English-Svanetian vocabulary. This is a good thing, and I am particularly pleased to have it, for I found in it some very important and most suggestive Sumerian words and grammatical forms. There are some mistakes in it, especially when You put Georgian equivalents of Svanetian words, but they are too few, and, besides, I may be mistaken, for I don't know Svanetian. But, if the transliteration was made with the Georgian alphabet, it would have been excellent. I think that the Latin transliteration of Georgian sounds is very incommod and it makes very often altogether obscure all Georgian words and phrases even. Therefore, I think, the latin translitteration must be accompanied by the Georgian.

„The Quest" sent no proof at all of Djavakhishvili's monograph, and I will write to them immediately about it.

As to my Sumerian studies, I think it will be ready only after one or two months, perhars later on, for as more as I think on the subject it appears to me very difficult one. However, I have finished already 2/3 of it and I will send it to You immediately when I finish it entirely.

I am very sorry to hear that Your health is not satisfactory for You personally and for Your friends too it is a great pity. As to me for instance, my secret hope was always that You will do for the Georgian history and litterature in English what Brosset has done for them in French. Once I was even so temerous as to have told it to You directly. But I hope You will be better and I wish with all my heart to see You once again as strong as You desire and all Your sincere friends desire.

When You will see Mr. Conibeare – many thanks from my part and the most respectful regards to him and at the same time I should like to know his opinion about the attempts made in general for proving the fact of the relation between Sumerian and Georgian. Some times it seems to me that all I thought about it is a pure illusion, and I am a little disconraged.

One week again we shall stay in this village, and then we go back to Leipzig. Then after another week my wife and child shall go back to Tiflis, and I will stay there.

I will let You know my new adress immediately after I get it.

The best wishes and the most respectful regards to Mrs. Wardrop and to Yourself from my wife and from me, and many thanks from my wife to You that You still remember her.

Yours very respectfully

Michel Tseretheli.

1911, 5 აგვისტო, გაუცმ, შლოს
რაინსბერგი, ლაიფციგი.

ძვირფასო ბატონო
გიხდით დიდ მადლობას თქვენი წერილისა და თქვენი ინგლისურ-სვანური ლექსიკონისთვის; აგრეთვე რუსთაველის თარგმანის მანქანაზე ნაბეჭდი ასლისთვის. ძალიან მალე დავიწყებ თარგმანის კითხვას და მოკლე დროში დაგიბრუნებთ. ამავე დროს ძალზე მიხარია, რომ გაეცნე პროფესორმა მარრმა შემოგთავაზათ თავისი სამსახური – წაიკითხოს თარგმანი. დარწმუნებული ვარ, მისი წყალობით მოაგვარებთ პოემის ყველაზე ბუნდოვანი პასაჟების საკითხს. რაც შეეხება სარაჯიშვილის ნაშრომს, მე ის არ მჭირდება; ძირითადად ეს ნაშრომი კრიტიკულია და მე სრულებით არ შემიძლია შევასწორო ტექსტი თავისთავად. თქვენ და პროფ. მარრს შეგიძლიათ ეს უკეთ შეასრულოთ, ხოლო სარაჯიშვილის ნაშრომი თქვენთვის გამოსაღეგი იქნება მხოლოდ გარკვეული მიმართებით.
დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი ინგლისურ-სვანური ლექსიკონი. ეს მშვენიერია და პირადად ძალიან კმაყოფილი ვარ მისი ქონებით, რადგან მასში აღმოვაჩინე ზოგი ძალზე მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი შუმერული სიტყვა და გრამატიკული ფორმა. მასში გვხვდება შეცდომები, განსაკუთრებით როცა თქვენ მოგყავთ სვანურის ქართული შესატყვისი სიტყვები; მაგრამ ასეთი ცოტაა. ამასთან მე შეიძლება ვცდებოდე, რადგან არ ვიცი სვანური. მაგრამ ტრანსლიტერაცია რომ გაკეთებულიყო ქართული ანბანით, ეს იქნებოდა საუცხოო. მე ვფიქრობ, რომ ქართული სიტყვების ლათინური ტრანსლიტერაცია არის ძალზე მოუხერხებელი და ხშირად მთლიანად აბუნდოვნებს ყველა ქართულ სიტყვას და თვით ფრაზებსაც. ამიტომ ეფიქრობ, რომ ლათინურ ტრანსლიტერაციას უნდა ახლდეს ქართული.
„Quest“-მა არ გამოგზავნა ჯავახიშვილის მონოგრაფიის კორექტურა; ამიგომ მე სასწრაფოდ მიეწერ მათ ამის შესახებ.
რაც შეეხება ჩემს შუმერულ კელევებს, ეფიქრობ, მზად იქნება ერთთორ თვეში, ან ალბათ უფრო გვიან, რადგან, რაც მეტს ეფიქრობ საგანზე, ის უფრო ძნელდება. ჯერ მე დავასრულე მისი 2/3 და, როგორც კი მთლიანად დავამთავრებ, მაშინვე გამოგიგზავნით.
ძალზე ვწუხვარ, რომ თქვენი ჯანმრთელობა არაა დამაკმაყოფილებელი. პირადად თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვისაც ეს დიდად სამწუხაროა. მე, მაგალითად, ყოველთვის მქონდა ფარული იმედი, რომ თქვენ ქართული ისტორიისა და ლიტერატურისთვის

ინგლისურად შეასრულებდით იმას, რაც ბროსემ[22] გააკეთა მათთვის ფრანგულად. ერთხელ მე მოურიდებლად გითხარით ეს პირდაპირ. ვიმედოვნებ, რომ გამოკეთდებით და მთელი გულით გისურვებთ გიხილოთ კვლავ ისეთი ჯანმრთელი, როგორიც თქვენ და თქვენს გულითად მეგობრებს გსურთ.
როცა თქვენ ნახავთ ბ-ნ კონიბერის, მრავალი მადლობა და უაღრესად მოწიწებული მოკითხვა გადაეცით ჩემგან; ამავე დროს მსურს შევიტყო მისი აზრი იმ მცდელობის შესახებ, რომელიც ძირითადად ეხება შუმერულისა და ქართულის ურთიერთობის ფაქტის დასაბუთებას. ბოგჯერ მეჩვენება, რომ ყოველიეე, რასაც მე ეფიქრობ ამის შესახებ, არის წმინდა ილუზია და საქციელი ცოგა წამიხდება ხოლმე.
ერთი კვირა ჩვენ დავრჩებით ამ სოფელში და შემდეგ დავბრუნდებით ლაიფციგში. მომდევნო კვირას კი ჩემი ცოლ-შვილი გაემგზავრებიან ტფილისისკენ; მე კი იქ დავრჩები. როგორც კი ვიშოვნი ახალ ბინას, მისამართს მაშინვე შეგატყობინებთ.
საუკეთესო სურვილები და უღრმესად მოწიწებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპს და პირადად თქვენ ჩემი ცოლისა და ჩემგან. აგრეთვე მრავალი მადლობა ჩემი მეუღლისგან, რადგან თქვენ ჯერაც გახსოვთ ის.
უღრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

წერილი 16.

3''' Windmühlen Weg
bei Grünert, Leipzig
to Mr. S. Kiknadze
The 28-th of September 1911

Dear Sir
Yesterday morning I received Your letter and I hasten to forward You the tipewritten copy of the translation of Rusthaveli by Your late sister. I read it and compared it with the text from the first line till the end, and that is the cause why I send You it so late. I used also the corrections and suggestions

[22] ბროსე, მარი უელისიტე (1802-1880), ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1849-58 წლებში ფრანგულად თარგმნა და გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ და XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა თხზულებები. საკმაო ღვაწლი მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

of Mr.Beridze, but still there are many obscure passages in which we do not understand anything. I am really surprised, I thought that Marr promised seriouseli to revise the last proof of the translation or to read the translation entirely, but as I see now they are printing already the translation, and Marr is in Swanethi! Or perhaps he has already finished the reading of the translation? As to me, hoping that he will set right at last all the obscure passages. I put constantly:"to Mr Marr", when I met such passages.
I regret very much that I had no time to read what I have written on those sheets of paper which I send You, but Your letter arrived here yesterday and the reading I finished to day at 11 o'clock. I am
afraid You want the TC at once and therefore I send it You without reading the sheets, though it would be better I had read. Perhaps I have made many mistakes in the numbers of **ხანა** and **გაეპი** or omited words in my badly constructed English phrases. But I hope You will understand what I mean and forgive me my inaccuracy.
As to my personal affairs, I have got my certificate of Gymnasium and my old passeport of 1901 from Geneva. Without a new passeport they don't admit here in the University. So I do not know what to do. Prof. Gregory went to Amerika, but his wife is disposed to help me. The financial help they promised me in Georgia is not to be effected also, so I decided to go home after two months when everything will be clear for me at last, if anything extraordinary will not happen to me.
My Sumero-Georgian Grammar advances very slowly. It is very difficult thing indeed. But still I have to finish it and to send it You. My most respectful salutations to Mrs.Wardrop.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

3''' ვინდმიულენ ვეგ
გრიუნერგთან, ლაიფციგი
ბ-ნ ს. კიკნაძეს
28 სექტემბერი 1911

ძვირფასო ბატონო
გუშინ დილით მივიღე თქვენი წერილი და ვჩქარობ გადმოგიგზავნოთ მანქანაზე ნაბეჭდი ასლი რუსთაველის თარგმანისა, შესრულებული თქვენი გარდაცვლილი დის[23] მიერ. მე წავიკითხე ის და შევადარე ტექსტს პირველი სტრიქონიდან

[23] ოლიევერ უორდროპის უმცროსი და მარჯორი (1869-1909) „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი. საქართველოს დიდი მოყვარული და მოამაგე.

ბოლომდე; ესაა მიზეზი, თუ რატომ გიგზავნით ასე დაგვიანებით. მე ასევე გამოვიყენე ბ-ნ ბერიძის შესწორებები და რჩევები, მაგრამ იქაც გვხვდება ბუნდოვანი ადგილები, რომლებშიც ვერაფერს ვიგებთ. მე მართლა მიკვირს – ვფიქრობდი, რომ მარრი დაგეპირდა, სერიოზულად შეამოწმებდა თარგმანის ბოლო ნიმუშს, ან მთლიანად წაიკითხავდა თარგმანს; მაგრამ, როგორც ახლა ვხედავ, ისინი უკვე ბეჭდავენ თარგმანს, ხოლო მარრი იმყოფება სვანეთში! ან, იქნებ მან უკვე დაასრულა თარგმანის წაკითხვა? მე ვიმედოვნებ, რომ ის ბოლოს და ბოლოს შეასწორებს ყველა ბუნდოვან ადგილს. მე ხშირად ვახსენებ „ბ-ნ მარრს“, როცა ასეთი ადგილები მხვდება. ძალზე ვწუხვარ, რომ არ მქონდა დრო წამეკითხა რაც დავწერე თქვენდამი გამოგზავნილი ქაღალდის ფურცლებზე, მაგრამ თქვენი წერილი მომივიდა გუშინ, ხოლო წაკითხვა დავასრულე ღღეს 11 საათზე. ვშიშობ, რომ თქვენ ახლავე გსურთ თარგმანი და ამიტომ ამ ფურცლებს წაუკითხავად გიგზავნით. უკეთესი იქნებოდა წამეკითხა ის. ალბათ დავუშვი ბევრი შეცდომა („ხანა“ და „ტაეპი“), ან გამომრჩა სიტყვები ჩემს მიერ ცუდად შედგენილ ინგლისურ ფრაზებში. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თქვენ მიხვდებით, რასაც ეგულისხმობ და მომიტევებთ ჩემს უზუსტობებს.

რაც შეეხება ჩემს პირად საქმეებს, მე მივიღე გიმნაზიის ატესტატი და ჩემი ძველი, 1901 წლის პასპორტი ქენევიდან. ახალი პასპორტის გარეშე ესენი აქ არ უშვებენ უნივერსიტეტში. ამდენად არ ვიცი, რა მოვიმოქმედო. პროფ. გრეგორი წავიდა ამერიკაში, მაგრამ მისი მეუღლე ცდილობს ჩემს დახმარებას. ფინანსური დახმარება, რაც აღმითქვეს საქართველოდან, ასევე არ შეიძლება შესრულდეს; ამიტომ გადავწყვიტე დავბრუნდე სახლში ორი თვის მერე, როცა ყოველივე საბოლოოდ გაირკვევა ჩემთვის, თუკი რაიმე განსაკუთრებული არ დამემართება.

ჩემი შუმერულ-ქართული გრამატიკა ძალზე ნელა მიიწევს წინ. ეს ნამდვილად ძნელი საქმეა. მაგრამ მაინც დავამთავრებ და გამოგიგზავნით.

ჩემი ძალზე მოწიწებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპს.

უღრმესი პატივისცემით

მიხეილ წერეთელი.

წერილი 17.

3''' links Windmühlen Weg
Leipzig
The 4-th of October 1911

Dear Sir
I thank You very much indeed for Your letter of the 1st of October, but surely I am not worthy of such thanks as You express to me: I am unfortunately not a specialist in the Georgian literature, and especially in the old Georgian. I am not very strong indeed, otherwise I could do some thing more and a little quicklier as to what concerns the translation. My only cincere wish is now that prof. Marr send as soon as he can his corrections and suggestion sand the book be published without defects, as perfectly as possible.
I am waiting unpatiently for the proof of the preface, but if You can and if You think it necessary You can send also all the proof of the translation and I will correct it very willingly.
As to my affairs I think they are not very brilliant indeed. Prof. Gregory is in Amerika and prof. Zimmern ia not yet here. I will try to come and see him when he would be here (probably after a week), but I do not think he can arrange the business with the old passeport. But they told me here that it is perfectly possible to enter to the University's seminaries here as a private student, and in this case they don't ask any passeport, - only the Gymnasium's certificate which I have got already.
The financial help is absolutely refused from Georgia, but my brother from Moscow promised me to send monthly L 3 until the month of January at least and here it is possible to live with it with great economy. So I have decided to remain here still. That is what I meant as „everything clear" in my last letter: I did not know if my brother could help me, and just yesterday evening I got his letter in which he promised me this help.
I thank You very much also for the remembrance of my wife and child. I was very sorry indeed, even desperate, for yhe little boy had tuberculose in the bone of a finger. The doctors cut the finger through and cleaned the damaged bone, but I don't know, perhaps the tuberculose will appear in some other place, and if so, the boy is lost altogether. Indeed so is with me, as Rusthaveli says: კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!...
Surely I do not know what to think about Mister Mead's behaviour concerning Djavakhov's article. First he promised to publish it (without paying for this was what he feared), after he promised to publish it in January 1912, and now he writes that the article will be published in April 1912 ! Evi-

dently he will not publish it at all, and I do not know whether it would be correct to write him – asking him back the article, or not.
A[b]out Dr. Kluge I heard only from You and it is interesting indeed whether he will publish at least what he has done already, or not? It is a pity, naturally, that he will abandon this work.
Please, Mister Wardrop, when You finish the Sumerian Grammar, tell me Your opinion about the relation of the Sumerian and Georgian, if there is any.
Excuse me for this long letter: ბევრი ყბედობა მომივიდა.
My most respectful salutations and thanks for remembrance to Mrs Wardrop, to all Your family also and to Yourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

3""მარცხნივ ვინდმიულენ ვეგ
ლაიფციგი
4 ოქტომბერი 1911

ძვირფასო ბატონო
დიდ მადლობას გიხდით 1 ოქტომბრის თქვენი წერილის გამო; მე ნამდვილად არ ვიმსახურებ ასეთ მადლობას: სამწუხაროდ არ გახლავართ ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, განსაკუთრებით ძველ ქართულში არ ვარ ძლიერად; სხვა მხრივ შემიძლია მეტის გაკეთება და ცოტა უფრო სწრაფად, მაგალითად, რაც ეხება თარგმანს. ამჟამად ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ პროფ. მარრმა, რამდენადაც შეუძლია, მალე გამოგზავნოს შესწორებები და რჩევები, რათა წიგნი დაიბეჭდოს დეფექტების გარეშე შეძლებისდაგვარად სრულყოფილად.
მოუთმენლად ველოდები შესავლის კორექტურას; მაგრამ, თუ თქვენ შეგიძლიათ, ან თვლით საჭიროდ, გამომიგზავნეთ აგრეთვე თარგმანის მთლიანი კორექტურა და მე მას მთელი გულისყურით შევამოწმებ.
რაც შეეხება ჩემს საქმეებს, ვფიქრობ, ძალზე კარგად ნამდვილად არ არის. პროფ. გრეგორი იმყოფება ამერიკაში, ხოლო პროფ. ციმერნი[24] ჯერაც აქ არ არის. როცა გამოჩნდება, ვეცდები მივიდე და ვნახო (ალბათ ერთ კვირაში), მაგრამ არ მგონია მოაგვაროს საქმე ძველი პასპორტით. მე მითხრეს, რომ სავსებით შესაძლებელია

[24] ჰაინრიხ ციმერნი (1862-1931), გერმანელი ორიენტალისტი, სემიტოლოგი; ძველი ორიენტალისტიკის ერთერთი უუძლებელი გერმანიაში. 1894 წლიდან ასირიოლოგიის პროფესორია ლაიფციგის უნივერსიტეტში, 1899 წლიდან სემიტური ენების, 1906-1929 წლებში აღმოსაველური ენების პროფესორი.

დაშვება საუნივერსიტეტო სემინარებზე როგორც თავისუფალი მსმენელის (კერძო სტუდენტის) და ამ შემთხვევაში არ ითხოვენ პასპორტს – მხოლოდ გიმნაზიის ატესტატს, რაც უკვე მივიღე.
ფინანსური დახმარება სრულიად გამორიცხულია საქართველოდან, მაგრამ მოსკოეში მყოფი ჩემი ძმა[25] დამპირდა, რომ გამომიგზავნის თვიურად 3 ფუნტს იანერამდე. ამ თანხით აქ შესაძლებელია ძალიან ეკონომიურად ცხოვრება. ამდენად გადავწყვიტე ჯერჯერობით დავრჩე აქ. ამას ეგულისხმობდი ჩემს ბოლო წერილში, როცა ვამბობდი –„ყველაფერი ნათელია“: არ ვიცოდი, ჩემი ძმა თუ დამეხმარებოდა. სწორედ გუშინ საღამოს მიეიღე მისი წერილი, რომელშიც მპირდებოდა ამ დახმარებას.
მე აგრეთვე გიხდით მადლობას, რომ გახსოვთ ჩემი ცოლი და ბავშვი. მე, რა თქმა უნდა, ძალიან დავნაღვლიანდი და სასოწარკვეთილიც ვარ, პატარა ბიჭს რომ ხელის თითში ტუბერკულოზი აღმოაჩნდა. ექიმებმა მთლიანად გაუჭრეს თითი და გაწმინდეს დაზიანებული ძვალი. მაგრამ არ ვიცი, ალბათ ტუბერკულოზი სხვა ადგილზეც გამოვლინდება და, თუ ასეა, ბიჭი საბოლოოდ დაიღუპება. მე ის მჭირს, როგორც რუსთაველი ამბობს: „კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“..
ნამდვილად არ ვიცი, რა ვიფიქრო ბ-ნ მიდის საქციელზე, რაც ეხება ჯავახოეის ნაშრომს. ჯერ დამპირდა მის დაბეჭდვას (უფასოდ, რისიც ეშინოდა); შემდეგ აღმითქვა გამოქვეყნება 1912 წლის იანვარში. ახლა ის გვწერს, რომ სტატია დაიბეჭდება 1912 წლია აპრილში! ცხადია, ის საერთოდ არ დაბეჭდავს მას. მე აღარ ვიცი, რამდენად კორექტული იქნება, მიეწერო მას დააბრუნოს ნაშრომი, თუ არა.
დრ. კლუგეს შესახებ მე მხოლოდ თქვენგან გავიგე და, რა თქმა უნდა, საინტერესოა, დაბეჭდავს თუ არა ბოლოს და ბოლოს, რაც უკვე გაკეთებულია? საწყენია თუ ის უარს იტყვის ამ სამუშაოზე.
ბ-ნო უორდროპ, თუ შეიძლება, როცა დაამთავრებთ შუმერულ გრამატიკას, მითხარით თქვენი აზრი შუმერულსა და ქართულს შორის ურთიერთობის შესახებ, თუკი ასეთი არსებობს. მომიტევეთ ასეთი გრძელი წერილისთვის: „ბევრი ყბედობა მომივიდა“
ჩემი უაღრესად მოწიწებული მოკითხვა გახსენებისათვის ქ-ნ უორდროპს, მთელ თქვენ ოჯახს და პირადად თქვენ.
ულრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.

---

[25] მიხაკო წერეთლის უფროსი ძმა–ვასილ გიორგის ძე წერეთელი (1862-1937), საბოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი, პუბლიცისტი. აკადემიკოსების–გიორგი და თინათინ წერეთლების მამა.

წერილი 18

The 25-th of October, 1911
3''' l. Windmühlen Weg. Leipzig

Dear Sir
I hope You will excuse me for my silence, for I was waiting until now the definite settlement of my affairs in Leipzig. Now I know definitely that I will be not admitted in the University without a new passeport, but I can work in the institutes and seminaries privately under the guidance of Professors Zimmern and Weissbach. They were kind enough as to have permitted me to do it. But how to work in the University as Tseretheli and to live here as Kiknadze – that I don't know, and I am afraid it will cause me at last to leave Leipzig and Germany altogether. At the same time my friends at Paris promised me to get for me from the French Government the permission to go back to Paris, but untilnow they have done nothing, and yet it was very easy indeed to do this business!.. However, I am still here and will stay here until the Germans expell me from their country.
I thank You very much indeed for Preface to „ვეფხის-ტყაოსანი". Sincerely I can tellYou that it is an excellent one, sincerely written, with heart and sentiment if it can be said so in English. And these are my remarks if they can be of any avail:
1) q.247: I don't think ხატად means here icon, perhaps ხატად გამოეხატე= I imagined, I represented to myself (?). But for me it is not certain. You can be right and I – wrong altogether.
2) I don't think that the q-s 247, 1345, 226, 229, 1110 and 1410 make even a slightest allusion to the Ecclesiastical System.
3) I don't think that the q-s 99, 835, 772, 1520, 110, 656, 707, 1431, 882, 18 and49 all are quotations from the Scriptures, as for instance the q. 18.
4)The q. 785 expresses rather a musulman excess of charity than the idea of purgatery.
5) You have omitted the most frequently used: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი" in Georgia, even by the people (q. 781-14).
6) q, 692: ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა სულისმხდელი. The sweet Knight with sweet Georgian (= **speech**), **the maker of good** (not the **language,** maker of valour, but the **Knight**, maker of good).
7) I think the legend about Rusthaveli's Biography confused **Athos** with **Athens**, for Athens were a destroyed village at Rusthaveli's epoch as I remember from the general history; there was no academies, nothing in Ath-

ens at that time. However it would be better to refer to a detaled history as to know the situation of Athens at Rusthaveli's epoch.
8) To add two or three words in the preface about the development of the monastic life and the construction of Monasteries by Georgians outside Georgia _ at monnt Athos, Sinai, Jerusalem etc. Those monasteries were the centres of learning of the epoch, even the Emperor of Bysantium gave their children to Georgian monks to instruct them in their monasteries, and Rusthaveli was probably at monnt Athos in such a monastery, and not in Athens.
[9) The portrait of Rusthaveli has been defaced in the monastery of Jerusalem last time.(probably by the greek monks)].
10) Abuladze says in „ძველი საქართველო", that **Avthandil** and **Davar** are Persian words, and I think that **ტარიელ** also must have something with Persian **Dara**, Dareios. Only Thinathin seems to me to be an original Georgian word, perhaps from the rest **თ** [=to shine], as მ-**თ**-ვარე, სი-ნა-**თ**-ლე, მ-**თ**-ი-ებ-ი etc ...(?)
11) Beridze writes me that an old manuscript of „ვ. ტ." has been recently discovered in which among other passages the q. 1222, stays so: "ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან, **ია-ვარდამან** etc.. .
[=This story Avthandil the sun faced, the violet-rose-like one (or: the sun faced, the violet-rose-faced?)
It is better than .. : **მაგრა ვადამან** (instead of ია-ვარდამან) which nobody understands what it means.
From Tiflis I receive good news if they write me truth about my boy.
My Sumerian Grammar advances very slowly, but I will finish it absolutely, even when it will be false altogether, and I will submit it to You.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.

25 ოქტომბერი 1911
"I ვინდმიულენ ვეგ
ლაიფციგი

ძვირფასო ბატონო
ვიმედოვნებ მაპატიებთ სიჩუმეს, რადგან აქამდე ველოდებოდი ჩემი საქმეების მოგვარებას ლაიფციგში. ახლა მე ნათლად მესმის, რომ უნივერსიტეტში არ დამიშვებენ ახალი პასპორტის გარეშე. თუმცა შემიძლია ვიმუშავო ინსტიტუტებსა და სემინარიებში კერძო პირად

პროფ. ციმმერნის და ვაისბახის[26] ხელმძღვანელობით. ისინი საკმაოდ კეთილად მომექცნენ, რომ დამრთეს ამის ნება.
მაგრამ, როგორ უნდა ვიმუშავო უნივერსიტეტში – როგორც წერეთელმა და ვიცხოვრო როგორც კიკნაძემ –ეს არ ვიცი და მეშინია, რომ ბოლოს მომიწევს ლაიფციგის და საერთოდ გერმანიის დატოვება. ამავე დროს ჩემი პარიზელი მეგობრები დამპირდნენ, რომ საფრანგეთის მთავრობისგან მიიღებდნენ ნებართვას ჩემს დასაბრუნებლად პარიზში; თუმცა დღემდე მათ არაფერი გაუკეთებიათ; მაინც ადვილი იყო ალბათ ამ საქმის მოგვარება!... მე ჯერ აქ ვარ და დაერჩები მანამ, ვიდრე გერმანელები არ გამაძევებენ თავიანთი ქვეყნიდან.
დიდ მადლობას გიხდით „ვეფხის-ტყაოსნის“ შესავლისთვის. პატიოსნად შემიძლია გითხრათ, რომ ეს საუცხოოა, დაწერილია გულწრფელად, სიყვარულითა და ჯრძნობით, თუ შეიძლება ასე ითქვას ინგლისურად. ჩემი შენიშვნები შემდეგია, თუკი მათ ექნებათ რაიმე სარგებელი:
1) q[27] 247; მე არ ვფიქრობ, რომ „ხატად“ აქ ნიშნავს **ხატს**. ალბათ „ხატად გამოვხატე= მე წარმოვიდგინე, მე ჩემში წარმოვსახე (?). მაგრამ ჩემთვის ეს არაა უეჭველი. თქვენ შეიძლება იყოთ მართალი, მე კი შემცდარი.
2) მე არ ვფიქრობ, რომ q-s 247, 1345, 226, 229, 1110 და 1410 გვაძლევენ უმნიშვნელო მინიშნებას საეკლესიო სისტემაზე.
3) მე არ ვფიქრობ, რომ q-s 99, 835, 772, 1520, 110, 656, 707, 1431, 882, 18 და 49 **ყველა** არის ციტატები ბიბლიიდან, როგორც, მაგალითად q 18.
4) q. 785 გამოხატავს უფრო მუსულმანური სიყვარულის უკიდურესობას, ვიდრე სალხინებლის იდეას.
5) თქვენ უყურადღებოდ დაგრჩათ საქართველოში და ხალხში ხშირად ხმარებული – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ (q.781 -14).
6) q. 692 : ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა სულისმხდელი: ტკბილი რაინდი ტკბილი ქართული (=**ენა**, [საუბარი?]), **კარგის მკეთებელი** (არა **ენა**, გმირობის ჩამდენი, არამედ **რაინდი** კარგის მქმნელი).

---

[26] ვაისბახი, ფრანც ჰაინრიხ (1865-1944), გერმანელი ორიენტალისტი. 1883-1935 წლებში ლაიფციგის უნივერსიტეტშია – იყო ლურსმნული დამწერლობისა და ძველი ისტორიის კულეგის პროფესორი.

[27] q – უნდა ნიშნავდეს შემოკლებულ quatrain-ს – ოთხტაეპოვანს, четверостишие (გ.გ).

7) ვფიქრობ ლეგენდა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ ურევს **ათოს ათენში,** რადგან **ათენი** რუსთაველის ეპოქაში იყო განადგურებული სოფელი, როგორც მახსოვს გოგადი ისტორიიდან; არ იყო აკადემია იმ დროს ათენში. ამდენად უკეთესი იქნებოდა მიგვემართა თანმიმდევრული (დეტალური) ისტორიისთვის, რომ ვიცოდეთ რუსთაველის ეპოქის დროინდელი ათენის ვითარება.

8) დავუმატოთ ორი-სამი სიტყვა შესავალში სამონასტრო ცხოვრების განვითარებას და ქართველთა მიერ მონასტრების აგებას საქართველოს გარეთ – ათოს მთაზე, სინაზე, იერუსალემში და ა.შ. ეს მონასტრები წარმოადგენდნენ ეპოქის სასწავლო ცენტრებს; ბიზანტიის იმპერატორებიც კი მიაბარებდნენ თავის შვილებს ქართველ ბერებს მათ მონასტრებში განსასწავლად. ალბათ რუსთაველიც იმყოფებოდა ათოს მთაზე მონასტერში და არა ათენში.

[9) რუსთაველის პორტრეტი შერყვნილია ბოლო დროს იერუსალემის მონასტერში (ალბათ ბერძენი ბერების მიერ)].

10) აბულაძე[28] ამბობს „ძველ საქართველოში“, რომ **ავთანდილი** და **დავარი** არის სპარსული სიტყვები; მე ვფიქრობ, რომ **ტარიელს**აც აქვს რაღაც საერთო სპარსულ **დარა** – დარეიოს-თან. მხოლოდ **თინათინი** მგონია, რომ არის ორიგინალური ქართული სახელი, ალბათ უუძიდან **თ** [=ნათება (ბრწყინვა)], როგორც მ-**თ**-ეარე, სი-ნა-**თ**-ლე, მ-**თ**-ი-ებ-ი და ა.შ. (?).

11) ბერიძე მწერს, რომ ახლად აღმოჩენილ „ვ. ტ“-ის (ვეფხისტყაოსნის –გ.ტ.) ძველ ხელნაწერში q.1222 წერია – „ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან, **ია-ვარდამან** და ა.შ. [= ეს ამბავი სახე-მზიანმა ავთანდილ, ია-ვარდის მსგავსმა (ან სახე-მზიანმა, ია-ვარდ სახიანმა?)]. უკეთესია, ვიღრე...: მაგრა ვადამან (ია-ვარდმანის მაგიერ), რომელიც არავის ესმის, თუ რას ნიშნავს.

ტფილისიდან მიეიღე კარგი ცნობები, თუკი სიმართლეს მწერენ ჩემი ეაჟის შესახებ.

ჩემი შუმერული გრამატიკა ძალიან ნელა მიიწევს წინ, მაგრამ დავასრულებ მცდარიც რომ გამოდგეს და მოგართმევთ.

უღრმესი პატივისცემით

მიხეილ წერეთელი.

---

[28] აბულაძე, იუსტინე ირაკლის ძე (1874-1962), ცნობილი ქართველი ფილოლოგი, ირანისტი, რუსთველოლოგი. 1914 და 1926 წლებში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ შესაელითა და ლექსიკონით.

წერილი 19.

1911, the 12-th of November
16' Ludwigsplatz, Heidelberg

Dear Sir
I thank You very much for Your letter of 7.XI.11, and I am very glad to hear that „Vephkhis- Tkaosani" will be published by the end of the year.
As You can see I am now in Heidelberg, for no other University could admit me. From Leipzig I wrote the letters to almost all Universities of Germany and only Heidelberg answered me favorably. From München I received the answer that they do not admit **at all** the Russian subjects.
Now I am here and I am stadying the Semitic languages (Hebrew, Arabic and Syriac); only in the next semester prof. Bezold will begin the Assyriology. So I will stay here this semester and wait for the next one until prof. Bezold begins his lectures, but if it is possible to get the permission to go back to Paris, I would do it with great pleasure, because just there are the first-class assyriologists as Thureau-Dangin and Fossey and also Scheil, and then I think that the life is cheaper in Paris than here, in this little aristocratic town of Heidelberg. I thank Mr.Conybeare very much indeed for his readiness to give recommendations.
I would be very pleased to have also Your new articles about Georgian matters, and if it will be not very difficult to You, please, send me copies of them.
From Mr. Mead of „the Quest" I have received the proofs of Javakhov's article. I corrected the first part of the paper and I am sending it back to Mr. Mead; I think he will publish it in January. I have asked Mr.Mead for some copies and one copy naturally I will send to You.
From my wife and son I receive now good news and I thank You with all my heart indeed to remember them and to comfort me on account of my little boy.
My most respectful salutations and many thanks to Mrs Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
Michel Tseretheli.
P.S. If for the next summer-semester Mr. Cherkesov or some other people of influence (as P. Kropotkin for instance) get me the permission to go to Paris I will do it with joy next summer.
M. T.

12 ნოემბერი 1911
16' ლუდვიგსპლაც, ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
გიხდით დიდ მადლობას 7.XI.11-ის თქვენი წერილისთვის და ძალზე მოხარული ვარ იმის გაგებით, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ დაიბეჭდება ამ წლის ბოლოსთვის.
როგორც ხედავთ, ამჟამად ვიმყოფები ჰაიდელბერგში, რადგან სხვა არც ერთმა უნივერსიტეტმა არ მიმიღო. ლაიფციგიდან მე გავუგზავნე წერილები გერმანიის თითქმის ყველა უნივერსიტეტს და მხოლოდ ჰაიდელბერგისამ მიპასუხა კეთილგანწყობით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი **საერთოდ** არ იღებენ რუსეთის პიროვნებებს.
ახლა აქ ვარ და ვსწავლობ სემიტურ ენებს (ებრაულს, არაბულსა და სირიულს); მხოლოდ შემდეგ სემესტრში დაიწყებს პროფ. ბეცოლდი[29] ასირიოლოგიას. ასე რომ, ამ სემესტრში აქ ვრჩები და დავეღოდები მომდევნოს, სანამ პროფესორი ბეცოლდი შეუდგება თავის ლექციებს; მაგრამ, თუ იქნა შესაძლებელი მივიღო პარიზში დაბრუნების ნებართვა, ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებ, რადგან სწორედ იქ არიან პირველი ხარისხის ასირიოლოგები, როგორიცაა ტიურო-დანჟენი[30] და ფოსსეი,[31] ასევე შეილი[32]; და კიდევ ვფიქრობ, რომ ცხოვრება პარიზში უფრო იაფია, ვიდრე ამ პატარა არისტოკრატულ ქალაქ ჰაიდელბერგში. მე ძალიან მადლობელი ვარ ბ-ნ კონიბერის მისი მზრუნველობისთვის, მომცეს რეკომენდაციები.
ძალზე მასიამოვნებთ, თუ მექნება თქვენი ახალი სტატიები საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით; და, თუ არ იქნება თქვენთვის საძნელო, გამომიგზავნეთ მათი ასლები.

---

[29] კარლ ბეცოლდი (1859-1922), გერმანელი ორიენტალისტი. 1888 წლიდან მოღვაწეობდა ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი) სემიტურ შტუდიებსა და ლიტერატურაში. შეადგინა 14500 ლურსმნული წარწერის კატალოგი. ის ცნობილია როგორც ბაბილონური და ასურული ენისა და ლიტერატურის მკვლევარი. 1886-1915 წლებში გამოსცემდა „ასირიოლოგიის ჟურნალს“ (Zeitschrift für Assyriologie).

[30] ფრანსუა ტიურო-დანჟენი (1872-1944), ფრანგი ორიენტალისტი. ლუვრში იყო ბაბილონური ლურსმნული ტექსტების წამყვანი ექსპერტი. 1907 წელს გამოაქვეყნა შროშა „შუმერული და აქადური სამეფო წარწერები“.

[31] შარლ ფოსსეი (1862-1946), ცნობილი ფრანგი ასირიოლოგი. 1936 წელს დააარსა ასირიოლოგიური ბიბლიოთეკა.

[32] ჟან-ეისენტ შეილი (1858-1940), ფრანგი ასირიოლოგი. 1887 წელს დაიწყო ეგვიპტოლოგიასა და ასირიოლოგიაში მეცადინეობა. გაშიფრა ჰამურაბის კანონები, თარგმნა აქადურიდან ფრანგულად და გამოიქვა სახელი. 1901 წელს პაპმა ლეო XIII-მ დანიშნა პაპის ბიბლიის კომისიის კონსულტანტად.

ბ-ნ მიდისგან მიეიღე ჯავახოვის ნაშრომის კორექტურა; მე შევასწორე სტატიის პირველი ნაწილი და ვუბრუნებ ბ-ნ მიდს. მე ვფიქრობ, ის ამას დაბეჭდავს იანვარში. მე ვთხოვე ბ-ნ მიდს რამდენიმე ასლი, რომელთაგან ერთს, რა თქმა უნდა, თქვენ გამოგიგზავნით.
ჩემი ცოლისა და ვაჟისგან ახლა კარგი ამბები მომდის და მთელი გულით გიხდით მადლობას, რომ გახსოვთ ისინი და მამშვიდებთ ჩემი პატარა ბიჭის გამო.
ჩემი ძალზე მოწიწებული სალამი და მრავალი მადლობა ქ-ნ უორდროპს და პირადად თქვენ.
ულრმესი პატივისცემით
მიხეილ წერეთელი.
P.S. თუ მომდევნო საზაფხულო სემესტრისთვის ბ-ნი ჩერქეზოვი, ან სხვა გავლენიანი პიროვნება (როგორც, მაგ., პ. კროპოტკინია[33]) მოიპოვებენ ჩემთვის პარიზში ჩასასვლელ ნებართვას, მე ამას მომავალ გაფხულში ხალისით მოვიმოქმედებ.
მ. წ.

წერილი 20.

27" Gaisbergstrasse
Heidelberg
6.XII.11

Dear Sir
Many thanks for Your letter of 1.XII.11, and for the newspaper cuttings which You were kind enough to have sent me. The remarks about Spanish Iberians are very interesting indeed. I too, did not know that the Iberian texts existed and were undeciphered. It is interesting also to know what sort of alphabets these Iberians used? I will ask some professor here if any of our professors knows anything about it. – Von Luschan's studies are still more interesting. It seems that von Luschan says the same in many German works, and I will read all them when I find more time at the end of this semester.
Here I am immatriculated as Tseretheli, and my adress is –M.Tseretheli, but Your letter arrived quite safely and the postman noticed nothing at all.
I am very glad to hear that Rusthaveli will be published surely by the end of the year. I had the other day a letter from Mr.Beridze. He says that Mr. Marr

[33] კროპოტკინი, პეტრე ალექსის ძე (1842-1921), რუსი რევოლუციონერი, ანარქიზმის იდეოლოგი. ვარლამ ჩერქეზიშვილის მეგობარი და უახლოესი თანამებრძოლი.

is delighted of the translation and at his lectures he compares it to the Georgian text together with the students. He said also (as B. reports) that he was not kind at all having not corrected the translation and still less kind having sent even no answer to You, but he had much to do, etc. I think these are no excuses at all. Everybody has much to do, and when one can not fulfill a task, never must he assume a responsibility. I am indeed displeased of all that, because if he had corrected, as a specialist, the few details which late Miss M.Wardrop and You being not Georgians, could not render exactly in English, and which we,Georgier also could not translate, the translation would be indeed ideal. Think only that this English translation is the only one which exists, others being anything but a true translation!

It would be of great use if You have a copy of the Liturgy of the Georgian text of S. James, but I don't know how they will copy it. Surely a good copist is needed, if they have one among the seminerists.

I am very pleased also to hear that an Englishman is writing a history of Georgian Church. Being in Palestine probably he will pay more attention to the Palestine period of our Church history, this period being just of greatest interest.

Some months ago a Mr. Datheshidze was in Leipzig and he told me that he discovered a new variant of Rusthaveli. If You have received this same copy it would be of great use for many corrections in the text. It seems that this variant is a good one according to Mr. Beridze who has seen it in Kutais.

As to me. I am already finishing my comparison of Sumarian and Georgian. I shall send it to You as soon as I copy it anew. I have written it in English. What sort of English it can be. You easily can imagine. But I hope You will render it more English if Your health will permit it. I told all about that comparison to Prof. Zimmern of Leipzig. He was very interested and promised me to revise tye paper from the Assyriological side and to recommand it to prof. C.Bezold to print it in his „Zeitschrift f. Assyriologie". But I would like to see it published in an English journal if its publication is possible at all. Thus from the Assyriological side Prof. Zimmern will decide its publication, and from the Georgian side, I hope, You and Mr. Conybeare will decide, if You have time to examine it. To Mr.Marr I would never send it. I know, he will do nothing and, as a Georgian, I will receive from him only displeasant remarks instead of friendly advice.

My most respectful salutation to Mrs. Wardrop. I wish with all my heart Your health be as satisfactory as You like it and as Your friends like.

Excuse me for this long letter, but I cannotaexpress in English in few words my ideas.

Yours very respectfully

M. Tseretheli.

6 დეკემბერი 1911
27" გაისბერგშტრასე
ჰაიდელბერგი
ძვირფასო ბატონო
დიდი მადლობა 1 დეკემბრის თქვენი წერილისა და გაზეთიდან ამონაჭრებისთვის, რომლებიც გამომიგზავნეთ. რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა შენიშვნები ესპანელი იბერიელების შესახებ. მეც არ ვიცოდი, რომ არსებობდა იბერიული ტექსტები და არ იყო გაშიფრული. აგრეთვე საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა სახის ანბანს ხმარობდნენ იბერიელები? მე შევეკითხები აქ ბოგ პროფესორს, იცის თუ არა რომელიმე აქაურმა პროფესორმა რაიმე ამის შესახებ. – ფონ ლუშანის[34] შრომები ჯერაც საინტერესოა. ჩანს, რომ ფონ ლუშანი იგივეს ამბობს ბევრ გერმანულ შრომაში; მე წავიკითხავ ყველა მათგანს როგორც კი გამოვნახავ დროს ამ სემესტრის დამთავრებისას.
აქ მე აღრიცხული ვარ როგორც წერეთელი და ჩემი მისამართია – მ. წერეთელი; თქვენი წერილი საკმაოდ მშვიდობიანად ჩამოვიდა და ფოსტალიონს სრულებით არაფერი შეუნიშნავს.
ძალიან მიხარია იმის გაგება, რომ რუსთაველი სარწმუნოდ გამოქვეყნდება წლის ბოლოს. ახლახანს მივიღე წერილი ბ-ნ ბერიძისგან. ის ამბობს, რომ ბ-ნი მარრი აღტაცებულია თარგმანით და ლექციების დროს სტუდენტებთან ერთად უდარებს მას ქართულ ტექსტს. მას უთქვამს აგრეთვე (როგორც ბ. გვამცნობს), რომ ნანობს, რომ არ გაასწორა თარგმანი და არ გამოგიგზავნათ თქვენ პასუხი, მაგრამ იყო ძალზე დაკავებული და ა.შ. მე ვფიქრობ, ეს არაა ბოდიშის მოხდა. ყველას აქვს ბევრი საქმე და როცა ვინმეს არ შეუძლია დავალების შესრულება, არც უნდა ივალდებულოს. მე, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ ყოველივე ამით, რადგან, მას როგორც სპეციალისტს რომ შეესწორებინა, მაშინ იდეალური იქნებოდა იმ მცირე დეტალების თარგმანი, რომლებიც განსვენებულმა ქ-ნმა მ[არჯორი]. უორდროპმა და თქვენ –არაქართველებმა ვერ გადმოეცით ზუსტად ინგლისურად და რომლებიც ჩვენ ქართველებმა ასევე ვერ ვთარგმნეთ. იფიქრეთ, რომ ეს ინგლისური თარგმანი **ერთადერთია,** რომელიც არსებობს და წარმოადგენს ზუსტ თარგმანს!
ძალზე გამოსაყენებული იქნებოდა, თუ გაქვთ წმინდა იაკობის ლიტურგიის ქართული ტექსტის ასლი, მაგრამ არ ვიცი როგორ გადაი-

[34] შეიძლება ეს იყოს ფელიქს ფონ ლუშანი (1854-1924), ავსტრიელი ექიმი, ანთროპოლოგი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი.

ღებენ ისინი. რა თქმა უნდა, კარგი ასლია საჭირო, თუკი მათ აქვთ სემინარიებში.
მე ძალიან მსიამოვნებს, როცა ვიგებ, რომ ინგლისელი წერს ქართული ეკლესიის ისტორიას. იმყოფება რა პალესტინაში, ის ალბათ მეტ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი საეკლესიო ისტორიის პალესტინურ პერიოდს. ეს პერიოდი უღიდესი ინტერესის საგანია.
რამდენიმე თვის წინ ბ-ნი დათეშიძე[35] იმყოფებოდა ლაიფციგში და მითხრა, რომ მან აღმოაჩინა რუსთაველის ახალი ვარიანტი. თუ თქვენ მიიღეთ იგიეს ასლი, ის დიდად გამოგადგებათ ტექსტის ბევრ შესწორებაში. ბ-ნ ბერიძის თანახმად, რომელმაც ის იხილა ქუთაისში, ჩანს, რომ ეს ვარიანტი კარგი უნდა იყოს.
ჩემი ამბავი ასეა. მე უკვე ვასრულებ შუმერულისა და ქართულის შედარებას. მე გამოგიგზავნით მას, როგორც კი ხელახლა გადავიღებ ასლს. მე ის ინგლისურად დავწერე. თქვენ იოლად წარმოიდგენთ, თუ რა სახის ინგლისური იქნება. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თქვენ გააშალაშინებთ, თუ ჯანმრთელობა მოგცემთ ამის ნებას. ამ შედარების შესახებ ყველაფერი ვაცნობე პროფ. ციმმერნს ლაიფციგიდან. ის ძალიან დაინტერესდა და დამპირდა, რომ შეამოწმებდა ნაშრომს ასირიოლოგიური მხრიდან და შესთავაზებდა მას პროფ. ბეცოლდს დასაბეჭდად თავის „ასირიოლოგიის ჟურნალში“; მაგრამ მე მირჩევნია მისი გამოქვეყნება ინგლისურ ჟურნალში, თუკი საერთოდ იქნება ამის შესაძლებლობა. ასირიოლოგთა მხრიდან პროფ. ციმმერნი გადაწყვეტს მის გამოცემას, ხოლო ქართველთა მხრიდან, ვიმედოვნებ, თქვენ და ბ-ნი კონიბერი, თუკი გექნებათ დრო მის განსახილველად. ბ-ნ მარრს არასდროს გაეუგზავნი. მე ვიცი, რომ ის არაფერს გააკეთებს და, როგორც ქართველი, მე მისგან მივიღებ მხოლოდ უსიამოვნო შენიშვნებს მეგობრული რჩევის ნაცვლად.
ჩემი ძალზე მორიდებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპს. მთელი გულით გისურვებთ ისეთ ჯანმრთელობას, როგორიც გსურთ თქვენ და თქვენს მეგობრებს.
მომიტევეთ ასეთი ერცელი წერილის გამო. მაგრამ ჩემი აზრების გადმოცემა ინგლისურად არ შემიძლია ცოტა სიტყვებით.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

---

[35] დათეშიძე, რაჟდენ ყარამანის ძე; მან ქუთაისის მუზეუმს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც დაცულია იქ №53 ხელნაწერის სახელით. (შდრ. „სახალხო გაზეთი“ 1913 წლის 17 იანვრის და „იმერეთი“ 1913 წლის 12 მაისის ნომრები. ცნობა მოგვაწოდა პროფ. ელგუჯა ხინთიბიძემ, რისთვისაც ეუხდით მადლობას –გ.გ.).

წერილი 21.

8. I. 1912
27" Gaisbergstrasse, Heidelberg

Dear Sir
With many thanks I have received Your letter of 4.I.1912, and I also wish You the full happiness and good health in the new Year.
I am very glad to hear that Rusthaveli is already about to be published. We shall see what the world will say about the book.
To-morrow I will send You the copy of the „Quest" with Djavakhof's article. Only one half of it is printed there, the other half will be printed in the next number, I suppose. You have no need to return it back to me, because I have here in Georgian the whole book of Djavakhoff „ქართველი ერის ისტორია".
Excuse me that I promise always to send my Sumerian-Georgian comparison, and I do it never, but in two weeks, if not earlier,the first half (grammar) will be ready and I shall send it to You immediately. I tried to compare Sumarian not only with Georgian, but also with Mingrelian, Lazian, and Svanian, and, being in constant correspondence with Sakhokia about Mingrelian and with Beridze about Svanian, I am obliged to wait alwais their answers to go anymore farther. But Beridze wrote me that Marr will not communicate to him the results of his travels in Svanethi until the next semester, so that I must give up many points of comparison with Svanian.
I was really angry to hear that the Armenian of Paris offered to You some "persian" miniatures for 5000 fr.! That is too Armenian! Really that is the price of Raphael's pictures! If I was in Your place I would pay him not a half-penny! We shall see if he sells it for 5000 fr. to the Louvre or to the British Museum!
Many thanks to Mrs. Wardrop and to Mr.T. Wardrop that they remember me and send me good wishes for the New Year. My most respectful greetings to them and my best wishes also.
I thank You very much indeed for Your New Year card whichYou were kind enough to have sent to my wife in Tiflis.
Sakhokia prays to You to remember the title of the book published in English about Georgian or Caucasus. I think You have spoken to him about that book when he was in London.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

8 იანვარი 1912
27" გაისბერგშტრასე
ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
დიდი მადლობით მივიღე თქვენი 4.I.1912-ის წერილი და მეც ასევე გისურვებთ სრულ ბედნიერებას და კარგ ჯანმრთელობას ახალ წელს.
ძალზე მიხარია, რომ რუსთაველი უკვე მზადაა გამოსაცემად. ვნახავთ, რას იტყვის მსოფლიო ამ წიგნის შესახებ.
ხვალ გამოგიგზავნით „the Quest"-ის ასლს ჯავახოვის ნაშრომთან ერთად. მხოლოდ მისი ნახევარია იქ დაბეჭდილი, მეორე ნახევარი კი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში. მე ვფიქრობ, თქვენ არ გჭირდებათ მისი ჩემთვის დაბრუნება, რადგან აქ მე მაქვს ქართულად ჯავახოვის მთელი წიგნი – „ქართველი ერის ისტორია".
მაპატიეთ, რომ ყოველთვის გპირდებით ჩემი შუმერულ-ქართული შედარებითი ურთიერთობების გამოგზავნას, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევასრულე; ორ კვირაში, თუ უფრო ადრე არა, პირველი ნახევარი (გრამატიკა) იქნება მზად და მაშინვე გამოგიგზავნით. მე შევეცადე შემედარებინაშუმერული არა მარტო ქართულთან, არამედ ასევე მეგრულთან, ლაზურთან და სვანურთან. მე წერილობით ეუკაეშირდები სახოკიას[36] მეგრულთან დაკაეშირებით, ხოლო ბერიძეს სვანურთან მიმართებაში. ამიტომ იძულებული ვარ ვუცადო ყოველთვის მათ პასუხს, რათა გარკვეულად წინ წავიწიო. ბერიძემ მომწერა,რომ მარრი არ შეატყობინებს მას სვანეთში მოგზაურობის შედეგებს მომავალ სემესტრამდე;ასე რომ უნდა შევაჩერო სვანურთან შესადარებელი ბევრი პუნქტი.
მე ნამდვილად გავბრაზდი, როცა გავიგე, რომ პარიზელმა სომეხმა შემოგთავაზა რამდენიმე „სპარსული" მინიატურა 5000 ფრანკად! ესეც ნამდვილად სომხურია! სინამდვილეში ეს არის რაფაელის[37] ნახატების ფასი! მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, მას ნახევარ პენსსაც არ გადავუხდიდი! ვნახავთ თუ მიჰყიდის ის 5000 ფრანკად ლუვრს ან ბრიტანეთის მუზეუმს!
დიდი მადლობა ქ-ნ უორდროპს და ბ-ნ ტ. უორდროპს, რომლებსაც ვახსოვართ მე და საახალწლოდ კეთილ სურვილებს მითვლიან.

---

[36] სახოკია, თედო ტიმოთეს ძე (1868-1956), ცნობილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი.

[37] რაფაელო სანტი (1483-1520), რენესანსის ეპოქის გამოჩენილი იტალიელი მხატვარი, პორტრეტისტი, ხუროთმოძღვარი.

ჩემი ძალზე მორიდებული მოკითხვა და ასევე საუკეთესო სურვილები მათ.
ძალიან დიდი მადლობა თქვენ საახალწლო ღია ბარათისთვის, რომელიც თქვენ გულითადად გაუგზავნეთ ჩემს ცოლს ტფილისში.
სახოკია გთხოვთ შეახსენოთ საქართველოსა თუ კავკასიაზე ინგლისურად გამოცემული წიგნის სათაური. მე ვფიქრობ, თქვენ ელა-პარაკეთ მას ამ წიგნის შესახებ მისი ლონდონში ყოფნისას.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 22.

The 26 of January, 1912
27" Gaisbergstrasse, Heidelberg.
Dear Sir
This morning I have sent to You the first part of my paper on Sumerian and Georgian. If You have time and are not indisposed I pray You to read the paper and to tell me Your opinion on it. What You find there untenable, pray, deface it without any ceremony. And if You think that it is worthy to be published, only in this case I will send it to Prof. Zimmern, and if I receive an approval from his part also, then I will dedicate it to the memory of late Miss Marjory Wardrop.
Some points must be changed in the preface, as for instance the point about Svanian, for Prof. Marr communicated nothing to Mr. Beridze from his rich materials collected in Svanethi. It is a great pity indeed, I expected these materials and I had nothing at all!
As to the correction of my English, it is not necessary if the work is not good, but if it is good and You have no time and no disposition to correct it, then I can find some English or American students here and he will do it. I think it will be not very expensive, and the money for that purpose I can get from the „Georg.Ethnograph. Society". They are rich now, I suppose.
Let me know, I pray You, Mister Wardrop, if it is necessary to copy the second part of the paper - the comparison of the words.
You have heard probably that Niko Gogoberidze is dead and he left 45.000 roubles to „წ.კ.ს-ბა". This Society is also a little more rich now, and that is a good thing for the Georgiens, I dare say.
Excuse me, Sir, that I can not write better, and the reading of the paper will be not very pleasant for You, I know, but it was physically impossible for me to write better.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

26 იანვარი 1912
27" გაისბერგშტრასე
ჰაიდელბერგი
ძვირფასო ბატონო
ამ დილით გამოგიგზავნე ჩემი შრომის – შუმერული და ქართულის – პირველი ნაწილი. თუ გაქვთ დრო და არ ხართ წინააღმდეგი, გთხოვთ წაიკითხოთ ნაშრომი და მითხრათ თქვენი აზრი მის შესახებ. თუ ნახაუთ მიულებელს, გთხოვთ გადახაზეთ ყოველგვარი მორიდების გარეშე. ხოლო თუ ჩათვლით, რომ ის ღირებულია გამოსაქვეყნებლად, მხოლოდ ამ შემთხვევაში გავუგზავნი მას პროფ. ციმმერნს; თუკი მასაც მოეწონება, მაშინ ამას მივუძღვნი გარდაცვლილი ქ-ნი მარჯორი უორდროპის ხსოვნას.
რამდენიმე ადგილი უნდა შეიცვალოს შესავალში; მაგალითად, პუნქტი სვანების შესახებ, რადგან პროფ. მარრმა არაფერი აცნობა ბ-ნ ბერიძეს თავისი მდიდარი მასალიდან, რაც მან სვანეთში შეაგროვა. ეს მართლაც ძალზე სამწუხაროა. მე ველოდებოდი ამ მასალას, მაგრამ სრულებით არაფერი მივიღე!
რაც შეეხება ჩემი ინგლისურის შესწორებას, არაა აუცილებელი, თუ ნაშრომი არ ვარგა. მაგრამ, თუ ის კარგია და თქვენ არ გაქვთ დრო, ან განწყობა მის გასასწორებლად, მაშინ მე აქ მოვძებნი რომელიმე ინგლისელ ან ამერიკელ სტუდენტს და მას გავაკეთებინებ. ეფიქრობ, რომ ეს არ იქნება ძალიან ძვირი, ხოლო ფულს ამ საქმისთვის მივიღებ ქართულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებისგან. ახლა ისინი, ჩემი აზრით, მდიდრები არიან.
ბ-ნო უორდროპ, გთხოვთ მაცნობოთ, თუა საჭირო ნაშრომის მეორე ნაწილის – სიტყვათა შედარების – კოპირება.
თქვენ ალბათ შეიტყეთ, რომ გარდაიცვალა ნიკო ღოღობერიძე[38] და 45.000 მანეთი დაუტოვა „წერა-კითხვის საზოგადოებას“. ეს საზოგადოება ამჯერად ცოტათი გამდიდრდა და ეს კარგია ქართველებისთვის – ებედავ ამის თქმას.
მაპატიეთ, ბატონო, რომ უკეთესად ვერ ეწერ და ნაშრომის წაკითხვა უსიამოვნო იქნება თქვენთვის. მე ეს ვიცი, მაგრამ ფიზიკურად შეუძლებელი იყო ჩემთვის უკეთესად მემუშავა.
ულრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

[38] ღოღობერიძე, ნიკოლოზ (ნიკო) ბესარიონის ძე (1839-1911), ქართველი საზოგადო მოღვაწე; განსაკუთრებით ისტორიკოს-ფილოლოგი. ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო ქველმოქმედი.

წერილი 23.

10. II. 12
27" Gaisbergstrasse, Heidelberg
Dear Sir
With many thanks I received Your letter and the manuscript which You were kind enough to have read and corrected. Now I am preparing the second part of the paper and I shall send it to You in one month. I suppose so. I have very much to do in the University, being quite **alone** with Prof. Bezold, and therefore I wait the end of the term when I will have more time to finish the paper. The manuscript of the second part I should like also to send to You and thus, corrected and copied for the press, I will submit it to Prof. Zimmern. I will write You what he will say. If he approves the work, then it will be printed in „die Zeitschrift für Assyriologie", if not, its printing will be impossible here at least. The proof sheets I will send to You, and I thank You very much indeed for the proposal to read them. Again I pray You. You may deface the whole paragraphs if they are very doubtful, for it is better to present to Assyriologists few certain things than many doubtful and uncertain.
I am very glad to hear that Rusthaveli will be ready very soon. Excuse me, Mister Wardrop, that in every letter I disturb You asking You different things, but I would be really pleased if You send me two copies of the Translation, one for me and one for Mr. Beridze: he asked me one copy of it, if it is possible, naturally. He reads English a little and he asked You through me to make him this favour, if possible.
Next month the second part of Javakhishvili's article will be published in „The Quest" and I will forward it to You immediately.
Oscar von Lemm's „Koptische Miszellen" I could not find in our „Orientalistische Seminar", but I suppose I can find it in the University Library and will read it with great pleasure and write about it in Georgian.
My most respectful salutations to Mrs. Wardrop.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

10 თებერვალი 1912
27" გაისბერგშტრასე ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
დიდი მადლობით მივიღე თქვენი წერილი და ხელნაწერი, რომელიც ასე თავაზიანად წაიკითხეთ და შეასწორეთ. ახლა მე ვამზადებ ნაშრომის მეორე ნაწილს და, ვფიქრობ, ერთ თვეში გამოგიგზავნით

მას. ძალიან ბევრი საქმე მაქვს უნივერსიტეტში, დავრჩი რა სრულიად **მარგო** პროფ. ბეცოლდთან; მსურს სემესტრის ბოლოს, როცა უფრო მეტი დრო მექნება, დავასრულო ნაშრომი. ხელნაწერის მეორე ნაწილი ასევე მინდა თქვენ გამოგიგზავნოთ და გასწორებული და კოპირებული დასაბეჭდად წარვუდგინო პროფ. ციმმერნს. მე შეგატყობინებთ მის აზრს. თუ ის მოიწონებს ნაშრომს, მაშინ ის დაიბეჭდება „ასირიოლოგიის ჟურნალში“, თუ არა და მისი დაბეჭდვა აქ შეუძლებელი გახდება. გამოგიგზავნით საკორექტურო ფურცლებს და დიდ მადლობას გიხდით მისი წაკითხვის თანხმობისთვის. მე კელავ გთხოვთ, რომ თქვენ შეგიძლიათ გადახაზოთ მთელი პარაგრაფები, თუ ძალიან საეჭვოდ მოგეჩვენებათ, რადგან უკეთესია ასირიოლოგიას მივუძღვნა მცირე, მაგრამ საიმედო ნამუშევარი, ვიდრე ერცელი და სათუო.
ძალიან მიხარია, რომ რუსთაველი მალე მზად იქნება. მაპატიეთ ბ-ნო უორდროპ, რომ ყოველ წერილში გაწუხებთ სხვადასხვა რამის მოთხოვნით, მაგრამ ნამდვილად დამავალებთ, თუ გამომიგზავნით თარგმანის ორ ასლს – ერთს ჩემთვის, მეორეს ბ-ნი ბერიძისთვის: მან მთხოვა ასლი, თუკი ეს შესაძლებელია. ის ინგლისურს შეზღუდულად კითხულობს და ჩემი მეშვეობით გთხოვთ, თუ შეიძლება, დასდოთ ეს პატივი.
მომდევნო თვეში „Quest“-ში გამოაქვეყნებენ ჯავახიშვილის ნაშრომის მეორე ნაწილს და მაშინვე გაგმოგიგზავნით.
ოსკარ ფონ ლემმის[39] „კოპტური ამბები(?)“ მე ვერ მოვძებნე ჩვენს „ორიენტალისტურ სემინარში“. მაგრამ, ვფიქრობ, მას მივაკვლევ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, დიდი სიამოვნებით წავიკითხავ და დავწერ მის შესახებ ქართულად.
ჩემი მორიდებული სალამი ქ-ნ უორდროპს.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

[39] ოსკარ ფონ ლემმი (1856-1918), რუსი ეგვიპტოლოგი და კოპტოლოგი. სწავლობდა ცარსკოე-სელოს ლიცეუმში, შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტში; 1906 წლიდან რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. პირველი რუსი მეცნიერია, რომელმაც შრომებით კოპტოლოგიაში მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

წერილი 24.

8. III. 12
27" Gaisbergstrasse, Heidelberg

Dear Sir
With many and many thanks indeed, I have received Rusthaveli in English translation which You were kind enough as to have sent to me.I am reading it anew and I find that the translation is ideal. As far as I can judge there is no other translation of Rusthaveli in any foreign language but this.
As I see You are already back from Your voyage. How did You pass Your time in Afrika and how is Mrs. Wardrop? My most respectful salutations to her.
Very soonly I shall send You the second part of my Sumero-Georgian studies. I read Galgoczy's article in the „Zeitschrift für Assyriologie", but really there was absolutely **nothing** in it no proofs that Hungarian may have any relation with Sumerian. And yet this article is co[n]sidered as a most scientific contribution to the theory of Turanian origin of Sumerians!
If You are not very tired and if You have a little time, I would be very pleased indeed to hear good news from You of Mrs. Wardrop and of Yourself.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

8 მარტი 1912
27" გაისბერგშტრასე
ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
დიდი, დიდი მადლობა – მე მივიღე რუსთაველის ინგლისური თარგმანი, რომელიც თქვენ თავაზიანად გამომიგზავნეთ. მე ახლიდან ვკითხულობ მას და ვხედავ, რომ თარგმანი იდეალურია. რამდენადაც შემიძლია შევაფასო, არ არსებობს ამის მსგავსი (გარდა) რუსთაველის თარგმანი სხვა უცხო ენაზე.
როგორც ვხედავ, თქვენ დაბრუნდით მოგზაურობიდან. როგორ გაატარეთ დრო აფრიკაში და როგორ ბრძანდება ქ-ნი უორდროპი; ჩემი მოკრძალებული მოკითხვა მას.
ძალიან მალე გამოგიგზავნით ჩემი შუმერულ-ქართული შტუდიების მეორე ნაწილს. მე წავიკითხე გალგოცის[40] სტატია „ასირიოლოგიის

[40] გალგოცი კაროლი (1823-1916), უნგრელი მეცნიერი.

ჟურნალში“ მაგრამ იქ ნამდვილად სრულებით **არაფერი** იყო, არაეითარი საბუთი, რომ უნგრულს ჰქონდეს რაიმე ნათესაური კავშირი შუმერულთან. ამჟამად ეს სტატია ითვლება ყველაზე მეცნიერულ შენაძენად თურანულის შუმერული წარმომავლობის თეორიაში!

თუ ძალიან არ დაიღალეთ და გაქვთ ცოტა დრო, დიდად დამავალებთ, თუ გამაგებინებთ კარგ სიახლეებს ქ-ნი უორდროპისა და პირადად თქვენს შესახებ.

უღრმესი პატივისცემით

მ. წერეთელი.

წერილი 25

9. IV. 1912
40, p. Rohrbacherstrasse,
Heidelberg

Dear Sir

With many thanks I received Your letter and I am very glad indeed to hear that You have enjoied greatly Your journey and staying at Tenerife. I am very glad also that You will occupy Yourself by studying those old Iberian Inscriptions and if some of them are bilingual, surely this must be a key to their decipherment. After the right reading and translation of the texts the connection of the language with Georgian, if it exists really, will be evident at once, and if You can establish this connection, it will be a great thing for our philology, surely! And not only for our philology, but from the point of view of „Welt Geschichte“, as Germans use to say, it would be a very important discovery. Impatiently I wait for the results of Your studies to hear about them I will be quite happy.

I had a letter from Mr. Tcherkesov yesterday, and he writes that he is disposed to write in the Georgian paper an article about Rusthaveli's translation by Miss M.S.Wardrop. He promised to me to send the article. I will read it with great pleasure. I am also disposed to write an article about the translation in Georgien, but I wait what the European opinion will say about Rusthaveli in general.

The second part of my Sumero-Georgian comparisons I send just now to You. Also „the Quest“ with Javakoff's article. If You are not tired, read the paper and correct my bad English as You have done it in the first part. Then I will send it to Prof. Zimmern, but if from this side also the work will be

approved I do not know how to publish it. Perhaps „Z. f. Assyriologie“ will publish it, but I am afraid the work is too large for a „Zeitschrift“.
My sincerest thanks to Mrs. Wardrop for the remembrance and my most respectful salutations to her and to Yourself.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

9 აპრილი 1912
40. p. რორბახერშტრასე,
ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
დიდი მადლობა თქვენი წერილისთვის; ძალზე მახარებს იმის გაგება, რომ თქვენ ძალიან ისიამოვნეთ მოგზაურობით და ტენერიფეში ყოფნით. ძალიან მიხარია აგრეთვე, რომ თქვენ დაკავდებით ძველი იბერიული წარწერების შესწავლით და თუ რომელიმე მათგანი იქნება ორენოვანი, რა თქმა უნდა, ეს იქნება გასაღები მათი გაშიფვრის. ტექსტების სწორად წაკითხვისა და თარგმნისას ამ ენის კავშირი (ნათესაობა) ქართულთან, თუკი ასეთი ნამდვილად არსებობს, მაშინვე გამოჩნდება; ხოლო, თუ თქვენ დააღგენთ ამ კავშირს, ეს იქნება ნამდვილად დიდი რამ ჩვენი ფილოლოგიისთვის! და არა მარტო ჩვენი ფილოლოგიისთვის, არამედ, როგორც გერმანელები ამბობენ, „მსოფლიო ისტორიის“ გადასახედიდან ეს იქნება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა. მოუთმენლად ველი თქვენი კვლევების შედეგებს: ფრიად ბედნიერი ვიქნები, თუ შევიტყობ მათ შესახებ.
გუშინ მივიღე წერილი ბ-ნ ჩერქეზოვისგან; იგი მწერს, რომ სურს ქართულ გაზეთში გამოაქვეყნოს სტატია რუსთაველის ქ-ნ მ.ს. უორდროპისეული თარგმანის შესახებ. ის დამპირდა, რომ გამომიგზავნის სტატიას. მე დიდი სიამოვნებით წავიკითხავ მას. მეც გადავწყვიტე დაეწერო სტატია თარგმანის შესახებ ქართულად, მაგრამ დავიცდი, თუ რას იტყვის საერთოდ ევროპული აზრი რუსთაველის შესახებ.
ჩემი შუმერულ-ქართულის მსგავსების მეორე ნაწილს სწორედ ახლა გიგზავნით. ასევე „Quest“-ს ჯავახოვის ნაშრომით. თქვენ თუ არ ხართ დაღლილი, წაიკითხეთ ჩემი სტატია და შეასწორეთ ჩემი ცუდი ინგლისური, როგორც ეს პირველი ნაწილისას გააკეთეთ. შემდეგ მას გავუგზავნი პროფ. ციმმერნს. ოღონდ, თუ ამ მხრიდანაც მოიწონებენ ნაშრომს, არ ვიცი როგორ გამოვაქვეყნო ის. ალბათ

„ასირიოლოგიის ჟურნალი“ დაბეჭდავს მას. მაგრამ მეშინია – ნაშრომი საკმაოდ ვრცელია ამ „ჟურნალისთვის“.
ჩემი გულითადი მადლობა ქ-ნ უორდროპს მოკითხვისთვის და ჩემი მოწიწებული სალამი მას და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 26.

11. IV. 1912
40. p. Rohrbacherstrasse,
Heidelberg

Dear Sir
With many thanks I received to day another copy of Rusthaveli and I am sending it to Beradze in St.Petersbourg. He will be happy indeed to have it. You have received probably my letter and the second part of Sum.-Georg. Grammar. – I will write a letter soonly about „Iberia – and Hispania“, but I do not think that I can determine their etymology, Besides, Georg. **სპა** is, I think, Persian **sipah** and Hindou **sipaj**(?) = army, soldiers.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

11 აპრილი 1912
40. p. რორბახერშტრასე
ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო,
დიდი მადლობით მიეიღე დღეს რუსთაველის მეორე ასლი, რომელსაც ვუგზავნი სტ.პეტერბურგში ბერიძეს. ის, რა თქმა უნდა, ბედნიერი იქნება მისი მიღებით. თქვენ ალბათ მიიღეთ ჩემი წერილი და მეორე ნაწილი „შუმერულ-ქართული გრამატიკის“. მე მალე მოგწერთ „იბერია– და ჰისპანია“-ს შესახებ, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ შევძლებ მათი ეტიმოლოგიის დადგენას. ამასთან, ვგონებ, ქართული **სპა** არის სპარსული **სიპაჰ** და ინდური **სიპაი** (?) = არმიას, ჯარისკაცებს.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 27.

20. IV. 1912
40.p. Rohrbacherstrasse, Heidelberg

Dear Sir
With many Thanks I have received Your letter of the 15-th and the II part of my paper. I thank You very much indeed for Your corrections and also for Your promise to look through the proofs. Just now I am sending a letter to prof. Zimmern in Leipzig and am awaiting his answer whether I can send to him the paper. I will write immediately to You and let You know his opinion about the work, if he will look through it.
I am very glad to hear that You and Mr. Conybeare will write a work about Georgian. You know Georgian and Georgia very well, Mr. Conybeare knows also the language, and naturally the work will be good and interesting.
The second edition of Rusthaveli seems to me to be also a very good plan. With some work and corrections and with the comparison of variants the translation will be ideal and the text of Rusthaveli itself will be in some measure reconstitued. The other day I had a letter from Mr. Beridze and he writes to me that Марr is now preparing a review of Rusthaveli's translation in „Христианский Восток", or „Жур. Министерства Народн. просвещения". **I am sure** that he cannot refrain himself of not saying some **unpleasant** thing; You will see. Mr. Sakhokia writes also that a belgian writer will review Rusthaveli. But the opinion of the specialist Orientalists would be very interesting if they gave any.
I tortured the word „Hispania" very much, but could find absolutely nothing to determine its etymology. I can only say that if it had in it something Georgian, in other Georgian words derived from the same root, we must find anything like to this root. and what is the root of „Hispania"? – I do not know it. As to **spa**, is it not really Persian and Indian? For this root also is absolutely unknown in other words. What is the primitive meaning of the root **S P**, or **spa**? It is also difficult to determine.
My most respectful salutation to Mrs. Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

20 აპრილი 1912
40 p. რორბახერშტრასე
ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
დიდი მადლიერებით მივიღე 15 აპრილის თქვენი წერილი და ჩემი ნაშრომის მეორე ნაწილი. დიდი მადლობა შესწორებისა და თქვენი დაპირებისთვის, რომ გადახედავთ კორექტურებს. სწორედ ახლა ვუგზავნე წერილს პროფესორ ციმმერნს ლაიფციგში და დავუცდი მის პასუხს – შემეძლება თუ არა მისთვის ნაშრომის გაგზავნა. მე მაშინვე გაგაგებინებთ მის აზრს ნაშრომზე, თუკი ის მას განიხილავს.
ძალზე მიხარია, როცა ვიგებ, რომ თქვენ და ბ-ნი კონიბერი დაწერთ წიგნს ქართული [ენის] შესახებ. თქვენ იცით ქართული და [იცნობთ] საქართველოს ძალიან კარგად, ბ-ნი კონიბერი ასევე ფლობს ქართულს და ნაშრომი უეჭველად კარგი და საინტერესო გამოვა.
მე მგონია, რომ ასევე კარგი გეგმაა რუსთაველის მეორე გამოცემა. გარკვეული შრომით, შესწორებებითა და ვარიანტების შედარებით თარგმანი გამოვა **იდეალური,** ხოლო რუსთაველის ტექსტი გარკვეულწილად აღდგება. ახლახანს მივიღე ბ-ნ ბერიძის წერილი, სადაც მამცნობს, რომ მარრი ამჟამად ამზადებს რეცენზიას რუსთაველის თარგმანზე „ხრისტიანსკი ვოსტოკში“, ან „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“. **მე დარწმუნებული ვარ**, რომ ის ვერ შეიკავებს თავს, რომ არ თქვას რაიმე **უსიამოვნო**: თქვენ ნახავთ ამას. ბ-ნი სახოკია მწერს, რომ ბელგიელი მწერალი გამოეხმაურება რუსთაველს. ძალიან საინტერესო იქნებოდა სპეციალისტი ორიენტალისტების აზრი, თუკი ამას მოგვაწვდიდნენ.
მე ძალიან ვაწვალე სიტყვა „ჰისპანია“, მაგრამ ვერაფერი მოვიძიე, რომ დამედგინა მისი ეტიმოლოგია. მე შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ თუ მასში არის რაიმე ქართული, სხვა ქართულ სიტყვებში, რომლებიც იმავე ფუძიდან წარმოსდგებიან, ჩვენ უნდა მოვძებნოთ რაიმე, ამ ფუძის მსგავსი. და რა არის ფუძე სიტყვისა „ჰისპანია“? მე სხვა არ ვიცი, მხოლოდ **სპა**, რომელიც ნამდვილად არის თუ არა სპარსული და ინდური, რადგან ეს ფუძე სრულიად უცნობია სხვა სიტყვებში. რა არის ფუძის **სპ** ან **სპა**-ს თავდაპირველი მნიშვნელობა? ეს ასევე ძნელი დასადგენია.
ჩემი მორიდებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპსა და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისმცემელი
მ. წერეთელი.

წერილი 28.

6. VII. 1912
40 Rohrbacherstrasse, Heidelberg

Dear Sir
I thank You very much indeed for Your letter and for Your advice to write to Stephen Langdon in Oxford. I have written to him to day a letter and communicated him all what I knew about the similaritien between Georgien and Sumerian.
Prof. Zimmern has read the paper and given a very favourable opinion on it. Prof. Bezold has firstly refused to print it in his „Zeitschrift f. Assyriologie" saying that it is not very commode to print a work of a pupil in the Zeitschrift of his own, but afterwards he promised to me to print it in October. At that time You will be at home, I suppose, and I will be very thankful indeed if You correct the proofs providing that You have some free time and good health.
It is interesting to know how far You and Mr.Conybeare are advanced in Your writing a book on Georgia, and if some Orientalist has given a review of the „Man in the Panther's Skin".
You have heard probably that Jakob Gogebashvili is dead. He has given the greatest part of what he had to „წ.კ.ს.-ა". He was buried with great pomp, as it is the custom in Georgia.
From Mr. Tcherkesoff I had newly good news.
I hope Your health is good enough and it will be still better in Norway; it must be beautiful true in summer.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

6 ივლისი 1912
40 რორბახერშტრასე, ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო
ძალიან დიდი მადლობა თქვენი წერილისა და რჩევისთვის – მივწერო სტეფენ ლანგდონ-ს[41] ოქსფორდში. მე დღეს მივწერე მას და შევატყობინე ყველაფერი, რაც ვიცოდი ქართულსა და შუმე-

[41] სტეფენ ჰერბერტ ლანგდონი (1876-1937), დაბადებით ამერიკელი, ბრიტანელი ასირიოლოგი. 1908 წლიდან ოქსფორდის უნივერსიტეტში კითხულობს ასირიოლოგიას. მას ეკუთვნის მრავალი შრომა; მათ შორის „ლექციები ბაბილონისა და პალესტინის შესახებ"(1906); „შუმერული და ბაბილონური ფსალმუნები"(1909); „შუმერული გრამატიკა და ქრესტომათია"(პარიზი, ნიუ-იორკი, 1911).

რულს შორის მსგავსების შესახებ. პროფესორმა ციმმერნმა წაიკითხა ნაშრომი და გამოთქვა ძალზე კეთილგანწყობილი აზრი. პროფ. ბეცოლდმა პირველად უარი თქვა დაებეჭდა ის თავის „ასირიოლოგიის ჟურნალში“და აღნიშნა, რომ არ იყო ძალზე სასურველი მოწვაფის ნაშრომის დაბეჭდვა მის ჟურნალში; მაგრამ შემდეგ დამპირდა მის დაბეჭდვას ოქტომბერში. იმ დროისთვის, ვფიქრობ, თქვენ იქნებით შინ და ძალიან მადლობელი დაგრჩებით, თუ თქვენ შეასწორებთ სტატიას; იმ პირობით, რომ გექნებათ თავისუფალი დრო და კარგი ჯანმრთელობა.
მაინტერესებს ვიცოდე, თუ სადამდე ხართ მისული თქვენ და ბ-ნი კონიბერი საქართველოზე წიგნის წერისას; აგრეთვე, ხომ არ მიუცია რომელიმე ორიენტალისტს რეცენზია „ვეფხის ტყაოსანზე“.
თქვენ ალბათ გაიგეთ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების[42] შესახებ. მან თავისი ქონების უდიდესი ნაწილი გადასცა „წ.კ.ს-ა“-ს. ის დაასაფლავეს დიდი პომპით, როგორც საქართველოშია მიღებული.
ბ-ნ ჩერქეზოვისგან ახლახანს კარგი ამბები შევიტყე.
ვიმედოვნებ, რომ ბრძანდებით საკმაოდ ჯანმრთელად და კიდევ უკეთესად იქნებით ნორვეგიაში; გაფხული ნამდვილად მშვენიერი იქნება.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 29.

40 Rohrbacherstrasse, Heidelberg
24. VII. 1912

Dear Sir
Many thanks for Your letter. I could not answer You until now being also not very well. I am awfully tired. This semester has killed me altogether. _ From Mr.Langdon I have received two good letters sayihg that what I wrote in my paper **is convincing**. The paper will be printed probably in October. _ I send to You the articles of Sakhokia about Rusthaveli's English translation. They are well and sincerely wtitten.
All best wishes for You and good health.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

40 რორბახერშტრასე, ჰაიდელბერგი

[42] იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს.

24 იელისი 1912

ძვირფასო ბატონო
დიდი მადლობა წერილისთვის. მე ვერ გიპასუხეთ; აქამდე არც თუ ჯანმრთელად ვიყავი. უკიდურესად გადაღლილი ვარ. ამ სემესტრმა მთლიანად გამანადგურა.
ბ-ნ ლანგდონისგან მივიღე ორი კარგი წერილი, რომ რაც მე დავწერე ჩემს სტატიაში, **დამაჯერებელია**. სტატია ალბათ ოქტომბერში დაიბეჭდება.
მე თქვენ გიგზავნით სახოკიას სტატიებს რუსთაველის ინგლისური თარგმანის შესახებ. ისინი დაწერილია კარგად და გულწრფელად.
ყველა საუკეთესო სურვილი თქვენ და კარგი ჯანმრთელობა.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 30.

7. IX. 1912
40. Rohrbacherstrasse, Heidelberg

Dear Sir
I was very glad indeed to hear that You are back in Sevenooks renewed in health and feeling good.
Excuse me that I wrote You so late but my intention was to send You the proofs of my paper together with this letter. Unfortunately for me it is impossible. Prof.Bezold, when taking the paper, promised me to tell me his opinion until the 15-th of August past as whether the paper will be printed in his „Zeitschrift" or not. „I must be very critical", said he, „but I think it will be all right and I will print it more than probably" - Since that time I have no answer from him, though we have now the 7-th of September. Probably he is somewhere in the South of Europe, the weather being here now so dreadful that we are all almost sick. Probably I will know something about the fate of the paper not earlier than at the beginning of the term.
I also have read the article of „Русское слово" reprinted in „თემი". What a pity that Mr. Balmont does not know Georgian! He could also give a good translation of Rusthaveli in Russian.
You read probably how almost all old Georgian eminent men are dying. Mr. Khakhanashvili is also dead and left for „წ. კ. ს." 45.000 Roubles.It is indeed very fine of those people that they give all what they had to the Society after their death.

My best thanks to Mrs. Wardrop for remembrance of me, and my most respectful salutations to her and to Yourself.
All best wishes for You and good, good health and long life.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

7 სექტემბერი 1912
40 რორბახერშტრასე, ჰაიდელბერგი

ძეირფასო ბატონო
ძალზე გავიხარე, როცა გაეიგე, რომ დაბრუნებულხარ სევენოუკსში[43] აღდგენილი ჯანმრთელობითა და კარგი განწყობილებით. მაპატიეთ ასე დაგვიანებით რომ გწერთ, მაგრამ მსურდა ამ წერილთან ერთად გამომეგზავნა ჩემი ნაშრომის კორექტურაც. სამწუხაროდ ეს ჩემთვის შეუძლებელია. პროფ. ბეცოლდმა როცა წაიღო ჩემი ნაშრომი, აღმითქვა, რომ თავის შეხედულებებს მაცნობებდა 15 აგვისტომდე. ამის შემდეგ ნაშრომი დაიბეჭდებოდა მის „ჟურნალში“, ან არა. „მე ძალზე კრიტიკული უნდა ვიყო“, მითხრა მან, „მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება და ალბათ კიდეც დაებეჭდაე“. ამ დროიდან მე არ მიმიღია მისგან პასუხი; ახლა კი უკვე 7 სექტემბერია. ის ალბათ იმყოფება სადმე ევროპის სამხრეთში, რადგან ამინდი აქ ისე საშინელია, რომ თითქმის ყველანი აეად ვართ. ნაშრომის ბედის შესახებ რაიმეს ალბათ გავიგებ არა უადრეს სემესტრის დაწყებისა.
მე ასევე წავიკითხე სტატია „რუსსკოე სლოვო“-დან გადაბეჭდილი „თემ“-ში.[44] რა სამწუხაროა, რომ ბ-ნმა ბალმონტმა[45] არ იცის ქართული! მას შეეძლო აგრეთვე მოეცა რუსთაველის კარგი თარგმანი რუსულად.
თქვენ ალბათ წაიკითხეთ, თუ როგორ იხოცებიან თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მოხუცი ადამიანები. გარდაიცვალა ბ-ნი ხახანაშვილი[46] და „წ.კ.ს.“-ს დაუტოვა 45.000 მანეთი. რა თქმა უნდა,

---

[43] სევენოუკსი – ოლივერ უორდროპის მამული.

[44] „თემი“–ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გამეთი. გამოდიოდა 1911-1915 წლებში თბილისში.

[45] ბალმონტი, კონსტანტინე დიმიტრის ძე (1867-1942), რუსი პოეტი. 1913 წელს უორდროპისეული ინგლისური თარგმანით გაეცნო „ვეფხისტყაოსანს“. 1914, 1915 და 1917 წლებში ესტუმრა საქართველოს, სწავლობდა ქართულ ენას და 1915-1917 წლებში რუსულად პირველად თარგმნა პოეტურად „ვეფხისტყაოსანი“.

[46] ხახანაშვილი, ალექსანდრე სოლომონის ძე (1864-7.VIII.1912, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი, ისტორიკოსი, ქართული ხალხური სიტყვიერების მკვლევარი. მისი ინიციატივითა და დახმარებით 1911 წელს

ძალიან კარგია ამ ხალხის მხრივ, რომ ყველაფერს, რაც გააჩნიათ, სიკვდილის მერე სწირავენ „საზოგადოებას“.
ჩემი საუკეთესო მადლიერება ქ-ნ უორდროპს ჩემი გახსენებისათვის და ძალზე მოწიწებული სალამი მას და პირადად თქვენ.
საუკეთესო სურვილები თქვენ და კარგი, კარგი ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 31.

28. XI. 1912
40. Rohrbacherstrasse,
Heidelberg

Dear Sir,
Long ago I have written You a letter when You were in Norway. I am afraid You have not received it. I wrote You in this letter that the copy of the Georgian Manuscript of the Brit. Museum was lost, I do not know how and I cannot find it more. Besides, it was a very bad copy, and few pages only were copied. I am afraid that You were not in Norway when I wrote the letter, or perhaps You were already back in England, and therefore the letter has not reached You.Excuse me thousand times, if so, dear Mr.Wardrop, and don't think that I was not friendly to You and have not replied on Your Letter.
My study on the Sumerian and Georgian has been not printed in the „Zeitschrift für Assyriologie“, the paper being declared „unscientific“ by Prof. Bezold, while Prof. Zimmern, the first Summeriologist of the world, was of quite different (and of very favourable) opinion of it. I will try to print it in another review when Prof. Bezold will give me back the paper.
My most respectful salutation to Mrs. Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully
M. Tseretheli.

28 ნოემბერი 1912
40. რორბახერშტრასე,
ჰაიდელბერგი

მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართული მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება.

ძვირფასო ბატონო,
დიდი ხნის წინ მოგწერეთ წერილი, როცა თქვენ ბრძანდებოდით ნორვეგიაში. მე ვშიშობ, რომ თქვენ ის არ მიგიღიათ. მე მაშინ გწერდით, რომ დაიკარგა ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერის ასლი; არ ვიცი როგორ და ეელარ მივაგენი. ამასთან ეს იყო ძალზე ცუდი ასლი და ისიც მხოლოდ ცოტა გვერდები იყო გადაღებული. ვშიშობ, რომ თქვენ არ ბრძანდებოდით ნორვეგიაში, როცა მე წერილი მოგწერეთ, ანდა უკვე დაბრუნებული იყავით ინგლისში და ამიტომ წერილმა ვერ მოაღწია თქვენამდე. ათასი ბოდიში, თუ ასეა, ძვირფასო ბ-ნო უორდროპ და არ იფიქროთ, რომ მე არ ვიყავი თქვენდამი მეგობრული და არ გიპასუხეთ თქვენს წერილზე.
ჩემი შუმერულ-ქართული შტუდიები არ დაბეჭდილა „ასირიოლოგიის ჟურნალში"; ნაშრომი პროფ. ბეცოლდმა აღიარა „არამეცნიერულად", რადგან პროფ. ციმმერნი, ეს პირველი შუმეროლოგი მსოფლიოში, იყო საეჭვებით სხვა (და ძალზე დადებითი) აზრისა მის შესახებ. მე ვეცდები ის სხვა ჟურნალში დავბეჭდო, როცა პროფ. ბეცოლდი დამიბრუნებს ნაშრომს.
ჩემი უაღრესად მორიდებული მოკითხვა ქ-ნ უორდროპს და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

წერილი 32.

22. XII. 1912
40. Rohrbacherstrasse, Heidelberg

Dear Sir
I thank You very much for Your letter of the 16-th December. In two weeks I shall send You the first part of my work and I will be very thankful indeed if You will put it before the Edition of the I R A S. The second part I shall send afterwards when I put it upon a better basis.
With great pleasure I will read through the proofs of Your Catalogue when You send it to me.
As to Mr. Sakhokia I am also very glad to see him in a much better condition than he was before. Now he is even able to help his family in Georgia.
I wish a happy Christmas for You all and send my most respectful salutations to Mrs. Wardrop, to Mrs. J.O. Wardrop and to Yourself.
Yours very respectfully

M. Tseretheli.

22 დეკემბერი 1912
40. რორბახერშტრასე, ჰაიდელბერგი

ძვირფასო ბატონო,
დიდ მადლობას გიხდით 16 დეკემბრის წერილისთვის. ორ კვირაში გამოგიგზავნით ჩემი ნაშრომის პირველ ნაწილს და ძალზე მადლობელი დავრჩები, თუ მას წინ დაურთავთ (წარუმძღვარებთ) J R A S გამოცემას. მეორე ნაწილს გამოგიგზავნით შემდგომ, როცა მას უკეთეს საფუძველს დავუდებ.
დიდი სიამოვნებით წავიკითხავ თქვენი კატალოგის კორექტურას, როცა გამომიგზავნით მას.
რაც შეეხება ბ-ნ სახოკიას, მე ასევე ძალზე მიხარია, რომ ეხლავე მას გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იყო ადრე. ახლა მას შეუძლია კიდევაც დაეხმაროს თავის ოჯახს საქართველოში.
გისურვებთ თქვენ ყველას ბედნიერ შობას და ღრმა მოწიწებით გიგზავნით მოკითხვას ქ-ნ უორდროპს, ქ-ნ ჯ.ო. უორდროპს და პირადად თქვენ.
უღრმესი პატივისცემით
მ. წერეთელი.

16. Lewisham Rd
Highgate Rd
London. N.W.

The 1 April
1911

Dear Sir.

I finished just now the copying of Djavakhoff's translation and I send it to You. I will be very thankful if You read and correct it. Some passages which I could not understand or translate are to be seen in the text. The author

will explain to me how to translate them and I shall put them after in the text. As to the „סתם משנה אינו אלא רבי" which you will find there, you can translate it certainly. I could not find any equivalent for it in my poor English.

If you find that for the English reader commentaries are necessary to some words and terms, you can better do it than I. Or perhaps it would be

---

to change or shorten some passages where repetitions occure very often? In this case also you can make the change better than I or even the author himself: You understand better what is required by the English reader.

Yours very respectfully

C. M. Tsercheli

ლევან გორდეზიანი

ლუდი თუ ღვინო?

ხეთური ტექსტები იცნობენ ალკოჰოლური სასმელის ორ ძირითად სახეობას – ლუდსა და ღვინოს. ორივე გადმოცემულია როგორც ხეთური სიტყვით, ასევე შუმეროგრამით: KAŠ = šieššar (KAŠ-eššar) – ლუდი, GEŠTIN = wiyana-[1] – ღვინო, ვაზი, ყურძენი. როგორც წესი, დეტერმინატივით GIŠ ეს ტერმინი ყურძენს, ვაზს, ვენახს აღნიშნავს, დეტერმინატიეის გარეშე კი – ღვინოს ან მის რომელიმე სახეობას: ^{GIŠ}GEŠTIN *GAPĀNU* ვაზი, $^{\text{(GIŠ)}}$GEŠTIN ḪÁD.DU.A გამხმარი ყურძენი (= ქიშმიში), ^{GIŠ}GEŠTIN *IŠḪUNATU* ყურძენი, ყურძნის მტევანი, $^{\text{(GIŠ)}}$GEŠTIN *KA-RA-A-AN* ($^{\text{(GIŠ)}}$GEŠTIN GA.RA.A.AN) ყურძენი, ყურძნის მტევანი, ^{GIŠ}KIRI$_6$.GEŠTIN ვენახი; GEŠTIN DÙG.GA კარგი, სასიამოვნო ღვინო (= ტკბილი ღვინო ?); GEŠTIN *EMṢU* მჟავე ღვინო (= მშრალი ღვინო ?); GEŠTIN GIBIL ახალგაზრდა ღვინო (= მაჭარი); GEŠTIN KAŠ ღვინო (და) ლუდი; GEŠTIN KU$_7$ ტკბილი ღვინო; GEŠTIN LIBIR.RA ძველი ღვინო; GEŠTIN parkui- სუფთა (= შეურეველი?) ღვინო; GEŠTIN SA$_5$ წითელი ღვინო; KAŠ.GEŠTIN (*ღვინის სახეობა*); GEŠTIN.LÀL ტკბილი ღვინო; GEŠTIN.NAG (*ღვინის სახეობა*).[2]

ამ ჩამონათვალში ვხვდებით ორ კომპოზიტს, სადაც ჩვენთვის საინტერესო ორივე ტერმინი/ ნიშანი არის დადასტურებული. GEŠTIN KAŠ და KAŠ.GEŠTIN. პირველი, სავარაუდოდ, უნდა გავიგოთ, როგორც „ღვინო (და) ლუდი“, ხოლო მეორე (𒁉 𒃾) სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და, შესაბამისად, სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს ტრანსლიტერირებული: KAŠ GEŠTIN – ლუდი და ღვინო, KAŠ.GEŠTIN – ღვინო, ღვინის სახეობა, ^{KAŠ}GEŠTIN – (სასმელი) ღვინო. ეს უკანასკნელი შესაძლებლობა მხოლოდ თეორიულია, მას არ ჰყავს მიმდევრები, რადგან იშვიათია ისეთი შემთხვევები, სადაც KAŠ დეტერმინატივად შეიძლება გავიგოთ. ინტერპრეტაციათა ეს მრავალფეროვნება

---

[1] ქართული აკადემიური საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ინდოევროპულ, სემიტურ და ქართველურ ენებში ღვინის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ერთი ძირიდან მოდის. ხეთური wiyana- ამ ძირის ყველაზე ძველი დადასტურებაა ინდოევროპულ ენაზე შედგენილ ტექსტებში (ამასთან დაკავშირებით იხ. მაგ., Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В., *Индоевропейский язык и индоевропейцы*. Тбилиси 1984, 647 შმდ.).

[2] ი. ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, 9 : შუმეროგრამები, 50.

ეფუძნება თავად ლურსმული დამწერლობის სპეციფიკას, კერძოდ, ნიშნების ხმარების თავისებურებას. როგორც ცნობილია, თითოეული ნიშანი პოლიფუნქციონალურია, შეიძლება გამოიყენებოდეს იდეოგრამადაც – ე.ი. აღნიშნავდეს სიტყვას, ცნებას, და სილაბოგრამადაც – ე.ი. გადმოსცემდეს მარცვლის ფონეტიკურ მნიშვნელობას. თავის მხრივ, იდეოგრამა შეიძლება აღნიშნავდეს სიტყვას, შედგენილი სიტყვის ნაწილს ან წარმოადგენდეს დეტერმინატივს, ე.ი. დამატებით ინფორმაციას, სემანტიკური ველის განმსაზღვრელს ამა თუ იმ სიტყვისათვის. ლურსმული დამწერლობა არ ეფუძნება ორთოგრაფიის დადგენილ წესებს, არ იცნობს ცალკეული სიტყვის თუ სიტყვათა კომპლექსის კანონიკურ დაწერილობას. წერის ცოდნა გულისხმობდა ნიშნების დამახსოვრებასა და დამწერლობის ზოგადი პრინციპების ცოდნას, შესაბამისად, თითოეულ მწერალს შეეძლო შეემუშავებინა ამა თუ იმ სიტყვის დაწერილობის საკუთარი ვერსია, ან, სულაც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიეღო გადაწყვეტილება, როგორ ჩაეწერა ეს სიტყვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იდენტური ჩანაწერი ორ სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება არ ასახავდეს იდენტურ ცნებებს და, პირიქით, ერთი ცნება შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვანაირად, შესაბამისად, განსხვავებული ჩანაწერები შეიძლება არ გულისხმობდეს განსხვავებულ შინაარსს.

ღვინოსა და ლუდს თუ დავუბრუნდებით, ჯ. დელ მონტეს მოაქვს არაერთი მაგალითი იმისა, რომ განსხვავებული ჩანაწერები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს, ასევე იმისაც, რომ იდენტური ჩანაწერი განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებულ სასმელს შეიძლება აღნიშნავდეს.[3]

KAŠ.GEŠTIN-ის მნიშვნელობის დადგენაში ღიდად ვერ გვეხმარება ამ კომპლექსის ხმარება შუმერულში. აქ KAŠ აღნიშნავს რაღაც პროდუქტის ღუღილის შედეგად მიღებულ სასმელს, KAŠ.ŠE მარცვლეულის ღუღილის პროდუქტია – ლუდი, ხოლო KAŠ.GEŠTIN – ყურძნისა, ე.ი. ღვინო. მაგრამ, რადგან სამხრეთ შუამდინარეთში ძირითადი სასმელი ლუდი იყო, KAŠ უმრავლეს შემთხვევაში ლუდს ნიშნავს.[4] შუმერული მასალა უხეშად ასე შეიძლება შევაჯამოთ:

KAŠ სასმელი = ლუდი, KAŠ.GEŠTIN ყურძნის სასმელი = ღვინო.

ხეთებთან ძირითად სასმელს ღვინო წარმოადგენდა, რაზეც მისი მრავალრიცხოვანი ნაირსახეობები მეტყველებს. შესაბამისად,

---

[3] Giuseppe F. del Monte, Bier und Wein bei den Hethitern, *Studio Historiae Ardens, Ancient Near Eastern Studies Presented to Philo H.J. Houwink ten Cate on the Occasion of his 65th Birthday*, edited by Theo P.J. van den Hout and Johan de Roos, Leiden 1995, 211-224.

[4] J. Bottéro, *RlA* III, 303, G. Steiner, ebd, 307.

ღვინის აღსანიშნავად საკმარისი იყო GEŠTIN, ხოლო KAŠ.GEŠTIN ორგვარად შეიძლება გავიგოთ:

1. KAŠ იხმარება დეტერმინატივად (^{KAŠ}GEŠTIN), სასმელის ყურძენთან, ვაზთან (^{GIŠ}GEŠTIN) დასაპირისპირებლად;

2. ეს იყო ყურძნისგან მიღებული, მაგრამ ჩვეულებრივი ღვინისგან განსხვავებული პროდუქტი, მაგ., სიდრი.[5] ტერმინის ამ მნიშვნელობას ეხმიანება KAŠ.LÀL (სიტყვასიტყვით: „ტკბილი/თაფლიანი ლუდი/სასმელი“), რაც, სავარაუდოდ, აღნიშნავდა ტკბილ ან დამტკბარ სასმელს, ტკბილ ღვინოს.[6]

„ტკბილი ლუდი“ ბელგიური ლუდის ასოციაციას აღძრავს.[7] ბელგიაში „ლუდი“ ეწოდება ზოგ ისეთ სასმელსაც, რასაც არც გერმანელი და, სავარაუდოა, არც შუამდინარელი, „ლუდად“ არ მოიხსენიებდა. ჩემი აზრით, ფრანგულ ენაზე „ღვინო“ მხოლოდ გარკვეული ტექნოლოგიით ყურძნისაგან მიღებული პროდუქტია, ხოლო სასმელი, რომელიც მიიღება სხვა ხილისგან, თუნდაც ყურძნისგან, ოღონდ სხვა ტექნოლოგიით, სხვადასხვა ხილისა თუ მარცვლეულის ნახარშების შერევით, შეიძლება გაერთიანდეს სახელწოდებით „ლუდი“. ხომ არ შეიძლებოდა მსგავსი რამ დაგვენახა ხეთურ ტექსტებშიც? ეს მოგვცემდა ირიბ არგუმენტს განსახილველი ტერმინის ინტერპრეტაციისათვის.

Levan Gordeziani

BEER OR WINE ?

Two main sorts of drinks are attested in Hittite texts: beer and wine (KAŠ = šieššar (KAŠ-eššar) and GEŠTIN = wiyana-).

A composite containing both elements (𒁉 𒃾), can be interpreted and transliterated differently:

KAŠ GEŠTIN – beer and wine,

KAŠ.GEŠTIN – wine; a grape product, different from normal wine (grape cider?). Cf. KAŠ.LÀL (honey-beer, mead?).

^{KAŠ}GEŠTIN – wine (KAŠ is used as a determinative to oppose „wine“ to „vine, grape“ (^{GIŠ}GEŠTIN).

---

5 შდრ. J. Puhvel, Barm and Balm, Hittite Style, *JCS* 63 (2011), 103.

6 ი. ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, 9 : შუმეროგრამები, 71.

7 იხ. მაგ., http://en.wikipedia.org/wiki/Beer_in_Belgium.

ირინე ტატიშვილი

ასირიოლოგიის შესავალი
(მასალები სახელმძღვანელოსათვის)

1. ასირიოლოგია როგორც მეცნიერება

1.1. შესწავლის საგანი, წყაროები, მეთოდოლოგია

ასირიოლოგია არის ძველი ახლო აღმოსავლეთის[1] ცივილიზაციების შემსწავლელი მეცნიერება. დასავლეთ თურქეთიდან ცენტრალურ ირანამდე და ჩრდილოეთ ანატოლიიდან წითელ ზღვამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის IV-II ათასწლეულების მანძილზე აღმოცენდნენ და განვითარდნენ ბრწყინვალე ცივილიზაციები, რომლის შემქმნელები იყვნენ შუმერები, ასურელ-ბაბილონელები, ხეთები, ქანაანელები, ხურიტები, ურარტელები, ელამელები... მათ უკავშირდება კაცობრიობის უძველესი მიღწევები, პირველი სახელმწიფოებისა და დამწერლობის შექმნა. მათ წიაღში წარმოიშვა თანამედროვე აზროვნების, მეცნიერების საფუძვლები.

ახლო აღმოსავლეთის ძველი ქვეყნების შესასწავლად ძირითად წყაროს წარმოადგენს ე.წ. ლურსმული დამწერლობით[2] სხვადასხვა ძველაღმოსავლურ ენაზე შედგენილი ტექსტები, რომლებიც მრავალფეროვანი შინაარსისაა. ისინი მოგვითხრობენ მეფეთა სამშენებლო საქმიანობის, სამხედრო ლაშქრობების შესახებ, აღწერენ რელიგიურ დღესასწაულებს და სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით შესასრულებელ რიტუალებს, გაგვაცნობენ წარმოდგენებს იმქვეყნიურ სამყაროზე, მნეობრივ ნორმებზე. ისტორიული, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სარიტუალო, საკულტო, სამისნო, მითოლოგიური, ლიტერატურული თუ სასკოლო ტექსტები მრავალფეროვანი ასპექტით წარმოგვიდგენენ ძველი ახლო აღმოსავლეთის ამა თუ იმ ხალხის ისტორიას და კულტურას, ხშირად მათი

---

[1] ინგლისურად Near East, ფრანგულად Proche-Orient. ეს ტერმინი გაჩნდა XIX საუკუნეში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ოტომანთა იმპერიის დაშლის შემდგომი სანის რეგიონის აღსანიშნად. დღეს ამ გეოგრაფიულ რეგიონს ეწოლება „შუა აღმოსავლეთი" (Middle East), თუმცა ეს ორი ტერმინი მთლად იდენტური არ არის და ძველი ისტორიის მკვლევრები, ავრეთვე არქეოლოგები შუა აღმოსავლეთის მიმართ კელავ ტერმინ „ახლო აღმოსავლეთის" იყენებენ. ასირიოლოგიის შესასწავლ რეგიონს ბოგაერთ სამეცნიერო ტრადიციაში „წინა აზიასაც" უწოლებენ. შდრ. გერმანულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული Vorderasien, ავრეთვე რუსული Передняя Азия.

[2] მის შესახებ დეტალურად იხ. ქვემოთ (2.).

ყოველდღიური ცხოვრების მონაწილეებადაც კი გვხდიან.

ასირიოლოგია, ძირითადად, ფილოლოგიურ-ისტორიული მეცნიერებაა, რომელიც ამ ორი მეცნიერების კვლევის მეთოდებს იყენებს. მისი მომიჯნავე დარგებია, პირველ რიგში, ლინგვისტიკა და არქეოლოგია. არქეოლოგიური მასალა ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად ის შეიძლება ერთადერთი წყაროც იყოს ამა თუ იმ პერიოდის შესასწავლად ან ავსებდეს წერილობითი წყაროდან მიღებულ სურათს. ასირიოლოგის სამეცნიერო ინტერესის სფეროში შეიძლება აღმოჩნდეს ესა თუ ის ძველაღმოსავლური ცივილიზაცია სრულიად სხვადასხვა კუთხით, იქნება ეს სამართალი, რელიგია, მითოლოგია, ხელოვნება, ლიტერატურა თუ მეცნიერება. ეს საკმაოდ მრავალფეროვანს ხდის და აფართოებს ასირიოლოგის კვლევის მეთოდებს. იმის გარდა, რომ ის უნდა ფლობდეს მომიჯნავე დარგების საფუძვლებს, იცნობდეს მათ პრობლემატიკასა თუ მეთოდოლოგიას, საკელევი თემატიკიდან და შესასწავლი ტექსტის ჟანრის გათვალისწინებით, ასირიოლოგს შეიძლება დასჭირდეს აგრეთვე საგანგებო მომზადება რელიგიების, ხელოვნების ისტორიაში, სამართალმცოდნეობაში, ბოტანიკასა თუ ასტრონომიაში და სხვ. კვლევის ობიექტის, წყაროსა და მეთოდების მხრივ, ასირიოლოგს შეიძლება მეტი საერთო ჰქონდეს სიძველეთა შემსწავლელ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან, ვიდრე სხვა პერიოდების შემსწავლელ ისტორიკოსებთან.

უპირველეს ყოვლისა კი ასირიოლოგს მოეთხოვება ლურსმული დამწერლობის და რამდენიმე ძველაღმოსავლური ენის ცოდნა. შესაბამისი ენის/ ენების დაუფლებით, ასირიოლოგს შეუძლია „აამეტყველოს“ წერილობითი ძეგლები და „გააცოცხლოს“ მივიწყებული ცივილიზაცია. ეს, ერთი შეხედვით, რომანტიკული საქმიანობა დიდ სირთულეებთან და რუტინულ შრომასთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ სირთულეს ქმნის მასალის სიმწირე. მართალია, მარტო ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში ან ხათუსას არქივში დაცული მასალა ათეულ ათასობით ფირფიტას ითვლის, მაგრამ ეს წვეთია იმ ბღვა მასალასთან შედარებით, რომელიც ისტორიის სხვა პერიოდის მკვლევრის განკარგულებაში შეიძლება იყოს. ასირიოლოგს ფრაგმენტული მონაცემებით უწევს მანიპულირება, რათა აღაგდინოს ადამიანთა უშორესი წარსულის ესა თუ ის ეპიზოდი.

თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი ტექსტების სიმწირეს ემატება ფირფიტათა შენახვის ცუდი მდგომარეობა. ბოგაჯერ ფირფიტის სხვა ასლი (ან ასლები) გვეხმარება ხარვეზის აღდგენაში. თუმცა, ხშირად ასეთ ფუფუნებას შეიძლება მოკლებული ვიყოთ. არც ლურს-

მული დამწერლობის სპეციფიკა და სირთულეა დასავიწყებელი. ცალკეულ შემთხვევაში უირფიტის წაკითხვა დეშიფრირების ტოლფასი შეიძლება იყოს.

ჩვენთვის სრულიად უცხო დამწერლობის სისტემა, ენები, რომლებზეც უკვე დიდი ხანია აღარ ლაპარაკობენ, განსხვავებული რწმენა-წარმოდგენები, მსოფლმხედველობა და აზროვნების წესი იმდენად გვაშორებს შესასწავლი სამყაროსგან, რომ ამა თუ იმ წყაროს წასაკითხად და გასაგებად ასირიოლოგს, სპეციალური მომზადების გარდა, სჭირდება ლოგიკური ანალიზის, ფანტაზიის უნარი და გარკვეულწილად დეტექტივის ნიჭიც კი. მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ სირთულეებს სრულად ანაზღაურებს ერთ დროს ბრწყინვალე ცივილიზაციებთან ზიარების განცდა, მათივე ტექსტებით წარსულის ხელახლა აღდგენის შეგრძნება, მათ მონაპოვართა თანამედროვეობამდე მოტანის საპასუხისმგებლო მისია. ამიტომაც, „ყოველი დღე, გატარებული ასირიოლოგიის გარეშე, დაკარგული დღეა“ (ჟორჟ დოსენი).

აღსანიშნავია, რომ ასირიოლოგთა რიცხვი სხვა დარგის წარმომადგენლებთან შედარებით ბევრად მცირეა. ცნობილმა ფრანგმა ასირიოლოგმა ჟან-მარი დიურანმა ფრანგების საერთო რაოდენობას შეადარა საფრანგეთში ასირიოლოგთა რაოდენობა და იუმორით აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელთა მდგომარეობა მაინც უკეთესია და პროცენტულად აღემატება გაღაშენების გზაზე დამდგარი პანდების რიცხვს ჩინელების სიმრავლესთან მიმართებით.

ასირიოლოგია ელიტარულ დარგად ითვლება. ეს არ არის ყველა ქვეყანაში მასობრივად გავრცელებული დარგი. ამიტომაც იყენებენ მის მიმართ გერმანელები ტერმინს – Orchideenfach, რაც აღნიშნავს იშვიათ, მოსაფრთხილებელ სპეციალობას, რომელიც ყველა უნივერსიტეტის სიმდიდრეს შეიძლება წარმოადგენდეს.

1.2. ასირიოლოგიის ისტორია

1.2.1. პირველი ცნობები ლურსმული წარწერების შესახებ

ასირიოლოგია ჩამოყალიბდა ევროპაში და სხვა მეცნიერებებთან შედარებით ახალგაზრდა დარგია. საქმე ისაა, რომ ის ცივილიზაციები, რომლებსაც ასირიოლოგია სწავლობს, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ნანგრევებად იყო ქცეული და ბევრგან მიწით იყო დაფარული. ინფორმაცია, რომელიც ბერძენ და რომაელ ავტორებთან ან ბიბლიაში იყო შემონახული, ამ სამყაროს მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს ასახავდა, ისიც ხშირად ბღაპრის ან ლეგენდის ფორმით. ლურსმული დამწერლობით აღარაიან სარ-

გებლობდა. მეტიც, მათი არსებობის შესახებაც არაფერი იყო ცნობილი შუა საუკუნეების ევროპაში.

პირველი ცნობები ლურსმული წარწერების არსებობის შესახებ XVI-XVII საუკუნეების ევროპაში ჩაიგანეს ევროპელმა ვაჭრებმა, მოგზაურებმა. ყურადღებას იზიდავდა, პირველ რიგში, ურარტუსა და სპარსეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნანგრევები, სადაც ლურსმული წარწერები უმეტესწილად ქვის მასალაზე იყო აღბეჭდილი ციხე-სიმაგრის, ტაძრის, მეფეთა აკლდამების ნაშთებზე თუ კლდეებზე და ყველასთვის ადვილად დასანახი იყო.

იტალიელმა ვაჭარმა პიეტრო დელა ვალემ (1586-1652) იმოგზაურმა მესოპოტამიაში (შუამდინარეთში, დღევანდელ ერაყში) სპარსეთში, სირიაში, ლიბანსა და პალესტინაში. მან ევროპაში სპარსეთიდან გამოგზავნა პერსეპოლისის ჩანახატები. სტელებიდან და ძეგლებიდან ლურსმული ნიშნების და გამოსახულებების გადმოხატვა ევროპელ მოგზაურთა შორის მოდად იქცა. დაგროვილმა საკმაოდ მდიდარმა მასალამ ევროპელ მეცნიერთა დაინტერესება გამოიწვია. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებიდან დაიწყო ძველი ახლო აღმოსავლეთის სისტემატური შესწავლა. ამ პერიოდის მოგზაურ-მკვლევართა შორის უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში, გერმანელი მათემატიკოსი და კარტოგრაფი კარსტენ ნიბური, ფრანგი ბოტანიკოსი ანდრე მიშო. ევროპიდან ექსპედიციების გაგზავნა უფრო ინტენსიური გახდა XIX საუკუნის დასაწყისიდან და არქეოლოგიური გათხრების სახე მიიღო. თუმცა, ახლო აღმოსავლეთის ძველი ცივილიზაციები დიდხანს კვლავ საიდუმლოებით იყო მოცული და ამ სამყაროს საიდუმლოს ამოხსნა, მისი მეცნიერული შესწავლა დაიწყო იქ შემონახული წარწერების ამოკითხვით.

1.2.2 ლურსმული დამწერლობის გაშიფრა

ლურსმული დამწერლობის გაშიფრა დაიწყო პერსეპოლისში ბეჰისთუნის კლდეზე აღმოჩენილი წარწერების წაკითხვით. შეიძლება ითქვას, რომ ბეჰისთუნის წარწერამ იგივე როლი შეასრულა ლურსმულის გაშიფვრაში, რაც როზეტის ქვამ – ეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვაში. წარწერა კლდეზე სამ სვეტად იყო განლაგებული. მკვლევართათვის თავიდანვე თვალშისაცემი იყო ამ სამ სვეტში მოთავსებული წარწერების სხვადასხვა ზომა. პირველი, ყველაზე მომცრო, სულ 42 ნიშანს იყენებდა, მეორეში ასზე მეტი ნიშანი განირჩეოდა, ხოლო მესამეში – რამდენიმე ასეული. დაკვირვებამ მკვლევრებს უჩვენა, რომ საქმე ჰქონდათ ტრილინგვასთან, რომელიც ლურსმულის სხვადასხვა სახეობით იყო შედგენილი. გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ პირველი სვეტის წარწერა

აღგილობრივ, ე.ი. ძველსპარსულ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი. თუმცა, საკმაო დრო დასჭირდა ორი დანარჩენი სვეტის ენების ამოცნობასა და დამწერლობის გაშიფვრას. პირველ დიდ წარმატებას ლურსმული წარწერების ამოკითხვის საქმეში მიაღწია გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდმა, გერმანიის ქალაქ გიოტინგენის გიმნაზიის ახალგაზრდა მასწავლებელმა. ძველი სპარსეთის შესახებ სხვადასხვა წყაროს გამოყენებით, მან სწორად ამოიცნო მეფე დარიოსისა (521-486 წწ.) და მისი ეაჟის ქსერქსეს (486-465 წწ.) სახელები შესაბამისი ტიტულატურით და ამგვარად დაადგინა რამდენიმე ლურსმული ნიშნის ბგერითი მნიშვნელობა. გროტეფენდმა თავისი კვლევის შედეგები 1802 წელს წარმოდგენილ ნაშრომში შეაჯამა. მისი მეთოდით სხვა ნიშნების ამოცნობა და მათი ბგერითი მნიშვნელობების დადგენა მოგვიანებით შეძლო ფრანგმა ორიენტალისტმა ეუენ ბიურნუფმა (1801-1852 წწ.). ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჰენრი რაულინსონმაც (1810-1895 წწ.), ინგლისელმა ოფიცერმა, რომელიც სპარსეთში არმიაში მსახურობდა და გატაცებით იკვლევდა ბეჰისთუნის წარწერას. მის მიერ გაკეთებული პირები დღესაც, მათი სიზუსტის გამო, ნდობით სარგებლობს სპეციალისტთა შორის. 1842 წლისთვის ძველი სპარსული დამწერლობა საბოლოოდ ამოიკითხეს. ეს იყო იმ დროისათვის ცნობილი პირველი ლურსმული ანბანი, რომელშიც ცალკეულ ნიშანს ჰქონდა ერთი ბგერის აღნიშვნის ფუნქცია, თუმცა გოგჯერ შეიძლებოდა ფონეტიკური მარცვალიც გამოეხატა. იქიდან გამომდინარე, რომ მეორე და მესამე სვეტებში მოცემული წარწერები მეტ ნიშანს შეიცავდნენ, ვიდრე პირველი, ძალიან მალე გამოითქვა მოსაზრებები, რომ იგივე ტექსტი, მეფე დარიოსის სამხედრო გამარჯვებების უკვდავმყოფელი, შეიძლებოდა გადმოცემული ყოფილიყო დამწერლობის სხვა ვარიანტებით, რომელშიც ნიშანს ჰქონდა არა ბგერითი, არამედ სილაბური წაკითხვა ან სიტყვის აღნიშვნის ფუნქცია. ძველი სპარსული დამწერლობის ამოკითხვის შემდეგ კვლევამ უფრო დაჩქარებული ტემპით წაიწია წინ. თანდათან გამოირკვა, რომ ბეჰისთუნის წარწერის მეორე სვეტის ენა ელამური (ძველი სპარსელების უშუალო მეზობლების ენა) იყო, ხოლო მესამე სვეტი შესრულებული იყო ასურულ-ბაბილონური დამწერლობით. მსგავსი დამწერლობით შედგენილი წარწერები უხვად იყო იმ დროისათვის დადასტურებული შუამდინარეთის, ძველი ასურეთისა და ბაბილონის ტერიტორიაზე. ასურულ-ბაბილონური სახელების ანალიზის საფუძველზე, დადგინდა ამ წარწერათა ენის – ასურულ-ბაბილონურის ნათესაობა სემიტურ ენებთან (ებრაულთან, არაბულთან და სხვ.). ამან ძალიან დააჩქარა ასურულ-ბაბილონური დამწერლობის გაშიფრის

საქმე. მკვლევრებს საშუალება მიეცათ, რომ ამ წარწერების ამოკითხვისას მოეშველიებინათ მონათესავე ენების მასალა, ამ გზით დაეზუსტებინათ ამა თუ იმ ლურსმული ნიშნის მნიშვნელობა. გამოირკვა, რომ ერთ ლურსმულ ნიშანს შეიძლებოდა რამდენიმე წაკითხვა ჰქონოდა – როგორც სილაბური, ასევე იდეოგრაფიული. ეს აღმოჩენა უკავშირდება ედუარდ ჰინქსის სახელს. დადგინდა, რომ ზოგიერთი ნიშანი სემანტიკური კლასიფიკატორის როლსაც ასრულებდა, რითიც ამარტივებდა მისი მომდევნო ნიშნის ინტერპრეტაციას. ამდენად, თანდათან დაგროვდა გარკვეული ცოდნა, რომელიც საჭიროებდა შემოწმებას. მკვლევართა წინაშე დასმულ შეკითხვას, თუ რამდენად სწორად კითხულობდნენ ისინი ასურულ-ბაბილონურ დამწერლობას, ემსახურებოდა 1857 წელს „ინგლისის სააზიო საზოგადოების“ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი. უილიამ ჰენრი ფოქს ტალბოტმა გადაწყვიტა სამი მეცნიერისთვის (ესენი იყვნენ: ჰენრი რაულინსონი, ედუარდ ჰინქსი და იულიუს ოპერტი) გადაეცა მის მიერ ახლად აღმოჩენილი და გამოუქვეყნებელი ლურსმული წარწერის ასლები. მეოთხე პირი თვითონ დაიტოვა. ოთხივე მეცნიერმა თითქმის ერთნაირი თარგმანი წარუდგინა საზოგადოებას. ეს იმას ადასტურებდა, რომ ასურულ-ბაბილონური დამწერლობა ფაქტობრივად გაშიფრული იყო. ამიერიდან ფართო პერსპექტივები გადაიშალა მესოპოტამიური ცივილიზაციის შესასწავლად. შემთხვევითი არ არის, რომ 1857 წელი ითვლება ასირიოლოგიის როგორც მეცნიერების დაბადების თარიღად. მესოპოტამიური ცივილიზაციის აღმოჩენამ და ასურულ-ბაბილონურის გაშიფვრამ გააღვივა ევროპელ მეცნიერთა ინტერესი ამ რეგიონის მიმართ. ასურეთი იქცა ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური გათხრების ასპარეზად. სწორედ მისი სახელი დაედო საფუძვლად ამ ახალი დარგის სახელწოდებას და ეს სახელი შენარჩუნდა დღემდე იმის მიუხედავად, რომ თანდათან გამოვლინდა ძველი ახლო აღმოსავლეთის სხვა ცივილიზაციებიც.

1.2.3. არქეოლოგიური გათხრები; ასირიოლოგიის განვითარება და მისი ქვედარგების წარმოშობა

ჯერ კიდევ ასირიოლოგიის მეცნიერების დარგად ოფიციალურად აღიარებამდე ევროპელმა მკვლევრებმა დაინახეს ძეგლების სისტემატური კვლევის აუცილებლობა, მაგრამ XIX საუკუნის შუა ხანებამდე მოგზაურები ძირითადად იფარგლებოდნენ თელების (ხელოვნური ბორცვების) ზედაპირების დათვალიერებით, ტოპოგრაფიული და არქიტექტურული აღწერილობით. დამწერლობის გაშიფვრის საქმეში პროგრესის პარალელურად, ევროპიდან შუამ-

დინარეთში გაგზავნილმა ექსპედიციებმა დაიწყეს ძველი ნანგრევების აღგილების სიღრმისეული კვლევა.

1842-1855 წლები აღინიშნება დიდი აღმოჩენებით: დურშარუქინის (დღევანდელი ხორსაბადის) გათხრების შემდეგ, სადაც პ. ბოტამ და ე. პლასმა მიაგნეს ასურეთის მეფის სარგონ II-ის სასახლეს, ბრიტანელმა ჰენრი ოსტინ ლეიარდმა ნიმროდის აღგილას აღმოაჩინა ძველი ქალხუ, ხოლო დღევანდელ ქუიუნჯიკთან – ნინევიის ძველი ბრწყინვალების ნაშთები, ბარელიეფები და ასურბანიპალის ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელიც ათასობით თიხის ფირფიტას ითელიდა. არქეოლოგთა მონაპოვარი იგზავნებოდა საფრანგეთსა და ინგლისში. ეს ძეგლები დღესაც ამშვენებენ ლუვრსა და ბრიტანულ მუზეუმს. არქეოლოგთა აქტიურობა ამ რეგიონში იმდენად ინტენსიური იყო, რომ საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა მოპოვებული მასალის გაანალიზება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდნენ გათხრების შედეგად გამოვლენილი ურიცხვი თიხის ფირფიტები, რომლებიც ასირიოლოგთა ხელში, 1857 წლიდან მოყოლებული, თავად „ალაპარაკდნენ“ ამ იდუმალებით მოცული ცივილიზაციის შესახებ. ამ მხრივ, XIX საუკუნის ბოლო წლები დიდი მიღწევებით არის ცნობილი : ჯ. სმითმა 1872 წელს გამოსცა წარღვნის მითის ე.წ. ნინევიური ვერსია, რასაც მაშინდელ სამეცნიერო სამყაროში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. ტექსტების გამოქვეყნებასთან ერთად გრძელდებოდა სამხრეთ მესოპოტამიის არქეოლოგიური შესწავლა. იქ გამოვლინდა ძველი ქალაქები – ური, ურუქი, ნიფური, სუზა. 1877 წელს ე. დე სარზეკმა წამოიწყო გათხრები თელოში (ძველ გირსუში), რომელსაც თავდაპირველად შეცდომით აიგივებდნენ ძველ ლაგაშთან. სამხრეთ მესოპოტამიის გათხრების შედეგად აღმოჩნდა კიდევ უფრო ძველი პერიოდის და მანამდე უცნობი სტილის ძეგლები (მათ შორის, მაგალითად, ცნობილი „ძერათა სტელა“), გამოვლინდა ღურსმული დამწერლობით შესრულებული ტექსტები, რომელთა ენა არ ამყღაენებდა ნათესაობას არც სემიტურთან, არც რომელიმე სხვა ენათა ოჯახთან. ოპერტმა, ჯ. ჰალევის საპირისპიროდ, შეძლო დაესაბუთებინა მოსაზრება, რომლის თანახმად, მათი შემქმნელები იყვნენ ბაბილონური ტექსტებიდან ცნობილი შუმერები. ოპერტის ეს სამეცნიერო გამარჯვება შუმერების აღმოჩენის სახელით არის ცნობილი. გამოირკვა, რომ დამწერლობის სისტემა ბაბილონელებს აუღიათ შუმერებისგან, რომელთა სახელთან კიდევ უფრო ძველი შუამდინარული კულტურაა დაკავშირებული. სუზას გათხრების შედეგად, რომელსაც 1897 წლიდან ხელმძღვანელობდა ჯ. დე მორგანი, აღმოაჩინეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წერილობითი დოკუმენტი

– „ხამურაბის კანონები“, რომლის პირველი თარგმანი შეასრულა ვინსენტ შაილმა. XIX საუკუნის დასასრულს, სუგას გათხრების წყალობით, ფ. ვაისბახმა და პ.ვ. შაილმა შეძლეს, რომ საფუძველი ჩაეყარათ ელამური ენის შესწავლისთვის. თუმცა, ეს ენა დღესაც ნაკლებად არის გამოკვლეული.

XX საუკუნის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიურ კვლევაში აქტიურად ჩაერთვნენ გერმანელებიც. იმპერატორ ვილჰელმ II-ის წახალისებით, ეალტერ ანდრემ დაიწყო გათხრები აშურში, რობერტ იოჰან ქოლდეუეიმ კი – ბაბილონში. თანდათან გაფართოვდა გათხრების რეგიონი. თურქეთის სოფელ ბოღაზქოისთან (ანკარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 150 კმ-ის დაშორებით) ჰუგო ვინკლერმა 1906 წელს მიაგნო ხეთების დედაქალაქ ხათუსას და თიხის ფირფიტათა კოლექციას. ხათუსას მდიდარ „არქივს“, რომელიც დღეისათვის ოცდაათ ათასზე მეტ თიხის ფირფიტას ითვლის, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. გრძელდებოდა გათხრების შედეგად გამოვლენილი ტექსტების გამოცემის საქმეც. მათ შორის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1886 წლიდან ეგვიპტეში, თელ ელ-ამარნაში (ძველ ახეტატონში) ნაპოვნი არქივის, ფარაონების – ამენჰოტეპ III-ისა და ამენჰოტეპ IV-ის/ეხნატონის დიპლომატიური კორესპონდენციის დამუშავება. ამ დოკუმენტების თარგმნა XX საუკუნის პირველ წლებში დასრულდა. ასირიოლოგთა ეს ინტენსიური კვლევა დროებით ჩაცხრა 1914-1918 წლების ომის პერიოდში, ხოლო 1918 წლიდან ახალი ძალით განახლდა. ახლო აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, არქეოლოგიური კვლევა უფრო გამარტივდა ბრიტანელთათვის ერაყში, პალესტინასა და იორდანიაში, ხოლო ფრანგებისთვის – სირიასა და ლიბანში. თურქეთიც და სპარსეთიც უფრო ხელმისაწვდომი გახდა ევროპელი მკვლევრებისთვის. კიდევ უფრო გაფართოვდა ასირიოლოგიური კვლევის გეოგრაფიული არეალი, დაიხვეწა გათხრების მეთოდები. ასირიოლოგია ახალი აღმოჩენებით გამდიდრდა და შუამდინარეთის ძველ ისტორიასაც თანდათან ნათელი მოეფინა, ბაბილონის, ურუქის და დიალას დაბლობის გათხრების შედეგად. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ლეონარდ ვულის ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრები და არქაული ეპოქის ურის შთამბეჭდავი სამეფო საგანძურის აღმოჩენა. მესოპოტამიის ფარგლებს გარეთ, ჩრდილოეთ სირიაში, რას შამრაში (ძველ უგარითში) შეფერმა და დიუსომ დაიწყეს გათხრები. 1929 წელს აქ საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ლურსმული ანბანით (ანუ ლურსმული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი 30 ნიშნიანი ანბანით) შედგენილი დოკუმენტი, რომელიც

თარიღდებოდა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით, ხოლო 1933 წელს ანდრე პარომ აღმოაჩინა ქალაქი მარი (დღევანდელი თელ ჰარირი).

სირიის, ანატოლიის და განსაკუთრებით კი იორგან თეფეს (ძველი ნუზის) კელეკამ მეცნიერებს აღმოაჩენინა მანამდე უცნობი ხალხი, ხურიტები, ხოლო მალე – მათ მონათესავე ურარტელებიც. ირანის ბეგანზე მიაგნეს უძველეს დასახლებებს, როგორიცაა თეფე გიანი, თეფე სიალქი და თეფე ჰისარი; 1945 წლის შემდეგ გამოელინდა ახლო აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკვლევად ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა იერიქო (პალესტინაში) და ჩათალ ჰუიუქი, ჰაჩილარი (თურქეთში). 1975 წელს იტალიელთა ექსპედიციამ, პაოლო მატიეს მეთაურობით, აღმოაჩინა ებლას დასახლება და იქ ნაპოვნმა წერილობითმა დოკუმენტებმა სრულიად ახალი კუთხით აჩვენეს სირიის ადგილი და მნიშვნელობა ბრინჯაოს ხანის ახლო აღმოსავლეთში. იგივე მნიშვნელობა ჰქონდა ხაბურის ველზე წარმოებულ გათხრებს და აგრეთვე არც ისე დიდი ხნის წინ, 2001 წელს, ირანში ქიროფტის კულტურის აღმოჩენას.

მესოპოტამია დიდხანს ასირიოლოგთა კვლევის ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა. სწორედ ამ რეგიონში, მის მეზობელ სპარსეთთან ერთად, გადაიდგა ასირიოლოგთა პირველი ნაბიჯები. თანდათან მესოპოტამიის ფარგლებს გარეთ გამოვლინდა სხვა ძველი ცივილიზაციები და მათი შემქმნელი ხალხები – ელამის, ხეთების, ხურიტების, ურარტუს ცივილიზაციები, სირიისა და პალესტინის ძველი კულტურები. ოდესღაც „პერიფერიულმა“ რეგიონებმა ახალი მნიშვნელობა შეიძინეს. დღეს ისინი შეისწავლება როგორც დამოუკიდებელი რეგიონები თვითმყოფადი ადგილობრივი კულტურით, რომელთაც, ცხადია, ბევრი რამ ჰქონდათ შეთვისებული შუამდინარული კულტურისგან. ამ კულტურის გამავრცელებლის როლს ასრულებდა ლურსმული დამწერლობა, აგრეთვე აქადური ენა, რომელსაც საერთაშორისო ენის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული (შდრ. ინგლისური ენის ფუნქცია დღევანდელ მსოფლიოში). ის იყო დიპლომატიური მიმოწერის ძირითადი ენა. აქადურ ენაზე შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები მთელ წინა აზიაში იყო გაერცელებული და მათი გაელენის კვალს ეხედავთ სხვადასხვა კულტურაში. თუმცა, ამ გავლენის მასშტაბები დღემდე ბოლომდე გამოელენილი არ არის და ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება საკამათოც იყოს.

ასირიოლოგიური კვლევების რეგიონის გაფართოებამ, სხვადასხვა ძველი ცივილიზაციის აღმოჩენამ გაართულა მკვლევარ

ორიენტალისტთა სამუშაო და აიძულა ისინი, რომ შემოფარგლულიყვნენ ძველი ახლო აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყნის ან კონკრეტული პერიოდის კვლევით და უფრო მკაფიოდ განესაზღვრათ შესასწავლი სფერო (პოლიტიკური ისტორია, რელიგიის ისტორია, ეკონომიკა, დიპლომატია, სამართალი და ა.შ.). ასირიოლოგია-არქეოლოგი ბუნებრივად (თუმცა ასირიოლოგიისთვის, ალბათ, სამწუხაროდ) გაემიჯნა ასირიოლოგ-ფილოლოგს. ს.ნ. კრამერმა თავის ცნობილ ნაშრომში „ისტორია იწყება შუმერში“ საკუთარი თავი შუმეროლოგად მოიხსენია. მის კვალდაკვალ გაჩნდნენ ხეთოლოგები, ელამოლოგები, ურარტოლოგები და ა.შ. ვიწრო მნიშვნელობით, ასირიოლოგია დღესაც ასურულ-ბაბილონურ (აქადურ) ენას და დამწერლობას, ასურეთ-ბაბილონის ისტორიასა და კულტურას სწავლობს, ხოლო ფართო მნიშვნელობით – ყველა იმ ძველი ხალხის ენას, ისტორიასა და კულტურას, რომლებიც ლურსმული დამწერლობით სარგებლობდნენ. ესენი არიან : შუმერები – ლურსმული დამწერლობის შემქმნელები, აგრეთვე ხეთები, ხურიტები, ელამელები, ურარტელები, აქემენიანთა დროის (ძვ.წ. VI-IV სს.) სპარსელები. შესაბამისად, ასირიოლოგიის ქვედარგებია : შუმეროლოგია, ხეთოლოგია, ურარტოლოგია, ხურიტოლოგია, ელამოლოგია ...

ასურულ-ბაბილონური ლურსმული დამწერლობის ცოდნა ყველა ასირიოლოგს აერთიანებს. თუმცა, სხვადასხვა რეგიონში ის საკმაოდ სახეცვლილია და, ბუნებრივია, შესაბამისი ვარიანტის ცოდნასაც მოითხოვს. კვლევის სფეროს მრავალფეროვნების მიუხედავად, ასირიოლოგიამ როგორც დარგმა შეინარჩუნა ერთიანობა, ვინაიდან ის ყოველთვის ეფუძნებოდა კვლევის ერთსა და იმავე მეთოდებს. ამ ერთიანობის დასტურია ასირიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი (Rencontres Assyriologiques Internationales, შემოკლებით RAI), რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში იმართება ყოველწლიურად და საშუალებას აძლევს ასირიოლოგებს, გაუზიარონ ერთმანეთს სხვადასხვა სფეროში წარმოებული კვლევის შედეგები, თვალი აღევნონ სიახლეებს მომიჯნავე დარგებში. ასირიოლოგიამ თავისი საუკუნენახევრიანი არსებობის მანძილზე შეძლო, რომ აღედგინა კაცობრიობის ისტორიის წარსულის მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც დავიწყებას იყო მიცემული. თუმცა, კიდევ ბევრი რამ რჩება შესასწავლი. ახალი აღმოჩენები ხშირად ცვლიან უკვე შექმნილ სურათს და ამიტომ ყოველთვის არის მოლოდინი იმისა, რომ ის, რაც დღეს უტყუარი ჩანს, ხვალინდელი გამოკვლევებით შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. საკმაო რაოდენობით რჩება თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი ჯერაც წაუკითხავი და უთარგმნელი დო-

კუმენტები. მაგალითად, მარის არქიევების დიდი ნაწილი, რომლის გამოქვეყნება დაიწყო XX საუკუნის 40-იან წლებამდე, დღესაც არ არის ბოლომდე შესწავლილი. ნიფურში გამოვლენილი შუა ბაბილონური ხანის 10 000 ფირფიტიდან, მხოლოდ მცირედია დღეისათვის გამოცემული. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შეუსწავლელი ან ჯერაც გამოუელენელი არქივების შესახებ, რომლებიც საიდუმლოდ ინახავენ ხეთების წარსულის არაერთ ფურცელს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დავასახელეთ. ამ თვალსაზრისით, სიძველეთმცოდნეობის სხვა დარგი, თუნდაც ანტიკური პერიოდის ისტორია ან კლასიკური ფილოლოგია, უფრო დაზღვეულია მოულოდნელი აღმოჩენებისგან და კელევისას უკვე მიღწეულ შედეგებში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანისგან.

13. გეოგრაფიული არეალი და ქრონოლოგია

ასირიოლოგიის შესასწავლი რეგიონის გეოგრაფიული ჩარჩოების გუსტად განსაზღვრის აუცილებლობას განაპირობებს, პირველ რიგში, ამ რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინების – „აზიური ახლო აღმოსავლეთი“, „წინა აზია“, „ახლო აღმოსავლეთი“, „შუა აღმოსაელეთი“ – ბუნდოვანება თუ ორაზროვნება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შესასწავლი რეგიონის ცალკეული ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრები ისტორიის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო. მაგალითად, გარკვეულ პერიოდში მესოპოტამიური სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენა არაბეთის ნახევარკუნძულზეც ერცელდებოდა. ამდენად, შესაბამის პერიოდში ეს რეგიონიც ძველი ახლო აღმოსავლეთის ნაწილი ხდება. იგივე ითქმის ცენტრალური ანატოლიის, სამხრეთ-დასავლეთ ირანის, ჩრდილოეთ და დასავლეთ სირიის სახელმწიფოების გავლენის სფეროში სხვადასხვა დროს მოხვედრილ რეგიონებზეც.

ასირიოლოგიის შესასწავლი რეგიონის გეოგრაფიული ჩარჩოები ასე შეიძლება მოეხაზოთ :

დასავლეთით – ანატოლია (ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი სანაპიროდან მოყოლებული ხეთებით დასახლებული მხარის ჩათვლით), კუნძული კეიპროსი, ხმელთაშუა ზღვის აღმოსაელეთი სანაპირო/ლევანტის მხარე;

აღმოსავლეთით – ირანის ზეგანი (ისტორიული ელამი);

ჩრდილოეთით – ტერიტორია ღვევანდელ სომხეთამდე (ურარტუს სამეფო);

სამხრეთით – სპარსეთის ყურე (გარკვეულ პერიოდებში ბაბრეინის/დილმუნის კუნძულებითურთ), არაბეთის უდაბნო.

ზოგჯერ ეგვიპტეც შეიძლება მოხვდეს ასირიოლოგიის საკვლევ სფეროში. ტერმინი „ახლო აღმოსავლეთი“ გეოგრაფიულად ხომ ეგვიპტესაც მოიცავს. თუმცა, ეგვიპტის კვლევის მეთოდები ასირიოლოგიურისგან განსხვავდება და, ამდენად, ასირიოლოგია და ეგვიპტოლოგია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დარგებია. ეს არ ანელებს ასირიოლოგის ინტერესს ეგვიპტისადმი, რომელიც ძველაღმოსავლური სამყაროს ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია და ასირიოლოგის ამა თუ იმ საკვლევი ქვეყნის ღირსშესანიშნავ თანამედროვეს, ძალიან ხშირად ანგარიშგასაწევ მეტოქეს წარმოადგენდა. ასირიოლოგის და ეგვიპტოლოგის საერთო კვლევის სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ II ათასწლეულის II ნახევრის ეგვიპტის ისტორია (როდესაც ეგვიპტის სახელმწიფოს საზღვრები ჩრდილოეთით აზიაში გადიოდა), ელ ამარნას (ძველი ახეტატონის) არქივი.

აუცილებელია ვიცოდეთ ასირიოლოგის მიერ შესასწავლი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები. თუმცა, გეოგრაფიული ჩარჩოების მსგავსად, მასაც მკაფიოდ ვერ მოვჭრით განმარტების გარეშე. ზედა ქრონოლოგიური საზღვარი უკავშირდება დამწერლობის გაჩენას. დამწერლობამდელი ხანა წინარე ისტორიის (პრეისტორიის) კუთვნილებაა. პირველი წერილობითი ძეგლები ჩნდება IV ათასწლეულის ბოლოს (დაახლოებით, 3400-3300 წლებში) სამხრეთ შუამდინარეთში. მაგრამ ამ თარიღის ისტორიის ათვლის პუნქტად მიჩნევა გარკვეულწილად პირობითია და თეორიულ ნათქვამად რჩება, რადგან აღნიშნული პერიოდის შესასწავლად ძირითად წყაროდ არ გამოდგება. ეს პერიოდი ჯერ ისევ ძირითადად არქეოლოგიის განკარგულებაშია.

ქვედა საზღვრად მიჩნეულია ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი, როდესაც თანდათან ქრება ლურსმული დოკუმენტები.[3] მეცნიერთა ნაწილისთვის მიჯნაა ბაბილონის დაცემა ძვ.წ. 539 წელს, სხვებისთვის – ძვ.წ. 331 წელს სპარსეთის დაპყრობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ.[4] ეინაიდან ძველი აღმოსავლეთის ისტორია ქრისტეშობამდე მთავრდება, თარიღებს შეიძლება აღნიშვნა „ქრისტეშობამდე“ ან „ძველი წელთაღრიცხვით (შემოკლებით ძვ.წ.)“ არც ერთ-

---

[3] მართალია, ლურსმული დოკუმენტები ამ მოვლენის შემდგომი ხანისაც არსებობს, მაგრამ ისინი ასირიოლოგს აღარ აინტერესებს და სხვა სპეციალისტების – აქემენიდური ირანის, სელევკიდებისა და პართიის მკვლევართა სფეროს განეკუთვნება.

[4] ის შეიძლება ჩაითვალოს ძველი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ისტორიის უკანასკნელ ფიგურად, რომელსაც უკავშირდება ახალი ეპოქის – ელინიზმის დაწყება. მიმოქცევაში შემოდის სხვა წყაროები, რომელთა დამუშავება განსხვავებულ მეთოდოლოგიას მოითხოვს და სხვა დარგის სპეციალისტთა საქმეა.

ეოღეს. მოვლენის დასაწყისი უფრო დიდი რიცხვით აღინიშნება, ხოლო დასასრული – პატარა რიცხვით (მაგალითად, 1728-1686).

ძველი ახლო აღმოსავლეთის ქრონოლოგია საკმაოდ პირობითია და მეცნიერთა შორის დისკუსიის საგანს წარმოადგენს. აბსოლუტურ თარიღებთან შედარებით ხშირად უპირატესობა ენიჭება ფარდობით ქრონოლოგიას ანუ დათარიღებას არქეოლოგიური ფენების ან მეფეთა მმართველობის წლების მიხედვით.

არსებობს ქრონოლოგიის რამდენიმე სისტემა – „მაღალი", „საშუალო" და „დაბალი". მაგალითად, ბაბილონის მეფის, ხამურაბის მმართველობის წლები, მაღალი ქრონოლოგიით არის 1848-1806, საშუალოთი – 1792-1750, ხოლო დაბალი ქრონოლოგიით – 1728-1686 წწ. თითოეულ სისტემას თავისი მომხრეები ჰყავს და სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომში შეიძლება განსხვავებულ თარიღებს შევხვდეთ. მთავარია, რომ დათარიღებისას ამა თუ იმ სისტემის ფარგლებში დავრჩეთ და არ ავურიოთ ერთმანეთში სხვადასხვა სიტემიდან აღებული თარიღები. დღეისათვის მაღალ ქრონოლოგიას თითქმის აღარ ჰყავს მიმდევრები, ხოლო საშუალოს და დაბალს მოეძებნება მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.[5]

საერთოდ, ძველ სამყაროში მოვლენებს ძირითადად მეფეთა მმართველობის წლებით ათარიღებდნენ. ცალკეული ტექსტები გეიქმნიან წარმოდგენას ამა თუ იმ ქვეყნის მეფეთა თანმიმდევრობის და მათი მმართველობის ხანგრძლივობის შესახებ. ამ მხრივ, შედარებით უკეთ გვაქვს საქმე ძვ.წ. I ათასწლეულის მოვლენათა დათარიღებისას. ამ პერიოდიდან ცნობილია არა მარტო ძირითადი ქვეყნების მეფეთა თანმიმდევრობა და მმართველობის წლები, არა-

---

[5] მაგალითად, დაბალი ქრონოლოგიის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს : თუ დავუშვებთ, რომ ხამურაბიმ იმეფა 1728-1686 წლებში, მაშინ ხეთების მეფის – მურსილის მიერ ბაბილონის დალაშქვრა, რამაც ბოლო მოუღო ამ დინასტიას, უნდა მომხდარიყო 1531 წელს, რაღგან ჩვენთვის ცნობილია ბაბილონის პირველი დინასტიის მეფეთა მმართველობის ხანგრძლივობა და შეგვიძლია გამოვთვალოთ ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, სამსუდიტანას მეფობის დასასრული. მურსილის წინამორბედ მეფეს, ხათუსილი I-ს კი უკავშირდება ალალახის (დღევანდელი ალეპოს) VII არქეოლოგიური ფენის დასასრული. ხათუსილის ამ ლაშქრობას ბაბილონის დაცემამდე 50 წელზე ნაკლები აშორებს და ის, ყველაზე გვიან, 1575 წლით შეიძლება დათარიღდეს. ალალახის IV ფენა თანადროულია ალალახსა და უგარითში სამი მმართველის (იღრიმის, ნიკმეფას, ილიმილიმას) მეუობის ხანისა, რაც წინ უსწრებდა ეგვიპტის ფარაონის, თუტმოს III-ის მიერ 1459 წელს ჩრდილოეთ სირიის დაპყრობას. ასეთ შემთხვევაში, ალალახის სამივე ფენა (VI, V, IV) ერთ საუკუნეში (1575-1473) ეტევა, რაც ძალზე საეჭვოა. შესაბამისად, ხათუსილი I-ის, მურსილი I-ის და აგრეთვე ხამურაბის მეუობა უფრო ადრეა საეიქრელი, ვიდრე ეს დაბალი ქრონოლოგიით გამოდის.

მედ ზოგჯერ ერთი წლით არჩეულ მოხელეთა (ეპონიმთა) ნუსხები და მმართველობის თარიღები.

ბრძოლები, ხელშეკრულებები, დინასტიური ქორწინებები გვეხმარება სხვადასხვა ქვეყანას შორის სინქრონიზმების დადგენაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, ეგვიპტური მასალა – ფარაონთა დოკუმენტურად დადასტურებული ნუსხები და ასტრონომიულ დაკვირვებებზე დამყარებული ჩანაწერები, რომლებიც, ეგვიპტის მშრალი კლიმატის წყალობით, დღემდე შემოინახა და გვეხმარება მეზობელი ქვეყნების ისტორიის თარიღების დაზუსტებაში.

რაც შეეხება ძველი ახლო აღმოსაელეთის ისტორიის პერიოდიზაციას, ის შეიძლება სხვადასხვა პრინციპზე იყოს აგებული და ამ პრინციპებს გვკარნახობდეს ეპოქის ან მასალის თავისებურებები, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, პოლიტიკურ ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები... ძველაღმოსავლურ ცივილიზაციათა ისტორია, ძირითადად, სახელმწიფოების ისტორიაა, შესაბამისად მათი ისტორიის პერიოდიზაცია ემყარება მმართველი დინასტიების ცვლას. ბაბილონისა და ასურეთის, აგრეთვე ხეთების ისტორიას, ტრადიციულად, ჰყოფენ სამ პერიოდად (ძველ, შუა და ახალ სამეფოებად), რასაც საფუძვლად უდევს ეგვიპტის ისტორიის პერიოდიზაცია.[6] ამგვარი პერიოდიზაცია ვრცელდება სირიასა და ელამზეც. ეს ძალიან მოსახერხებელია სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის სინქრონიზმების დადგენისას. შედარებით ზოგადი პერიოდიზაციისას შესაძლებელია, რომ III-II ათასწლეულები (ბრინჯაოს ხანა) გამოეყოთ I ათასწლეულისგან (რკინის ხანისგან). გარკვეული საფუძველი აქვს III და II ათასწლეულების ერთმანეთისგან გამიჯვნასაც : III ათასწლეული შედარებით იზოლირებული და მომცრო სახელმწიფოების („ქალაქ-სახელმწიფოების“) ხანაა, II ათასწლეულში წარმოიქმნა პირველი იმპერიები (ბაბილონი, ასურეთი, ხეთების სამეფო, მარი, მითანი, სირია-პალესტინის სამეფო-სამთავროები, ელამის სამეფო), ხოლო I ათასწლეულში – „მსოფლიო იმპერიები“ (ასურეთი, ბაბილონი).

როგორც ვხედავთ, ასირიოლოგიის შესასწავლი სამყაროს ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ფართოა და დაახლოებით 30 საუკუნეს მოიცავს. ასევე ვრცელია გეოგრაფიული საზღვრებიც. თუმცა, ეს არის ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად შეკრული სამყარო,

[6] მას, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო მანეთონის, ეგვიპტელი ქურუმის მიერ 30 დინასტიის გამოყოფა და შემდგომ მათი სამად დაჯგუფება, სამ პერიოდად გაერთიანება.

რომლის ერთიანობას, მნიშვნელოვანწილად, მესოპოტამიური ცივილიზაცია განაპირობებს. ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ყველა პერიოდი არ არის წერილობითი წყაროებით ერთნაირად კარგად დოკუმენტირებული. ერთ-ერთი ისტორიკოსის თქმით, ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორია შეიძლება შეეადაროთ ბნელ ოთახს, რომლის მხოლოდ რამდენიმე წერტილში ჩანს სინათლე. ეს არის წერილობითი წყაროებით „განათებული" ცალკეული ადგილები ან პერიოდები, დანარჩენი კი ბნელით არის მოცული. რამდენადაც რთული არ უნდა იყოს, ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიკოსის მოვალეობაა, რომ ამ უაღრესად ერცელი რეგიონის ხანგრძლივი ისტორია მთლიანობაში აღიქვას.

2. ლურსმული დამწერლობის სისტემა

2.1. პიქტოგრაფიიდან ლურსმულ დამწერლობამდე

ძველი ისტორია დამწერლობის გაჩენასთან ერთად იწყება. ადამიანი თავიდანვე ისე როდი წერდა, როგორც ღეს წერს. დამწერლობამ განვითარების გრძელი გზა განვლო, ადამიანმა ბევრი სხვადასხვა სისტემა გამოსცადა, სანამ თანამედროვე, ანბანურ დამწერლობას შექმნიდა.

ძნელი სათქმელია, შეიძლება თუ არა დამწერლობას მიეკუთვნოთ ის სიუჟეტური ნახატები და ცალკეული სიმბოლოები, რომლებსაც პრეისტორიული ადამიანი გამოქვაბულის კედლებზე თუ კერამიკულ ნაწარმზე ხატავდა. ამ გამოსახულებებს უფრო რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, ვიდრე ინფორმაციის შენახვა-გადაცემისა. თუმცა, ზოგიერთი პრიმიტიული ხალხი ახალ დროში სიუჟეტურ ნახატს სამდვილად დამწერლობის ფუნქციით იყენებდა, რაც არ გვაძლევს უფლებას, სრულიად გამორიცხოთ ძველი ნახატების ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ხატოვან დამწერლობას სხვაგვარად „პიქტოგრაფიულსაც" უწოდებენ.

უკვე ნამდვილად დამწერლობასთან გვაქვს საქმე მას შემდეგ, რაც აღამიანი შესანახ-გადასაცემი ინფორმაციის ერთეულებად დაშლას და ამ ერთეულებისათვის შესაბამისი ნიშნების გამოყენებას იწყებს. ის პირველი ინფორმაციული ერთეული, რომელიც ადამიანმა გამოაცალკევა, ცხადია, სიტყვა იყო. დამწერლობას, რომლის ერთი ნიშანი ერთ სიტყვას შეესაბამება, „იდეოგრაფიული" („ლოგოგრაფიული") ეწოდება, თვით ნიშანს კი – „იდეოგრამა" („ლოგოგრამა"). ხშირად იდეოგრამას ან ლოგოგრამას ენაცვლება „ირიოგლიფი" (შედგება ბერძნული სიტყვებისგან – „წმინდა" და „აღბეჭდვა, (წარწერის) ამოკვეთა"), რაც მრავალსაუკუნოვანი შეცდომიდან მომდინარეობს. ეგვიპტეში

ჩასულ ბერძნებს, რომელთაც სურდათ ეგვიპტური დამწერლობის სწავლა, ეგვიპტელი ქურუმები თავიანთ დამწერლობას წმინდა ნიშნებად აცნობდნენ და მის საიდუმლოს ერთგულად ინახავდნენ. ტერმინები – „იეროგლიფი“, „იეროგლიფური“ თავდაპირველად ეგვიპტური ნიშნებისთვის გამოიყენებოდა (იმისგან დამოუკიდებლად, იდეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა მას თუ ფონეტიკური), შემდეგ კი სხვა მსგავს დამწერლობებზეც გავრცელდა (მაგალითად, ჩინურ დამწერლობაზე ან, შორს რომ აღარ წავიდეთ, ანატოლიაში დადასტურებულ ლუვიურ დამწერლობაზე).

იდეოგრაფიული დამწერლობის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ შეგვიძლია გავიგოთ ნიშნის შინაარსი იმ ენის ცოდნის გარეშე, რომელზეც ტექსტის დამწერი ლაპარაკობს. ძირითადი ნაკლი კი ნიშანთა დიდი რაოდენობა და გრამატიკული კატეგორიების გადმოცემის შეუძლებლობაა. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ასევე აბსტრაქტულ ცნებათა გადმოცემა. დამწერლობის ეს სისტემა დღემდე შემორჩა ზოგ ხალხს, მაგალითად, ჩინელებს, იაპონელებს.

იდეოგრაფიული დამწერლობის ნაკლოვანებათა გამოსწორება სიტყვის დაშლის და მისი ფონეტიკურად გადმოცემის საშუალებით შეიძლებოდა. ადამიანმა სიტყვა თავდაპირველად მარცვლებად დაშალა. დამწერლობას, სადაც ერთი ნიშანი ერთ მარცვალს აღნიშნავს, „მარცვლოვანი“ ანუ „სილაბური“ ეწოდება. სუფთა სახით მარცვლოვანი დამწერლობა იშვიათად გვხვდება (ასეთია, მაგალითად, B-ხაზოვანი, რომელიც ზოგიერთ მეცნიერს ხელოვნურად შექმნილად მიაჩნია). ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვების გადმოსაცემად კელაე გამოიყენებოდა იდეოგრამები, პირველ რიგში, წაკითხვის სიმარტივისათვის. ასეთ შერეულ დამწერლობას იდეოგრაფიულ-სილაბური ეწოდება. ამ კატეგორიას განეკუთვნება ეგვიპტურიც და ლურსმულიც. ეს უკანასკნელი შუმერებმა შექმნეს (ხუთი ათასზე მეტი წლის წინ), მათგან კი მთელ ძველ ახლო აღმოსაელეთში გავრცელდა.

ლურსმულ დამწერლობას იყენებდნენ სხვადასხვა წარმოშობის და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხები. მისი გავრცელების არეალმა შექმნიდან სამი ათასი წლის მანძილზე საკმაოდ ერცელი ტერიტორია მოიცვა – ელამიდან კაპადოკიამდე და ეგვიპტიდან ურარტუმდე. დამწერლობის ეს სისტემა შუმერებისგან აიღეს აქადელებმა, მათგან კი მათმა მემკვიდრე ბაბილონელებმა და ასურელებმა. ის აგრეთვე გამოიყენეს საკუთარ ენაზე საწერად ხურიტებმა, ხეთებმა და სხვ.; ქანანელებმა, ელამელებმა, სპარსელებმა და ა.შ. ეს ლურსმული დამწერლობა გარდაქმნეს, სახე უცვალეს, გაამარტივეს და ახალი, უაქტობრივად, ანბანური დამწერლობები შექმნეს.

აღნიშნულ დამწერლობას „ლურსმული“ უწოდეს ამ დამწერლობით შესრულებული წარწერების პირველმა აღმომჩენმა ორიენტალისტებმა, რომლებმაც ნიშნები ფორმით ლურსმანს (სოლს) მიამსგავსეს.[7] შემდგომ, უფრო ძველი წერილობითი დოკუმენტების აღმოჩენის შედეგად, გაირკვა, რომ ამ დამწერლობას ევოლუციის ხანგრძლივი გზა ჰქონდა გაელილი და თავიდან სულაც არ იყო ისეთი, როგორც მისი განვითარების ბოლო სტადიებზე. ჯერ კიდევ შუმერების ხელში, თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი ნახატები (პიქტოგრამები) ძლიერი სტილიზაციის შედეგად ლურსმნების კომბინაციებად იქცნენ, სადაც თავდაპირველი სიმბოლოები უკვე ძნელი საცნობია. წერდნენ, ძირითადად, თიხის სველ ფირფიტაზე წაწვეტებულბოლოიანი ჩხირით, რომელიც, როგორც წესი, ლერწმისგან მზადდებოდა. ფირფიტას შემდეგ მზეზე აშრობდნენ ან ღუმელში გამოწვაედნენ სიმაგრისთვის. აღსანიშნავია, რომ ხშირად ხანძარს უნდა ეუმადლოდეთ იმ ფირფიტების გადარჩენას, რომლებიც შესანახად გამიზნული არ ყოფილა. საწერად იყენებდნენ სხვა მასალასაც – ქვას, ლითონს, ცვილს.

უძველეს შუმერულ დოკუმენტებზე ლურსმული ნიშნების წინამორბედი ნიშნები პიქტოგრამებს („ნახატებს“) წარმოადგენენ, მაგრამ ეგვიპტური დამწერლობისგან განსხვავებით, შუმერულ ნიშნებს დიდხანს არ შეუნარჩუნებიათ ხატოვანი ფორმა. რბილ თიხაზე გამოსახულმა ხაზებმა თანდათან ლურსმნის მოხაზულობა მიიღეს. მოხრილი ხაზები შეცვალა ორმა ნაჭდევმა, რომლებიც კუთხეს ქმნიან ერთმანეთის მიმართ. თანდათან რთული ნახატები სქემატური ნიშნებით შეიცვალა. საწერი მასალა გაელენას ახდენდა წერის მანერაზე – ქვაზე წარწერებს ლაპიდარულ სტილს უწოდებენ, ხოლო თიხის ფირფიტებზე ტექსტები კურსივითაა შესრულებული. ლაპიდარული სტილით არის შექმნილი ცნობილი „ხამურაბის კანონები“, კურსივით კი შესრულებულია ძველბაბილონური ტექსტების დიდი ნაწილი – წერილები, კონტრაქტები, სამისნო ტექსტები და ა.შ.; ლაპიდარულსა და კურსივს შორის დაახლოებით ისეთივე განსხვავებაა, როგორც ბეჭდურ შრიფტსა და ხელნაწერს შორის. ძვ.წ. I ათასწლეულში ჩამოყალიბდა შედარებით უფრო მარტივი სტილი – ახალასურული.

---

[7] Keilschrift (გერმანულად); cunéiforme (ფრანგულად) / cuneiforme (ინგლისურად), რაც მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან cuneus „ლურსმანი, სოლი“. აღსანიშნავია, რომ „ლურსმული ნიშნის“ აღმნიშვნელი სიტყვა აქაღურ ენაშიც არის დაღასტურებული: santakkum „სამკუთხედი“ (= შუმ. sag.dù), „ლურსმანი – ნიშანი დამწერლობაში“ (= შუმ. santak₄); nēmeq Nabû tikip santakki/sattakki „(ღვთაება) ნაბუს შემოქმედება – ლურსმული ნიშნები“.

ამ სტილით არის ჩაწერილი ე.წ. სტანდარტულ ბაბილონურ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშები. ნიშანთა თანამედროვე ცხრილებშიც ახალასურული ლურსმული ნიშნებია მოცემული.

ლურსმულ ნიშნებში განასხვავებენ: 𒀸 ჰორიზონტალურ, 𒀹 𒀺 დახრილ, 𒌋 „სამკუთხა“,[8] 𒁹 ვერტიკალურ ლურსმულ ნიშნებს. ჩამოთვლილ ელემენტთა კომბინაცია იძლევა სხვადასხვა ნიშანს, მაგალითად, 𒈦, 𒋾 და სხვ.

ჯერ კიდევ აქადელები ცდილობდნენ ლურსმული ნიშნების დაჯგუფებას და ტაბულების შედგენას. ასირიოლოგთა მიერ შექმნილ ცხრილებში ნიშანთა გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებას საფუძვლად უდევს ნიშნების შემადგენელი ელემენტების (ჰორიზონტალური, დახრილი და ა.შ.) განლაგება. თანამედროვე ტაბულებში ნიშნები სწორედ მათი ამ თანმიმდევრობით (ჰორიზონტალური, დახრილი, სამკუთხა, ვერტიკალური) გართულების მიხედვით არის დალაგებული: ჯერ მოცემულია ნიშნები, რომელთა პირველი ელემენტი არის ჰორიზონტალური ლურსმული ნიშანი და მხოლოდ მას მერე, რაც ამოიწურება ზემოთ მითითებული თანმიმდევრობით ყველანაირი კომბინაცია (𒀸, 𒀼, 𒈦, 𒂊, 𒀾 და ა.შ.), იწყება ახალი ჯგუფი ნიშნების, რომელთა პირველი ელემენტი უკვე ორი ჰორიზონტალური ლურსმული ნიშანია (𒈨, 𒋙 და აშ.), შემდეგ – სამი და მეტი ჰორიზონტალი. შემდეგ მოდის ნიშნები, რომელთა პირველი ელემენტია დახრილი ლურსმული ნიშანი და ა.შ. ამრიგად, ყოველი ახალი დაჯგუფება თანამედროვე ცხრილებში მოცემულ ასეთ თანმიმდევრობას მიყვება: 𒀸 𒌍 𒀹 𒌋 𒁹 𒈫 𒐈.

მინიმალური განსხვავება ნიშნებს შორის ხშირად სირთულეებს ქმნის ცხრილში მის ამა თუ იმ ადგილას მოთავსებასთან დაკავშირებით. პრობლემას შეიძლება ქმნიდეს, მაგალითად, საკითხი: ოთხ ჰორიზონტალად უნდა ჩავთვალოთ თუ ორ ჰორიზონტალად ნიშნები, რომლებშიც ორი შუა ჰორიზონტალი ოდნავ შიგნით არის შეწეული? ერთი ცხრილის მიხედვით, ორი სხვადასხვა ნიშანი სხვა ცხრილში, შესაძლოა, ერთი ნიშნის ორ ვარიანტად იყოს შეტანილი და ნიშანთა ცხრილით მოსარგებლისთვის ყოველთვის გასაგები შეიძლება არც იყოს ამა თუ იმ ნიშნის ადგილი ცხრილში. თუმცა, „ლურსმული ანბანის“ ძირითადი პრინციპი ყველა ცხრილისთვის

[8] „Wedge“ (ინგლისურად), „Winkelhacken“ (გერმანულად), „tête de clou“ (ფრანგულად).

საერთოა და გარკვეული ვარჯიშის შემდეგ სასურველი ნიშნის მოძებნა საგანგებო გაწაფულობას აღარ მოითხოვს.

2.2. ლოგოგრამა/იდეოგრამა, სილაბოგრამა

შუმერული დამწერლობა თავდაპირველად ლოგოგრაფიული იყო. ამგვარ სისტემაში ერთი ნიშნანი, გრაფემა ერთ სიტყვას ან ცნებას აღნიშნავს. ასეთ ნიშანს, როგორც მემოთ უკვე ვთქვით, ლოგოგრამა ანუ იდეოგრამა ეწოდება. თანდათან, ერთი ნახატით მონათესავე ცნებების აღნიშვნაც დაიწყეს. ცალკეული ნიშნის მნიშვნელობის გაუართოებასთან ერთად აღწევდნენ გრამატიკული ელემენტების გამოხატვასაც. მოგვიანებით გრაფემები ფონეტიკურ მნიშვნელობას იძენდნენ და ცალკეულ მარცვლებს (ბგერას /ხმოვანს ან ბგერათა ჯგუფს) გამოხატავდნენ. მათ „სილაბოგრამებს“ უწოდებენ. ლოგოგრაფიული /იდეოგრაფიული სისტემიდან განვითარდა კომბინირებული – ლოგოგრაფიულ (/იდეოგრაფიულ)-სილაბური დამწერლობა. ლურსმული ნიშნების უმრავლესობას ორივენაირი – ფონეტიკური და იდეოგრაფიული – მნიშვნელობა აქვს. ასეთ ნიშნებს პოლივალენტურ ნიშნებს უწოდებენ. ასეთია, მაგალითად, 𒄑 giš „ხე“, იჭ. თუმცა, გეხვდება ისეთი ნიშნებიც, რომლებიც მხოლოდ ფონეტიკურად იკითხება ან მხოლოდ იდეოგრაფიულად.

შუმერულ იდეოგრამებს “შუმეროგრამებსაც” უწოდებენ. ყველა ლურსმულ დამწერლობაში ამა თუ იმ ნიშნის ლოგოგრაფიული მნიშვნელობა იგივეა. ამიტომ სულ ერთია ლოგოგრამას რომელ ენაზე წაიკითხავთ, ამით მისი მნიშვნელობა არ შეიცვლება. მაგალითად, 𒀭 შუმერულად იკითხება – dingir, აქადურად – ilu(m), ხეთურად – šiu- და ა.შ.; ასევე, 𒆳 შუმერულად იკითხება – kur, აქადურად – mātum, ხეთურად utne-. ნათქვამი რომ კიდევ უფრო გასაგები გახდეს, მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ რიცხვების აღმნიშვნელი არაბული ნიშნები (ციფრები), რომელთა წაკითხვა განსხვავებულია სხვადასხვა ენაზე (1 – ერთი, one, un, ein, один და ა.შ.), მნიშვნელობა კი საერთოა ყველასთვის, ვინც მათ იყენებს. ჩვეულებრივ, მიღებულია ლოგოგრამების ყველაზე ძველი, შუმერული წაკითხვა.

ბაბილონელებმა და ასურელებმა შუმერულ ნიშნებს ახალი ფონეტიკური მნიშვნელობები შესძინეს. ვინაიდან შუმერულისგან ძლიერ განსხვავებული ასურულ-ბაბილონური (აქადური) ფონეტიკური სისტემა არ თანხვდებოდა შუმერულისას, შუმერულისთვის უცხო თანხმოვნები შუმერული დამწერლობით, ბუნებრივია, ზუსტად ვერ გადმოიცემოდა. ამის გამო, მიმსგავსებულ

ბგერებს იყენებდნენ. ასე, მაგალითად, ასურულ-ბაბილონურისთვის დამახასიათებელ ემფატიკურ ნიშნებს – ṭ, q, ṣ – გადმოსცემდნენ მარცვლით, რომელიც შეიცავდა t ან d, k ან g, z ან s თანხმოვნებს. ეს, რა თქმა უნდა იწვეევდა იმას, რომ ერთ სილაბოგრამას ჰქონდა რამდენიმე ფონეტიკური მნიშვნელობა, მაგ.,  qi/ki,  ṣa/za და ა.შ. თანდათან ხდებოდა მათი გამიჯვნა – სხვადასხვა ნიშნით გადმოცემა: მაგალითად,  ṭu და  du.

2.3. დეტერმინატივი, ფონეტიკური კომპლემენტი

ზოგიერთ ლურსმულ ნიშანს, ფონეტიკური და იდეოგრაფიული მნიშვნელობის გარდა, გრაფიკული ინდიკატორის ფუნქცია აქვს დაკისრებული და წაკითხვის გასაიოლებლად არის მოგონილი. მათ ეწოდებათ „დეტერმინატივები“ და „ფონეტიკური კომპლემენტები“.

დეტერმინატივი, ძირითადად, ლოგოგრამას წარმოადგენს. დეტერმინატივის როლში, შედარებით იშვიათად, სილაბოგრამებისგან შედგენილი სიტყვაც შეიძლება შეგვხვდეს. დეტერმინატივი წინ უძღვის (= პრედეტერმინატივი) ან, უფრო იშვიათად, მოსდევს სიტყვას (= პოსტდეტერმინატივი) და განსაზღვრავს სემანტიკურ ჯგუფს, რომელსაც მოცემული სიტყვა მიეკუთვნება. მაგალითად, ნიშანი  (შუმ. uru „ქალაქი“) ქალაქის სახელის წინ დეტერმინატივის როლს ასრულებს. ტრანსკრიფციისას ის აღნიშნული იქნება მისი მომდევნო სახელის წინ, გემოთ: მაგალითად, ^{URU}Aššur „(ქალაქი) აშური“. იმავე სახელწოდების მქონე ღვთაების წინ, შესაბამისად, გვხვდება ღვთაების დეტერმინატივი ( შუმ. dingir „ღვთაება“, შემოკლებით D ან d – პირველი ასო ლათინური სიტყვისა deus) – ^{d}Aššur „(ღვთაება) აშური“. ტრანსკრიფციისას შესაბამის პოზიციაში აღინიშნება პოსტდეტერმინატივიც: მაგალითად, sar „მცენარე“ (sum^{sar} „ნიორი“). ტექსტის ხმამაღლა კითხვისას, დეტერმინატივი, სავარაუდოდ, არ გამოითქმებოდა.

ლოგოგრამას შეიძლება დართული ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე სილაბოგრამა – ფონეტიკური კომპლემენტი, რომელიც აზუსტებს ლოგოგრამის მნიშვნელობას და გრამატიკულ ინფორმაციასაც იძლევა, გვკარნახობს რა მისი ბოლო მარცვლის წაკითხვას. მაგალითად,  ფონეტიკური კომპლემენტის გარეშე ჩვეულებრივ იკითხება შუმერულად dingir „ღმერთი“ (= აქად. ilum, ხეთ. šiu-) ან An „ცის ღმერთი“ (= აქად. Anum), ხოლო  ნიშანი, რომელსაც ფონეტიკური კომპლემენტის როლში დართული აქვს  (ú), უნდა წავიკითხოთ როგორც აქად. šamû „ცა“. ნიშანი  – შუმ. é

("სახლი", აქად. bītum) ფონეტიკური კომპლემენტით -tum () გადმოსცემს შესაბამის აქადურ სიტყვას ნომინატივში (bītum), ხოლო ლოგოგრამაზე tim () სილაბოგრამის დართვით იმავე სიტყვის გენეტივის ბრუნვაა გამოხატული: bītim ().

2.4. პოლიფონია, ჰომოფონია

ლურსმული დამწერლობის წაკითხვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე გამოწვეულია ნიშნების პოლიფონიით – ერთ ნიშანს შეიძლება რამდენიმე ფონეტიკური ან ლოგოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად,  ნიშნით, რომლის ლოგოგრაფიული წაკითხვა არის an („ცა“, „ღმერთი“), თავდაპირველად აღინიშნებოდა მარცვალი an, მოგვიანებით კი მან აღნიშნა სხვა მარცვალიც – il („ღმერთის“ აღმნიშვნელი შუმეროგრამის / dingir შესატყვისი აქადური სიტყვის – ilum შემადგენელი მარცვალი). ერთი ნიშნით () აღინიშნებიან აგრეთვე შემდეგი მარცვლები: ut, tam, par, pir, laḫ და სხვ.

გრაფიკულად შეიძლება აგრეთვე არ აისახებოდეს ბგერა მკლერია, ყრუ თუ ემფატიკური, მაგალითად, ut, ud და uṭ, ki და qi.[9]

არ განირჩევა არც e ან i ხმოვნის შემცველ მარცვალთა უმეტესობა: ერთი და იგივე ნიშანი გადმოსცემს, მაგალითად, ge და gi, ke და ki, ep და ip, ek და ik, აგრეთვე ed, et, eṭ, id, it, iṭ მარცვლებს (თუმცა, არსებობს ცალ-ცალკე ნიშნები me და mi, el და il, en და in მარცვლებისთვის).  ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობებია: aḫ, eḫ, iḫ, uḫ.

 აღნიშნავს *w* თანხმოვნის/ნახევარხმოვნის სხვადასხვა ხმოვანთან ერთმარცვლიან კომბინაციას: wa, we, wi, wu, ხოლო გადმოსცემს: ja, je, ji, ju მარცვლებს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნის წაკითხვა დაკავშირებულია სიტყვის ამოცნობასთან, გრამატიკული ფორმის გათვალისწინებასთან.

რამდენიმე ლურსმულ ნიშანს შეიძლება ერთი და იგივე ფონეტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს. ამას „ჰომოფონიას“ უწოდებენ. ტრანსლიტერაციისას ჰომოფონებს განასხვავებენ

---

[9] აქადური ენის გვიანდელი დიალექტებისთვის გამოყენებულ დამწერლობაში ბგერების განსასხვავებლად სპეციალური ნიშნები გაჩნდა დამატებით. მაგალითად, დასტურდება qi-ს აღმნიშვნელი სპეციალური ნიშანი . ამის გამო, ნიშანს – /ki/, როდესაც ის /qi/ ფონეტიკური მნიშვნელობით გეხდება, გადმოვეცემთ ასე: qi (რომ განვასხვაოთ qi ნიშნისგან). ამგვარი პირობითობის დაცვა აუცილებელია იმისთვის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეგვეძლოს კონკრეტული ლურსმული ნიშნის წარმოდგენა თუ ამოცნობა.

პირობითი აღნიშვნით (მახვილით ან ქვემოთ მიწერილი ციფრით), რომელიც შეესაბამება მათი ხმარების სიხშირეს. გრაფემის პირველად გამოვლენილი ან ყველაზე მეტად გავრცელებული მნიშვნელობა გადმოიცემა სპეციალური აღნიშვნის გარეშე (მაგალითად, tu = 𒌅); მას, გამოყენების სიხშირით, მოსდევს მკვეთრმახვილიანი (ზოგიერთი კლასიფიკაციით, აღნიშნული ციფრით 2: მაგალითად, tú / tu_2 = 𒌆) და ბლაგვმახვილიანი (ზოგიერთი კლასიფიკაციით, აღნიშნული ციფრით 3: მაგალითად, tù / tu_3) ჰომოფონები, შემდეგ კი მნიშვნელობები, ქვემოთ მიწერილი ციფრებით 4, 5 და ა.შ., მზარდი თანმიმდევრობით: მაგალითად, tu_4, tu_5, tu_6 და ა.შ., tu_{21}-ის ჩათვლით. ეს არ ნიშნავს, რომ tu-ს შემთხვევაში ოცდაერთივე ნიშანია დადასტურებული ამა თუ იმ ენისთვის გამოყენებულ დამწერლობაში. ეს ნიშნები ასახავენ ლურსმული დამწერლობის გავრცელების მთელ არეალში (ე.ი. მთელ ახლო აღმოსავლეთში) გამოვლენილი ნიშნების ჰომოფონიას და მათი კონკრეტული ფონეტიკური მნიშვნელობით წაკითხვის სიხშირეს. x-ით აღნიშნული მარცვალი (მაგალითად, tu_x) იმაზე მიუთითებს, რომ სილაბოგრამას ნიშნების ცხრილში ჯერ არ აქვს მინიჭებული სათანადო ნომერი.

ამგვარი ჰომოფონური ნიშნები, ჩვეულებრივ, თავისუფლად მონაცვლენი არიან. ძალიან იშვიათად კი გარკვეული კანონზომირება შეიძლება შევნიშნოთ ამა თუ იმ ჰომოფონის ხმარებასთან დაკავშირებით. მაგალითად, იშვიათი გამონაკლისით, მხოლოდ 𒌈𒌅 (ù / u_3) ნიშნით არის აღნიშნული ძველბაბილონურში კავშირები u („და“) და ū („ან“).

2.5. მარცვალთა სტრუქტურა

მარცვალი, რომელიც ცალკეული ნიშნით (გრაფიკული სიმბოლოთი) გამოიხატება, შემდეგი სტრუქტურისაა:

ა) ხმოვანი/V (vocalis): *a*, *e* და სხვ.

ბ) თანხმოვანი + ხმოვანი/CV (consonans + vocalis): ba, da, ga და სხვ.;

გ) ხმოვანი + თანხმოვანი/VC (vocalis + consonans): ab, ad და სხვ.;

დ) თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი/CVC (consonans + vocalis + consonans): ḫal, bal და სხვ.

CVC მარცვალი შეიძლება ასეც იყოს დაშლილი: CV + VC, მაგალითად, ba-at, რომელიც გადმოსცემს bat მარცვალს და არა გრძელ ხმოვანს ან ორ ხმოვანს b და t თანხმოვნებს შორის. სიტყვა

dannum („ძლიერი“) შეიძლება გრაფიკულად ასე იყოს გამოხატული: dan-num, da-an-nu-um, dan-nu-um.

ძალიან იშვიათია ორმარცვლიანი ნიშნები, რომლებიც ახალასურულ ტექსტებში გვხვდება, მაგალითად, baba, bada და სხვ.

ლურსმული ორთოგრაფიის ზოგადი წესის თანახმად, სიტყვაში თითქმის არასოდეს გვხვდება მარცვალთა შემდეგი თანმიმდევრობა: (C)VC-V(C).[10]

2.6. ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია

ლურსმული ნიშნებით შედგენილ ტექსტს ლათინური ასოებით გადმოვცემთ რამდენიმენაირად: ტრანსლიტერაცია თითოეული ნიშან-სიმბოლოს ფონეტიკურ მნიშვნელობას გადმოსცემს და დეფისით აკავშირებს მას სიტყვის შემადგენელ მომდევნო მარცვალთან; სიტყვები ინტერვალით გამოიყოფა ერთმანეთისგან, ხოლო დეტერმინატივი და ფონეტიკური კომპლემენტი შესაბამის პოზიციაში აღინიშნებიან. აქადური, ხეთური ან სხვა ტექსტის ტრანსლიტერირებისას სიტყვებს, ჩვეულებრივ, პატარა ლათინური ასოებით და დახრილად (მინუსკულური კურსივით) გადმოვცემთ, ხოლო ლოგოგრამებს /შუმეროგრამებს, აგრეთვე ნიშნებს, რომელთა ფონეტიკური მნიშვნელობა დაზუსტებით ცნობილი არ არის – დიდი ან პატარა ლათინური ასოებით (მთავრულით ან ნუსხურით /მინუსკულით). მიმატების ნიშანი (+) აღნიშნავს ორი მარტივი ნიშნისგან შედგენილ რთულ ნიშანს, მაგალითად,  SIG_5 (IGI + ERIM) „კარგი, ხელსაყრელი (ყოფნა)“; ხოლო ერთ ნიშანში (მაგალითად, KA „პირი“) სხვა ნიშნის (მაგალითად, A „წყალი“) ჩართვის შედეგად მიღებული ნიშანი  ასე აღინიშნება: KAxA (= NAG „დალევა“).

ტრანსლიტერაცია ზუსტად ასახავს ტექსტის გრაფიკულ სურათს. სპეციალური პირობითი ნიშნების მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელი გრაფიკული ნიშანი დგას ამა თუ იმ მარცვლის ან ლოგოგრამის მიღმა, მაგრამ ტრანსლიტერაცია, უმთავრესად, ზუსტად არ გადმოსცემს ლინგვისტურ ფორმას.

ტრანსკრიფცია (ინგლისურენოვან ლიტერატურაში შეხვდებით აგრეთვე ტერმინს – „ნორმალიზაცია“) გადმოსცემს სიტყვას ისე, როგორც ის გამოითქმებოდა (სავარაუდოდ ან დაზუსტებით). ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის, თანხმოვანთა გაორმაგების ასახვას. ლოგოგრამა

[10] გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, აქადურში თანხმოვნის მომდენო ალეფის აღნიშვნაა საჭირო.

ტრანსკრიბირებისას, როგორც წესი, იმ ენაზე გადმოიცემა, რომელ ენაზეც არის ტექსტი შედგენილი (მაგალითად, LUGAL „მეფე“ აქადურ ტექსტში უნდა წავიკითხოთ როგორც *šarrum*, ხეთურში – ḫaššu- და სხვ.). ეხვდებით შერეულ გადმოცემასაც: ტრანსლიტერირებულ ტექსტში მოცემულია ლოგოგრამის აქადური ან სხვ. წაკითხვა, რომელსაც ფრჩხილებში დართული აქვს ლოგოგრამაც. ასე, მაგალითად, *šar-ru-um* ^{giš}*daltam*(IG) *īpuš*(DU-*uš*). ამგვარი გადმოცემა სრულად ასახავს ტექსტში გამოყენებულ ნიშან-სიმბოლოებს და ნაწილობრივ – ლინგვისტურ ფორმებს.

ახალასურული მარტივი ნიშნების ცხრილი

a		e		i		u	
		é				ú	
						ù	
a’,’a		e’,’e		i’, ’i		u’,’u	
ba		be		bi		bu	
ab		eb		ib		ub	
da		de		di		du	
ad		ed		id		ud	
ga		ge		gi		gu	
ag		eg		ig		ug	
ḫa		ḫe		ḫi		ḫu	
aḫ		eḫ		iḫ		uḫ	
						úḫ	
ka		ke		ki		ku	
ak		ek		ik		uk	
la		le		li		lu	
				lí			
al		el		il		ul	
ma		me		mi		mu	
am		em		im		um	
na		ne		ni		nu	
an		en		in		un	
pa		pe		pi		pu	
				pí			
ap		ep		ip		up	
qa		qe		qi		qu	
qá		qé		qí		qú	
aq		eq		iq		uq	
ra		re		ri		ru	
ar		er		ir		ur	
ár						úr	

sa		se		si		su	
sà						sú	
as		es		is		us	
ás						ús	
ṣa		ṣe		ṣi		ṣu	
				ṣí		ṣú	
aṣ		eṣ		iṣ		uṣ	
ša		še		ši		šu	
šá						šú	
aš		eš		iš		uš	
áš							
ta		te		ti		tu	
at		et		it		ut	
ṭa		ṭe		ṭi		ṭu	
aṭ		eṭ		iṭ		uṭ	
wa		we		wi		wu	
ya		ye		yi		yu	
za		ze		zi		zu	
az		ez		iz		uz	

3. ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხები და ენები

ძველი ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციების შემქმნელია სხვადასხვა ხალხი. თითოეულს თავისი ისტორია აქვს და ამავე დროს განუყოფელი ნაწილია ამ სამყაროს ერთიანი ისტორიისა. მოკლედ მიმოვიხილოთ ძველი ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციების შემქმნელი ხალხები და მათი ენები.[11]

რა ვიცით იმ ხალხების შესახებ, რომლებიც შორეულ წარსულში ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ?

ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ტექსტების გაჩენა გვიადვილებს ეთნიკური ნიშნით ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის გამოყოფას, მათი ენების იდენტიფიკაციის და ავტოეთნონიმის (თვითსახელწოდების) ან ალოეთნონიმის (სხვის მიერ წოდებული სახელის) მეშვეობით. თუმცა, ეს საკმაო რისკის შემცველია, ვინაიდან ენა შეიძლება განსაზღვრავდეს ადამიანთა ჯგუფს კულტურული და არა ეთნიკური კუთხით.

[11] თავად ამ ცივილიზაციათა ისტორია, მათი შესწავლის პრობლემატიკა და კვლევის ძირითადი მიმართულებები განხილულია ასირიოლოგიის შესავლის უფრო ვრცელ, ერთსემესტრიან კურსში, რომელიც ასირიოლოგიის საბაკალავრო პროგრამით არის გათვალისწინებული.

არქეოლოგია, ადამიანთა გამქრალი ჯგუფების მიერ დატოვებულ მატერიალურ ძეგლებზე დაყრდნობით, ბუნებრივია, ცდილობს გამოავლინოს ამ მატერიალურ კულტურაში რღვევის მომენტი. ხშირად ის ამას ხსნის ახალი ეთნიკური ერთობის შემოჭრით, მაგრამ ასეთი მიდგომა ყოველთვის არ ითვალისწინებს ორ პარამეტრს. ერთი მხრივ, ერთი და იგივე მატერიალური კულტურა შეიძლება შეთვისებული იყოს რამდენიმე ხალხის მიერ, რომელთაც ერთმანეთთან არ ჰქონიათ პირდაპირი კავშირი. მეორე მხრივ, ერთსა და იმავე მატერიალურ კულტურაში ცვლილებები შეიძლება არ უკავშირდებოდეს ერთი ეთნიკური ჯგუფის ჩანაცვლებას სხვა ჯგუფით. აუცილებელია სხვადასხვა მონაცემის (ანთროპომეტრული, ლინგვისტური, არქეოლოგიური) კომპლექსური გათვალისწინება. თუმცა, შედეგი ხშირად მაინც ილუზორული და რეალობას დაშორებული შეიძლება მივიღოთ.

მეცნიერთა აზრით, ძველაღმოსავლურ ქვეყნებში აღგილი ჰქონდა, ძირითადად, ისეთ ეთნიკურ მიგრაციულ პროცესებს, როდესაც ხდებოდა ახალი ეთნიკური ჯგუფის მშვიდობიანი გზით შეღწევა სხვა ეთნოსის ტერიტორიაზე, ასიმილაცია აღგილობრივ მოსახლეობასთან. გარკვეული დროის მანძილზე მყარდებოდა ორენოვნება, მომდევნო ხანებში კი ერთ-ერთი (უმეტესწილად, მომხვდურთა) ენა ბატონდებოდა, თუმცა, ძირითადად, აღგილობრივი, უფრო განვითარებული კულტურა იმარჯვებდა. ამის არაერთ მაგალითს გვთავაზობს ქვემოთ განხილული ხალხების და მათი ენების მიერ განცდილი ისტორია.

3.1. შუმერები

შუმერების აეტოეთნონიმი ჩვენთვის უცნობია, ხოლო სახელი, რომლითაც მათ მოვიხსენიებთ, აქადური ტექსტებიდან მომდინარეობს (niši mât Šumerim „შუმერის ქვეყნის ხალხი“) და, როგორც ჩანს, გეოგრაფიული ტერმინია.[12] საერთო ეთნიკური თვითსახელწოდების ნაცვლად შუმერულ ტექსტებში გვხვდება შუამდინარეთის მოსახლეობის მოხსენიება „შავთავიანებად“ (sag.ge$_6$.ga), რაც სემიტურენოვან აქადელებზეც გაერცელდა (აქად. ṣalmāt qaqqadim). შუმერის ცალკეული მცხოვრები კი თავის თავს უწოდებდა „კაცს“ ამა და ამ ქალაქისა.

[12] საეარაულოდ, ეს ტერმინი უკავშირდება ბიბლიაში მოხსენიებული სენაარის ქვეყნის სახელს. თუმცა, ძველებრაული, ისევე როგორც ანგიკური, წყაროები შუმერების შესახებ არაფერს გვეუბნებიან.

შუმერულ ენაში დადასტურებული ტოპონიმური მასალა და შუმერულ ენაში შემორჩენილი სხვადასხვა სიტყვა მიგვანიშნებს იმაზე, რომ შუმერები არ ყოფილან შუამდინარეთის თავდაპირველი მკვიდრნი და აქ არქეოლოგიურად დადასტურებულ უძველეს კულტურათა შემქმნელები. მათი წინამორბედი ხალხები სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებიან გაურკვეველი წარმომავლობის მქონე პროტოტიგროსელებად და პროტოევფრატელებად. ასევე გაურკვეველია შუმერების პირვანდელი საცხოვრისი და საკამათოა მათი მოსვლის გზებიც. სავარაუდოდ, მათი პირველი ტალღა სამხრეთიდან, სპარსეთის ყურიდან ჩანს მოსული ჯერ კიდევ IV ათასწლეულის შუა ხანებში. თანდათან ხდებოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი მშვიდობიანი ასიმილაცია და გავრცელება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, დაახლოებით ღვეანდელ ბაღდადამდე.

შუმერების ქვეყნის აღმნიშვნელი რამდენიმე შუმერული ტერმინი გვხვდება: kalam „ქვეყანა“ (ზოგადი აღმნიშვნელი შუმერთა საცხოვრისისა), ki.en.gi (ეტიმოლოგია უცნობია, აღნიშნავდა უშუალოდ შუმერებით დასახლებულ ტერიტორიას, ცენტრალურ და სამხრეთ შუამდინარეთს), ki.uri (აღნიშნავდა ჩრდილოეთ შუამდინარეთს).[13] შუმერული ტრადიციით, მათ უძველეს დასახლებად ერიდუ (დღევანდელი თელ აბუ შაჰრეინი) ჩანს. თანდათან, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან აღმოცენდა სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები – ნიფური (დღევანდელი აფაქი), ურუქი (დღევანდელი ვარქა), ური (დღეევანდელი თელ ალ-მუკაიარი), ლაგაში (დღევანდელი თელლო), ქიში (დღევანდელი თელ უჰეიმირი), შურუფაქი (დღევანდელი თელ ფარა) და სხვ. შუმერული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, ქალაქ-სახელმწიფოების მთავარი ფუნქცია ხელოვნური მორწყვის ორგანიზება იყო. მათ ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი, რომელსაც ჰყავდა მეფე, ჯარი, სასამართლო. მათ შორის ბრძოლა ჰეგემონიისთვის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შუმერულმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა იარსებებს XXI საუკუნის ბოლომდე, როდესაც დასავლეთიდან შემოჭრილ ამორეველებთან ჭიდილში დაუძლურებულები ვეღარც აღმოსავლეთიდან შემოსეულ ელამელებს გაუმკლავდნენ. დაახლოებით, ძვ.წ. 2003 წელს დასრულდა ურის III დინასტია და მასთან ერთად

---

[13] საეარაულოდ „ქიენგი“ ზეპირ მეტყველებაში გამოითქმოდა როგორც „შუმერი“, ხოლო „ქიურის“ შესატყვისი უნდა ყოფილიყო აქადი. ამ მოსაზრებისთვის საუძველს ქმნის ძველბაბილონელ მეფეთა ტიტულატურა, რომელშიც შუმერთა მეფის ტიტულში („მეფე ქიენგის (და) ქიურის“) შემავალი ქვეყნები ჩანაცვლებულია შუმერითა და აქადით.

შუმერის როგორც პოლიტიკური გაერთიანების დიდებაც. ძვ.წ. XX საუკუნის დასაწყისიდან შუმერებმა განიცადეს ასიმილაციას შუამდინარეთის ტერიტორიაზე შემოსულ სემიტურ მოდგმის ხალხებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ XXIV საუკუნეში ჩრდილოეთ შუამდინარეთში პოლიტიკური ბატონობა მოიპოვეს. დაახლოებით, XVIII საუკუნიდან შუმერები ფიზიკურად უკვე აღარ არსებობდნენ, ხოლო მათი ენა II ათასწლეულის დასაწყისიდან აღარ უნდა ყოფილიყო სალაპარაკო ენა, თუმცა, საუკუნეების მანძილზე ის აგრძელებდა არსებობას სემიტურ გარემოში, აქადურთან ერთად, როგორც მწერლობის, განათლებისა და მეცნიერების ენა.

შუმერული ენა შუმერების მიერვეა ჩაწერილი ლურსმული დამწერლობით, რომელიც უძველესია დამწერლობის სისტემებს შორის და კაცობრიობის ერთ-ერთ უღიდეს მონაპოვარს წარმოადგენს. პირველი შუმერული წერილობითი ძეგლები გამოვლენილია ურუქისა და ჯემდეთ-ნასრის არქეოლოგიურ კულტურებში და თარიღდება IV ათასწლეულის მეორე ნახევრით.[14]

გაურკვეველია შუმერული ენის გენეტიკური კავშირები ენათა რომელიმე ოჯახთან. სხვადასხვა ენასთან (სემიტურ, ინდოევროპულ, ალთაურ, კავკასიურ და სხვ.) მისი დაკავშირების მრავალი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, ვინაიდან სისტემური და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები არ გამოვლინდა. ამდენად, ის დგას განცალკევებით და დღესაც იზოლირებულ ენად ითვლება.

შუმერებს, უძველესი დამწერლობის შექმნასთან ერთად, უკავშირდება პირველი ლიტერატურული ტექსტებიც. მათ, ძირითადად, აქადური თარგმანებით ვიცნობთ, თუმცა შუმერულმა ენამ შემოგვინახა ლიტერატურის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში, რაც საკმარისია მათ შემოქმედებით ნიჭსა თუ ლიტერატურულ გემოვნებაზე შთაბეჭდილების შესაქმნელად.

3.2. სემიტები

ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში სემიტური ეთნიკური კომპონენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ის ჩანს შუამდინარეთის ისტორიის სათავეებთან ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ჩნდება წერილობითი ძეგლები. უცნობია, ზუსტად საიდან ან როდის მოეიდა სემიტების პირველი ტალღა შუამდინარეთში. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მათი ძირითადი კერა ჩანს სირია-არაბეთის უდაბნოში.

[14] კიდევ უფრო ძველი, პროტოლურსმული დამწერლობით შესრულებული წარწერა მომდინარეობს ქალაქ ქიშის არქეოლოგიური ფენიდან და ძვ.წ. XXXV საუკუნით არის დათარიღებული. თუმცა, სადავოა, წარწერის ენა შუმერულია თუ არა.

აქედან მომთაბარე ტომების ნაწილი დასახლდა სირია-პალესტინაში, ნაწილი კი – ტიგროსისა და ევფრატის აუზში.

მათ, ვინც III ათასწლეულის ბოლოს და II ათასწლეულში დამკვიდრდნენ ლევანტის მხარეში, „დასაველელ“ სემიტებს უწოდებენ. საერთო თეითსახელწოდება ცნობილი არ არის (ალბათ, არც ჰქონდათ). შუმერები და აქაღელებიც „დასავლელებად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო მათ ტერიტორიას – „დასავლეთად“ (შუმერულად „მართუ“, აქადურად „ამურუ“; აქედან წარმოდგება სახელწოდება „ამორეველი“). ამორეველებმა ძალიან აქტიური როლი შეასრულეს XX-XVIII საუკუნეების შუამდინარეთის ისტორიაში.

II ათასწლეულის დასასრულისთვის პალესტინაში ძველი ებრაული ტომები გადასახლდნენ მდინარე იორდანის სტეპებიდან და შეერივნენ პალესტინაში მცხოვრებ ქანაანურ ტომებს, ხოლო შუამდინარეთში კვლავ გამოჩნდა სემიტების ახალი ტალღა. ესენი იყვნენ არამეელები, რომლებიც დამკვიდრდნენ ჩრდილოეთ შუამდინარეთსა და ლევანტის ქვეყნებში. ამრიგად, ეს მხარე სემიტური მოდგმის ტომების რეგულარული გადაადგილების ასპარეზს წარმოადგენდა. ბოგიერთი ტომი, შესაძლოა, უფრო ადრეული ხანიდან დასახლდა ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე, მაგრამ აგრძელებდა მომთაბარე ცხოვრებას და მათი ურთიერთობა ბინადარ მოსახლეობასთან ხშირად აგრესიულ ხასიათს ატარებდა.

დასავლელი სემიტების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ერთ-ერთ უძველეს ქალაქ-სახელმწიფოს, საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა ებლა. ის მდებარეობდა ღღევანდელი ალეპოს სამხრეთით, 55 კმ-ის დაშორებით, თელ-მარდიხის ადგილას. მის აღმოჩენამდე ერთი-ორი წლით ადრე ამერიკელი არქეოლოგი რ.ჯ. ბრეიდვუდი გაკვირვებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ III ათასწლეულის სირიაში განვითარებული საქალაქო კულტურის არავითარი კვალი არ ჩანდა, ხოლო ცნობილი ასირიოლოგი ე. ფონ ბოდენი აღნიშნავდა, რომ III ათასწლეულის ანატოლიის და სირიის ისტორიის დაწერა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ ამ რეგიონებში დამწერლობა არ იყო დადასტურებული. და აი, 1964 წელს ებლაში აღმოჩნდა უზარმაზარი არქივი, რომელშიც გამოვლინდა შუამდინარეთიდან შეთვისებული ღურსმული დამწერლობით მანამდე უცნობ ენაზე ჩაწერილი ადმინისტრაციული, სამეურნეო, დიპლომატიური, სამართლებრივი, მითოლოგიური შინაარსის ტექსტები, ლექსიკური სიები. სამეცნიერო ლიტერატურაში ებლას „დასავლეთის აქადსაც“ კი უწოდებენ, ადარებენ რა სარგონ დიდის საგახტო ქალაქს. ებლას წერილობით ძეგლებს უაღრესად

დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კვლევისთვის.

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციების სხვა მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ ფინიკიის ქალაქები: ბიბლოსი, ტეიროსი, უგარითი (დღევანდელი რას შამრა), სიდონი. აღრებრინჯაოს ხანიდან იღებს სათავეს ძველი პალესტინის, ქანაანის ქალაქთა უმრავლესობაც. ქანაანის სოციალურ განვითარებას დიდად აფერხებდა ძლიერი მეზობლების (განსაკუთრებით, ეგვიპტის) მხრიდან მისი შეიწროება. XII-XI საუკუნეებში ეგვიპტის, აგრეთვე ასურეთის დასუსტებამ ხელი შეუწყო პალესტინაში ისრაელ-იუდეის და ფილისტიმელთა ჰეგემონობის დამყარებას.[15]

აღმოსავლეთის მიმართულებით გავრცელებული სემიტები, ე.წ. „აღმოსავლელი“ სემიტები, დასახლდნენ სამხრეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთ ნაწილში III ათასწლეულის დასაწყისში. ამორეველთა ტალღით გაძლიერებულნი, II ათასწლეულის დასაწყისიდან, ისინი დაეპატრონენ თითქმის მთელ შუამდინარეთს.

ძვ.წ. II და I ათასწლეულებში შუამდინარეთის ტერიტორია ორ სახელმწიფოს ჰქონდა დაკავებული: ჩრდილოეთით – ასურეთს და სამხრეთით – ბაბილონეთს. თავისი ისტორიის ცალკეულ პერიოდში ორიეე შედიოდა ძველი ახლო აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოთა რიცხვში, ხოლო ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში ასურეთმა შექმნა პირველი „მსოფლიო იმპერია“.

კიდევ უფრო ადრე, ძვ. წ. III ათასწლეულში, შუამდინარეთში სემიტების ცენტრს წარმოადგენდა აქადი, რომელიც შუმერის ქალაქ-სახელმწიფოებთან თანაარსებობდა.

აქადელთა ისტორიის უძველესი პერიოდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეფე სარგონ I-ის ხანა (2340-2284 წწ.), როდესაც შეიქმნა მანამდე არსებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი პოლიტიკური გაერთიანება, გადაჭიმული სირიიდან სპარსეთის ყურემდე. სწორედ სარგონ დიდის დედაქალაქ აქადს უკავშირდება აქადური ენის სახელწოდება (akkadûm).

3.2.1. აქადური ენა

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ აქადურ (ასურულ-ბაბილონურ) ენაზე. ძველი ახლო აღმოსავლეთის ოდესღაც საერთაშორისო ენა, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ კულტურულ ენად არის მიჩნეული.

---

[15] ვინაიდან პალესტინა იუდაიზმის და ქრისტიანობის სამშობლო იყო, მისი სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო ადრე დაიწყო. ცალკე დარგიც კი ჩამოყალიბდა ბიბლიური არქეოლოგიის სახელწოდებით.

ის უძველესია სემიტურ ენებს შორის – დასტურდება ძ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან და საკმაოდ ხანგრძლივი – 2500 წლის ისტორია აქვს. ფართოა მისი გეოგრაფიული გავრცელების არეალიც: აქადურ ენაზე შესრულებული სხვადასხვა შინაარსის ტექსტები აღმოჩენილია ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში, ანატოლიასა და სპარსეთში და, რა თქმა უნდა, აქადური ენის გავრცელების ძირითად რეგიონში – შუამდინარეთში. დაახლოებით, 2600 წლიდან დაიწყო აქადური მომთაბარე ტომების გამოჩენა შუმერებით დასახლებულ ტერიტორიაზე. მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების შედეგად შუმერები თანდათან შეერიენენ აქადელებს. ვინაიდან კულტურული განვითარების მხრივ შუმერები აქადელებზე მაღლა იდგნენ, ამ ორი ხალხის მშვიდობიან სიმბიოზს თან ახლდა შუმერული ენის გავლენა აქადურზე.

აქადური ენა მიეკუთვნება სემიტურ ენათა ოჯახს. ტრადიციული გეოგრაფიული კლასიფიკაციით, აქადური ენა წარმოადგენს ამ ოჯახის ჩრდილო-აღმოსავლურ განშტოებას.[16]

აქადური ენა პირველად დასტურდება ფარას პერიოდის შუმერულ ტექსტებში (დაახლოებით, ძვ.წ. XXVI ს.) მოხსენიებული საკუთარი სახელების სახით. აქადურ ენაზე შედგენილი ტექსტები კი ჩნდება, დაახლოებით, ძ.წ. XXIV საუკუნიდან. აქადურმა ენამ ახ.წ. პირველ საუკუნემდე მოაღწია, თუმცა მანამდე რამდენიმე საუკუნის მანძილზე (დაახლოებით, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან) ის აგრძელებდა არსებობას მხოლოდ როგორც სამწერლობო და სამეცნიერო ენა. სალაპარაკო ენის როლში მას არამეული ჩაენაცვლა. დავიწყებას მიცემული აქადური ენა კვლავ გაცოცხლდა მას მერე, რაც აღმოჩნდა ცნობილი სამენოვანი (აქადურ-ძველსპარსულ-ელამური) წარწერა და გაიშიფრა ლურსმული დამწერლობა. საუკუნეხანავეარზე მეტი ხნის ისტორია აქვს აქადური ენის შესწავლასა და ასეულ ათასობით აქადური ტექსტის გამოცემას. თუმცა, კიდევ მრავალი ტექსტი რჩება გამოსაქვეყნებელი.

თავისი არსებობის 2500 წლის მანძილზე აქადური ენის გრამატიკამ და ლექსიკამ, ბუნებრივია, ცვლილებები განიცადეს. შესამჩნევია რეგიონალური თავისებურებებიც.

---

[16] არსებობს განსხვავებული კლასიფიკაციები: აღმოსავლეთ (აქადური) და დასავლეთ სემიტურ ენათა ჯგუფები; ჩრდილოეთ და სამხრეთ სემიტურ ენათა ჯგუფები თავისი ქვეჯგუფებით. ამ უკანასკნელი კლასიფიკაციით, აქადური წარმოადგენს ჩრდილოეთ სემიტურ ენათა აღმოსავლურ ქვეჯგუფს. სხვადასხვანაირად არის გაანაწილებული ენები ქვეჯგუფების მიხედვითაც.

ძველაქადურ ენაზე შეღგენილი დოკუმენტები (წერილები, სამართლის ძეგლები, მეფეთა წარწერები, ლიტერატურული ტექსტები) განეკუთვნება ძვ.წ. XXIV-XXI საუკუნეებს, სარგონის, ნარამ-სინის და აქადის დინასტიის სხვა მეფეთა ხანას, აგრეთვე ურის III დინასტიის პერიოდს. მხოლოდ ძვ.წ. XX საუკუნიდან ხდება აქადური ენის დაშლა ბაბილონურ (სამხრეთ აქადურ) და ასურულ (ჩრდილოეთ აქადურ) დიალექტებად. მათ შორის განსხვავებები შეინიშნება როგორც ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და ლექსიკაში, ასევე დამწერლობაშიც. ამ სალაპარაკო დიალექტების გვერდით, ბაბილონეთში და ასურეთშიც დასტურდება ხელოვნური „სალიტერატურო“ ენა, რომელიც ძველბაბილონური დიალექტის საფუძველზეა შექმნილი. მას უწოდებენ „სტანდარტულ ბაბილონურს“.[17] ამ დიალექტზეა შესრულებული, მართლაც, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, მათ შორის ცნობილი „ოდეს ზემოთ“ (enūma eliš) და გილგამეშის ეპოსის გვიანდელი, ყველაზე გრძელი ვერსია.

„ცენტრალური“ დიალექტების გარდა გამოვლენილია „პერიფერიული დიალექტებიც“. ასე უწოდებენ სუზაში, უგარითსა და ემარში, ხათუსასა და ალალახში, მარიში, ელ-ამარნასა და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ტექსტების აქადურ დიალექტებს, რომლებმაც ადგილობრივ ენათა გავლენა განიცადეს.

აქადურ ენაზე შემონახული წერილობითი ძეგლები ძალიან მრავალფეროვანია. მათ შორის ვხვდებით ისტორიული შინაარსის ტექსტებს, ხელშეკრულებებს და სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებს, სავაჭრო თუ საქორწინო გარიგების აქტებს, კანონების კოდექსებს, პირად წერილებს, სატრფიალო ნაწარმოებებს, მითებს, რიტუალებს, ლოცვებს, ღვთაებათა სადიდებლებს, სამისნო, სამედიცინო, სასწავლო ტექსტებსა და სხვ.

3.2.2. დასავლეთის სემიტური ენები და დამწერლობები

ზემოთ ნახსენები ტრადიციული კლასიფიკაციით, სემიტური ენების ჩრდილო-დასავლურ ჯგუფს ქმნიან: ებრაული, ფინიკიური, უგარითული (ქანაანური ენების ქვეჯგუფი) და არამეული

---

[17] აქადური ენის დიალექტები და მათი ქრონოლოგიური ეტაპები მისადაგებულია მესოპოტამიის პოლიტიკური ისტორიის პერიოდებისადმი: ძველაქადური (III ათასწლ. შუა ხანები – II ათასწლ. დასაწყისი); ძველბაბილონური, ძველასურული (ძვ.წ. 2000-1500 წწ.); შუაბაბილონური, შუაასურული (ძვ.წ. 1500-1000 წწ.); ახალბაბილონური, ახალასურული (ძვ.წ. 1000-600 წწ.); გვიანბაბილონური (ძვ.წ. 600-ახ.წ. 100).

დიალექტები.[18] რაც შეეხება ებლაურს, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ის უნდა მივაკუთვნოთ იმავე (ჩრდილო-აღმოსავლურ) განშტოებას, რომელსაც აქადური წარმოადგენს.

ეს ენები დღემდე არ არის ბოლომდე შესწავლილი. განსაკუთრებით, ეს ითქმის ებლაურზე, რომელიც ყველაზე გვიან არის აღმოჩენილი მეცნიერთა მიერ. ებლას არქივში დადასტურებული ტექსტები შედგენილია შუმერული დამწერლობით. ძირითადი ნაწილი გადმოცემულია შუმერული იდეოგრამებით, ხოლო ძალიან პატარა პროცენტი – სილაბოგრამებით (ე.ი. ფონეტიკურად) ებლაურ ენაზე, რომლის შესწავლა დღესაც არ არის ბოლომდე დასრულებული. ებლაური ლურსმული ტექსტები პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც საინტერესოა და ბევრ კითხვას წარმოშობს ლურსმული დამწერლობის შეთვისების პერიოდთან თუ გზებთან დაკავშირებით.

ლურსმულ დამწერლობას უძველესი დროიდან იცნობდნენ ბიბლოსშიც და უგარითშიც. მოგვიანებით კი, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში აქ ჩამოყალიბდა ე.წ. კვაზი-ანბანური დამწერლობები (უგარითული, ბიბლოსური, ფინიკიური). აღსანიშნავია, რომ წერის ანბანური პრინციპი გამოგონილია სწორედ დასავლელი სემიტების მიერ და ანბანი, რომლითაც ჩვენ დღეს ესარგებლობთ, ფინიკიიდან მომდინარეობს.

3.3. ელამელები

სახელი „ელამი“ ცნობილია შუმერული და აქადური წყაროებიდან (შუმერ. „ელამა“, აქად. „ელამთუ“) და მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც დღეს უჭირავს სამხრეთ-დასავლეთ ირანულ პროვინციებს – ხუზისტანს და ფარსს. ელამელები თავიანთ სამშობლოს უწოდებდნენ ხათამთის. ის აღნიშნავდა აგრეთვე ძვ.წ. III ათასწლეულის ელამის ერთ-ერთ ქალაქ-სახელმწიფოს. ელამის სხვა ასევე მნიშვნელოვან პოლიტიკურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ შუშენი (ბერძენი ავტორების სუზა) და ანშანი/ანჩანი (დღევანდელი თალ-ი მალიანი). შუმერის, ბაბილონის და ასურეთის სახელმწიფოებს ელამთან პერიოდულად ჰქონდათ ინტენსიური დიპლომატიური, პოლიტიკური, სამხედრო თუ საეჭრო ურთიერთობა.

ელამის ისტორიის შესახებ ძირითად ცნობებს სწორედ შუამდინარული ტექსტები გვაწვდიან.

[18] ამაზე კლასიფიკაციით, სამხრეთ განშტოებას წარმოადგენენ: არაბული, ძველი სამხრეთ არაბული და ეთიოპური.

უცნობია, თუ რას უწოდებდნენ თავად ელამელები საკუთარ ენას. შუმერები მას მოიხსენიებდნენ როგორც „ელამის ენას“ (eme elama). დაუდგენელია სადამდე ვრცელდებოდა ელამის კულტურული გავლენა და, შესაბამისად, ელამური ენის გავრცელების ზუსტი არეალი. სადავოა ელამურის კავშირი დრავიდულ ენებთან. ელამურ ენაზე შედგენილი ტექსტები ნაპოვნია, ძირითადად, ელამის ისტორიულ ტერიტორიაზე. დაახლოებით, ძ.წ. VI საუკუნეში თიხის ფირფიტებზე ჩაწერილი ელამური ტექსტები გამოვლენილია აგრეთვე ასურეთის ქალაქ ნინევიაში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში), არმავირ ბლურში (სომხეთში), ძველ ყანდაარში (დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე). უძველესი ელამური ტექსტები ჩაწერილია ე.წ. პროტოელამური (დაახლ. 3200-2900 წწ.) და ხაზოვანი (დაახლ. ძვ.წ. 2500-2000 წწ.) ელამური დამწერლობებით. არც ერთი დღემდე გაშიფრული არ არის (სავარაუდოდ, ორივე დამწერლობა ელამური ენის ვერსიებს გადმოსცემს). ელამური ტექსტების ნაწილი კი (დათარიღებული დაახლ. 2500-331 წლებით) შედგენილია შუამდინარული ლურსმული დამწერლობის ადგილობრივი ვარიანტით. ამგვარი დამწერლობით არის ჩაწერილი აქემენიდ მეფეთა კლდეზე აღბეჭდილი ცნობილი ტრილინგვის ელამური ტექსტი. მისი წყალობით, ელამურმა ენამ პირველად მიიპყრო ორიენტალისტთა ყურადღება.

3.4. გუთიები, კასიტები

გუთიები და კასიტები ცხოვრობდნენ ელამის აღმოსავლეთით, ზაგროსის მთებში, დღევანდელი ლურისტანის ტერიტორიაზე. მათი წარმოშობის შესახებ არაფერია ცნობილი, ისევე როგორც მათი ენის შესახებ. შემორჩენილია მხოლოდ ონომასტიკური მასალა, რომელიც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დადგინდეს ამ ენების კავშირი რომელიმე ენათა ოჯახთან.

აქადის იმპერიის ხანაში გუთიების, ხოლო შვიდი საუკუნის შემდეგ კასიტების შემოსელა შუამდინარეთის ტერიტორიაზე, შედეგით, მოვლაგონებს ამორეველებისას: ახალი ეთნიკური ერთობა ბატონდება ქვეყანაში, ასიმილაციას განიცდის აღგილობრივ კულტურასთან და თითქმის არ ტოვებს კვალს.

გუთიები გამოჩნდნენ ჯერ კიდევ მეფე ნარამსინის ხანაში (დაახლ. 2254-2218 წწ.), რომელმაც მხოლოდ დროებით შეაჩერა მათი შემოსევა. გუთიებმა ბოლო დარტყმა მიაყენეს უკვე დასუსტებულ აქადის სამეფოს.

კასიტური წარმომობის დინასტია ძვ.წ. XVI საუკუნის ბოლოსთვის გამეფდა ბაბილონში, რომელიც იმ დროისათვის დასუსტებული

იყო ხეთების მეფის, მურსილი I-ის ლაშქრობის შედეგად. კასიტების ბაბილონია სამხრეთ შუამდინარეთში გაგრძელდა ძვ.წ. XIII საუკუნის ბოლომდე.

შუამდინარული ტრადიციის და მეცნიერებაში გაბატონებული აზრის თანახმად, ამ ორივე ეთნიკური ერთობის მმართველობის პერიოდი შუამდინარეთის ისტორიაში ანარქიისა და რეგრესის ხანას წარმოადგენდა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შუამდინარეთის ისტორიის ეს „ბნელი“ წლები არქეოლოგიურად არ არის სათანადოდ შესწავლილი, რაც თავის მხრივ განაპირობებს წერილობითი წყაროების სიმწირეს.

საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის ძველ ისტორიას მუდმივად თან სდევდა ჭიდილი ერთსა და იმავე სივრცეში მცხოვრებ მომთაბარე და ბინადარ ტომებს შორის. იყვნენ ნახევრად მომთაბარე ტომებიც, რომლებიც დროებით უბრუნდებოდნენ მომთაბარე ცხოვრებას. ეს ქმნის ეთნიკური ერთობების გაღაადგილების საკმაოდ რთულ და ცვალებად სურათს, რომელშიც ისტორიკოსისთვის არ არის იოლი გარკვევა, ვინაიდან მომთაბარე ტომები, თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არ ტოვებდნენ არც მატერიალურ, არც წერილობით კვალს.

3.5. ხურიტები

ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომები ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდნენ ხურიტების[19] სახელწოდებით. ის მომდინარეობს ლურსმული ტექსტებიდან (hu-ur-ri) და გაურკვეველი ეტიმოლოგიისაა.

ხურიტების წინარე სამშობლოს საკითხი დღემდე საკამათოა. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში კი ისინი ბინადრობენ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. მათი განსახლების არეალი მოიცავდა ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სირიას, აგრეთვე ხეთური ხანის ქიცუვათნას (კილიკიას), ხათის ქვეყანასა და ჩრდილოეთ სირიას შორის მდებარე რეგიონს. ხურიტული იყო ხეთების ახალი სამეფოს მმართველი დინასტიაც. ხურიტებმა დიდი გავლენა მოახდინეს ხეთურ, აგრეთვე სხვა მეზობელი ხალხის კულტურაზე ძირითადად, ალბათ, როგორც შუამდინარული კულტურის გამავრცელებლებმა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ტიფონის შესახებ ძველბერძნული მითის და ჰესიოდეს ეპოსის წარმოშობის კელევას ხურიტებამდე მიეყეართ.

---

[19] შდრ. გერმანული die Hurriter, ფრანგული les Hourrites, ინგლისური Hurrians, რუსული хурриты.

ჩრდილოეთ მესოპოტამიაში შექმნილი ხურიტული პოლიტიკური გაერთიანებებიდან აღსანიშნავია ურქეში (დღევანდელი თელ მოცანი). ხურიტები მომძლავრდნენ ევფრატის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე და ჩრდილოეთ სირიაში – მარიში (დღევანდელ თელ ხარირიში), ქარხემიშში (დღევანდელ ჯერაბლუსში), ალალახში (დღევანდელ თელ აჩანაში), იამხადსა (ალეპოს მახლობლად მდებარე ძველ ამორეულ სამეფოში) და უგარითში. ხურიტების პოლიტიკური გავლენა ერცელდებოდა ტიგროსის ზემო და შუა დინებებთან მდებარე რაიონებზეც. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში მდინარე ხაბურის რეგიონში შექმნილი ხურიტების სახელმწიფო – მითანი (ასურული წყაროების „ხანიგალბათი“, ეგვიპტური „ნაჰარინა“), დედაქალაქით ვაშუქანში (რომლის ადგილმდებარეობა დღემდე უცნობია), ტოლს არ უდებდა ძველი აღმოსავლეთის სხვა ძლიერ ქვეყნებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. მითანის სამეფომ ორი საუკუნის მანძილზე იარსება და შემდეგ, ხეთებისგან და ასურელებისგან შევიწროებული, გაქრა ისტორიის სარბიელიდან.

ხურიტული ენის რომელიმე ენათა ჯგუფთან ნათესაობა არ არის საბოლოოდ დადგენილი. ურარტულის მსგავსად, ყველაზე მეტ სიახლოვეს ის ამჟღავნებს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ) ენებთან, მაგრამ საკითხი ამ ენებთან ხურიტული ენის გენეტიკური კავშირის შესახებ საბოლოოდ გადაჭრილი არ არის და გადაჯაჭვულია ხურიტების წინარე სამშობლოს პრობლემასთან. ენის შესწავლას ართულებს ხურიტული ენობრივი მასალის სიმცირეც. ხურიტები იყენებდნენ ლურსმულ დამწერლობას, თუმცა ხურიტულ ენაზე შედგენილი ტექსტები შედარებით იშვიათად გეხვდება. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია ხეთების დედაქალაქის, ხათუსას არქივი, სადაც ნაპოვნია გილგამეშის ხურიტული თარგმანის ფრაგმენტები, ხურიტულ-ხეთური ბილინგვა და სხვა ხურიტულენოვანი ტექსტები.

3.6. ურარტელები

ურარტუ პირველად მოხსენიებულია ძვ.წ. XIII საუკუნის ასურულ ტექსტებში როგორც გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც აღნიშნავდა ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიას. არც ტექსტები, არც არქეოლოგიური მასალა არ ასახავს ურარტუს სახელმწიფოს შექმნის პერიპეტიებს. ის უცბად გამოჩნდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ძვ.წ. IX საუკუნეში და ასევე გაუჩინარდა ისტორიის ასპარეზიდან VII საუკუნის ბოლოს – VI საუკუნის დასაწყისში. თავისი ძლიერების ზენიტში ურარტუს ეჭირა საკმაოდ ერცელი

ტერიტორია, რომელიც სამხრეთიდან უშუალოდ ეკეროდა ამიერკავკასიას და მოიცავდა სამხრეთით – ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილს, აღმოსავლეთით – ურმიის ტბისა და დღევანდელი თავრიზის რაიონს, დასავლეთით – ჩრდილოეთ სირიისა და აღმოსავლეთ მცირე აზიის ოლქებს, ჩრდილოეთით – სევანის ტბის, ყარსი-არზრუმის რაიონს. დედაქალაქი ტუშუა მდებარეობდა ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელ ქალაქ ვანის ადგილას. სახელწოდება „ურარტუ“ ასურული წყაროებიდან მომდინარეობს, ხოლო თავად მისი მცხოვრებნი თავის ქვეყანას უწოდებდნენ „ბიაინილის“.

ურარტუს ისტორიის საკვლევად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასურული ტექსტები, მათ შორის სარგონ II-ის მიერ ურარტუს მხარეში მოწყობილი ლაშქრობის ამსახველი „წერილი ღვთაება აშურისადმი“. ურარტუს მეფეთა სამშენებლო თუ ასურელ მეფეთა ანალების სტილში შედგენილი წარწერები ავსებენ არქეოლოგიურ მონაცემებს და მოგვითხრობენ ურარტელთა სამხედრო მიღწევებზე, არქიტექტურაზე, ეკონომიკაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე. თუმცა, ჩვენი ცოდნა ურარტუს შესახებ კვლავ შეზღუდული რჩება. ურარტუ არ არის ბოლომდე შესწავლილი არქეოლოგიურად. გათხრილია მხოლოდ მეფეთა ბრწყინვალე ციხე-სიმაგრეთა ნაშთები, ხოლო საცხოვრისები თითქმის სრულიად უცნობია. იმედია, რომ მომავალი გათხრები ნათელს მოჰფენს ურარტუს ისტორიას და, შესაბამისად, ახლო აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებთან მათი ურთიერთობის ეპიზოდებს.

შუამდინარული ლურსმული დამწერლობის ადგილობრივი ნაირსახეობით არის შესრულებული ურარტული წარწერები, რომლებიც კლდეებზე და ქვის სტელებზეა შემონახული ისტორიული ურარტუს ტერიტორიაზე. ურარტული ენა ხურიტული ენის მონათესავეა. მოგიერთი მეცნიერის აზრით, ისინი ერთი ენის – ხური-ურარტულის დიალექტებია. ხურიტულის მსგავსად, ურარტულსაც აკაეშირებენ ჩრდილო-აღმოსაელურ (ნახურ-დაღესტნურ) ენებთან, თუმცა ყველა მეცნიერი ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

3.7. ინდოევროპელები ანატოლიაში. ანატოლიური ენები

მცირე აზიაში ინდოევროპელების ყოფნა დასტურდება ძვ.წ. II ათასწლეულში, მაგრამ როდის და საიდან მოვიდნენ, ზუსტად არ ვიცით. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ადრეული ტალღა, რომელიც გამოეყო წინარეინდოევროპული ენის მატარებელ ეთნოსს და ანატოლიაშიეე დაიშალა რამდენიმე ეთნოსად და ენად. ხეთურ და ლუვიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები ბინა-

დრობდნენ ცენტრალურ ანატოლიაში. ხეთურის და ლუვიურის გარდა, ინდოევროპული ენების ანატოლიურ ქვეჯგუფში შემდეგი ენებია გაერთიანებული: ფალაური, ლიდიური, ლიკიური, კარიული, პისიდიური, სიდეტური.

ძვ.წ. II ათასწლეულში იყო გაერცელებული ხეთური და ფალაური ენები (ჩაწერილი ლურსმული დამწერლობით), აგრეთვე ლურსმული ლუვიური ენა. რაც შეეხება იეროგლიფურ ლუვიურს, ის გვხვდება როგორც ძვ.წ. II, ასევე ძვ.წ. I ათასწლეულში,[20] ხოლო ლიდიური, ლიკიური, კარიული, პისიდიური და სიდეტური ენები, რომლებიც ანბანურ დამწერლობას იყენებდნენ, ძვ.წ. I ათასწლეულის ანატოლიაშია დადასტურებული. სავარაუდოდ, ისინი აგრძელებენ არსებობას როგორც სალაპარაკო ენები ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც, მაგრამ წერილობით ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

3.7.1. ხეთები

ძვ.წ. XVIII-XIII საუკუნეებში მცირე აზიაში ხეთები ბატონობდნენ. ქვეყნის სახელწოდება „ხათი“თავდაპირველად აღნიშნავდა ცენტრალური ანატოლიის არაინდოევროპული მოსახლეობის – ხათების (პროტოხეთების) ქვეყანას და მათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გაერთიანებას – ხათუსას. ხათის სამეფო, რომელიც ხეთებმა შექმნეს ცენტრალურ ანატოლიაში, თანდათან გაფართოვდა და ძლიერების მწვერვალს ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში მიაღწია, ხოლო ძვ.წ. XII საუკუნის დასაწყისში დაეცა, ვერ გაუძლო რა მოჭარბებულ შინაურ პრობლემებსა და გარეშე მტრებს. ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში ხეთების იმპერია გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე და დასაელეთი ანატოლიიდან მდინარე ევფრატამდე. ხეთების პოლიტიკური გავლენა ერცელდებოდა სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილზეც, აგრეთვე კუნძულ კვიპროსზე. ეგვიპტის ფარაონები და ბაბილონის მეფეები ხეთ მბრძანებლებს განიხილავდნენ როგორც თავიანთ თანასწორ პარტნიორებს და მათთან დიპლომატიურ კავშირს ამყარებდნენ. ქადეშის ცნობილი ომის შემდგომ ხათუსილი III-სა და რამსეს II-ს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ფაქსიმილე დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშია გამოფენილი როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მშვიდობიანი გზით მოგვარების ერთ-ერთი უძველესი ნიმუში.

---

[20] ყველაზე ძველი იეროგლიფური ლუვიური წერილობითი ძეგლი თარიღდება, დაახლოებით, ძვ.წ. 1400 წლით, ხოლო ყველაზე გვიანდელი – ძვ.წ. 700 წლით.

ხეთების სამეფო აერთიანებდა კულტურული, ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით განსხვავებულ ოლქებს, რაც ბუნებრივად განაპირობებს ხეთური კულტურის სიჭრელესა და არაერთგვაროვნებას. ხეთებს ახასიათებდათ იშვიათი უნარი, შეეთვისებინათ უცხო გავლენები, იქნებოდა ეს ადგილობრივი, ანატოლიური თუ მეზობელი რეგიონებიდან შემოღწეული – სირიული, მესოპოტამიური, ეგვიპტური. ერთი შეხედვით, ეს ხეთურ კულტურას ნაკლებად ორიგინალურ იერს აძლევს, მაგრამ ხეთებმა მოახერხეს კულტურის მრავალ სფეროში არაორიგინალური ელემენტებისაგან საკუთარი ორიგინალური სისტემის შექმნა.

ხეთური ენა წერილობით დადასტურებული უძველესი ინდოევროპული ენაა.

საუკუნენახევრის წინ ხეთების შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ ის, რისი ამოკითხვაც შეიძლებოდა ბიბლიაში, სახელდობრ ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნში. როგორც დღეისათვის ცნობილია, ბიბლიის „ხეთებში“ იგულისხმებიან არა ძვ. წ. II ათასწლეულის მცირე აზიის ხეთები, არამედ მათი შთამომავალნი, ხეთების სახელმწიფოს ნანგრევებზე ძვ. წ. I ათასწლეულში ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ სირიაში (ნაწილობრივ, პალესტინაშიც) აღმოცენებულ პატარა სამეფოთა მცხოვრებნი.

მეცნიერთა უმრავლესობის მიერ გაზიარებული მოსაზრების თანახმად, ძვ. წ. II ათასწლეულის ხეთების სამეფოს შემქმნელები არიან მცირე აზიაში მოსული ინდოევროპელები, რომელთაც მეცნიერები, პირობით, „ხეთებს“[21] უწოდებენ, ხოლო მათ ენას – „ხეთურს“. ეს ინდოევროპელი ტომები საკუთარ ენას უწოდებდნენ „ნესურს“ (ან „ქანესურს“) თანამედროვე კაისერის ახლოს, ქიულთეფეს ბორცვზე მდებარე ქ. ნესას (ქანესის) მიხედვით. რაც შეეხება მათი ქვეყნის სახელწოდებას – „ხათი“, იგი თავდაპირველად აღნიშნავდა ცენტრალური ანატოლიის არაინდოევროპული მოსახლეობის – ხათების (პროტოხეთების) ქვეყანას და მათ მთავარ ქალაქს. ამ ორი ეთნოსის – ნესიტების/ნესელების და ხათების შერევისა და შერწყმის შედეგად ცენტრალურ მცირე აზიაში ჩამოყალიბდა „ხეთური“ ეთნოსი, რომელმაც შექმნა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ციველიზაცია.

ხეთების ციველიზაციის კვლევასთან დაკავშირებულ აღმოჩენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონაპოვრად ითვლება 1906

[21] ამ სახელწოდებას საფუძვლად დაედო გერმ. Hethiter, ინგლ. და ფრანგ. Hittites, რაც, თავის მხრივ, მომდინარეობს ბიბლიური სახელიდან – ებრ. hittîm, ბერძნ. Χετταῖοι (ძვ. ქართ. „ქეტელნი“, „ძენი ქეტისნი“).

წელს ჰუგო ვინკლერის მიერ ბოღაზქალეში (ბოღაზქოიში) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხეთების დედაქალაქის – ხათუსას და იქ დაცული სამეფო „არქივის“, თიხის ფირფიტების კოლექციის გამოვლენა. ათეულ ათასობით თიხის ფირფიტაზე სხვადასხვა შინაარსის ტექსტია აღბეჭდილი ჩრდილოეთ სირიაში (ან ანატოლიაშივე, ძველი ასურელებისგან) შეთვისებული ლურსმული დამწერლობით.

ფირფიტების ამეტყველება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც დადგინდა ხეთური ენის ინდოევროპულობა. ხეთოლოგიის დაბადების დღედ ითვლება 1915 წლის 24 ნოემბერი, როდესაც ბედრჟიხ ჰროზნი „წინა აზიის შემსწავლელი ბერლინის საზოგადოების“ წინაშე წარდგა მოხსენებით ხეთური ენის გაშიფვრის შესახებ.

3.8. ხათები

ხეთური ცივილიზაციის შექმნაში დიდი როლი შეასრულეს ხათებმა – ცენტრალური ანატოლიის უძველესმა არაინდოევროპულმა მოსახლეობამ, რომელმაც ასიმილაცია განიცადა ანატოლიაში მოსულ ინდოევროპელ ხეთებთან (ნესელებთან). ხათების თვითსახელწოდება, როგორც ჩანს, არის „ხათი“ (ḫatt-), რადგან ხეთები მათ ენას უწოდებდნენ „ხათილის“ (ḫattili „ხათურად“). ხათური საზოგადოების განვითარების დონე საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. მათ დიდი გაელენა მოახდინეს ხეთურ რელიგიაზე, კულტურაზე.

ხათებთან დაკავშირებით ბევრი რამ ბურუსით არის მოცული, რადგან ჩვენ არ ვფლობთ მათ შესახებ საკმარის მასალას. ხათურენოვანი ისტორიული წყაროები დღემდე არ არის დადასტურებული. ხათების შესახებ ჩვენი ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ხეთურ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობები.

ხათური ენა გავრცელებული იყო ცენტრალურ ანატოლიაში. სამეცნიერო ტრადიციაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ხათური ძვ.წ. XVII ს.-ში უკვე მკვდარი ენა იყო, თუმცა ხეთური ტექსტების უახლესი მონაცემები მიგვანიშნებენ ხათურზე როგორც სალაპარაკო ენაზე ხეთების ახალი სამეფოს ხანაშიც (XIV ს.).

ხათური ენა ხათუსას არქივის აღმოჩენამდე სრულიად უცნობი იყო მეცნიერთათვის. ის შემოგვინახეს ხეთებმა. ჩვენამდე მოღწეულია ლურსმული დამწერლობით ჩაწერილი ხათურენოვანი ტექსტები, ხათურ-ხეთური ბილინგვები. სამწუხაროდ, შემორჩენილი მასალა არ არის საკმარისი ხათური ენის შესასწავლად. მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს ის, რომ ხათური, შუმერულის, ელამურის და სხვა ენების მსგავსად, განცალკევებით დგას და

საბოლოოდ გარკვეული არ არის რომელიმე ენათა ოჯახთან მისი ნათესაობა. ყველაზე იმედის მომცემად ითვლება ქართველურ ან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენებთან მისი კონტაქტების კვლევა. ხათოლოგია ასირიოლოგიის ერთ-ერთი შედარებით ახალგაზრდა ქვედარგია, რომელსაც დიდი პერსპექტიები აქვს, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთაც.

4. ასირიოლოგიური კვლევა-ძიებების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად. საქართველოში ძველი ახლო აღმოსავლეთის კვლევის ისტორია (ძირითადი ეტაპები და მიმართულებები)

ძველაღმოსავლური ცივილიზაციები კაცობრიობის საერთო წინაპრად, საერთო ღირებულებად აღიქმება და მთელ მსოფლიოში დღეს დაახლოებით ერთნაირად ისწავლება. შუამდინარეთი, ხეთების სამეფო თუ ძველი ლევანტის ქვეყნები თანაბრად არის გათვალისწინებული სხვადასხვა ქვეყნის სასკოლო სასწავლო პროგრამებით.

სამეცნიერო ინტერესი ამ ქვეყნების მიმართ, როგორც დავინახეთ, პირველად ევროპის ქვეყნებში გაჩნდა და ასირიოლოგიაც იქ იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ პირველი ქართველი, რომელიც ძველი ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციების შესწავლას ეზიარა, იყო იტალიელი მოგზაურისა და კოლექციონერის, პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) მეუღლე თინა, რომელიც აქტიურად იზიარებდა ქმრის გატაცებას ძველაღმოსავლური ცივილიზაციებით.[22] მას, მეუღლის გვერდით, გარკვეული წელილი უნდა შეეტანა ევროპაში აღმოსავლეთისადმი სამეცნიერო ინტერესის გაღვივებაში.

4.1. ასირიოლოგიური კვლევა-ძიებების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად

ძველი ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციების მეცნიერული შესწავლა საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ საკმაოდ ინტენსიურად წარიმართა. აღსანიშნავია, რომ მოგადმეცნიერული ინტერესის გარდა, კვლევას იმთავითვე ასაზრდოებდა ეროვნული ინტერესიც, რაც ბუნებრივად იყო განპირობებული თანამედროვე თუ ისტორიული საქართველოს ტერიტორიასთან ძველაღმოსავლური რეგიონების სიახლოვით. ივანე

[22] ეს ინფორმაცია მომაწოდა ქალბატონმა ნათელა ფოფხაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის შესავალში“ გამოთქვამდა რწმენას, რომ ქართველურ ტომთა განსახლების არეალი, ისევე როგორც მთლიანად კავკასია, ჩართული უნდა ყოფილიყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შორეულ წარსულში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში, ეთნოსთა მიგრაციებში.

ესმოდა რა ივანე ჯავახიშვილს ასირიოლოგიური კელევების მნიშვნელობა საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად, მან უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ასირიოლოგიის კათედრის პროფესორად საზღვარგარეთიდან მოიწვია იმ დროისათვის უკვე ცნობილი ასირიოლოგი მიხაკო წერეთელი.

აი, რას წერდა მიხაკო წერეთელი, სახელდობრ, ხეთოლოგიური კვლევის მნიშვნელობასთან დაკავშირებით: „ინტერესი ხეთოლოგიისადმი გარდა წმინდა მეცნიერულისა ჩვენთვის ეროვნულიც არის – არა იმიტომ, რომ ხეთელებთან ნათესაობა ქართველთ რამეს შეჰმატებდეს ან განადიდებდეს მისს თავმოყვარეობას, არამედ იმიტომ, რომ თითქმის არც ერთი ეპოქა თვისის ისტორიისა არ აღუძრავს ერს ისეთს ცნობისმოყვარეობას, როგორც წარმოშობა მისი, ის პირველყოფილი ნიადაგი, რომელზედაც იგი პირველად აღიზარდა და გამოვიდა ისტორიის ასპარეზზედ, და ის გენეტიური ნათესაობა, რომელიც მას სხვა ერებთან აკავშირებს“.[23]

ძველაღმოსალურ სამყაროსთან ქართველური ტომების კულტურული, ეთნიკური, ენობრივი კონტაქტების კვლევა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის განუყოფელი იყო წმინდა ასირიოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებისგან.

არქეოლოგიურ თუ ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქართველური ტომები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ძველაღმოსავლურ კულტურულ გარემოსთან. ჩვენი წინაპრების პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტები ამ სამყაროსთან უნდა დაწყებულიყო ქართველურ ენათა ოჯახის ჩამოყალიბების დროიდან და ხორციელდებოდა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით. ამ ხანგრძლივი კონტაქტების ამსახველია ქართველურ-შუმერული, ქართველურ-სემიტური, ქართველურ-ინდოევროპული (წინარეინდოევროპული თუ ხეთური), ქართველურ-ხურიტული, ქართველურ-ურარტული, ქართველურ-ხათური (პროტოხეთური) ლექსიკური პარალელები და ენათა სტრუქტურული მსგავსებები.

---

[23] მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი, 1924 წ., გვ. 4.

ძველაღმოსაელური (ხეთური, ურარტული, ასურული) წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად მეცნიერებმა გამოავლინეს სხვადასხვა ტომი და მათი პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებსაც ქართველური წარმოშობისად მიიჩნევენ.

მათ რიცხეს მიეკუთვნებიან: ქასქები და აბეშლაელები (სავარაუდოდ, კოლხური წარმოშობის ტომები), დაიაენელები (გაიგივებულნი ურარტული წყაროების დიაუხელებთან (= ტაოელებთან), ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებთან), მუშქები (/მოსხები, მესხები), კულხა (კოლხა, კოლხეთი) და სხვ. ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ქართველური ტომების კონტაქტების გათვალისწინებით, შეისწავლიან მეცნიერები ქართველოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა ქართველთა წარმომავლობა, საერთოქართველური წინარე სამშობლოს ადგილმდებარეობა, ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პერიოდი, ქართველურ ტომთა განსახლების არეალი და სხვ. ქართული ასირიოლოგიის ეს მხარე ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ქართველოლოგიური დისციპლინებისთვის, ასევე ჩვენი უცხოელი კოლეგებისთვისაც, რადგანაც ქართული ეთნო-კულტურული სამყარო ოდესღაც ძველაღმოსავლური ციველიზაციური ერთობის ნაწილს შეადგენდა.

ცხადია, ლექსიკური ნასესხობები თუ ტიპოლოგიური მსგავსებები ენებს შორის გენეტიკური კავშირების სამტკიცებლად ყოველთვის საკმარისი არ არის და ჩვენი შორეული ნათესავების ძიება მეცნიერული კვლევისას თვითმიზანი არც უნდა იყოს.

ასირიოლოგია ქართველოლოგიის სამსახურში არ გულისხმობს წინასწარ ორიენტირებულობას კვლევის შედეგზე. იგანე ჯავახიშვილის და მიხაკო წერეთლის მიერ ამ სფეროში კვლევათა თავიდანვე სწორად განსაზღვრული მიმართულება მოგვიწოდებს მეცნიერული პასუხისმგებლობისაკენ და კეთილსინდისიერებისკენ, მით უფრო, რომ უცხოურ ისტორიოგრაფიაში ხშირად გამოთქვამენ ეჭვს კვლევის ობიექტურობაში, როდესაც მას აწარმოებს მეცნიერი საკუთარი ერის უძველესი წარსულის გამოსავლენად.

მეორე მხრივ, ვინ უნდა იკვლიოს ქართველურის ძველაღმოსავლურ ეთნო-კულტურულ ჯგუფებთან მიმართების საკითხები, თუ არა ქართველმა მეცნიერმა? ბუნებრივი სტიმულისა თუ მოტივაციის გარდა, გარკვეულ უპირატესობას იძლევა ქართული ენისა და კულტურის ცოდნაც. აღნიშნული მიმართებების კვლევისას, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია უფრო ფართო კავკასიური კონტექსტიც. ძალიან პერსპექტიულია, ამ მხრივ, მაგალითად, ხათური ენის კვლევა. მასალის სიმცირიდან და სხვა

ენათა ოჯახებიდან მისი იზოლირებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართველურ თუ ჩრდილოკავკასიურ ენებთან ხათურის ტიპოლოგიურ მსგავსებათა გამოვლენამ და შემდგომმა კვლევამ შეიძლება გარდატეხა შეიტანოს თავად ამ ენის საიდუმლოებათა ამოცნობაში.

ამდენად, ვხედავთ, რომ წმინდა ასირიოლოგიური პრობლემა შეიძლება გადაჯაჭვული იყოს ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის საკვლევ პრობლემატიკასთან. დღეევანდელი ვიწრო სპეციალიზაციის პირობებში აუცილებელი ხდება ამ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

4.2. საქართველოში ძველი ახლო აღმოსავლეთის კვლევის ისტორია (ძირითადი ეტაპები და მიმართულებები)[24]

საქართველოში ძველი აღმოსავლეთით დაინტერესებას რომ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, ამას ადასტურებს ანგარიში ძველაღმოსავლურ სიძველეთა შესწავლის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დავით ბაგონიშვილის დავალებით მოუმზადებია თავად გედევანიშვილს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსე ჯანაშვილის ნაშრომები, რომლებიც ჯერ კიდევ 20-იან წლებამდე შეიქმნა და მისი ხელნაწერები უდავოდ იმსახურებს შესწავლას როგორც ჩვენი დარგის ისტორიისთვის მეტად საყურადღებო წყარო.

XX საუკუნის 20-იან წლებში იწყება ძველი აღმოსავლეთის მეცნიერული შესწავლა, რომლის სათავეებთან დგას ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო (მიხეილ) წერეთელი. მას ევროპის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული განათლება და მისი ასირიოლოგიური ნაშრომებიც საზღვარგარეთ არის გამოქვეყნებული ძირითადად უცხო ენებზე. ამის მიუხედავად, ქართული ასირიოლოგიის ისტორია სწორედ მიხაკო წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობით იწყება. აღსანიშნავია, რომ მისი ნაშრომები შექმნილია ასირიოლოგიის იმ დროისთვის ახალგაზრდა განშტოებათა (ხეთოლოგიის, ურარტოლოგიის და სხვ.) დარგებად ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე და, ამ თვალსაზრისით, ისინი ფუძემდებლურია ევროპული ასირიოლოგიური სკოლისთვისაც. მათ შორის აღსანიშნავია "ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა"

[24] 1921-1980 წლების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გ. გიორგაძე, ძველაღმოსაელური ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემების შესწავლა საქართველოში 1921-1980 წლებში, მაცნე, 1981/1, 117-127. ამ სტატიას ვეყრდნობი წინამდებარე მიმოხილვაში.

(კონსტანტინოპოლი, 1924 წ.), „ურარტული ეტიუდები“ (პარიზი, 1933-35 წწ). მიხაკო წერეთლის „გილგამეშიანი“ (დაიბეჭდა კონსტანტინოპოლში 1924 წელს) – შუმერული ეპოსის ბრწყინვალე ქართული თარგმანი მსოფლიოში რიგით მეოთხეა (გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე შესრულებული თარგმანების შემდეგ) და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

სამწუხაროა, რომ მიხაკო წერეთლის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ნაშრომები მაშინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიღმა დარჩა. გასაბჭოების შემდეგდროინდელ საქართველოში ამ დიდი მეცნიერის ხსენებაც კი აკრძალული იყო, არა თუ მისი ნაშრომების სამეცნიერო მიმოქცევაში არსებობა. მის სხვა ასირიოლოგიურ ნაშრომებთან ერთად დიდხანს უცნობი იყო ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის, მაგალითად, „ურარტოლოგიური ძიებანი: I – კელიშინის სტელა“, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოიცა 1933 წელს. ეს იყო საეტაპო ნაშრომი, რომელმაც თავის დროზე გარდატეხა შეიტანა ურარტული ენის შესწავლაში.

საბედნიეროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში აისახა ქართულ ენაზე შესრულებული პირველი ხეთოლოგიური ნაშრომი „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“ (კონსტანტინოპოლი, 1924 წ.), რომელიც არაერთხელ არის დამოწმებული იეანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“.

ამ ნაშრომმა დასაბამი მისცა საქართველოში ხეთოლოგიური საკითხებით დაინტერესებას. ა. წერეთელმა 1931 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ხეთელები და მათი სამყარო: მოკლე ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა“ (ტფილისი); 1933 წელს კი ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა ი. ჯიშკარიანის ნაშრომი – „ხეთების პრობლემა კავკასიური ენების საფუძველზე (მოკლე კონსპექტი) “ ნ. მარის წინასიტყვაობით. ნაშრომში გამოთქმული იყო ჰიპოთეზა თანამედროვე კავკასიის მოსახლეობასთან ხეთების ნათესაობის შესახებ.

30-იანი წლების დასაწყისიდანვე ქართველ მკვლევართა ყურადღებას იქცევდა არა მარტო ხეთებთან დაკავშირებული საკითხები, არამედ საერთოდ ძველი ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკა. ამ პერიოდში შეიქმნა: ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომლის ავტორია ალექსანდრე წერეთელი; 30-იან წლებში გამოქვეყნდა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „წინა აზიის ძველი მოსახლეობა“, სადაც ავტორი, იმ დროისათვის არსებული მონაცემების საფუძველზე, მიმოიხილავდა შუმერებს, ხურიტებს, კასიტებს, ხეთებს, ლუვიელებს, პროტოხეთებს (ხათებს), მუშქებს და სხვ.; ა. სვანიძე ცდილობდა,

რომ გამოეელინა ენობრივი, ეთნიკური თუ კულტურული კავშირები ძველ ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებს შორის, რომლებსაც იგი მიიჩნევდა ურთიერთმონათესავე „ალაროდიული“ ტომებით დასახლებულად. ამ საკითხებს მიეძღვნა მისი მონოგრაფია „მასალები ალაროდიელ ტომთა ისტორიის შესახებ“.[25]

ქართველი მეცნიერები იმავდროულად მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდნენ და ქართველ მკითხველს გააცნობდნენ ძველი აღმოსავლეთის კვლევის სფეროში საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოქვეყნებულ ნაშრომებს. მათ შორის, უნდა დავასახელოთ: ერნსტ ჰერცფელდის „კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში“, თარგმნილი გერმანულიდან ლ. მუსხელიშვილის მიერ (ტფილისი, 1931); ი. ვოლკოვის „ბაბილონის მეფის ხამურაპის კანონები“ (ა. წერეთლის რედაქციით), თარგმნილი ელ. აბაშიძერუსიას და ალ. რუსიას მიერ (ტფილისი, 1934). უდავოდ აღნიშვნის ღირსია გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, კ. ლემან-ჰაუპტის ლექცია, რომელიც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა 1936 წელს.[26]

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისთვის უდიდესი მოვლენა იყო აგრეთვე 1936 წელს ბ. ჰროზნის – ცნობილი მეცნიერის, ხეთური ენის გამშიფვრელის მოწვევა ლექციის წასაკითხად.[27] მას ჩვენი მეცნიერების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სახელდობრ, აღსანიშნავია იმავე წელს სიმონ ჯანაშიას ავტორობით გამოქვეყნებული სტატია ქართულ და რუსულ ენებზე (“ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის”).[28] იმავე პერიოდში ს. ჯანაშია დაინტერესებული იყო ურარტუსთან დაკავშირებული საკითხებითაც.[29] საქართველოში ურარტოლოგიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი შექმნა გიორგი წერეთელმა ნაშრომით „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (თბ., 1939).

30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დასაწყისში ურარტოლოგიურ და ხეთოლოგიურ საკითხებს მიეძღვნა პ.

---

[25] А. Сванидзе, Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937.

[26] К.Ф. Леман-Хаупт, Вступительная лекция по истории и культуре халдов, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938, გვ. 245-267.

[27] ამ ლექციებმა ახალი ძალა შესძინეს ძველი აღმოსავლეთისადმი ინტერესს სტუდენტების შორისაც. ლემან-ჰაუპტისა და ჰროზნის ლექციებს ესწრებოდა გიორგი მელიქიშვილი, მომავალში სახელგანთქმული მეცნიერი.

[28] დაიბეჭდა გაზეთებში: კომუნისტი (1936წ., 21 დეკემბერი, № 294) და Заря Востока (1936, № 295).

[29] იხ. მაგალითად, ს. ჯანაშია, ურარტუ, „კომუნისტური აღმშენებლობის“, 1937, № 10.

უშაკოეის რამდენიმე სტატია,[30] რომელშიც მოცემულია უძველესი მცირე აზიის, ეგეოსისა და კავკასიის ეთნიკური სურათი. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მის მიერ ურარტული წყაროებში დადასტურებული სახელწოდებების „კულხა“ და „დიაოხი“ გაიგივება ბერძნული წყაროების სახელებთან „კოლხიდა“ და „ტაოხი“. პ. უშაკოეი სწორად შენიშნავდა მსგავსებას, ერთი მხრივ, პროტოხეთურსა (/ხათურსა) და, მეორე მხრივ, აფხაზურ-ადიღეურ, აგრეთვე ქართველურ ენებს შორის, რაც გამოიხატებოდა ამ ენებში პრეფიქსაციის არსებობაში. თუმცა, მთელ რიგ დასკვნებს არასწორი ამოსავალი ჰქონდა. ასეთი იყო, სახელდობრ, ხეთურისა და ლუვიურის არაინდოევროპულ ენებად მიჩნევა.

ცხადია, ასირიოლოგიის დღევანდელი მიღწევების გადასახედიდან, ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში ბევრი რამ შეიძლება მოძველებული მოგვეჩვენოს, მაგრამ ისინი ჩვენი დარგის ისტორიისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია. XX საუკუნის 20-40-იანი წლების პუბლიკაციები ასახავდნენ მსოფლიო ორიენტალისტიკის განვითარების მაშინდელ დონეს. მას მერე მრავალი ახალი აღმოჩენით გამდიდრდა ასირიოლოგია, მაგრამ ძველ ნაშრომებში გამოთქმულ მეცნიერულ მოსაზრებათა ნაწილი ახლაც ყურადღების ღირსია. ამაეე წლებში შეიქმნა მიხაკო და გიორგი წერეთლების საეტაპო ნაშრომებიც, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო ღირებულება.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდით დაიწყო საქართველოში ძველაღმოსავლური პრობლემატიკის შესწავლის ახალი ეტაპი. მართალია, მიხაკო წერეთლის უცხოეთში გადახვეწის შემდეგ ასირიოლოგია როგორც დარგი დიდხანს აღარ იყო წარმოდგენილი ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ ქართველი მეცნიერები აგრძელებდნენ კვლევას ძველაღმოსავლურ ფილოლოგიასა და ისტორიაში, ბრუნავდნენ მომავალი თაობების აღზრდაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის, აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში. ომის შემდგომ პერიოდში უფრო გამოიკვეთა ასირიოლოგიის ცალკეული განშტოებები: ურარტოლოგია, ხეთოლოგია, შუმეროლოგია.

---

[30] П.Н. Ушаков, Проблема древнейшего населения Малой Азии, Кавказа и Эгеиды, ВДИ, 1939, № 4, გვ. 50 და შმდ; მისეე, Тао-Кларджетия в конце IX и VIII в. до нашей эры, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სასწავლებლის ინსტიტუტის შრომები, I, 1941, გვ. 159 და შმდ.; მისეე, Хеттская проблема, თსუ-ს შრომები, XVIII, 1941, გვ. 87 და შმდ.

გიორგი მელიქიშვილმა თავისი ურარტოლოგიური გამოკვლევებით და იმ დროისათვის ცნობილი მთელი ურარტული ეპიგრაფიკული მასალის მაღალ დონეზე შესრულებული მეცნიერული პუბლიკაციით შექმნა ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი ურარტოლოგიაში. მისი ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ურარტოლოგებისათვის. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია: „ნაირი-ურარტუ“ (თბილისი, 1954, რუსულ ენაზე), „ურარტული ლურსმული წარწერები“ (მოსკოვი, 1960), „ურარტული ენა“ (მოსკოვი, 1964; იგივე ნაშრომი 1971 წელს იტალიაში გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე).[31] გიორგი მელიქიშვილმა ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ ასირიოლოგიურ სკოლას, რომლის ჩამოყალიბება სწორედ მის სახელს უნდა დავუკავშიროთ.

50-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნებოდა ხეთოლოგიურ კვლევებში. ამ პერიოდში დაიწყო მოღვაწეობა გრიგოლ გიორგაძემ. უაღრესად მრავალფეროვანია მისი სამეცნიერო შემოქმედება. ასირიოლოგიის სფეროში ის მოიცავდა არამეისტიკას და, უპირველეს ყოვლისა, ხეთოლოგიას. გ. გიორგაძე იკვლევდა ხეთების ძველი სამეფოს ისტორიის, ტახტის მემკვიდრეობის საკითხებს, ხეთებისა და ხურიტების ურთიერთობებს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გ. გიორგაძის გამოკვლევები, რომლებშიც შესწავლილია ქასქები – ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში მცხოვრები არაინდოევროპული წარმოშობის ტომები. ქასქების საკითხს დღემდე სულ ორი მონოგრაფია აქვს მიძღვნილი მსოფლიო ხეთოლოგიურ ლიტერატურაში. მათგან ერთი გ. გიორგაძის 1956 წელს შესრულებული ნაშრომია. ბოლო წლებში ის კვლავ მიუბრუნდა ქასქების საკითხს.[32] ამ პრობლემის კვლევით გ. გიორგაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხეთების დროინდელი მცირე აზიის ეთნიკური საკითხების კვლევაში და იმავდროულად ქართველოლოგიაშიც. მისი თქმით, თუ გამართლდება ჰიპოთეზა

---

[31] ურარტოლოგიის სფეროში საქართველოში შექმნილ ნაშრომთა შორის უნდა დაეასახელოთ აგრეთვე В.А. Гвахария, Словарь-симфония урартского языка, М., 1963; რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ხურიტოლოგიურ პრობლემატიკასაც. ხურიტოლოგიაში მრავალწლიანი მუშაობის შედეგია ნანა ნოშაძის წიგნი: ხურიტული ენის ლექსიკა, თბილისი, 2007 (რუსულ ენაზე).

[32] იხ. მაგალითად, გ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომაელობისათვის, ახალციხე, 2000.

ქასქების და სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომების გენეტიკური კავშირის შესახებ, „მაშინ გაჩნდება კიდევ ერთი არგუმენტი დასავლურ-ქართველური ტომების დაკავშირებისათვის ხათებთან, რაც, ცხადია, გულისხმობს ხათური და ქართველური ენების ნათესაობას".[33]

ქართველურ-ძველაღმოსაელური ენობრივი და კულტურული კონტაქტების კვლევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ასირიოლოგიის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.[34] ნანა ხაზარაძის ძველაღმოსაელურ და ქართველოლოგიურ გამოკვლევებში ძველი მცირე აზიის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ეთნიკური განვითარების საკითხები ორგანულადაა დაკავშირებული ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის, ეთნოგენეზის პრობლემებთან.[35] ნ. ხაზარაძის მეცნიერულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე იეროგლიფური ლუვიური დამწერლობის როგორც საისტორიო პირველწყაროს კვლევას.[36]

თამაზ გამყრელიძე შეისწავლიდა ხეთური ენისა და დამწერლობის, ინდოევროპელ ტომთა მცირე აზიაში მოსვლის საკითხებს.[37] მან ენათმეცნიერული გამოკვლევებით დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო ხეთოლოგიაში, არამედ ზოგადად ინდოევროპეისტიკაში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვიაჩესლავ ივანოვის თანაავტორობით შექმნილი, მსოფლიოში აღიარებული ნაშრომი „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები" (თბილისი, 1984, რუსულ ენაზე).

გასული საუკუნის 60-იან წლებში ედუარდ მენაბდემ გამოსცა ნაშრომი „ხეთური საზოგადოება" (თბილისი, 1965, რუსულ ენაზე),

---

[33] ხათური (პროტოხეთური) ენა და ხათები (პროტოხეთები). საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1999, გვ. 172.

[34] იხ. მაგალითად, Н. Бендукидзе, Хеттский миф о Телепину и его сванские параллели, ВДИ 4, 1973, 95 слл.

[35] იხ. მაგალითად, ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978; მისივე, სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, თბ., 2005.

[36] ნ.ხაზარაძე, ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006.

[37] თამაზ გამყრელიძის ამ სფეროში შექმნილი აღრეული ნაშრომებიდან აღსანიშნავია, მაგალითად, „Хеттские языки" и вопрос о переселении в Малую Азию индо-европейских племен, *საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები* (აღმოსავლური სერია), II, 1957, გვ. 35 და შმდ.; მისივე, Клинописная система аккадско-хеттской группы и вопрос о происхождении хеттской письменности, ВДИ, 1959/ 1, გვ. 9 და შმდ.; Передвижение согласных в хеттском (неситском) языке, ПАС, 1961, 211 და შმდ.

რომელშიც განზოგადებული იყო ავტორის მრავალწლიანი კვლევის შედეგები. ეს იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ეძღვნებოდა ხეთების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხებს და ასახავდა მათ სრულიად ახლებურ ანალიზს.[38]

იმ დროს, როდესაც დასავლეთში მეტად აინტერესებდათ ამა თუ იმ ცივილიზაციის ენის, რელიგიის და პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ქართველი ასირიოლოგები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ ძველი სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევას და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ამ შედარებით ნაკლებად შესწავლილ და გარკვეულწილად ტაბუირებულ სფეროში. გიორგი მელიქიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში ფართოდ გაშლილ დისკუსიას ძველაღმოსავლური საზოგადოებების ხასიათის შესახებ და პირველმა შეარყია ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურობის თეზისი, რომელიც ოფიციალურ იდეოლოგიასა და ცნობილი რუსი მეცნიერების ნაშრომებს ეფუძნებოდა. კომუნისტური წყობის პირობებში, გ. მელიქიშვილის, ე. მენაბდის და სხვა ქართველ მეცნიერთა ამ მიმართულებით წარმოებული ძიებები მათი მეცნიერული და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის ამსახველია.

აქადის დინასტიის დროინდელ შუმერში მიწისმფლობელობის ფორმების შესწავლით დაიწყო ჯემალ შარაშენიძემ შუმეროლოგიური მოღვაწეობა.[39] ის ახლაც აგრძელებს შუმერის საზოგადოების, მისი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის საკითხების კვლევას. აღსანიშნავია ჯემალ შარაშენიძის წვლილი ქართული ასირიოლოგიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებითა და საცნობარო ნაშრომებით გამდიდრებაში. მათ შორისაა: შუმერული ენის გრამატიკა (თბილისი, 2005), შუმერული ქრესტომათია (თბილისი, 2005), შუმერული სილაბარიუმი (თბილისი, 2008). ჯემალ შარაშენიძე გამოსაცემად ამზადებს აგრეთვე შუმერულ-ქართულ ლექსიკონს, რომელიც მისი ხანგრძლივი შრომის ნაყოფი იქნება.

---

[38] ხეთების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გრიგოლ გიორგაძემაც. იხ. მაგალითად, Г.Г. Гиоргадзе, Вопросы общественного строя хеттов, Тбилиси, 1991.

[39] საქართველოში შუმეროლოგიის სათავეებსაც კვლავ მიხაკო წერეთლამდე მიეყვევართ იმის მიუხედავად, რომ, ვემოთ ნახსენები მიზეზების გამო, ჩვენს ქვეყანაში მისი მხოლოდ ერთი შუმეროლოგიური ნაშრომი (მ. წერეთელი, სუმერული და ქართული, „გეორგიანი“, თბ., 1912) იყო დაბეჭდილი, ხოლო დანარჩენები საზღვარგარეთ ქვეყნდებოდა.

საქართველოში ასირიოლოგიის პოპულარიზაციის საქმეში საყურადღებო წვლილი შეიტანა ზურაბ კიკნაძემ, რომლის თარგმანების წყალობით ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ძველი შუამდინარული ლიტერატურის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში.

საქართველოში ასირიოლოგიური კვლევის ერთგვარ ცენტრს დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილება (დაარსებული გიორგი მელიქიშვილის მიერ 1954 წელს), სადაც მომზადდა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ორიგინალური სახელმძღვანელო და ქრესტომათია, აგრეთვე მრავალი სპეციალური გამოკვლევა ასირიოლოგიის მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებზე. ამ განყოფილებაში დაარსდა „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“ (თავდაპირველად, „აღმოსავლური კრებული“). კრებულში, განყოფილებაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, აისახებოდა კვლევის ორივე მიმართულება – ქართველოლოგიური და ძველი ახლო აღმოსავლეთის შემსწავლელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1992 წელს, სამოცდაათიანი წყვეტილის შემდეგ, გრიგოლ გიორგაძის მიერ აღდგენილ იქნა ასირიოლოგიის კათედრა და კაბინეტი, რომელიც დიდი მიხაკო წერეთლის სახელს ატარებს. დღეს ასირიოლოგიის პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ძველაღმოსავლური ენების (შუმერულის, აქადურის, ხეთურის, ურარტულის, აგრეთვე ძველეგვიპტურის) და ციველიზაციების შესწავლას.

ქართულენოვანი ბიბლიოგრაფია:

თ. გამყრელიძე, ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა, წიგნში: წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, 1990, 24-66.

გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა. თბილისი, 1988.

გ. გიორგაძე, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი. თბილისი, 1999.

გ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის. ახალციხე, 2000.

გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა. თბილისი, 2002.

ლ. გორდეზიანი, ძველი ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 2012[2].

კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. თბილისი, 1960-2011 (I-XIV).[40]

კ. კერამი, ხეთების საიდუმლოება. თბილისი, 1966.

გ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია. თბილისი, 1979.

გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები. თბილისი, 2004[2].

გ. მელიქიშვილი, ურარტუ. თბილისი, 1951.

გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, 1965.

გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში. თბილისი, 1999.

გ. მელიქიშვილი, უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა. თბილისი, 2003.

ნ. სამსონია, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ასირიოლოგია. თბილისი, 2005.

ი. ტატიშვილი, ხეთური რელიგია: გენეზისი, ფორმირება, პანთეონის სტრუქტურა. თბილისი, 2004[2].

ი. ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი (ნაკვეთი 1-8: A-Z; 9: შუმეროგრამები). თბილისი, 2006-2013 (გამოცემა გრძელდება).

ი. ტატიშვილი, აქადური ენა. თბილისი, 2009.

ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა. თბილისი, 1983.

ჯ. შარაშენიძე, შუმერული ენის გრამატიკა. თბილისი, 2005.

ჯ. შარაშენიძე, შუმერული ქრესტომათია. თბილისი, 2005.

ჯ. შარაშენიძე, სუქალმახის ინსტიტუტი შუმერში. თბილისი, 2008.

ჯ. შარაშენიძე, შუმერული სილაბარიუმი. თბილისი, 2008.

ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია (რედ. გ. მელიქიშვილი). თბილისი, 1988[2].

ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია (რედ. გ. გიორგაძე). თბილისი, 1990.

მ. წერეთელი, სუმერული და ქართული. „გვირგვინი", ტფილისი, 1912, 27-117.

მ. წერეთელი, გილგამეშიანი. კონსტანტინოპოლი, 1924.

მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლი, 1924.

[40] I ტომი 1960 წელს გამოქვეყნდა „აღმოსავლური კრებულის" სახელწოდებით. კრებულის გამოცემა დღესაც გრძელდება.

მ. წერეთელი, ურარტოლოგიური ძიებანი: I – კელიშინის სტელა (1933) (რედ. ლ. გორდეზიანი, ფრანგულიდან თარგმანი ეკა გამყრელიძისა). თბილისი, 2013.

ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი, 1979.

ნ. ხაზარაძე, ლუვიური იეროგლიფების სამყაროში. თბილისი, 2006.

მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი, 2005.

რჩეული უცხოურენოვანი ბიბლიოგრაფია:

ა) ისტორია და ცივილიზაცია: რჩეული სახელმძღვანელოები, საავტორო ნაშრომები, კრებულები

P. Amiet, Suse, 6000 ans d'histoire, Paris, 1988.

Н. Бендукидзе, Хеттский миф о Телепину и его сванские параллели, ВДИ 4, 1973, 95 слл.

J. Bottéro et M.-J. Stève, Il était une fois la Mésopotamie, Gallimard, coll. « Découvertes », 1993.

T. Bryce, Life and society in the Hittite World. Oxford, 2012[2].

T. Bryce, The Kingdom of the Hittites. Oxford, 1998.

D.Charpin, D. O. Edzard, M. Stol, Mesopotamien : die altbabylonische Zeit, Academic Press Fribourg ou Vandenhoeck & Ruprecht, OBO 160-4, 2004.

E. Chiera, They wrote on clay. Chicago, 1957.

Древняя Эбла (Раскопки в Сирии) (Составление и введение П. Маттиэ). Москва, 1985.

J. Freu, Histoire du Mitanni. Paris, 2003.

P. Garelli, L'Assyriologie. Paris (PUF, coll. „Que sais-je ?") 1990.

P. Garelli, J.-M. Durand, H. Gonnet , C. Breniquet, Le Proche-Orient asiatique, dès origines aux invasions des Peuples de la Mer. Paris, 1997[3].

A. Götze, Kleinasien. München, 1957.

O. Gurney, The Hittites. Harmondsworth, 1980.

H. Klengel, Syria: 3000 to 300 B.C., A Handbook of Political History. Berlin, 1992.

Й. Клима, Общество и культура Древнего Двуречья. Прага, 1967.

J.G. Macqueen, The Hittites and their contemporaries in Asia Minor. London, 1985[2].

J.-Cl. Margueron, L. Pfirsch, Le Proche-Orient et l'Égypte antiques. Paris, 1996.

R. Matthews, The archaeology of Mesopotamia : Theories and approaches, Routledge, 2003.

M. Van De Mieroop, Cuneiform Texts and the Writing of History, Routledge, 1999.

M. Van De Mieroop, A History of the Ancient Near East : ca. 3000-323 BC. Blackwell Publishing, 2007[2].

L. Oppenheim, La Mésopotamie, portrait d'une civilization. Paris, 1970.

L. L. Orlin, Life and Thought in the Ancient Near East. University of Michigan Press, 2007.

Les Premièrs civilizations, Tome 1 (sous la direction de P. Lévêque). Paris, 1987.

H.-W.-F. Saggs, Civilisation before Greece and Rome, Yale Univ. Press, 1989.

R. de Vaux, Histoire ancienne d'Israël, 2 vol., 1971-1973.

ბ) ენა და დამწერლობა: ლურსმული ნიშნების ცხრილები, ლექსიკონები

The Assyrian Dictionary of the University of Chicago (/Chicago Assyrian Dictionary). Chicago, 1956-2012 (CAD)/ http://oi.uchicago.edu/research/pubs/catalog/cad/

R. Borger, Mesopotamisches Zeichenlexikon. Münster 2003 (MZ).

The Hittite Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago, 1980-2005 [Vol.3: la- – Vol. Š/2] (CHD) (გამოცემა გრძელდება) http://humanities.uchicago.edu/orgs/xstar/eCHD/

Древние языки Малой Азии (под редакцией И.М. Дьяконова и Вяч. Вс. Иванова). Москва, 1980.

И.М. Дьяконов, Языки древней Передней Азии. Москва, 1967.

D. A. Foxvog (after M. Civil 1967), Elementary Sumerian Glossary. PDF (revised may 2012).

Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. Тбилиси, 1984.

В.А. Гвахария, Словарь-симфония урартского языка, Москва, 1963.

R. Labat, Manuel d'épigraphie akkadienne (ed. F. Malbran-Labat), Paris, 1988[6].

Г. А. Меликишвили, Наири-Урарту. Тбилиси, 1954.

Г. А. Меликишвили, Урартский язык. Москва, 1964.

Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи. Москва, 1969.

Н. А. Нозадзе, Лексика хурритского языка. Тбилиси, 2007.

Annick Payne, Hieroglyphic Luwian. Wiesbaden, 2004.

Ch. Rüster- E. Neu, Hethitisches Zeichenlexicon. Wiesbaden, 1989.

W. von Soden, W. Röllig, Das akkadische Syllabar, Roma, 1991[4].

O. Soysal, Hattischer bWortschatz in hethitischer Textüberlieferung (HWHT), Handbuch der Orientalistik, Abt. 1, Bd. 74, 2004.

გ) რელიგია და მითოლოგია

J. Bottéro, Naissance de Dieu. La Bible et l'historien. Paris, 1986.

J. Bottéro et S.-N. Kramer, Lorsque les dieux faisaient l'homme. Mythologie mésopotamienne. Paris, 1989.

J. Bottéro, La plus vieille religion.Paris, 1998.

E. Dhorme et R. Dussaud, Les anciennes religions orientales II: Les religions de Babylonie et d'Assyrie. Les religions des Hittites et des Hurrites, des Phéniciens et des Syriens/ Paris, 1949.

H. and H. A. Frankfort, John A. Wilson, Thorkild Jakobsen, Before Philosophy. The Intellectual Adventure of Ancient Man. Baltimore-Maryland, 1967.

Mythologies of the Ancient World (Ed. by S.-N. Kramer). New York, 1961.

დ) ხელოვნების ისტორია

P. Amiet, L'Art antique du Proche-Orient. Paris, 1977.

É. Faure, Histoire de l'art: L'art antique. Denoël (France), 1985.

W. Orthmann, Der Alte Orient, Propyläen Kunstgeschichte, vol. 18, 1975.

ე) ენციკლოპედიური ლიტერატურა

G. Leick, A Dictionary of Ancient Near Eastern Mythology. London-New York, 1991.

Der Neue Pauly, Enzyklopädie der Antike (Hrsg. von H. Cancik und H. Schneider), 15 Bände. Stuttgart-Wimar, 1996-2003.

Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie, 12 Bände (A-Q). Berlin-New York, 1922- (გამოცემა გრძელდება).

ვ) ქრესტომათიები

Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament with Supplement (Ed. by James B. Pritchard. Princheton, 1969[3].

K. Volk, A Sumerian Chrestomathy (with the collaboration of Silvano Votto and Jessica Baldwin), Subsidia et Instrumenta Linguarum Orientis 5, 2012.

E. Sturtevant, G. Bechtel, A Hittite Chrestomathy. Philadelphia, 1985.

Хрестоматия по истории Древнего Востока. Часть первая. Москва, 1980.

8) ელექტრონული საიტები:

http://oracc.museum.upenn.edu/index.html

http://www.hethport.uni-wuerzburg.de/HPM/hethportlinks.html

file:///C:/Users/USER/Favorites/The%20Royal%20Inscriptions%20of%20the%20Neo-Assyrian%20Period%20-%20Neo-Assyrian%20History.htm.

http://www.bing.com/images/search?q=Sumerian+Shakespeare

file:///C:/Users/USER/Favorites/State%20Archives%20of%20Assyria%20Bulletin%20(SAAB).htm

ქეთევან ქევანიშვილი

გურტაკეთის ყორღანის გოომორფული გამოსახულების ინტერპრეტაციისათვის

როგორც ცნობილია არქაულ ხელოვნებაში მრავლად არის წარმოდგენილი ანიმალისტური ჟანრის ნიმუშები, იქნება ეს კერამიკაზე, ქვაზე თუ გამოქვაბულთა კედლებზე. მკვლევართა უმეტესობა მას საესებით სამართლიანად უკავშირებს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს.

ქართული კულტურაც უმდიდრესია ანიმალისტური თემატური, გამოსახულებების მხრივ, რომელსაც უძველესი დროიდან მოყოლებული ვაწყდებით. ისინი გვხიბლავენ არამარტო სილამაზით, არამედ ხაზის რითმული წყობით, შინაგანი ექსპრესიით.

საქართველოს სამხრეთ ტერიტორიაზე, გურტაკეტის პლატოზე (იგივე გომარეთის პლატო) 1959 წელს თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ იწარმოებოდა არქეოლოგიური გათხრები, სადაც ექსპედიციამ მიაგნო სამ საინტერესო ყორღანულ სამარხს (დათარიღებულია შუა ბრინჯაოს პერიოდით). სამივე ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზის“ კედლებზე დატანილი იყო ამოკაწრული ნიშნები და სხვა გამოსახულებები, მათ შორის გოომორფულიც.

ბრინჯაოს ხანის გურტაკეტის ნიშნიანი ქვები გასული საუკუნის 60-70-იან წლებში წარმოდგენილი იყო როგორც ე.წ. „პიქტოგრამული დამწერლობის“ ნიმუშები.[1] ბუნებრივია, ამ პერიოდის წერილობითი ძეგლები არ მოუვეპოვება, სწორედ ამიტომ არქეოლოგიური არტეფაქტები ჩვენთვის უნდა ამეტყველდნენ და პირველ რიგში მათზე დაცული გამოსახულებები, რომელიც იმდროინდელი სამყაროს კოსმოლოგიური ხედვის ანარეკლია. დღესდღეობით გურტაკეტის გამოსახულებების დამწერლობასთან კავშირი დაუდგენელია. ჩვენი აზრით, ნიშნიანი ქვები წარმოადგენს პეტროგლიფებს და არა პიქტოგრამულ წერილობით ნიშნებს.[2] უკვე

---

[1] შ. ამირანაშვილი, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობა, *კომუნისტი*, 1962 წ. №2; ო. ჯაფარიძე, შენიშვნები გურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვების შესახებ, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*, თბ. 1966წ., 12-25, ა.ც. ურუშაძე, *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში*, თბ. 1964წ., 148.

[2] პეტროგლიფები ეწოდება მყარ მასალაზე შესრულებულ სხვადასხვა ფუნქციისა თუ თემატიკის გამოსახულებებს, რომლებიც გვხვდება პალეოლითიდან შუა საუკუნეების ჩათვლით მთელ მსოფლიოში. პეტროგლიფებად არ ითვლება ასეთი გამოსახულება, სადაც მკაფიოდ შეიმჩნევა დამწერლობისათვის საჭიროებული კარგად შემუშავებული ნიშნების სისტემა.

ენეოლითი-ბრინჯაოს ხანიდან ხელოვნებაში „საფუძველი ეყრება კომპოზიციურ სქემებს, გამოსახულებათა სტილიზებას და მრავალპლანიან სიმბოლიკას“.[3] გურტაკეტის არსებული გამოსახულებების კვლევა-განხილვაც ამ ჭრილში უნდა იქნეს წარმოდგენილი.



გურტაკეტის ზოომორფული გამოსახულება

[3] ი. სურგულაძე, ზოომორფული სიმბოლიკის შესწავლისათვის, *თსუ შრომები*, თბ. 1983, ტომი 243, 121.

ზურტაკეტის ყორღანისეული ნიშნები ძირითადად აბსტრაქტულ-სქემატურია, მხატვრის ხელი გაუწაფავია, გამოსახულება კი პრიმიტიული. ქვის ზედაპირი დაშტრიხულია და გამოსახულება ამ შტრიხებთან ერთად არის მოცემული. იქმნება სახატავი ბადის შექმნის შთაბეჭდილება, რომელსაც მხატვრები იყენებენ ხოლმე, რათა გამოსახულება ზუსტ ზომებში იყოს დატანილი მასალაზე. ამ ჩარჩოშია ჩასმული დაშტრიხული სამკუთხედების მწკრივი. მსგავს გამოსახულებას მაიკოპის (ჩრდილოეთ კავკასია, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი) ცნობილი თასზე შ. ამირანაშვილი მთათა სისტემის აღმნიშნელად მიიჩნევს.[4] ჩვენი აზრით, დასაშვებია მსგავსი ვარაუდი ზურტაკეტის აღნიშნულ გამოსახულებასთან მიმართებაშიც – ყველაზე მარტივი სემანტიკური მნიშვნელობა, რაც სამკუთხედების მწკრივში შეიძლება დავინახოთ, ეს მთებია.

ანიმალისტურ გამოსახულებებს რაც შეეხება, ზურტაკეტში ის არც ისე ბევრია. ცალკე გამოვყოფთ რქოსან ცხოველს, რომელიც, დიდი ალბათობით, ირემი უნდა იყოს და რომელიც ცალკე მდგომი ფიგურის ან კომპოზიციური სიუჟეტის სახით წარმოაჩენს კავკასიაში მცხოვრები იმდროინდელი აღამიანის მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებს სამყაროს შესახებ.

ირმის გამოხატულება ყორღანში მოძიებულ ორ ქვაზე აღმოჩნდა, რომელიც პირქვე იყო დამხობილი.[5] იგი ორფერდაა და ნახატი ორივე ფერდზეა მოცემული. ერთზე აშკარად გამოსახულია ირემი, რადგან ნათლად განირჩევა ორად დატოტვილი რქები, ცხოველის დაგრძელებული ტანი და კიდურები, ასევე მომრგვალებული გავა. აქვეა საინტერესო დეტალი: გამოსახულებაში ცხოველის სხეულის ზედაპირი ნაკოდია და ამით გამოიყოფა საერთო ფონიდან (გარკვეული პარალელების გავლება შეიძლება გამოქვაბულების მხატვრობასთან, სადაც ასევე გვხვდება „დაჩხელეტილი“ ზოომორფული გამოსახულებები. აგრეთვე საესებით შესაძლებელია მათი დაკავშირება ბრინჯაოს ქართულ ბალთებზე წარმოდგენილ ფანტასტიკურ ირმებთან, რომელთაც მკერდსა და გავაზე კონცეტრირებული წრეები აქვთ გამოსახული. მ. ხიდაშელის აზრით, ამ წერტილებს გარდა დეკორატიული

---

[4] შ. ამირანაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბ. 1961, 17.

[5] როგორც ო. ჯაფარიძემ ივარაუდა (დასახ. ნაშრ. 17 შმდ.), ეს კედლის წყობის ქვა არ იყო, თუმცა მაშინ გაუგებარი ხდება ამ ქვების ყორღანში აღმოჩენის მიზეზი.

მნიშვნელობისა, თავიდან უსათუოდ მაგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ[6]).



ბრინჯაოს ჭვირული ბალთა ირმის გამოსახულებით. ძვ. წ. II – ახ. წ. III ს.ს.

ირმის ნახატს ქვეით ორი ორნამენტული ბოლი დაუყეება: ერთი ეიწრო, მეორე შედარებით უართო, რომელიც ერთიანობაში ლენტისებურ არეს ქმნის; იგი შედგება სხვადასხვა გეომეტრიული, რითმულად განმეორებული ფიგურებით. ამ ქვის მეორე უერდი დაფარულია არამკვეთრად გამოსახული ურთიერთგადამკვეთი ხაზებით შექმნილი ბადით.

[6] მ. ხიდაშელი, *ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში*, თბ. 1972, 79.

ზურგაკეტის გამოსახულება, რომელიც მოცემულია სქემატური სახით, აღებულია „საქართველოს პეტროგლიფების დიდი კატალოგიდან“ (2013 წ.)



ამავე ყორღანში აღმოჩნდა მეორე ქვა, რომლის ერთ–ერთ წახნაგზე მეტად საყურადღებო გამოსახულებაა. დაახლოებით შუა ნაწილში გამოსახულია ცხოველი, სქემატური სახით. მისი ტანი ერთი ხაზითაა გადმოცემული, რომლის ორივე ბოლოდან წყვილი ხაზები ეშვება (სავარაუდოდ კიდურები), ერთ ბოლოზე კი არის ორი პარალელურად მოხრილი ხაზი – რქები. ფიგურის სილუეტიდან გამომდინარე, კვლავ ირემი უნდა იყოს. ცხოველის გამოსახულების გვერდით ორ რიგად დაწყობილი, მკვეთრად გამოხატული ტეხილი ხაზებია წარმოდგენილი. გეომეტრიული ფიგურები გამოსახულია მარჯვენა მხარესაც.



ბურტაკეტის ბოომორფული გამოსახულება

როგორც ო. ჯაფარიძე აღნიშნავდა, ეს გამოსახულებები გარკვეული [კოსმოლოგიური] აზრის მატარებელნი უნდა იყვნენ და შესაბამისად, ერთმანეთთან დაკავშირებულნიც.[7]

ბოგადად ირმის სიმბოლოს შესახებ მკვლევართან ამდაგვარ მსჯელობას ვხვდებით:

მ. ხიდაშელი რქებდატოტვილი ირმის სემანტიკურ ფუნქციაში ვერტიკალურად აგებულ სამყაროს ხედავს, რომელიც კოსმოგონიასთან იყო უშუალოდ დაკავშირებული. განიხილავს რა კოლხური ცულების ბოომორფულ გამოსახულებებს, ასკვნის, რომ ირმის სიმბოლო წარმოაჩენს კოსმოგონიას, ხოლო მარგიები კომპოზიციები წარმოადგენდა რიტუალურ სცენებს.[8] ი. სურგულაძის მოსაზრებით, „ირმის გამოსახულება ხშირად რელიგიურ-კოსმოგონიურ კონტექსტშია მოქცეული“[9] და განიხილავს არამარტო ირმის მითოსურ სახეს, არამედ სხვადასხვა კერამიკულ გამოსახულებებსა თუ ირმის ქანდაკებებს. ცალკე აღსანიშნავია ირემი ნადირობის სცენებში. მ. ხიდაშელი და ი. სურგულაძე ერთხმად ასკვნიან, რომ ირმის გამოსახულება ქალღვთაების ბოომორფული სახეა.[10]

ბუნებრიეია, რომ ირმის მრავალრიცხოვანი გამოსახულება პირობითად დაჯგუფებულია მათი ფუნქციითა თუ ტიპის მიხედვით – მაგალითად, ცალკე მდგომი ფიგურები და კომპოზიციები, ნადირობის სცენები თუ მშვიდობიანი სიუჟეტები და ა.შ. სწორედ

---

[7] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., 19.

[8] მ. ხიდაშელი, ირმის ხატი ქართულ კულტურაში, 229 შმდ.

[9] ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., 124.

[10] ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., 131 და მ. ხიდაშელი, *ირმის ხატი ქართულ კულტურაში*, 238.

ასეთი ტიპის დაყოფა-დაჯგუფებაზე საუბრობს მაგალითად ი. სურგულაძე, რომელიც ალაგებს გამოსახულებებს შემდეგნაირად: „ეს კომპოზიციები თავის მხრივ ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. პირველი მათგანი მოიცავს ცხოველთა განლაგებას რაიმე გეომეტრიული პრინციპის მიხედვით (მაგალითად ჯერის ან წრისებურად), ისე, რომ თავად ცხოველთა ფიგურები ერთმანეთთან სიუჟეტით არ კავშირდება. აქ სემანტიკურ ველს თავად კომპოზიცია ქმნის. მეორე ქვეჯგუფში კი შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი ძეგლები, სადაც ცხოველები და ანთრომორფული ფიგურები, ხშირად მხედრები, გარკვეული სიუჟეტური ქარგითაა გაერთიანებული. აქ ძირითადად მისტერიული ნადირობა და მსვლელობები უნდა იყოს გადმოცემული“.[11] ჩანს, მკვლევარი გამოყოფს სიუჟეტურ და არასიუჟეტურ კომპოზიციებს და ამ გაყოფის საფუძველზე წარმოადგენს ირმის სახე-ხატს.

ზემოთ განხილული მოსაზრების უკეთ წარმოდგენისთვის საილუსტრაციო მაგალითად ავიღოთ თუნდაც ირმის ბრინჯაოს ქანდაკებები (სამთავროს, ლაგოდეხის, ყაზბეგის განძის), სადაც აშკარად სახეზე გვაქვს ცხოველის, როგორც ნადირთღვთაების ზოომორფული გამოხატულება, როგორც თიღისმა ან კერპი ანდა მაგიური ნიეთი ღეთაებასთან უშუალო კაეშირის დასამყარებლად;



ბრინჯაოს ირმის ქანდაკება.
ჩვ.წ. XII-IX სს

[11] ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., 127.

და ირმის გამოსახულებები ბრინჯაოს ბალთებზე, სადაც ეს უკანასკნელი (სხვა ზოომორფულ გამოსახულებებთან ერთად) ასახავს მითოლოგიურ კომპლექსს,[12] რაც გულისხმობს მის კოსმოგონიურ ხასიათს, უფრო ზოგად და ფართო სიმბოლიკას, ვიდრე კონკრეტულად ღვთაების ზოომორფული სახეა. ამ შემთხვევაში ირმის სიმბოლო სცილდება ღვთაების არსს და გადადის სხვა კატეგორიაში, ღებულობს დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

გასათვალისწინებელია შემთხვევები, როცა ცხოველთა სახეები გეხვდება როგორც ორნამენტული შემკულობა. აქ იკარგება სიმბოლური დატვირთვა, რადგან მთავარი ადგილი უჭირავს რითმულობის განცდას და გრაფიკულ გამომსახველობას.

რა შეიძლება ითქვას ზურტაკეტის ზოომორფულ გამოსახულებებზე? აქ აქცენტირებულია რქები – მაღალი, მორკალული, თითქოს ცას აწვდენილი. ერთი მხრივ, ცხოველის ატრიბუციის ნიშანი, ხოლო, მეორე მხრივ, კი მიწისა და ცის, ორი სამყაროს მაკავშირებელი სიმბოლო. შეიძლება თუ არა ყორღანის ირმის გამოსახულებები დავუკავშიროთ ღვთაებას კონკრეტულ გამოხატულებას, თუ გავითვალისწინებთ ირმის კოსმოგონიასთან დაკავშირებულ სიმბოლურ დატვირთვასაც? (რქებდატოტვილი ირემი ხშირად გაიგივებულია სიცოცხლის ხესთან).

ზურტაკეტის შემთხვევაში, ჩვენი ვარაუდით, ხაზგასმულია ირმის, როგორც მაკავშირებელი ელემენტის სიმბოლო და არა კონკრეტულად ქალღვთაების ზოომორფული გამოსახულება. ეს ვარაუდი გამომდინარეობს იმ დაკვირვებისგან, რომ ზურტაკეტის ირმის გამოსახულებებში შეინიშნება ისეთი ტენდენციები, რაც არ არის დამახასიათებელი ღვთაების კონკრეტული გამოხატულების შემთხვევაში. კერძოდ, სიუჟეტური სქემის არსებობა. ამასთან გარკვეული მნიშვნელობა უნდა ეკისრებოდეს გამოსახულებათა აღმოჩენის ადგილს. ირმის გამოსახულებების აღმოჩენამ ნასახლარზე, კერიასთან, ქანდაკების სახით თუ კერამიკაზე, შეიძლება გვაფიქრებინოს მისი თავდაცვითი ფუნქცია - ღვთაების მფარველობის ქვეშ ყოფნა, დაცვა გარეშე ძალებისგან.[13] მაშინ როცა სამარხებში იგივე ნახატებს სხვა დანიშნულება უნდა ეკისრებოდეს დაკრძალვის რიტუალიდან გამომდინარე. ჩვენი აზრით, აღნიშნული მნიშვნელობები ერთი შეხედვით

---

[12] მ. ხიდაშელი, *ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის*, 85.

[13] ეს ის შემთხვევაა, როცა შეიძლება ვიფიქროთ ღვთაების ზოომორფული სახით არსებობაზე.

წინააღმდეგობრივია, მაგრამ არსებითად არ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, რამდენადაც პრეისტორიული ხანის რწმენა-წარმოდგენებში სიმბოლოთა სემანტიკა ძალიან გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. განსაკუთრებით, თუ ერთ სიმბოლოს გააჩნია რამდენიმე აზრობრივი დატვირთვა. ცხადია, შესაძლებელია ერთი გამოხატულების რამდენიმე მნიშვნელობის ერთიანად განხილვა, რომელიც გვაძლევს ზოგად სურათს იმდროინდელი ხალხის მითოლოგიურ-კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენებზე, მაგრამ არსებითად საჭიროა გაიმიჯნოს ირმის პირობითი სემანტიკური მნიშვნელობები და მოხდეს გამოსახულებათა დახარისხება-დაჯგუფება.

ბურტაკეტის ყორღანების კერამიკული ინვენტარი დიდად არ განსხვავდება ამ პერიოდის რიგით ყორღანებში აღმოჩენილი მასალებისგან. აქ დადასტურდა უმეტესად შაეპრიალა, შესანიშნავად ორნამენტირებული თიხის ჭურჭლები, რომელთა შემკულობაში გამოირჩევა ამოკაწრული ორნამენტები, რომბები, სამკუთხედები, გადამკვეთი ხაზები და სხვა. მათთან ერთად ამ ნიშნიანი ქვების არსებობა უფრო ამყარებს აზრს, რომ აქ დაცულ გამოსახულებებს უნდა ჰქონდეთ რაიმე რიტუალური მნიშვნელობა.[14]

ბურტაკეტში ცალკე მდგომი ირმის გამოსახულება ორნამენტული არშიით უნდა მივაკუთნოთ იმ კატეგორიის ჯგუფს, რომელშიც ი. სურგულაძე აერთიანებს გეომეტრიული პრინციპით გადმოცემულ კომპოზიციებს. ეს უკანასკნელი იგივე სემანტიკური ფუნქციის მატარებელია, როგორც ირემი ბრინჯაოს ბალთებზე და რომელიც არანაირად არ უნდა იყოს უმნიშვნელო ორნამენტი; და მეორე კი აშკარად სიუჟეტური სცენაა. თხრობითი კომპოზიცია, სადაც გულდასმით დაკვირვებისას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ გამოსახულია წმინდა ცხოველი, რომელიც მდინარის ან წყაროს წყალს ეწაფება. ეერტიკალური ტეხილი ხაზები სხვა არაფერია თუ არა წყლის უნივერსალური სიმბოლო-გამოხატულება (მაგალითად ძველ ეგვიპტურში სამი ჰორიზონტალური ტეხილი ხაზი დეტერმინანტივი აღნიშნავდა წყალს, სითხეს. ჩვენს შემთხვევაში ტეხილების მიმართულება არსებით მნიშვნელობას არ ცელის). მსგავსი სიუჟეტური ანალოგი ან რემინისცენცია არაერთ ძველ

---

[14] მაგალითად, ო. ჯაფარიძე (1960-61 წლების ორიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა მოამბე*, თბ. 1963, 20) ყველა შესაძლო ვარიანტს უშვებს, მათ შორის აღიცხეით და რიტუალურ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ყველა მეცნიერი ერთხმად ეარაუდობს ნიშნიანი ქვების გამოსახულებებში აზრის გადმოცემის მცდელობას.

კულტურაშია დაფიქსირებული, იქნება ეს კერამიკულ ჭურჭლების თუ რელიეფების გამოსახულებები.

ბურტაკეტის სქემატურ კომპოზიციას საინტერესო ქართული პარალელი მოეპოვება ატენის სიონის ჩრდილოეთ კარის ტიმპანზე წარმოდგენილი სიუჟეტის სახით: წყალსატევს დაწაფებული ირმები.



ატენის სიონის რელიეფი

ატენის ზემოთაღნიშნული გამოსახულება განვითარების ხაზით მომდინარეობს სწორედ ბრინჯაოს ხანის ანიმალისტური კომპოზიციებიდან, რამდენადაც ჩვენ ვევით შევთანხმდით, რომ ენეოლითი-ბრინჯაოს ხანის პერიოდში საფუძველი ეყრება კომპოზიციურ სქემებს და მხატვრულ გადაწყვეტას. წყაროს წყალს დაწაფებული ირემი ისეთივე მითოლოგიური წარმოდგენების გამომხატველია, როგორც ირემზე ნადირობის სცენები.

გამომსახველობითი კუთხით, ზემოაღნიშნული ორივე ფიგურა უფრო პეტროგლიფებს მიეკუთვნება, ან გამოქვაბულის მხატვრობისკენ მიისწრაფვის, ვიდრე ცალკეული პიქტოგრამული ნიშნებისკენ ან პირწმინდა ორნამენტისკენ. მათში ასევე ძნელია აღრიცხვითი მნიშვნელობის დანახვა.

ბურტაკეტის ზოომორფულ გამოსახულებათა სტილისტურ ანალიზისას, შეუძლებელია გაექცე იმ მომენტს, რომ მიუხედავად თრიალეთური კულტურის დახვეწილი ორნამენტებისა, განვითარებული ხელოსნობისა და ოქრომჭედლობისა, ყორღანში აღმოჩენილი გამოსახულებები საკმაოდ სტილისტური და

სქემატურია, გამარტივებული და გულუბრყვილოც კი. ო. ჯაფარიძის აზრით, რეალისტური და სქემატური გამოსახულებები თანადროულად არსებობს მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურაში,[15] თუმცა რამდენად არის შესაძლებელი ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული სტილის ერთდროულად გაბატონება, ძნელი სათქმელია. საეარაუდებელია უფრო სხვა, ჩვენთვის გაურკვეველი, მიზეზები ჰქონდეს. შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, სახეით ხელოვნებაში განვითარების ასეთი ჯაჭვია წარმოდგენილი: რეალისტური გამოსახულება დადის სქემატურ და ძლიერ სტილიზირებულ გამოსახულების დონემდე, რომელიც შემდეგ ნელ-ნელა ღებულობს ორნამენტაციის სახეს.[16] სხვადასხვა სტილის თანადროულ არსებობაზე კი არაფერს ამბობს. მოცემულ შემთხვევაში, ალბათ უფრო საეარაუდოა თავიდანვე რეალური გამოსახულების სქემატური, აბსტრაქტული სახით აღბეჭდა, რომელიც შემდეგ ცხადია განვითარდება განზოგადებულ ნატურალისტურ-რეალისტურ სახემდე. ჩვენი აზრით, ზურტაკეტის სქემატური, განზოგადებული სახეების წარმოქმნა განპირობებულია მასალის თავისებურებით – ლოდზე ნახატის კვეთა ახალია თრიალეთური კულტურისათვის.[17] სწორედ ამით უნდა აიხსნას დაუხვეწაეი და მოუხეშავი სახის ანაბეჭდები ქვებზე. მაგრამ ზოგადად სქემატური სტილი ამ კულტურის მატარებელი ხალხისთვის მიღებული იყო. მაგალითისთვის შეგვიძლია შევადაროთ შუაბრინჯაოს ხანის სქემატური გამოსახულებები კერამიკაზე.

[15] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., 12-25

[16] შ. ამირანაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბ. 1961, 27.

[17] სხვა საქმეა კერამიკულ ნაწარმზე, საიუველირო ქვაზე, ბრინჯაოზე გამოსახულებას ამოკვეთია, რომლის გამოცდილებაც თრიალეთური კულტურის მატარებელ ხალხს ჰქონდა.



შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კერამიკის გამოსახულება

საესებით საინტერესო და მისაღები ჩანს ი. სურგულაძის მოსაზრება, რომლის თანახმადაც *„მიწათმოქმედი ხალხები ხატავენ ცხოველის სტილიზირებულ ფიგურას, როგორც ნაყოფიერების ძალების ერთ-ერთ გამოვლინებას, იგივე შეიძლება ითქვას, სტილიზაციის შესახებ. სტილიზაცია ზოგჯერ ოსტატის ხელის მოუხერხებლობის შედეგად მიაჩნიათ. ეს ასე არ არის. სტილიზაცია განყენებული აზროვნების შედეგია, იგი შექმნა რთული კატეგორიებით მოაზროვნე ინტელექტმა არა ინდივიდუალური ნიშან-თვისების გადმოსაცემად, არამედ მოვლენებისა და საგნების მთელი ჯგუფის ასახავად. მას ახასიათებს მოდელის მიმართ თავისუფალი დამოკიდებულება“*.[18] სავარაუდოდ, გამორიცხული არ არის, სქემატური გამოსახულებები საკრალური ბუნების იყოს და

[18] ი. სურგულაძე, *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლოკა*, 1986, 106-107

ამგვარი სტილის განბრახ შემოღება დაკრძალვის რიტუალთან მიმართულ წესსა და ჩვეულებას უკავშირდებოდეს, რამდენადაც ეს ქვები სამარხშია აღმოჩენილი. მაგრამ აქაც, ვარაუდის დონეს ვერ გავცილდებით.

დასკვნის სახით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: გამოჩნდა კონკრეტული სიუჟეტური სქემა. სამარხში დაფიქსირებულია უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან და დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ირმის ზოომორფული სქემატური გამოსახულებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენენ ბეცისა და მიწის მაკავშირებელი წმინდა ცხოველის უნიჟერსალურ სიმბოლო-ხატს.

ბიბლიოგრაფია:

1. ამირანაშვილი შალვა, *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბ. 1961.
2. ამირანაშვილი შალვა, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობა, *კომუნისტი*, 1962 წ. №2.
3. სურგულაძე ირაკლი, ზოომორფული სიმბოლიკის შესწავლისათვის, *უნივერსიტეტის შრომები*, თბ. 1983. ტომი 243, გვ. 121-137.
4. სურგულაძე ირაკლი, *ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა*, თბ. 1986.
5. ჩუბინიშვილი ტარიელ, *მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა*, თბ. 1965.
6. ხიდაშელი მანანა, *ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში*, თბ. 1972.ხიდაშელი მანანა, ირმის ხატი ქართულ კულტურაში, კრებ. *რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში*, თბ. 2005, გვ. 229-233.
7. ჯაფარიძე ოთარ, 1960-61 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა მოამბე*, თბ. 1963წ., გვ. 191-201
8. ჯაფარიძე ოთარ, შენიშვნები ბურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვების შესახებ, კრებ. *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები*, თბ. 1966, გვ. 12-25.

Ketevan Kevanishvili

TO THE INTERPRETATION OF ZOOMORPHIC IMAGES OF ZURTAKETI KURGANS

Zoomorphic figures of deer from Zurtaketi are related to the prehistoric religious beliefs and to the burial ritual. Deer may represent neither the God's animal nor God itself, but it symbolizes the connection between two different worlds – the earth, land of the living and the sky, land of the dead.

ჯემალ შარაშენიძე

რამდენიმე არასასიამოვნო სიტყვა ეკა ავალიანის წიგნზე "ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია: განვითარების ტრაექტორიები ძვ.წ. III ათასწლეულიდან III საუკუნემდე", თბ., 2012

წიგნის ავტორი თავისი მონოგრაფიით ერთობ პრობლემური ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად: მას სურს, რომ შეისწავლოს ძვ.წ. IV-II ათასწლეულების დროინდელი ძველი შუამდინარეთის სახელმწიფოების – შუმერისა და ძველი ბაბილონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მხარეები და გამოკვეთოს მათი გაელენის სფეროები მაშინდელი ვითარების მიხედვით საკმაოდ ვრცელ რეგიონზე – აღმოსავლეთით მდებარე ელამის სახელმწიფოდან მოკიდებული თითქმის ხმელთაშუაზღვისპირეთის სანახებამდე დასავლეთით.

შეიძლება არ იყოს უადგილო ავტორის მიერ საკითხის დასმა იმის შესახებაც, რომ ტრადიციული ტერმინის „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის" მაგივრად შემოვიღოთ ახალი, უფრო ზუსტი და რამდენადმე გამოკვეთილი შინაარსის მქონე ტერმინი „ძველი ახლო აღმოსაელეთის ისტორია". ამ საკითხის დასაბუთებას ეძღვნება არც თუ ისე ურიყოდ დაწერილი და მისაღები არგუმენტებით შემაგრებული მსჯელობა, რომელიც მონოგრაფიის პირველი და მეორე თავებისათვის განკუთვნილ აღგილს (გვ. 5-30) იკავებს.

წიგნის ამ ნაწილში წამოყენებული ზოგადი პოსტულატების ფაქტობრიეი მონაცემებით შემაგრებას კი ეთმობა მონოგრაფიის დანარჩენი ნაწილი (გვ. 31-151), სადაც საკმაოდ სკრუპულოზურადაა აღნუსხული ის კონკრეტული რეალიები, რაც წიგნის შესავალში დასმული მთავარი პრობლემის – ძველი შუამდინარეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბებისა და გაერცელება-გაელენის სურათის რეალურ სახეს წარმოგვიჩენდა. მაგრამ სამწუხაროა, რომ წიგნის სწორედ ეს ნაწილი – უმთავრესი და ფაქტობრივი მასალის შემცველი დიდი მნიშვნელობის მქონე მონაკვეთი იწვევს მკითხველში უკმაყოფილების გრძნობას მასალის ნაკლები სისრულით წარმოდგენის თვალსაზრისით.

აშკარად ჩანს, რომ მოხსენებული წიგნის უმეტესი და ძირითადი ნაწილი დაწერილია არა ძველი შუამდინარული პირველწყაროების მონაცემთა საფუძველზე, არამედ გედმეტად კომპილაციური ხასიათისაა. წიგნის დასახელებულ ნაწილში შესული მასალის უდიდესი

უმეტესობა ამოღებულია ძირითადად ინგლისურენოვანი **პოპულარული ნაშრომებიდან**. ავტორი **თითქმის სიტყვასიტყვით** მიჰყვება პუბლიკაციას: Van de Mieroop M., A History of the Ancient Near East ca. 3000-323 BC, Oxford, 2007. როგორც ეხედავთ, განსახილველი წიგნის სათაურიც ამ გამოცემიდან არის აღებული; დამატებულია მხოლოდ მთლად არც თუ ისე გასაგები შინაარსის მქონე ფრაზა: „განვითარების ტრაექტორიები“. აეტორი ძალზე თავისებურად უთითებს თავის ძირითად წყაროს. მკითხველი, თუ ამ ორი წიგნის დეტალურ შედარებას არ მოინდომებს, ვერ მიხვდება, ეს მითითება რამე კონკრეტული დებულების გაზიარებას ნიშნავს, თუ მთელი პასაჟების, გვერდების, სქემებისა და ა.შ. გადმოწერას. შესაბამისად, სესხების ამ ფორმას მთლად პლაგიატი, ალბათ, არ ეწოდება, მაგრამ მეცნიერულ კეთილსინდისირებასთან მას ნამდვილად არაფერი აქვს საერთო. თხრობაში ავტორი შიგადაშიგ ურთავს აღგილებს ენციკლოპედიური გამოცემებიდან, ზოგჯერ სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევებიდანაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალზე იშვიათად ხდება.

ამთაეითვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ვერ ნახავთ წიგნის თითქმის ვერცერთ გვერდს, რომელზედაც არ გვხვდებოდეს მეგ-ნაკლები ხარისხისა თუ დონის უზუსტობანი, ხშირად აშკარა და მკვლეერობაზე პრეტენზიის მქონე აეტორისათვის ყოელად მიუტეებელი შეცდომები. ყველა მათგანის აღრიცხვას ჩვენ ნამდვილად რომ ვერ შეეძლებთ, მხოლოდ ზოგიერთზე მიეუთითებთ.

ავტორი ხშირად უკრიტიკოდ იმეორებს უცხოელი მკვლევრების მიერ დაშვებულ აშკარა შეცდომებს, ან არასწორად აქართულებს მათ აზრებს, რადგანაც არ ესმის კარგად, რაზეა საუბარი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: ურუქის ხანაში (ძ.წ. IV ათასწლ. შუა ხანები) თითქოს „დადგინდა წელიწადი, რომელშიც 12 თვე იყო, ხოლო თითოეული თვე 30 დღისაგან შედგებოდა. მას ემატებოდა დამატებით ერთი თვე, წელიწადის გამოტოვებით, რათა ერთიანი სოლარული ციკლი დაფიქსირებულიყო“ (გვ. 47). აეტორი ამისათვის Van de Mieroop-ს უთითებს. ამ უკანასკნელს უწერია „...an additional month was added intermittently...“ – „...შიგადაშიგ/ პერიოდულად ერთეოდა დამატებითი თვე... “ (გვ. 33), რაც სწორია, მაგრამ დაზუსტებას საჭიროებს. სინამდეილეში დამატებით (ე.წ. diri „ზედმეტ“) თვეს შუმერები ურთაედნენ არა ყოველ მეორე წელიწადს (ეს ხომ შუმერების მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა!), არამედ ყოველ მე-5 წელს (ეს გარემოება კარგა ხანია გამოკვლეულია N. Schneider-ისა და T. Gomi-ს მიერ).

ასევე არასწორია, რომ თითქოს ურუქის ხანაში განისაზღვრა წონის ერთეულის – ტალანტის სიდიდე (გვ. 47). ამ აზრსაც ავტორი Van de Mieroop-ს მიაწერს, ამჯერად, სამართლიანად. ცნობილი კი არის, რომ ტალანტის ზომა გაცილებით გვიან დადგინდა (ამაზედაც არსებობს I.J. Gelb-ისა და A. Salonen-ის ნაშრომები).

ამავე ავტორს მიეწერება კიდევ ერთი უზუსტობა: თითქოს აქადის დინასტიის მეფემ მანიშთუშუმ (და არა: „მანიშთუსუმ", როგორც წიგნის ავტორი წერს) მის მიერ შესყიდული 3 ათას ჰექტარზე მეტი მიწა თითქოს „გადასცა მის ერთგულ ხალხს საკუთრებაში" (გვ. 105). Van de Mieroop-ი კი უფრო რბილად წერს (გვ. 66): „თუმცა შესყიდვის ფასი არ იყო უჩვეულოდ დაბალი, ცხადია, რომ მანიშთუშუმ იძულებით გააყიდინა მფლობელებს მიწა, რათა თავისი მხარდამჭერებისთვის მისი დარიგების შესაძლებლობა ჰქონოდა".

ამავე ავტორისგან მომდინარეობს ე. ავალიანის მორიგი შეცდომა: თითქოს შუმერის სახელმწიფოს „პერიფერიებში მიმდინარე პროცესებს ცენტრიდან (იგულისხმება ქვეყნის დედაქალაქი ური, ჯ.შ.) აკონტროლებდა მეფის მოხელე ე.წ. სუკალ-მახი" (გვ. 119). ეს განცხადებაც არაა სწორი. სუქალმახს არ ევალებოდა პერიფერიებში მიმდინარე პროცესების კონტროლი. იგი იყო სახელმწიფოს საგარეო საქმეების უწყების მეთაური, რომელიც იჯდა არა დედაქალაქში, არამედ მისგან რამდენადმე მოშორებით მდებარე ქალაქ ლაგაშში. სუქალმახის სახელოში შედიოდა აგრეთვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე საფოსტო საქმიანობის ზედამხედველობაც (ამ საკითხზე არსებობს ჩვენი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელსაც ავტორი, ჩანს, არ იცნობს. თუ იცნობს, მასზე მითითებას იგი მაინც არ იკადრებდა, რადგანაც ე. ავალიანი პრინციპულად არ სცნობს უცხოელი, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი მკვლევრების გარდა არავის – არც რუსებს და მითუმეტეს არც ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს!).

გვ. 119-ზე განსახილველი წიგნის ავტორი წერს: ძვ.წ. 21-ე საუკუნეში „ურის დინასტიის პრინცესა დაქორწინდა ირანელ უფლისწულზე". საოცარია, როგორ უნდა ვიეარაუდოთ ამ შორეულ წარსულში თუნდაც ცნებისა და მისი შესაბამისი პოლიტიკური ერთეულის „ირანის" არსებობა. ეს შეცდომაც, Van de Mieroop-ს ეკუთვნის, ე. ავალიანი კი უნებლიედ მის ტირაჟირებას ახდენს.

გვ. 131. წიგნის ავტორის მიხედვით „ხამურაბის სახელს მიეწერება სამართლის კოდექსის შექმნა". ხამურაბის „კოდექსი" არ შეუქმნია და არც შეიძლებოდა იმ ეპოქაში კოდექსის შექმნა. მას მხოლოდ კანონების კრებულის ავტორობა მიეწერება. ამიტომაც აშკარად მცდარია ტერმინის „ხამურაბის კოდექსის" ხმარება, რასაც,

სამწუხაროდ, ბოგაზქოის ქართველი იურისტის ნაშრომებშიაც ვხვდებით. აღნიშნული ტერმინის გამოყენებასაც ავტორი Van de Mieroop-ს მიაწერს.

ამისთანა შეცდომები, სამწუხაროდ, წიგნში არაერთხელაა დაფიქსირებული (მაგალითისათვის იხილეთ გვერდი 45 – ურუქში თითქოს არსებული **უცნაური** ინსტიტუტების შესახებ; გვ. 59-ის ცნობით თითქოს „ურუქის ქუჩებში გილგამეშს თან ახლავს ხუვავა“ და სხვა ამის მსგავსი რამ).

აი, კიდევ სხვა ტიპის შეცდომების მაგალითები:

Van de Mieroop-ისგან მომდინარეობს ასეთი მტკიცება: NAM2 უნდა ნიშნავდეს „ლიდერს“ (გვ. 45). სინამდვილეში nam (და არა NAM2) ავტორის მიერ წიგნის ამ ადგილას განხილულ ტერმინში nam_2-gal არის აბსტრაქტულობის მაწარმოებელი შუმერული პრეფიქსი.

გვ. 91. „აქად. ანი, შუმ. ანუ“. ეს, ერთი შეხედვით, პატარა და თითქმის უმნიშვნელო ფაქტი ავტორის მიერ შუმერული და აქადური ენების ზედაპირულადაც კი ცოდნის აშკარა ღუუიციგზე მიანიშნებს.

გვ. 101. სახელი „სარგონი“ ნიშნავს „ჭეშმარიტ მეფეს“. არ არის ეს ასე! საკმარისი იყო თუნდაც „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში“ (გვ. 60) ჩაეხედა ავტორს და იგი ამისთანა ბავშვურ შეცდომას თავიდან აიცილებდა.

გვ. 102. „*kiššatu* ნიშნავს სამყაროს მმართველს“. ეს კიდევ ერთი შეცდომაა!

გვ. 102. „ნარამ-სინმა (უნდა იყოს: „ნარამსუენმა“) *kiššatu*-ს დაუმატა დინგირი, ღვთის აღმნიშვნელი ნიშანი და . . . ახალი კონცეფცია შემოიტანა „მეფე ოთხი მხარისა“. ავტორი ჩაუფიქრდება ამ ფრაზას და ინანებს, რა უსუსური შეცდომა დაუშვია უნებლიედ.

გვ. 113. „შარ-კალი-შარი (უნდა იყოს: „შარქალიშარი“) მოკლეს ქალაქ აგადაში“. ეს ხომ იგივე ქალაქი აქადია (ქართული გამოთქმით). იწერება ასე: *A-ga-de*$_3^{ki}$.

გვ. 138-ზე წერია: „ბიგ ნიშნავს სახლს“. ეს ავტორის მიერ აქადური ენის ელემენტარულ საკითხებში გაურკვევლობის კიდევ ერთი მოწმობაა. აქადურად, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი ასურულად, „სახლი“ გამოითქმის როგორც *bītu* ან *bītum* (ქართული ტრანსკრიპციით „ბითუ“).

გვ. 143. „ტერმინი სუკალ-მახი ჩნდება პირველად ურის მესამე დინასტიის ხანაში“. ესეც არაა სწორი! სინამდვილეში ტერმინი სუქალმახი და მისი შესაბამისი თანამდებობა პირველად დამოწმებუ-

ლია ურის მესამე დინასტიაზე ორასი წლით ადრეულ ხანაში – ლუგალანდა-ურუინიმგინას გეობის პერიოდში.

მსგავსი შეცდომები მრავლადაა ამ წიგნში, რაც აშკარა მოწმობაა იმისა, რომ ავტორი არ იცნობს შუმერულ და აქადურ პირველწყაროებს ორიგინალების დონეზე; უფრო სწორედ, არ შეუძლია, რომ თუნდაც ახლოს გაეცნოს მათ დასახელებული ენების საკმაოდ სუსტად ფლობის, შეიძლება ითქვას, **სრული** უცოდინარობის გამო („სრულიო" რომ ვამბობ, ეგულისხმობ შემდეგს: წიგნის ავტორი გედაპირულადაც რომ იცნობდეს აღნიშნულ ენებს, მაშინ იგი პირველწყაროებით სარგებლობას მაინც შესძლებდა მათი ლურსმულდამწერლობიანი ტექსტების ტრანსლიტერაციებისა და თარგმანების დონეზე).

კიდევ გვიხდება გამეორება არასასიამოვნო ფაქტისა: ავტორს შუმერული და აქადური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლურსმული დამწერლობის თავისებურებებზე არაეითარი წარმოდგენა არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაუშვებდა ამგვარ აშკარა უგუსტობებს ძველი შუამდინარული ტოპონიმების, შუმერულ-აქადური საკუთარი სახელებისა თუ ცალკეული სიტყვების დაწერილობაში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ აქვე მოვიყვან ნაგულისხმები ლექსემების ავტორისეული და სწორი დაწერილობების შეპირისპირებულ ცხრილს:

აგგა – აგა
აკურგალი – აქურგალი
გათუმდაგი – გათუმდუგი
ეანნა – ეანა
მანიშთუსუ – მანიშთუშუ
ნანნა – ნანა
ნარამსინი – ნარამსუენი
ნიპური – ნიფური
უთნაფიშტიმი – უთნაფიშთიმი
უმმა – უმა
ურუკაგინა – ურუქაგინა
ქეში – ქიში
ჰურსაგკალამა – ხურსაგქალამა

აქვე ავტორს შეიძლება ვუთხრათ, რომ ურუინიმგინა არის იგივე ურუქაგინა, რაც მან, როგორც ჩანს, არ იცის.

მსგავსი შეუსაბამობანი დაწერილობებში მრავალია, რომელთა ჩამოთვლა აქ რამდენადმე უხერხულადაც კი მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ ერთს: ნაშრომის 152-156-ე გვერდებზე წარმოდგენილია

ძველი შუამდინარეთის შუმერულ-აქადური დინასტიების მეფეთა სახელების სია (რომელიც ასევე Van de Mieroop-ის წიგნიდანაა გადმოღებული). შეცდომების კორიანტელი თუ გინდათ, იქ უნდა ნახოთ: თითოეული სახელის დაწერილობაში ზოგჯერ ორი-სამი შეცდომაც კი არის დაშვებული.

ეს იმიტომ ხდება, რომ ავტორისათვის უცნობია შემდეგი უმარტივესი გარემოება: შუმერულს არ გააჩნია მკეთრი ბგერები – კ, პ, ტ. სათანადო ლურსმული გრაფემების მნიშვნელობათა ლათინურით გადმოღებული k, p, t უნდა გადმოვიტანოთ ქართულად ასე: ქ, ფ, თ. შუმერულისაგან განსხვავებით აქადურში იყო როგორც q, მაგალითად, *qaqqadu,* ასევე k=ქართ. ქ (მაგალითად, *kakku* „იარაღი“).

ყველაფერ ამის სათავე იქიდან იწყება, რომ წიგნის ავტორს სათანადო დონეზე არასოდეს შეუსწავლია შუმერული და აქადური ენები ლურსმული დამწერლობის სისტემის შესაბამისი ვარიანტებითურთ. ამის გარეშე კი საერთოდ ძველ აღმოსავლეთში, მითუმეტეს შუმერულ-აქადური ენობრივი სამყაროების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის დარგში მუშაობა წარმოუდგენელია, უფრო სწორად, **აბსოლუტურად გამორიცხულია**. ამ აქსიომურ სიმარტივეში გაურკვევლობის გამოა, რომ ძველაღმოსავლური საკითხებისადმი მიძღვნილი დასახელებული წიგნის ავტორის ყველა ნაშრომი ერთობ დაბალი ხარისხისაა.

ავტორს მოძალებულად ემჩნევა უცხოურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით გატაცება – მის წიგნზე თანდართული ლიტერატურის სიაში გვხვდება ისეთი წიგნების დასახელება, რომლებიც, ეტყობა, თვალითაც არ უნახავს მას. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი: Chiera E., Sumerian Religious Texts, Upland, 1924; Deimel A., Schultexte aus Fara, Leipzig, 1923; Falkenstein A., Archaische Texte aus Uruk, Leipzig, 1936 (ამაზე უთითებს სხვა ავტორის მეშვეობით. აშკარად ჩანს, რომ წიგნის შესაელისათვის, გერმანულის არცოდნის გამო, არც გადაუხედავს მას); Thureau-Dangin F., Les Cylindres de Goudea, Paris, 1905 (უნდა იყოს: 1925). თუ უნახავს, საკვირველია, რატომ უთითებს მათზე? საკუთარ ნაშრომში ხომ ვერსად ეხვდებით მათი გამოყენების კვალს! ეს წიგნები კიდევაც რომ ენახა ავტორს, მათი მონაცემებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ ისარგებლებდა იგი, რადგანაც ჩამოთვლილ გამოცემებში შუმერულენოვანი ლურსმული ტექსტების მხოლოდ ავტოგრაფიებია გამოქვეყნებული; მათზე კი შუმერული ლურსმული დამწერლობისა და ენის **სრული უცოდინარობის** გამო ხელი არ მიუწვდება მას. ისე გამოდის, რომ ამ წიგნებზე მითითებით იგი აშკარად ცდილობს თავის გამოჩენას არასპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე, რასაც ზოგჯერ

ახერხებს კიდეც (ერთმა არასპეციალისტმა, მეცნიერების სულ სხვა დარგში მომუშავე სოლიდური ავტორიტეტის მქონე მკვლევარმა ჩვენთან საუბარში გაკვირვებით განაცხადა: ეკა ავალიანის მიერ საკუთარ წიგნებზე თანდართული უმდიდრესი და ერუდიციული ბიბლიოგრაფიის თუნდაც შემდგენელი როგორ შეიძლება, რომ ისეთი დაბალი კვალიფიკაციის მკვლევარი იყოს, როგორც ამბობენო. ჩვენმა მოსაუბრემ არ იცოდა, რომ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ენებისა და კულტურის შესახებ ცნობების შემცველი ინტერნეტული გვერდები საესე მსგავსი ლიტერატურის ჩამონათვალით, რითაც გულსრულად და მიზანმიმართულად ყოველთვის სარგებლობს ჩვენი „აღმოსავლეთმცოდნე“ ავტორი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მხოლოდ გულისტკივილით აღვნიშნოთ: რა დასანანია, რომ ამგვარი წიგნები კიდევ იწერება და, სამწუხაროდ, მომავალშიც დაიწერება ამისგან თავდაცვის რაიმე ეფექტური საშუალებების არარსებობის გამო. საერთაშორისო კავშირების გაფართოების კვალდაკვალ უცხოეთიდან ბევრი ცუდი რამ შევითვისეთ და მათ შორის შემდეგიც: ახლა რასაც გინდა, იმას დაწერ და თანხების მოპოვების შემთხვევაში საუკეთესო ყდაში ჩასმულ მდარე ხარისხის ნაშრომსაც კი გამოაქვეყნებ.

Nana Khazaradze

ON THE HISTORY OF LUWIAN HIEROGLYPH DENOTING "VINE"

The signs of the Hieroglyphic-Luwian script supply us with extremely important data about the history of ancient Anatolia. Among those signs there is attested a hieroglyph linked with viticulture and winemaking, having several uses:



1. „Vine", logogram. Phonetic pronunciation: tuwarsa-.
2. „Wine", logogram. Phonetic pronunciation: wiana-.
3. Determinative of lexemes linked with wine and wine-making.

The study of the Assyrian, Hittite and Hieroglyphic-Luwian written monuments available to us clearly shows that the Luwians who created the Hieroglyphic-Luwian script were aware of various branches of economy of Anatolia of the 2nd millennium BC, namely, viticulture and wine-making.

It is recognized, that the genesis of the vine culture is usually associated with the South Caucasus and Western Asia.

Written evidence on the existence of viticulture and wine-making in Ancient Anatolia is first found in the so-called „Cappadocian tablets" (beginning of the 2nd millennium BC). „Vine" (karānu), „harvest time" (qitip karānim), „Chief royal cup-bearer" (rabišaqē) occur for the first time in this document.

In Hittite cuneiform written sources „vineyard" is denoted by ^{GIŠ}SAR.GEŠTIN or^{GIŠ}KIRI. GEŠTIN. In the famous "Proclamation of Telipinu" (1550-1520 BC) we also find ^{GIŠ}GEŠTIN.ḪI.A with the meaning of "vineyard". The Hittites refer to wine as wiyana (cf. Luwian cuneiform wini(ya)-, hieroglyphic wi(ya)ni-). In the text of Telipinu, among the high-ranking officials of the country („father of the house", „senior of the house sons", „chief of the royal bodyguard", „commander of a thousand... "), a wine-pourer and chief royal cup-bearer are also mentioned. Telipinu orders: „(§33/ Column 2:66-73) But now, from this day onwards in Hattusa you, palace attendants, royal bodyguards, golden-chariot fighters, cup-bearers,w[aite]rs, cooks, staff bearers, grooms,commanders of a [field] ba[tallion], remember this word. Let Tanuwa, Tahurwaili and Taruhsu be a warning to you! [I]f someone commits evil again, either the Major Domo, the Chief of the [pala]ce attendants or the Chief of the Royal Bodyguard or the Chief of commanders of a field batallion — whether alo[w]er (or) higher ranking one — you too, Council, seize (him) and devour him with

your teeth! ...(§34/ Column 3:1-3) Now, in Hattusa they must take the Chiefs of Staff, (that is,) the Major-Domos, the Chief of the Palace Attendants, the Chief-of-the-Wine, the Chief of the Royal Bodygu[ard], the Chief of the Chariot Fighters, the Commander of the Bailiffs, the troopfs], those who are grea[t(?)] in [the King's(?) h]ouse, [as well as furthe]rmore their subordinates".[1] In the same document we also come across the term „cupbearer" in another context. Telepinu informs us: „(§10) And Hantil[i] was cupbearer and he had Mursili's sister Har[apsi]li for his wife").[2]

Series Two of the Hittite laws, compiled as early as the period of the Old Hittite Kingdom (1650-1500 BC), which contain sanctions stipulated for various kinds of committed crimes, is called „If a Vine". Of the 100 clauses of Series Two, 8 deal with this issue (§§ 101, 105, 107, 108, 113, 164-165, 185). According to the Hittite laws,the punishment of a vine thief was the most severe.(§101: „If anyone steals a vine, a vine branch, a ..., or an onion/garlic, formerly [they paid] one shekel of silver for one vine and one shekel of silver for a vine branch, one shekel of silver [for one *karpina,* one] shekel of silver for one clove of garlic. And they shall strike a spear on his [...] Formerly] they proceeded so. But now if he is a free man, he shall pay 6 shekels [of silver]. But if he is a slave, he shall pay 3 shekels of silver.")[3]. Compensation depended on the quality and state of vine: (§108: „If anyone steals vine branch(es) from a fenced-in vineyard, if (he steals) 100 vines/(fruit) trees, he shall pay 6 shekels of silver. He shall look to his house for it. But if (the vineyard) is not fenced in, and he steals vine branch(es), he shall pay 3 shekels of silver.")[4] Hittite laws also considered the compensation for the damage, caused to the vineyard, namely: setting fire to the vineyard, letting the sheep into the vineyard, cutting down the vines: (§105: „[If] anyone sets [fire] to a field, and (the fire) catches a fruit-bearing vineyard, if a vine, an apple tree, a pear(?) tree or a plum tree burns, he shall pay 6 shekels of silver for each tree. He shall re-plant [the planting]. And he shall look to his house for it. If it is a slave, he shall pay 3 shekels of silver (for each tree); §107: If a person lets (his) sheep into a productive vineyard, and ruins it, if it is fruit bearing, he shall pay 10 shekels of silver for each 3,600 square meters. But if it is bare, he shall pay 3 shekels of silver; §113 [If] anyone cuts down a vine, he shall take the cut-down [vine] for himself and give to the owner of the vine (the use of) a good vine. (The original owner of the cut-down vine) shall gather fruit from (the new vine) [until] his own

[1] van den Hout 1997:195.
[2] van den Hout 1997:194.
[3] Hoffner 2003: 114.
[4] Hoffner 2003: 114.

vine recovers. ...";[5]According to the same law, wine thieves were punished as well(§§ 164-165: „If anyone goes (to someone's house) to impress (something), starts a quarrel, and breaks either the sacrificial bread or the libation vessel; he shall give one sheep, 10 loaves of bread, and one jug of ... beer, and reconsecrate his house. Until [a year's] time has passed he shall keep away from his house.").[6]

Finally, Series Two of the Hittite laws defined the price for a vineyard, which was quite high. According to the Hittite laws, 1 measure of wine appraised at half shekel of silver, whereas vegetable oil cost 2 shekels of silver, one tub of lard, one tub of butter, one tub of honey, two cheeses, 3 measures of yeast and 3 measures of spelt – one shekel each. We would like to add that Iseries of the Hittite laws has also preserved significant information concerning the issue of our present interest. E.g. §48: „A *hipparas-man* renders the *luzzi*-services. Let no one transact business with a *hipparas*man. Let no one buy his child, his land, (or)his vineyard(s). Whoever transacts business with a *hipparas-man* shall forfeit his purchase price, and the *hipparas-man* shall take back whatever he sold".[7] §56 tells: „None of the coppersmiths is exempt from participating in ice procurement,40 construction of fortresses and royal roads, or from harvesting vineyards. The gardeners render the /wra-services in all the same kinds of work".[8] In „land-gifting orders", land „cadaster" and „immunity" documents, related to „sahhan" and „luzzi" (metayage and quit-rent) „vineyard" and „vine" are also mentioned.

Similarly important information for the history of the Luwian hieroglyph under study is found in the Hattian-Hittite, Old Hittite and Late Hittite written sources, where chalices, drinking horns, vessels, jugs, full of wine, as well as raisins, offered to a deity, repeatedly occur in the descriptions of various rituals. For example, in the Old Hittite myth on the dragon (CTH321; KBo III 7; KUB XII, 66; KUB XVI, 5,6), which was dedicated to Purulli Festival, of all the dishes prepared for the feast, wine was the first to be poured into the bottomless jug „(The goddess) Inara has prepared a feast!" (Ai 15-18) She prepared everything in great quantity – vessels of wine, vessels of (the drink) *marnuwan,* and vessels of (the drink) *walhi.* In the vessels [she made] an abundance. (B i 9'-I 2') Then the serpent came up together with [his progeny], and they ate and drank. They drank up every

[5] Hoffner 2003: 114.
[6] Hoffner 2003: 116.
[7] Hoffner 2003: 112.
[8] Hoffner 2003: 112.

vessel and became intoxicated. (B i 13'-16') They were no longer able to go back down into (their) hole..."[9]).

„Wine" and „grape" are not forgotten in the ritual of Telipinu either. According to the Old Hittite text (KUB XII, 10; KUB XXXIII, 2), when performing this ritual the „disappeared" deity was addressed in this way: „(§12/A II 15-18) Here lie *samana*-nuts. Let [...] be manifest(?). Here [lie] figs. Just as [a fig] is sweet, so let [your soul], Telipinu, become sweet in the same way".[10] In this ritual, „wine" appears in the passage, describing the „return" of Telipinu: „(§29/A IV 27-31) Telipinu took account of the king. Before Telipinu there stands an *eyan*-tree (or pole). From the *eyan*-tree is suspended a hunting bag (made from the skin) of a sheep. In (the bag) lies Sheep Fat. In it lie (symbols) of Animal Fecundity and of Wine. In it lie (symbols) of Cattle and Sheep. In it lie Longevity and Progeny".[11]

In one of the fragments of the Kumarbi cycle (KUB XXXIII 109), which relates about the marriage of Kumarbi and the sea god's daughter of Ocean, the following is stated: „...Ocean was offered a drinking horn, full of wine, and Ocean began to talk, he addressed Kumarbi", whereas in the Hittite epos dedicated to the history of generations of deities (KUB XXXIII 119-120), whichis believed to have derived from the Khuritianoriginal source, Deity Alalu, „sitting on the throne" is mentioned, whose wine-pourer is the foremost of the deities, i.e. is standing at his feet and handing over the cup to him.

The terms of our present interest are repeatedly mentioned in the descriptions of the so-called „fondation" rituals. One of the Hittite texts of this type (CTH 414) deals with wine brought in a cup „nine times seven times" (§ 31 III 1-5), 3 jugs of wine, received from the palace intended for the construction (§ 34 (13-17): „A glass (?) vessel is put in front of one part of skillful knitters and figs are dropped in it while an earthenware (?) vessel is put in front of the other part and raisins and haššigaš are dropped in it (and they say): let you free the king", or §48 (4-8): „from the palace is received the following: 1 pot of lard, 1 pot of honey, 1 cheese, 1 tripe, white wool, black wool, 1 pot of sweet milk, 1 pot of hop, walnuts, raisins, almonds (?),^{GIŠ}šuwaitar, hide of bull, salt. All this is put in the hearth").

It is noteworthy that in the prayer to Sun Goddess Arina the Hittite king Mursili II asks her to appease her anger by offering her bread and wine (A KUB 24 3: „... now let the sweet odor, the cedar and the oil summone you. Return to your temple! [I am herewith invoking you] by means of offering

[9] Beckman 2003: 150.
[10] Hoffner 1990: 15-16.
[11] Hoffner 1990: 17.

bread [and libation]. [So] be pacified and listen [to what I say to you]!"[12] We come across „wine" in different contexts in the prayer of Muwatalli to the weather god Pihassassi (CTH 318), where the list of obligatory offerings (different kinds of bread, honey mixed up with sacred oil, cereals) to gods (the sun goddess of Arina, the weather god Pihassassi, Hebat, the weather god of the sky, the weather god of Zipalanda, the male gods of the country) is finished, as a rule, with one and the same phrase: „He libates in front of them one pitcher of wine" (§§ 76-81, 88). In the same prayer, among the offerings to gods (the sun goddess of Arina and the weather god Pihassassi) arranged on the wicker table there are mentioned 30 pitchers of wine (§1 (1-9).[13]

CTH 414 § 50 (13-16) also tells us about the vine shoot planted in the hearth: „vine shoot is planted (in the hearth – N.Kh.) (and say in this way:) as a vine (takes roots below and its shoots grow above, so may the king and queen take root below and may their shoots grow above").

The hieroglyph linked with viticulture and wine-making is also applicable to the situation existing in Anatolia of the Late Hittite period. In this regard, attention should be paid to hieroglyphic-Luwian inscriptions discovered at Sultankhan (former territory of Tabal), which relate about the laying out of a vineyard by a subordinate of King Vasurme and offering of „vine" and „fruit" bread.

Advance of viticulture and wine-making as one of the branches of economy in kingdoms and principalities of the Late Hittite period (10th-8th cc. BC) is attested by the bas-relief of the supreme deity of the Late Hittite pantheon, discovered at Ivriz, where it is represented by a bunch of wheat ears, together with a great bunch of grapes.

The conducted research confirms once again the view expressed by the author earlier concerning the fact that not only the written monuments in the Hieroglyphic-Luwian script, but also the Luwian hieroglyphs proper represent a significant source for the demonstration of separate important aspects of the history of Ancient Anatolia.

Bibliography

G. Beckman, The Storm-God and the Serpent (Illuyanka), in *The Context of Scripture, vol. 1. Canonical Compositions from the Biblical World,* eds. W.W. Hallo & K.L. Younger Jr., Leiden 2003, 150-151.

[12] Singer 2002: 50.
[13] Singer 2002: 86.

H. A. Hoffner, Hittite Myths, Chicago 1990.

H. A. Hoffner, Hittite Laws, in *The Context of Scripture, vol. 2. Monumental Inscriptions from the Biblical World,* eds. W.W. Hallo & K.L. Younger Jr., Leiden 2003, 106-119.

Th. P. J. van den Hout, The Proclamation of Telipinu, in *The Context of Scripture, vol. 1. Canonical Compositions from the Biblical World,* eds. W.W. Hallo & K.L. Younger Jr., Leiden 2003, 199-204.

I.Singer, Hittite Prayers, Atlanta 2002.

მანანა ხვედელიძე

ჰიმნები ამონისადმი

პაპირუსი, რომელზეც ქვემოთ მოყვანილი ჰიმნებია მოთავსებული, რამსეს II-ის მეუობით (ჩვ.წ.-მდე XIIIს.) არის დათარიღებული. ეს არის მრავალთაეიანი ნაწარმოები, სადაც თითოეულ თავში ამონის (იგივე ამონ-რას, ამონ-რა-ხორახტის და სხვ.) სხვადასხვა ასპექტია წარმოჩენილი, მაგრამ იმავდროულად ხაზგასმულია მისი, როგორც ყოვლისშემძლე მზის ღვთაების ბუნება. უაღრესად საინტერესოა ნაწარმოების აეტორის მცდელობა გააერთიანოს ეგვიპტის სხვადასხვა კოსმოგონია და ღმერთი და ყველაფერი ამონს დაუკავშიროს. ჰიმნი განსაკუთრებით საინტერესოა ატონის ცნობილ ჰიმნთან საოცარი მსგავსების გამო, რაც მდგომარეობს არა მცდელობაში ამონი „ერთადერთ“ ღმერთად იქნას შერაცხული (ასეთი მცდელობა ეგვიპტეში ყველა დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი ჰიმნში იგრძნობოდა), არამედ შინაარსში.

„ერთისადმი“ ლტოლვა ეგვიპტის რელიგიის მრავალსაუკუნოვანი ტენდენცია იყო. მზის დისკო ეგვიპტეში ჯერ კიდევ წინადინასტიური დროიდან წარმოადგენდა გაღმერთებულ სიმბოლოს და ნომის ემბლემას.[1] V დინასტიიდან, რას აღმოჩენების შემდეგ, მზის თაყვანისცემა ეგვიპტეში სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა. სამეფო ურეუსით გარშემორტყმული მზის დისკო დიდი ღმერთის საცხოვრისად წარმოიდგინებოდა.[2] ეგვიპტელებს გაღმერთებული ჰყავდათ არა მარტო რა, არამედ მისი ცალკეული ფაზებიც, რომლებსაც ეთაყვანებოდნენ, როგორც რას სხვადასხვა გამოელინების ფორმებს (მაგ. რა-ხორახტი, ხეპრი და სხვ.) და იმავდროულად, როგორც დამოუკიდებელ ღვთაებებს. თითქოს-და ამგვარი სინკრეტიზმის წყალობით, როცა რასთან, მისი მთავარ ღვთაებად გადაქცევის შემდეგ, ხდებოდა სხვადასხვა ღმერთების შერწყმა და შედეგად ერთი ღეთაების შექმნა (რა-ატუმი, ამონ-რა, ამონ-რა-ხორახტი, სობეკ-რა და სხვ.), ეგვიპტე მონოთეიზმამდე უნდა მისულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეგვიპტელები (რაც ჩვეულებრივ მათი კონსერვატიულობით აიხსნება), ვერ „ელეოდნენ“ თავიანთ ღმერთებს და სინკრეტულად გაერთიანებული ღმერთები იმავდროულად თაეის იდენტურობასაც ინარჩუნებდნენ. ახალი სამეფოს პერიოდის თებეს სამარხებში მოთავსებულია ლითანია რასადმი, სადაც რა

[1] Petrie, W.M.F., The Making of Egypt, London, New York, Sheldon Press, pl. IX.

[2] Mercer, S.A.B., The Religion of Ancient Egypt, London, 1949, 166.

„თავისი“ 75 სახელით არის მოხსენიებული. ეს „სახელების“ ჩამონათვალი ეგვიპტის ისეთი დიდი ღმერთების ჩამონათვალს წარმოადგენს, როგორიც არიან ატუმი, შუ, გები, ტეფნუტი, ნუტი და ა.შ. ეგვიპტელი ყოველთვის ეძებდა გზას, როგორმე შეეთავსებინა შეუთავსებელი – ღმერთების ისტორიული სიმრავლე და ღვთაებრივი არსების „ერთადერთობის“ იდეა, და „ახერხებდა ამას წარსულზე ძალადობის გარეშე. ეხნატომა, როგორც ჩანს, ასეთი ძალადობა საჭიროდ ჩათვალა“.[3] დღეს სწორედ ეს ძალადობა არის მიჩნეული მისი რელიგიის საბოლოო წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად, რადგან ეგვიპტეში ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენების შეთანხმება და კომპრომისი უმაღლეს სიბრძნედ იყო მიჩნეული.[4]

ქვემოთ გთავაზობთ თავებს ამ პაპირუსიდან.[5] თავები ეგვიპტურ ტექსტში თავისებურად არის დანომრილი. პირველიდან ათამდე ნუმერაცია ჩვეულებრივია, ათის შემდეგ ყოველი შემდეგი თავის მატება ხდება ათით (ე.ი. თავი 10, 20, 30 და ა.შ. ასამდე), მეასე თავს კი მოსდევს მეორასე და მესამასე, რომლითაც ნაწარმოები სრულდება.

თავი 6

ყველა შენდამი რიდით არის აღსავსე.
ყველა ადამიანი აღიარებს შენს დიდებას.
.....[6]
გემებით მოაქვთ შენთან გუმფისი,
რომ საზეიმო სურნელით სავსე იყოს შენი ტაძრები,
ხეები აურქეევენ შენთვის საკმეველს,
რომ სურნელმა დაატკბოს შენი ნესტოები,
ფუტკრები ქმნიან თაფლს
შენს დასატკბობად,
სხვადასხვა ზეთებით გაჟღენთილია შენი სხეული,
საკმეველის სურნელს აურქეევს შენი თმა,
შენთვის იზრდება კედარი,
რომ აშენდეს შენი კეთილშობილი ღვთაებრივი გემი.
მთები გაძლევენ ქვას,
რომ აიგოს ბრწყინვალე ჭიშკრები შენი ტაძრისათვის,

---

[3] Kemp, B., Ancient Egypt: Anatomy of a Civilization, Routledge, 1991, 262.

[4] Helck, W., Geschichte des alten Ägypten, Handbuch der Orientalistik, 1 Abt., 3 Abschn., Leiden-Köln, 1968,171.

[5] ეგვიპტური ტექსტი იხ. A.H.Gardiner, Hymns to Amon from a Leiden Papyrus, ZÄS, Bd. 42, Hft.1, Leipzig, 1905, 12-42.

[6] აქ და ქვემოთ აღგილები, რომლებიც ტექსტის დაზიანების გამო გაუგებარია.

.....

მდინარე ქვევით მოედინება,
ჩრდილოეთის ქარი კი დინების საპირისპიროდ ქრის,[7]
რომ ჩამოუტანონ შენს კას[8] შესაწირად ყველაფერი, რაც არსებობს.
არ არის სხვა ღმერთი, შენს გარდა, მთელ შენს მიწაზე.

თავი 9

"ენეადა,[9] რომელიც ნუნიდან წარმოიქმნა,
შეგროვდა, როცა შენ დაგინახა, დიდებულო,
ბაგონების ბაგონო, რომელმაც შექმენი საკუთარი თავი,
ბაგონების ბაგონო, რომელიც ხარ ბაგონი ჭეშმარიტად".[10]
ის ანათებს მათთვის, ვინც წყედიადშია,
ის გაანათებს მათ სახეებს, და ისინი გარდაიქმნებიან,
მისი თვალები ბრწყინავს, მის ყურებს ყველაფერი ესმის,
ყველაფერი სინათლით ივსება, როცა ის ანათებს,
ზეცა ოქროსია, ნუნი – ლილაქვის,
მიწა ბურმუხტით არის მოფენილი,
ღმერთებს აეხილებათ თვალები, და მათი ტაძრები გაიხსნება,
ადამიანები შეიგრძნობენ, ხედავენ მისი წყალობით,
ხეები იწყებენ ქროლვას,
ისინი განცვიფრებული არიან, მათი ფოთლები იწყებს გაშლას,
თევზები ფრთხიალებენ წყალში,
ისინი ხტებიან წყლიდან, აღსავსენი სიხარულით,
საქონელი ბედნიერია საძოვრებზე,
ჩიტები მხიარულად შლიან ფრთებს,
ისინი შეიცნობენ მასში თავიანთ მშვენიერ ღმერთს,
ყველაფერი ცოცხლობს, იმიტომ რომ მას შეჰხარის მთელი დღე,[11]
ყველაფერი მის ხელშია, ყველაფერს მისი დაღი აზის,
არაფერი იქმნება მის გარეშე,

---

[7] ამონის მთაყარი ტაძარი, კარნაკის ტაძარი თებეში, ეგვიპტის სამხრეთში იყო, ამიტომ იქ ჩასასვლელად ვემებს ნილოსის დინების საპირისპიროდ უხდებოდადთ ცურვა. ჩრდილოეთის ქარი, რომელიც სამხრეთისაკენ ქრის, გაუადვილებდა გემებს ამონის ტაძრისაკენ მოძრაობას.

[8] სულიერი ორეული, რომელიც, ეგვიპტელთა წარმოდგენით, გააჩნდათ ღმერთებსაც და ადამიანებსაც.

[9] ჰელიოპოლისის კოსმოგონიის ცხრა ღმეთი. მათი ლემიურგი უძველეს დროში იყო ატუმი, რას აღმეცების შემდეგ რა (ან რა-ატუმი), ამონის აღმეცების შემდეგ კი ამონი (ან ამონ-რა).

[10] პირველი ოთხი სტრიქონი წარმოადგენს მიმართვას ამონისადმი. ამის შემდეგ, მესამე პირში, უკვე მისი ხოგბა იწყება.

[11] აქ წარმოდგენილია ამონი, როგორც მზე.

ის დიდი ღვთაებაა, თავისი ენეადის სიცოცხლეა.

თავი 20

რა ლამაზად მიცურავ, ხორახტი,[12]
შენი მცღელობით
გუშინდელი დღე განმეორდება, მარად და მარად.
შენ წლების შემქმნელი ხარ, შენ დააწესე თვეები,
დღეები და ღამეები, საათები შენს გადანაცვლებას ემორჩილება,
შენ განახლდები ყოველი გუშინდელი დღის შემდეგ,
შენ წყდიადში ეშვები, მაგრამ შენ სინათლე ხარ,
შენ ყოველთვის უხიზლად ხარ, შენთვის უცხოა ძილი,
ადამიანებს სძინავთ, მაგრამ შენი თვალები ღიაა,
შენ მილიონებს აღვიძებ შენი ლამაზი სახით,
შენ ანათებ ყველაზე პატარა ბილიკსაც კი,
შენ ერთ წამში ეფინები მთელ დედამიწას,
შენ გადაკვეთ ცას შენი გემით,
შენ გადაკვეთ მიწისქვეშეთს, და ისევ ამობრწყინდები,
შენ ყველა ადამიანის სახეზე ხარ,
ყველა სახე შენსკენ არის მოპყრობილი,
ადამიანები და ღმერთები ეგებებიან შენს ამობრწყინებას.

თავი 70

ის განდევნის ბოროტებას, შეაჩერებს სნეულებებს,
.....
ამონი იხსნის მას, ვინც უყვარს, მიწისქვეშეთშიც კი.
მას შეუძლია იხსნას ბედისწერისაგან, თუ ეს მისი ნება იქნება,
მისი თვალები და ყურები მიპყრობილია მისკენ,
ვინც მას უყვარს.
მას ესმის ყველა თხოვნა, რომელიც მისდმი არის მიმართული,
ის შორსაა, მაგრამ გაჩნდება მასთან, მშვენიერ წამს, ვინც მას ევედრება,
მას შეუძლია სიცოცხლის გახანგრძლივება და შემოკლება,
ის ბედნიერებაზე მეტს აძლევს მას, ვისაც იგი უყვარს,
.....
ის ეკუთვნის ადამიანს, რომელიც მასზეა მინდობილი,
ის მშვენიერია მისთვის, ვისაც იგი გულში ჰყავს,

[12] იგულისხმება მზის (იგივე ამონის) გადანაცვლება ცაში. ამ დროისათვის ამონი უკვე რთული სინკრეტული ღვთაება იყო, რომელთანაც შერწყმული იყო მზის ყველა სახე. იგი მოიხსენიებოდა როგორც ამონი, ამონ-რა, ან ამონ-რა-ხორახტი.

მისი სახელის ხსენებით ერთი ადამიანი უფრო ძლიერი ხდება,
ვიდრე ათასი ერთად,
მშვენიერია ის, ჭეშმარიტად.

.....

თავი 80

რვა ღმერთი იყო შენი პირველი სახე,[13]
სანამ შენ დაასრულე ისინი, და გახდი ერთი.
იდუმალებით მოცულია შენი არსება ღმერთებისათვის,
იდუმალებით მოცული ხარ შენ, როგორც ამონი,[14] ღმერთების ბატონი,
შენ გარდაიქმენი ტატენენად,[15]
რომ შეგექმნა პირველქმნილი ღმერთები სამყაროს პირველი შექმნის დროს,[16]

.....

შენ გაჩნდი პირველი, როცა არ იყო არც ერთი ქმნილება,
უშენოდ არ არსებობდა მიწა "პირველი ჯერის" დროს,
ყველა ღმერთი შენს შემდეგ არის შექმნილი.

თავი 200

იდუმალია არსებით,
ბრწყინვალეა მისი გამოვლინება,
ყველა ღმერთი ამაყობს მისით,
რადგან მისი მშვენება მათაც განადიდებს.
თავად რა შეუერთდა მის სხეულს,
ის არის დიადი, ის ჰელიოპოლისშია,
მას ეძახიან ტატენენს.
ამონი, რომელიც გამოვიდა ნუნიდან,

---

[13] აქ ლაპარაკია ჰერმოპოლისის კოსმოგონიურ სისტემაზე, რომლის თანახმად პირველყოფილი ქაოსიდან გამოდის პირველქმნილი ღმერთების ოთხი წყვილი (ოთხო წყვილი მამრი და მდედრი ღმერთებისაგან შედგება), რომლებიც ქმნის სამყაროს. ამდენად, აქ საქმე გვაქვს მცდელობასთან, ამონი ჰერმოპოლისის ღმერთებთანაც გაიგიველეს.

[14] აქ სიტყვების თამაშია, რადგან „ამონი" (imn) ეგვიპტურად „იდუმალს", „უხილავს" ნიშნავს.

[15] უძველესი მიწის ღმერთი, რომელიც მემფისის კოსმოგონიის დემიურგთან, პტახთან იქნა გაიგივებული პტახ-ტატენენის სახით, ასე რომ აქ ამონი მემფისის კოსმოგონიასთანაც არის გაიგივებული.

[16] ტექსტშია „პირველი ჯერის დროს". ეგვიპტელებს მარადიულობა მხოლოდ მუდმივი განახლების გზით ჰქონდათ წარმოდგენილი, ამიგომ სამყაროს შექმნას ისინი წარმოიდგენდნენ, როგორც „პირველ ჯერს", რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა „მეორე", „მესამე" და ა.შ. „ჯერი" მოჰყოლოდა.

ის ყველა ადამიანის წინამძღოლია.
ის მოგვევლინება ასევე, როგორც ოგდოადა,
პირველქმნილი ღმერთების შემქმნელი,
რას შემქმნელი.
მან დაასრულა თავისი თავი, როგორც ატუმმა,[17] როცა არავინ იყო მის გვერდით,
ის არის ღმერთი ქვეყნის კიდემდე, რომელმაც დასაბამი მისცა ყოველს.
მისი სული ზეცაშია,
ის მიწისქვეშეთშიც არის,
მისი სული ზეცაშია, მისი სხეული დასავლეთშია,
მისი ქანდაკება ჰელიოპოლისშია, მის განსადიდებლად.
ერთია ამონი, რომელიც იდუმალია[18] ყველასათვის,
ის იდუმალია ღმერთებისათვის, არავინ იცის მისი სახე.
ის შორსაა ზეცისაგან, ის არ არის მიწისქვეშეთში.
არც ერთმა ღმერთმა არ იცის მისი ნამდვილი სახე,
ის არ არის მოხსენიებული ნაწერებში,
არასოდეს, არავის არ უნახავს ის.
ის იმდენად იდუმალია, რომ ვერ გამჟღავნდება მისი დიდება,
ის იმდენად დიადია, რომ მისი ნამდვილი ძალის შეგრძნება შეუძლებელია,
ის იმდენად ძლევამოსილია, რომ შეუძლებელია მას ჩასწვდე,
მყისიერი სიკვდილი ემუქრება მას,
ვინც ხმამაღლა წარმოთქვამს მის საიდუმლო სახელს, რომელიც არავინ იცის,
არ არის ღმერთი, რომელმაც იცის მისი სახელი,
ისეთივე იდუმალია მისი სახელი,
როგორი იდუმალებითაც არის მოცული თვითონ ის.[19]

თავი 300

ყველა ღმერთი სამია: ამონი, რა და პტახი.[20]

---

[17] აქ სიტყვების თამაშია, „tm“ ეგვიპტურად „დასრულებასაც“ ნიშნავს და „ატუმსაც“.

[18] აქაც სიტყვების თამაშია: „imn“ – „ამონი“ და „იდუმალი“: „ამონი ამონია ყველასათვის“.

[19] ეგვიპტურ ტექსტშია: „ამონი (ე.ი. იდუმალი) არის მისი სახელი ისევე, როგორი იდუმალიც (ამონი) არის ის.“ ეგვიპტელს სწამდა, რომ სახელზე მაგიური შემოქმედებით შეიძლებოდა ზიანი მიგვეყენებინა მისი პატრონისათვის, ამიტომ ითელებოდა, რომ ღვთაებების ნამდვილი სახელები ყველასათვის უცნობი იყო.

[20] პტახი მემფისის კოსმოგონიური სისტემის დემიურგია (იხ. ზემოთ). ეს სამი ღვთაება ყველაზე უფრო პოპულარული იყო რამსეს II-ის მეუობის დროს. ჰიმნში აშკარად იგრძნობა მათი ერთ ღვთაებად შერწყმის მცდელობა.

არ არის არაეინ მათი ტოლი.
იდუმალია მისი სახელი, რომელიც არის ამონი,
მისი სახე არის რა, მისი ტანი არის პტახი.
მათი ქალაქები მიწაზე დაარსებულია სამარადისოდ.
თებე, ჰელიოპოლისი და მემფისი იქნებიან მუდამ.
გამოგზაენილია ზეციდან ამბავი, რომელიც გაისმა ჰელიოპოლისში,
ის გაიმეორეს მემფისში მისთვის, ვინც მშვენიერია სახით,
ის დაიწერა თოტის[21] ასოებით
და გაიგზავნა ამონის ქალაქში.
ამბაეს პასუხი გასცეს თებეში.
“მოდი”, ამბობს ღმერთი, “ეს ენეადის საკუთრებაა”,
ყველაფერი, მის მიერ წარმოთქმული, არის ამონი,[22]
ღმერთები დაფუძნებული არიან მისი ღვთაებრივი ბრძანებით.
მას შეუძლია მოკლას ან აცოცხლოს.
სიცოცხლე და სიკვდილი ყველასათვის თან ახლაეს მას.
ამონი, რა და პტახი. ერთად სამია.

[21] თოტი დამწერლობის შემქმნელად ითელებიდა.

[22] ან იდუმალი (მ.ხ.)

მანანა ხიდაშელი

კულტურის განვითარების ძირითადი ციკლები აღმოსავლეთ საქართველოს ძველ კულტურაში

ისტორიისა და კულტურის განვითარების ციკლური თეორია, მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანელი ფილოსოფოსის ო. შპენგლერის (1880-1936) სახელთან. მის მიერ წამოყენებულმა კულტურის გააზრების კონცეფციამ, უდიდესი გავლენა მოახდინა XX ს. ფილოსოფიისა და კულტუროლოგიის, როგორც ცალკე არსებული სამეცნიერო დისციპლინის განვითარებაზე.

ო. შპენგლერი სვამს საკითხს – არსებობს თუ არა ისტორიის ლოგიკა? არსებობს თუ არა ისტორიაში გამოვლენილი მოვლენების ზემდგომ არსებული გარკვეული მეტაფიზიკური ნაშენი ისტორიული კაცობრიობისა, რომელიც განაპირობებს ყველა ისტორიულ პროცესს. მსოფლიო ისტორიაში გამოვლენილია ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენები, რომლებიც ერთიდაიგივე იერსახით ვლინდებიან სხვადასხვა ეპოქებსა და განსხვავებულ გეოგრაფიულ რეგიონებში. მათი ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საფუძველს ქმნის. აუცილებელია გამოიყოს ის საფეხურები, რომელთა თანმიმდევრობით, გარკვეული რიგითობის დაცვით გავლა, ყოველი კულტურისათვის არის დამახასიათებელი (Шпенглер 1998: 4-8).

„ძველი სამყარო, შუა საუკუნეები, ახალი ხანა“, ეს არის მწირი, უხმარი და ყოველგვარ აზრს მოკლებული სქემა, რომლის ბატონობა ადამიანის ისტორიულ ცნობიერებაზე, აბრკოლებდა და ხელს უშლიდა მსოფლიო ისტორიაში მიმდინარე პროცესების სწორ გააზრებას. იგი შეუძლებელს ხდიდა ამ პროცესებში წიაღსვლას და მოვლენებს შორის არსებული კავშირების სწორ გააზრებას. სწორედ ამიტომ, ბევრი კარდინალური პრობლემა შეუმჩნეველი და ამდენად გაუაზრებელი რჩებოდა.

ო. შპენგლერის აზრით, საზოგადოების ისტორიული განვითარება, უნდა შეიცვალოს უფრო მდიდარი და ყოვლისმომცველი იდეით - ისტორიისა და კულტურის ციკლური განვითარებით, რომელიც გულისხმობს თვითოეული თვითმყოფადი და განუმეორებელი კულტურის განვითარებას – აღმოცენებას, აყვავებასა და დაღუპვას. ამის საფუძველს იძლევა კულტურათა შედარებითი ანალიზი, რომელიც აშკარად მეტყველებს კულტურათა ბედის ერთიანობაზე. ყოველი კულტურა გაიელის განვითარების

ფაზების ერთიან თანმიმდევრობას, ხოლო თეითოეული ფაზა ერთგვაროვანი ნიშნებით არის წარმოდგენილი. თანაბარია ყოველი კულტურის არსებობის დროის მონაკვეთიც, რომელიც დაახლოებით 1000 წლით შემოიფარგლება.

ო. შპენგლერისათვის ტერმინი „კაცობრიობა“ არაფრის მთქმელია. ყურადღებას უნდა იმსახურებდეს მხოლოდ „ძლიერი კულტურების სიმრავლის ფენომენი“, კულტურებისა, რომლებიც საოცარი სიძლიერით ამოიზრდებიან თავისი ქვეყნის წიაღიდან, რომელთანაც, არსებობის მთელ მანძილზე, უმჭიდროესად არიან დაკავშირებულნი. თეითოეულ კულტურას გააჩნია საკუთარი იდეები, საკუთარი ენებები, საკუთარი სიცოცხლე, საკუთარი გრძნობები და ბოლოს, საკუთარი სიკვდილი (Шпенглер 1998: 162-165).

ამა თუ იმ კულტურების ისტორიულ სარბიელზე გამოჩენას ერთმანეთთან აკავშირებს არა მხოლოდ ქრონოლოგია და გეოგრაფიული გარემო, არამედ მათთვის დამახასიათებელი მხატერული ერთიანობა, რომელიც გამოვლენილია მთლიანად კულტურაში, ხელოენებაში, მეცნიერებაში, ეკონომიკაში. ო. შპენგლერი კულტურის შინაგან ერთიანობას, ცოცხალ ორგანიზმს ადარებს და მისი კვლევის მორფოლოგიურ მეთოდს ეყრდნობა.

საყურადღებოა ო. შპენგლერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კულტურის შესწავლისა და შეფასების დროს, მასალა განხილული უნდა იყოს არა გაბატონებული იდეოლოგიის შესაბამისად, არამედ „ზედროული სიმაღლეებიდან“ (Шпенглер 1998: 49).

დღეს, კულტურის განვითარების ციკლური თეორია, განიხილება, როგორც მეთოდი ისტორიისა და კულტურის შესწავლისა, ხოლო თავად ციკლურობა, როგორც ისტორიული განვითარებისათვის დამახასიათებელი გარკვეული კანონზომიერება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თავად ციკლის ცნება გულისხმობს არა მხოლოდ განმეორებას, არამედ მის საწყისს, აღმავლობას, ბოლოს მის დაცემას და არ გამოირიცხება ახალ ციკლში ძველის გარკვეულწილად შემდგომ არსებობაც (Муриан 2004: 218).

ციკლურობის, როგორც პროცესის გააზრების დროს განხილული უნდა იყოს ორი საკითხი: ციკლი ეს არის პროცესებისა და მოვლენების განმეორებადობა დროში და მოვლენათა და პროცესების განმეორებადობაში არსებული თანმიმდევრობა, ანუ მისი სტრუქტურა. უნდა დაისვას საკითხი, თუ როგორ ფუნქციონირებენ კულტურაში ბუნებრივი, ანთროპოლოგიური, სოციალური, კულტურული ციკლები. და რაც მთავარია, შესწავლილი უნდა იყოს თავად კულტურის მთელი ციკლი - მისი

„დაბადება“, ფუნქციონირება, პროცესების გართულება და ბოლოს კულტურის დაშლა, ანუ მისი სიკვდილი (Родин 2004: 75).

კულტურის ახალი ციკლი, ახალი მთლიანობაა, ამიტომ ის განხილული უნდა იყოს, როგორც ახალი კულტურა და არა წინა კულტურის განვითარების შედეგი. ამ მიზანს ემსახურება ისეთი ცნება, როგორიც გახლავთ „ვიტალური კატასტროფა“, რომელიც გულისხმობს ახალი კულტურის წანამძღვრების შესწავლას, განიხილავს მის ახალ შესაძლებლობებს და განსაზღვრავს მის ძირითად პრობლემებს. „ვიტალური კატასტროფებისათვის“ დამახასიათებელი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ ყალიბდება საბაზისო კულტურებისათვის დამახასიათებელი სცენარი და შესაბამისი სამყაროს სურათი (Родин 2004: 81).

ჩემი კვლევის მეთოდად, მე სწორედ ციკლური თეორია ავირჩიე, ვეცადე გამომეკვლია კულტურის განვითარების ძირითადი ციკლები. აღმ. საქართველოს ძველ კულტურაში. აღვნიშნავ იმასაც, რომ ამჯერად, მე, ერთი გეოგრაფიული არეალით შემოვიფარგლე, მოვერიდე განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოსა და ქრონოლოგიურ ჩარჩოებში გამოვლენილ ანალოგიურ კულტურებთან პარალელების ძიებას.

სამხრეთ კავკასიაში კულტურის უძლიერესი ციკლი ადრესამიწათმოქმედო კულტურებს განეკუთვნება. შენიშნულია, რომ სამხ. კავკასიაში გამოვლენილია აღგილობრივი ტომების მძლავრი კულტურა, რომელშიც ასახულია ნეოლითური რევოლუციის ხანგრძლივი პროცესის ბოლო ეტაპი და მისი შედეგები (ჯაფარიძე, ჯავახიშვილი 1971: 37). სამხ. კავკასიაში ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში გაერცელებული იყო ე. წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურა, ხოლო IV ათასწ. ბოლოსა და III ათასწ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც უაღრესად დიდ ტერიტორიაზე იყო განფენილი.

წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ ამ კულტურებში გასაოცარი სისწრაფით შემოდის დიდი მნიშვნელობის მქონე სიახლეები, რომლებიც მტკიცედ მკვიდრდება როგორც ადამიანის ყოფასა და სამეურნეო ცხოვრებაში, ასევე მის სულიერ სამყაროში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნოვაციები მალე სტერეოტიპულ ხასიათს იძენენ, გარკვეული სტანდარტების სახით ყალიბდებიან და ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების მანძილზე უცვლელი სახით განაგრძობენ არსებობას. აშკარად იკვეთება კულტურის წამყვანი ფორმების სტანდარტიზაციისა და სტერეოტიპიზაციის პროცესი, რაც თან სდევს ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველა მოვლენას (Массон 1981: 20).

სამხრეთ კავკასიაში დადასტურებული აღრესამიწათმოქმედო კულტურები მახლობელ აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული დიდი სოციოკულტურული სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიაში, ამ კულტურების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, ვლინდება და ფუნქციონირებს ყველა ის კატეგორია, თუ ნიშანი, რომლებიც მახლობელ აღმოსავლეთში ანალოგიური ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი.

ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში, სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული იყო ე. წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურა, რომელიც მთლიანად მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული კულტურის არეალშია მოქცეული და მის ერთ-ერთ, ლოკალურ, ადგილობრივად აღმოცენებულ ვარიანტად არის მიჩნეული (Кушнарева, Чубинишвили 1970: 52).

შულავერ-შომუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი სააღმშენებლო საქმე, ხასიათდება მყარი არქიტექტურული ტრადიციებით, რომლებიც მისი არსებობის მთელ მანძილზე თითქმის არ განიცდიდნენ ცვლილებებს.

ყველა დასახლებისათეის დამახასიათებელი იყო ერთიანი დაგეგმარება, საცხოვრებელი კვარტლების მჭიდრო განლაგება, შიდა ეზოს ირგვლივ შეჯგუფებული, წრიული ფორმის საცხოვრისები. ყველა საცხოვრებელში იდგა კერა, სადაც ძირითადი რიტუალები სრულდებოდა. მიცვალებულები საცხოვრისში იატაკის ქვეშ იკრძალებოდნენ. ამ კულტურისათვის დამახასიათებელი იყო ქალის თიხის ქანდაკებები (ხიდაშელი 2005: 48-50).

კულტურის ამ ციკლის დამამთავრებელ ეტაპს ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოადგენს, რომელიც ძე. წ. IV ათასწ. II ნახევრითა და III ათასწლეულით არის დათარიღებული. ეს კულტურა გასაოცარი ერთიანობით გამოირჩევა და უზარმაზარ ტერიტორიაზეა განფენილი - მოიცავს ცენტრალურ ამიერკავკასია და მის მოსაზღვრე რაიონებს, აღმ. ანატოლიისა, ურმისპირეთისა და ვანის ტბის ჩათელით.

ამ კულტურაში ვითარდება გუთნური მიწათმოქმედება, სეზონური მესაქონლეობა, წარმოებს ტყის ინტენსიური გაკაფვა, მაღალ განვითარებას აღწევს კერამიკა, სააღმშენებლო საქმე, საფუძველი ეყრება მეტალურგიას, ბრინჯაოს იარაღის სერიულ დამზადებას, მელითონე ტომების დაწინაურებას, რომლებიც ადგილობრივად განვითარებული მეტალურგიის ფუძემდებლად არიან მიჩნეულნი.

მტკვარ-არაქსის სამოსახლოები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი და კარგად არის შესწავლილი. ისინი განლაგებული იყო მთის წინა ბოლში, მთის ფერდობებზე და მდინარის ნაპირებთან. სამოსახლოები დაცული იყო ქვით ნაგები სქელი კედლით ან თხრილით. სამოსახლოთა დაგეგმარება უკვე მოწესრიგებული ხასიათით გამოირჩეოდა. დაფიქსირებულია საცხოვრისებს შორის გასასვლელები და მოედნები. გავრცელებული იყო როგორც მრგვალი ტოლოსები, ისე ოთხკუთხედი ფორმის შენობები.

მტკვარ-არაქსის ტომების საცხოვრისი შინაურ სამლოცველოსაც წარმოადგენდა. მთავარი ადგილი იყო კერა, კერასთან არსებული შემაღლება და დედაბოძი. კერის რიტუალურ ხასიათს ადასტურებს კედლის მოხატვა ფრიზებით, კერის ახლოს შეწირული საგნების, პატარა ზომის გაღასატანი კერების, თიხის ქანდაკებების მოთავსება (გუდაბერტყა, ამირანის გორა, ხაზინაანთ გორა, ქვაცხელები).

კერა დედამიწას განასახიერებდა, რომელიც ყოველ წელს, ახალ სიცოცხლეს შობდა. კერის წესადგარები ზეცას წარმოგვიდგენდნენ. მათ მამაკაცური ბუნება ჰქონდათ. ამ მოსაზრებას ე. წ. ნალისებური წესადგარები ადასტურებენ. ახალციხის ამირანის გორაზე, ელიფსური მოყვანილობის ღერძებზე გამოძერწილი ადამიანის სქემატური გამოსახულება პირისახით კერისკენ იყო მიმართული. წესადგარების ამ ტიპს ტ. ჩუბინაშვილმა დაუკავშირა უფრო პრიმიტიულად ნაკეთები ისეთი ნიმუშები, რომლებსაც ელიფსური ფორმის ღერძებზე მკვეთრად გამოყოფილი ოღნავ აწეული შვერილები ჰქონდათ. მან გამოთქვა მოსაზრება - ისინი ფალოსიანი მამაკაცის კერპები იყვნენ, რომლებიც ანაყოფიერებდნენ კერას (ჩუბინიშვილი 1963: 65). ზეცის მიერ დადამიწის განაყოფიერების შემდეგ თავიდან იწყებოდა სიცოცხლე, თავიდან იბადებოდა განახლებული სამყარო, რომლის სიმბოლოს დედაბოძი წარმოადგენდა.

მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულს შეიმჩნევა ცალკე გამოყოფილი სამლოცველოების აგების ტენდენცია (ქვაცხელა). გარდა ამისა, სამლოცველოები დასახლებისგან დიდი მანძილით დაშორებულ ადგილებშიც შენდებოდა. ამირანის გორაზე, მთის მწვერვალზე აღმოჩენილი იყო მსხვერპლშესაწირი მოედანი პატარა სენაკებით, რომელიც სამლოცველოდ არის მიჩნეული (გობეჯიშვილი 1981: 43-46).

შესრულებულ რიტუალებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცეცხლს. შეწირულ ნივთებს ამგვრევდნენ, ცეცხლში

სწეავდნენ და ხშირად სპეციალურ ქოთნებში ალაგებდნენ. ამ რიტუალების ხასიათს კოსმოგონური იდეა განსაზღვრავდა (ხიდაშელი 2005: 101-106).

კულტურის საწყის ეტაპზე მიცვალებულები საცხოვრისში, იატაკის ქვეშ იკრძალებოდნენ. თანდათან იწყებს არსებობას სამოსახლოსგან დაშორებული დიდი სამაროვნები. გავრცელებული იყო როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები, ჩნდება აგრეთვე მიცვალებულებისათვის აგებული სპეციალური აკლდამები.

აქ ხაზი მინდა გაუსვა ამ ციკლისათვის დამახასიათებელი სულიერი კულტურის ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას. ეს კულტურა აზროვნების სტერეოტიპების, რიტუალების, სიმბოლოების, ტრადიციების ჩამოყალიბების და მათი ათასწლეულების მანძილზე უცვლელი სახით განმეორების სრულ სურათს წარმოგვიდგენს. სწორედ ისინი განაპირობებდნენ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებასა და ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების მანძილზე შენარჩუნებას, ისტორიული ან გენეტიკური მემკვიდრეობითობის ჩამოყალიბებას. ამიტომაც ეს ციკლი წარმოგვიდგენს სულიერი კულტურის იმ უძველეს სუბსტრატს, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომი ეპოქების არაერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს.

III ათასწ. დასასრულისათვის აშკარად შეიმჩნევა, რომ გორები ცარიელდება, მოსახლეობა სტოვებს სამოსახლოებს, რაც კულტურის ამ ციკლის დასრულებაზე მიუთითებს. მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანია ისიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში, არსებობას იწყებს კულტურის ახალი მთლიანობა, განვითარების ახალი ციკლი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეული ყორღანების (ჯაფარიძე 2003: 136-156), ბედენურის (გობეჯიშვილი 1981: 18) ან ალაზან-ბედენურის (Дедабришвили 1979: 59-60) სახელით მოიხსენიებენ. ამ პერიოდისათვის ყორღანული სამარხების რიცხვი საგანგებოდ იყო გაზრდილი. ხოლო თუ სად და რა პირობებში ცხოვრობდნენ, ყორღანებში დაკრძალული ადამიანები, სამწუხაროდ უცნობია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ყორღანი, წინა ციკლის გავრცელების ტერიტორიაზე, სამგორის ველზე იყო აღმოჩენილი. მხედველობაში მაქვს ე. წ. „კოხრა-გორა“, რომელიც წარმოადგენდა სწორკუთხა მოყვანილობის ხის ძელურ შენობას. იატაკის ქვეშ, ჩაღგმული იყო თიხის ჭურჭელი, საესე მიცვალებულის დამწვარი სხეულის ფერფლით. ამ სამარხში მე ვხედავ სიახლეს - მიცვალებულს უშენებდნენ სპეციალურ „სახლს“,

მაგრამ ძველი ტრადიციის თანახმად, მიცვალებულის დამწვარი სხეულის ფერფლს ჭურჭელში ათავსებდნენ, ხოლო თავად ჭურჭელს - იატაკის ქვეშ (ხიდაშელი 2005: 107-108).

უკვე აღრეული ხანის ყორღანებში ჩნდება დაკრძალვის რიტუალში მოქმედი ისეთი ახალი ელემენტები, როგორიც არის დიდი, ოთხკუთხა ეტლი, საკაცე და მიცვალებულისათვის განკუთვნილი სარეცელი. თანმხლები ინვენტარი მრავალრიცხოვანი და ბევრად უფრო მრავალფეროვანი ხდება.

წნორის მახლობლად, №1 ყორღანში, მიწის ზედაპირიდან 9 მეტრის სიღრმეზე, აღმოჩნდა 2 მეტრი სიმაღლის წრიული ფორმის ნაგებობა. დასაკრძალავი კამერა მორებით იყო გადახურული. შ. დედაბრიშვილის აზრით, ეს იყო უზარმაზარი პოსტამენტი, რომელზეც დიდი რაოდენობით იყო დალაგებული თიხის ჭურჭელი, ობსიდიანისა და კაჟის ისრის პირები და ოქროს რამდენიმე ნივთი. კედელთან ვერტიკალურად იდგა ურმის ბორბლის ნახევარი. იქვე დასვენებული იყო მიცვალებული, მოკუნტულ პოზაში. ყელის არეში დალაგებული იყო ოქროსა და სერდოლიკის მძივები. მოშორებით კიდევ ერთი ჩონჩხი იყო დაფიქსირებული. შ. დედაბრიშვილის ვარაუდით პოსტამენტზე იწვა, როგორც მიცვალებული, ისე მსხვერპლად შეწირული ადამიანი (Дедабришвили 1979).

აღრეულ ყორღანებში დადასტურებული დაკრძალვის წესი და საკმაოდ მდიდრული სამარხეული ინვენტარი, მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოების ცხოვრება ამ პერიოდში საგრძნობლად იყო შეცვლილი. იგი არა მხოლოდ ფუნქციონალურად, არამედ სტრუქტურულადაც იყო დიფერენცირებული. აშკარაა, რომ ყორღანებში თემის დაწინაურებული პირები იკრძალებოდნენ, რომელთაც, ალბათ, თავისი ნებით მსხვერპლად ეწირებოდნენ ადამიანები.

კულტურის ამ ციკლის დამამთავრებელ ეტაპს თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ წარმოადგენს, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში იყო გაერცელებული.

თრიალეთის და ზურტაკეტის მაღალმთიან პლატოზე გამოვლენილი ყორღანები გრანდიოზულ სახეს ატარებდნენ. ზურტაკეტში, ყორღანების ყრილის სიმაღლე 8 მეტრს აღწევდა, დიამეტრი კი 100 მეტრს. გორასამარხების ცენტრალურ ნაწილში ფილაქნებით, მშრალად ნაგები „დასაკრძალავი დარბაზი“ იყო გამართული. ზოგიერთის ფართობი 150 კვმ. აღემატებოდა. დარბაზებს ფილაქვებით ნაგები შესასვლელი, დრომოსი ჰქონდათ.

მიცვალებულისთვის განკუთვნილი ნივთები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. განსაკუთრებული სიმდიდრით თრიალეთის ყორღანები გამოირჩევა. სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული უნიკალური ნივთები.

შეიძლება ითქვას, რომ თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურაში დამოწმებული დაკრძალვის წესის არსი და მისი ხასიათი, წინა პერიოდთან შედარებით, ფაქტიურად არ არის შეცვლილი. დაკრძალვის წესი და შესაბამისად რიტუალიც, ამ კულტურაში უფრო გართულებულია და მას უფრო პომპეზური სახე აქვს მიღებული.

კულტურის ეს ციკლი, დაახლოებით ძვ. წ. II ათასწ. მეორე ნახევარში სწყვეტს თავის არსებობას. თუ რა პროცესები მიმდინარეობს აღმ. საქართველოში, კერძოდ შიდა ქართლში, თრიალეთის კულტურის დაცემის შემდეგ, ჯერ-ჯერობით უცნობია. აქტიური ცხოვრება აქ უფრო გვიან, ძვ. წ. XV ს. იწყება. სწორედ მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი შიდა ქართლში არსებობას იწყებს კულტურის განვითარების ახალი ციკლი, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. VII-VI ს. წყვეტს თავის არსებობას. ამ პერიოდში ინტენსიურად იყო დასახლებული, როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლი. მოსახლეობა გორებზე სახლობდა. გორა საცხოვრისები განლაგებული იყო იმ ზოლზე, რომელიც გასდევს ქართლის ვაკიდან კავკასიონის ქედთან შეფენილ გორაკებს, ანდა მოქცეულია გაშლილ ვაკეზე, მთის ნაწილზე გარდამავალ ხაზზე. ამ პერიოდს, პირობითად გორასაცხოვრისების პერიოდი ეუწოდე.[1] განსაკუთრებით კარგად არის შესწავლილი ისეთი გორასაცხოვრისები, როგორიც არის ხოვლეგორა, ყათლანისხევის გორა, ცხინვალის ნაცარგორა, ნარეკვავისგორა, მცხეთაგორა, თრელიგორები და სხვ.

ეს პერიოდი კულტურის გასაოცარი ერთიანობით გამოირჩევა.

დასახლებების განვითარებაში ერთი საერთო კანონზომიერება შეინიშნება, რომელიც ხოვლეგორას ნამოსახლარში სრულად არის ასახული. ხოვლეში აშკარად დასტურდება, რომ ძვ. წ. XV-IV ს. გორა უწყვეტად იყო დასახლებული. ძვ. წ. XV-X სს. მოსახლეობა გორის თხემზე ცხოვრობდა. დასახლებას გარშემო კედელი მოუყვებოდა. XII-XI ს. აქ უფრო ინტენსიური ცხოვრება იწყება.

[1] არქეოლოგიურ ლიტერატურაში ამ პერიოდის გვიანბრინჯაო-აღრერკინის კულტურას უწოდებენ, ხოლო ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ამ პერიოდს დ. მუსხელიშვილი „ხვევების ხანას“ მიაკუთვნებს (მუსხელიშვილი 2012: 418-419).

იზრდება სამოსახლოს ფართობი, ამასთან ერთად, მოსახლეობის ნაწილი სტოვებს გორას და მის ჩრდილოეთით ახალ დასახლებას ქმნის. ძვ. წ. IX-VII ს. იგი კიდევ უფრო ფართოვდება და უკვე თხემის ტერიტორიას მოიცავს. ძვ. წ. IX-VII ს. თხემებზე მცხოვრები მოსახლეობა სტოვებს გორას, ვაკეში ჩამოდის და ახალ სამხრეთის დასახლებას ქმნის. ამ პერიოდში მას უჩნდება საკუთარი სახელოსნო უბანი, სადაც, როგორც ჩანს პროფესიონალი ხელოსნები მუშაობდნენ. ძვ. წ. IV ს. ხოვლეს დასახლებამ შეწყვიტა არსებობა, რაც რაღაც კატასტროფასთან უნდა იყოს დაკავშირებული (მუსხელიშვილი 1978).

გორის მიტოვების ანალოგიური პროცესი ყათნალისხევის გორაზეც მიმდინარეობს, მაგრამ, მოსახლეობამ, გორის მიტოვების შემდეგ, იქ სამლოცველო შეინარჩუნა.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, მცხეთის, როგორც ქალაქის ჩამოყალიბება და დაწინაურება მცხეთაგორის შემდგომი განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო. ამ აზრს დ. ხახუტაიშვილიც იზიარებს. სწორედ მცხეთაგორაზე მცხოვრები თემი თანდათან გაძლიერდა, დაწინაურდა, რაც ძვ. წ. VI-IV ს. აქ ქალაქური ტიპის დასახლების შექმნით დასრულდა. შესაძლებელია, რომ სწორედ აქ იყო განლაგებული ის „ძუელი მცხეთა“, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა (ხახუტაიშვილი 1966: 81-85).

შიდა ქართლის გორასამოსახლოებში ყველგან ერთი ტიპის საცხოერებელი სახლი იყო გამოყენებული. ბუნებრივი გორები ტერასებად იყო დაყოფილი. დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც როდესაც საცხოვრისის ბანი ზედა ტერასაზე განლაგებული სახლის ეზოს წარმოადგენდა. საცხოვრებელი სახლი იყო წაგრძელებული ოთხკუთხედი ფორმის შენობა. კედლები თიხით იყო შელესილი. კედლის გასწვრივ აღმოჩენილი სვეტის ნამთები იმაზე მიუთითებს, რომ ბანური გადახურვა ხის სვეტებზე იყო დაყრდნობილი. დაბალი ტიხრით შენობა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მარცხენა ნაწილი საკუთრივ საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო მარჯვენა - საქონლის სადგომს. სახლს წინ დერეფანი ქონდა, სადაც სარჩოს შესანახი ყუთები იდგა. კედელში კარი იყო გაჭრილი.

შიდა ქართლის საცხოერებლები ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ამ პერიოდის ადამიანის ყოფით კულტურაზე. ოთახის მარცხენა კუთხეში ე. წ. ხოვლური ტიპის ღუმელი იდგა. ბოგჯერ, ღუმელის გვერდით, ორსაფეხურიანი თარო იყო გამართული. ნარეკვავის გორაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელში აღმოჩნდა ქვითა და ალიზით ნაგები მერხი. საინტერესო სურათი იკვეთება

მცხეთაგორაზე აღმოჩენილ ერთ-ერთ საცხოვრებელში - ოთახის მარცხენა კუთხეში ღუმელი იდგა, მარჯვენაში - საკურთხეველი. კედელში ნიშა იყო ამოჭრილი. იქვე თაროები იყო გამართული. იატაკი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. კედლის გასწვრივ განლაგებულ მერხზე რამდენიმე ლამპარი იდგა, სადაც ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო.

როგორც ჩანს, შიდა ქართლის საცხოვრებელი, ინდივიდუალური, მცირე ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. საცხოვრებლისგან ჯერ არ იყო გამოყოფილი საქონლის სადგომი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქონელიც ოჯახის საკუთრება უნდა ყოფილიყო (მუსხელიშვილი 1975, ხიდაშელი 2010: 149-157), იქვეა მითითებული ლიტერატურა).

აქვე მინდა შევეხო ხოლქში აღმოჩენილ უნიკალურ ძეგლს, „სასახლეს“, რომელიც ძვ. წ. VI ს. არის დათარიღებული. იგი საფორტიფიკაციო გალავნით იყო დაცული. შენობის ფართობი 147 კვ. მ. შეადგენდა. შენობაში დადასტურდა დიდი ზომის დარბაზები. ერთ-ერთ, ყველაზე დიდ დარბაზში იდგა კერა, ღუმელი, მაგიდა, ქვის ფილებით მოპირკეთებული გრძელი ტახტი, სკამი, გაკეთებული იყო თაროები. იატაკი ლასტით იყო მოგებული. იატაკში ჩადგმული იყო წითლად გამომწვარი ქვევრი. ამ ოთახიდან, საჭირო შემთხვევაში, სახლთან მდგარ დამცავ მრგვალ კოშკში შეიძლებოდა მოხვედრა. იმ დროისათვის ეს გრანდიოზული შენობა შეუძლებელია რიგითი მეთემეს საკუთრება ყოფილიყო. ჩემი აზრით, ეს „სასახლე“ თემის დაწინაურებულ ოჯახს, მამასახლისს ეკუთვნოდა. იგი ამ საგანგებოდ დაცულ შენობაში ცხოვრობდა და იქიდან აკონტროლებდა მის კუთვნილ ტერიტორიას (ხიდაშელი, 2010: 152-153).

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ დროს, საცხოვრებელი სახლი სამლოცველოსაც წარმოადგენდა. საცხოვრებელი ოთახის მარჯვენა კუთხეში ყოველთვის იდგა საკურთხეველი, სამსხვერპლო, დიდი რაოდენობით იყო დალაგებული საკულტო დანიშნულების საგნები და ხშირად რიტუალის შესრულების კვალიც იყო შემორჩენილი.[2]

---

[2] შიდა ქართლისაგან განსხვავებით, ამ პერიოდის კახეთის რეგიონში გაერცელებულ საცხოვრებელში არ გეხვდება საკურთხეველები. შენობაში კულტის შესრულების ადგილიც არ ყოფილა გამოყოფილი. გარდა ამისა, კახეთისათვის უცხოა ღუმელები. ყოფაში გამოიყენებოდა კერა და პურის საცხობი თონე (Гагошидзе 1981: 40-45). განსხვავებით ქართლისაგან, კახეთში ამ პერიოდში ფუნქციონირებენ დიდი სამლოცველოები, როგორიც გახლავთ მელაანის, მელიღელესა და შილდის სამლოცველოები.

ამ კულტურაში გაერცელებული საკურთხეველები საკმაოდ მრავალფეროვანია. ნარეკვავის ნამოსახლარზე თერთმეტი საკურთხეველი იქნა დაფიქსირებული. მათ შორის ორი ტიპი გამოირჩევა - ნახევარწრიული და ოთხკუთხედი. ნახევრადწრიულ საკურთხეველებს ხშირად რქისებური შვერილები ჰქონდა. დაფიქსირდა ისეთი ნიმუშებიც, როდესაც საკურთხეველის წინა მხარე ალიზის „სვეტისაგან“ შედგებოდა, გარშემო სარტყელი შემოუყვებოდა, ხოლო ცენტრში ქოთანი იყო ჩაძერწილი. ზოგჯერ საკურთხეველი ღუმლის საცეცხლურზე იყო დადგმული.

საკრალური სამყაროს საინტერესო სურათი ცხინვალის ნაცარგორაზეა დაფიქსირებული. ერთ-ერთ საცხოვრებელში ოთახის კუთხეში „რქებიანი“ საკურთხეველი იდგა. მის ჩაზნექილ ზედაპირზე მოთავსებული იყო ნალის მოყვანილობის პატარა კერა, რომელიც წმინდა ნაცრით იყო ამოვსებული. კერა შემკული იყო ორი კოპით, რომლებიც ხარის რქების გამოსახულებად არის მიჩნეული. საკურთხევლის უკანა კედელზე კუთხეში - სვასტიკა, ხოლო აღმოსავლეთ კუთხეში - ორი ჯამისებური ჭრაქი იდგა. იქიდან გადმოღვრილი სითხე საკურთხეველში ან გაჭრილ ღარში მიედინებოდა. იქვე იდგა თიხისაგან გამოძერწილი ხარის სამი ქანდაკება, ხოლო ერთი ნიმუში სამსხვერპლოსთან იყო დაყენებული.

მეორე საკურთხეველი ოთახის ჩრდილო კუთხეში იყო მოთავსებული. მას სუფთა ნაცრით ამოვსებული კერა ჰქონდა მიძერწილი, კერა ჭრაქით იყო შემკული. ამავე ოთახში ბაგებიანი სამსხვერპლოც იყო განლაგებული. იგი ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა. მეორე განყოფილების ცენტრში, აღმართული იყო თიხის სვეტი, რომლის სიღრუეში დანახშირებული ხე იყო აღმოჩენილი. იქვე ალოს, მცირე ზომის ორმო იყო გათხრილი, რომელშიც ნახშირი იყო ჩაყრილი. იქვე მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის სადენი ფოსო იყო გაჭრილი.

ცხადია, რომ საკურთხეველთან საკმაოდ რთული რიტუალები სრულდებოდა, რომლებშიც აქტიურად იყო ჩართული ცეცხლი. როგორც არაერთხელ აღმინიშნავს, ცეცხლის ანთება და ჩაქრობა არსებულის განადგურებას და ახლის შექმნას უბრუნველყოფდა და უშუალოდ შესაქმესთან იყო დაკავშირებული. ცეცხლი სამყაროს უმთავრესი ელემენტი იყო, რომელიც სამყაროს ცენტრთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, რიტუალის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს ცხოველთა მსხვერპლშეწირვა შეადგენდა ცხოველთა სისხლი, ერთდროულად სიკვდილის ნიშანს წარმოადგენდა და სიცოცხლისთვისაც აუცილებელი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ გორაზე მცხოვრები სოციუმი არსებობდა და ფუნქციონირებდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის, სხვადასხვა რანგისა და ხარისხის ცოცხალი არსებების, სულების, საგნებისა და მოვლენების დაპირისპირების პირობებში. ამ წინააღმდეგობის მოწესრიგება განაპირობებდა ცხოვრებისათვის აუცილებელი წესრიგის არსებობას. ამ დაპირისპირების მოხსნას საკრალურ სამყაროსთან უშუალო კავშირის დამყარებას, სოციუმი რიტუალების შესრულებით ახერხებდა.

საინტერესოა, რომ რიტუალები ტიპოლოგიურად გარკვეულ მსგავსებას მტკვარ-არაქის კულტურაში მოქმედ რიტუალებთან ატარებენ, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ ეტაპზე სამყაროს გააზრება და რიტუალები საგრძნობლად იყო გართულებული. იგრძნობა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა სამყაროს ანტროპომორფიზაციისა და პერსონიფიკაციის პროცესი, რაც განზოგადოებული იდეების ადამიანის ან ცხოველთა სახეში გამოხატვას გულისხმობდა. ამაზე მეტყველებს ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ცხოველთა და ადამიანთა ბრინჯაოს ქანდაკებები და ბრინჯაოს გრავირებული სარტყელებისთვის დამახასიათებელი მხატვრული დეკორი. მაგრამ, ხაზგასმით მინდა აღნიშნო, რომ ერთიანი რელიგიური პანთეონი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

აშკარად იგრძნობა, რომ ისევე როგორც მტკვარ-არაქსის ეპოქაში კულტურის ამ ახალ მთლიანობაში რიტუალებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ცეცხლს, ნახშირსა და პატარა ზომის კერას. მაგრამ, ამჯერად, კერას დაკარგული ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა და ის მხოლოდ საკრალური სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ძვ. წ. IX-VII ს. შიდა ქართლში განვითარებული იყო მორწყვითი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთუნეობა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ უდიდეს მასშტაბებს აღწევს რკინის წარმოება, რაც შემდგომი პროგრესის საფუძველი ხდება. ბრინჯაო იღევნება წარმოებიდან, მაგრამ ბრინჯაოს წარმოების უძლიერესი ტრადიციები არ იკარგება და ბრინჯაოსაგან ნაკეთებ საკულტო დანიშნულების მქონე უაღრესად დახვეწილ ნივთების სიმრავლეში ვლინდება.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდი შიდა ქართლის მატერიალური, სულიერი და ყოფითი კულტურა გასაოცრად ერთიანია და შეიძლება ერთი ხალხის კუთვნილებად ჩაითვალოს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც აქ ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების ექსპედიციები მუშაობდნენ, ამ საკით-

ხებით დ. მუსხელიშვილი დაინტერესდა. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ეთნიკური ვინაობის დასადგენად, მან ნ. ბერძენიშვილის რჩევით, ამ გეოგრაფიულ არეალში დადასტურებული ტოპონიმების შესწავლა დაიწყო. მან დაადგინა და შემდეგ განიხილა ისეთი ტოპონიმები, როგორიც არის „ლომთაგორა“, „მელიგორა“, „მელიების გორა“, „ჩხიკვთა“, „ყორანთა“, „აკაურთა“, „ქურთა“ (<ქორთა), „წერონისი“, „ურბნისი“ (<ორბნისი), „ყორნისი“ და სხვ. დ. მუსხელიშვილის აზრით, ამ ტოპონიმთა წარმოშობა განვითარებულ, სოციალურად ამკარად დიფერენცირებულ საზოგადოებაში შეუძლებელი იყო და ისინი გაცილებით აღრე უნდა დამკვიდრებულიყვნენ. ნიშანდობლივია, რომ ამ ტოპონიმების გავრცელების არეალი არა მხოლოდ ემთხვევა ქართლში გორასაცხოვრისების გავრცელების საზღვრებს, არამედ ხშირად გორების სახელწოდებასაც წარმოადგენდა. მაგალითად „ყორანთა“ - ბოლნისის რაიონში, „ჩხიკვთა“ - თეთრიწყაროს რაიონში, „ლომთაგორა“ - მარნეულის რაიონში და სხვ. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ გორების არსებობის პერიოდში, ქართული ენა, დიფერენცირებული სვანურ-ზანურისაგან, უკვე არსებობდა და ამ გორებზე ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა (მუსხელიშვილი 1975: 70-71).

აშკარაა, რომ ამ პერიოდში, შიდა ქართლში კულტურის ახალი წარმონაქმნი მკვიდრდება, ეს კულტურის ახალ მთლიანობას წარმოადგენს, მას აქვს საკუთარი სახე, ახალი შესაძლებლობები და განვითარების ახალი, უფრო ძლიერი პერსპექტივები.

კულტურის განვითარების ახალი, უმნიშვნელოვანესი ციკლი, შიდა ქართლში ძვ. წ. IV-III ს. ელინიზმის ხანაში იწყებს არსებობას. ამ პერიოდში კულტურის ცენტრი შიდა ქართლში გადადის და იბერია საერთაშორისო არენაზე მოიპოვებს მის კუთვნილ ადგილს. ელინისტურ ხანაში, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობაში ინტენსიურად ჩაერთო შუა აზია და ინდოეთი, გაიმართა დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც იბერიაზედ გადიოდა და ინდოეთს შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. გარდა ამისა, იბერიაში მოქმედებდა გზა, რომელიც არაგვის ხეობის გაყოლით ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. ეს მაგისტრალები ქვეყნის შიდა ნაწილებს ხეობებისა და მდინარეების გასწვრივ გაყვანილი გზებით უკავშირდებოდნენ.

ძვ. წ. IV-III ს. ქართლში მიმდინარე პროცესებს „ურბანისტულ აფეთქებას“ უწოდებენ. ამ პერიოდში აშკარად შეინიშნება სამეურნეო ცხოვრების და მთლიანად კულტურის დაწინაურება, განსაკუთრებით მტკვრის ხეობაში, სადაც წარმოიშვებიან ქალაქები, რომლებიც ხელოსნობისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან

ცენტრებს წარმოადგენდნენ და მათ ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებსაც ფლობდნენ.

ამ პერიოდის მნიშვნელოვან ქალაქებს სამაღლო და ნასტაკისი წარმოადგენდა. ისინი ერთი დიდი ქალაქის შემადგენელ ნაწილებად განიხილებიან. სამაღლოში მდებარეობდა სასახლე და ტაძარი, ხოლო ნასტაკისი საკუთრივ ქალაქს წარმოადგენდა. სამაღლო მტკვრის სანაპიროზე, მტკვრისა და ქსნის შესართავთან, ორი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის ურთიერთგადაკვეთის ადგილას იყო აგებული. ქალაქი 80 მ. სიმაღლის ორ გამაგრებულ ბორცვზე იყო განლაგებული. იგი ძლიერი ციტადელით იყო დაცული. ბორცვზე იყო აღმოჩენილი სასახლის შენობაც. ბორცვის ფერდობები ხელოვნურად იყო დაყოფილი ტერასებად, რომლებიც საფეხურებად მიემართებოდნენ ბორცვის წვერისაკენ. საყრდენი კედლები ფლეთილი ქვით იყო ნაგები, რომელთა საფასადო მხარე, რიტმულად მონაცვლე ბრტყელი ფილებით და მსხვილი ქვათლილებით იყო მოპირკეთებული. კედლების მძლავრი კონტრფორმებით იყო გამაგრებული. ერთ-ერთ ბაქანზე ალიზისაგან ნაშენი შენობა იდგა. ერთ-ერთ დარბაზში აღმოჩნდა საფეხურებიანი იატაკი და საკულტო დანიშნულების კერა. იქვე სათავსოებიც იქნა მიკვლეული მეორე ნაგებობაში აღმოჩენილი იყო იატაკის დონეზე ჩადგმული ბრტყელი ქვა, რომელიც ცენტრალური სვეტის საყრდენს წარმოადგენდა. შესაძლებელია აქ ქალაქის ტაძარი იყო განლაგებული.

სამაღლოზე დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი სკულპტურული რელიეფები, რომლებიც შენობის ინტერიერის მოსართაულად იყო გამოყენებული. ზოგიერთი მათგანი აქემენიდური ირანის ხელოვნების წრეს განეკუთვნება (Гагошидзе 1981).

სამაღლოს ბორცვზე აღმოჩენილია მდიდრული სამარხები და აკლდამა.

სამაღლოს ციტადელზე აღმოჩენილი აკლდამის დასაკრძალავ კამერაში იდგა ხის ორი სარკოფაგი. ერთ-ერთში აღმოჩნდა შვიდი ჩონჩხი. აკლდამა გაძარცული იყო. სამარხეული ინვენტარიდან გადარჩენილი იყო მხოლოდ ვერცხლის რგოლები, წითლად შეღებილი ფიალა და ბრინჯაოს ორფრთიანი მასრიანი ისრის პირი. ეარაუდობენ, რომ აქ დაკრძალული იყვნენ იმ წარჩინებული პირის მსახურები, რომლის სახელზეც აგებული იყო აკლდამა (Гагошидзе 1981).

ინტერესს იმსახურებს აგრეთვე სამაღლოზე 1912 წელს შემთხვევით აღმოჩენილი მასალა, რომელიც, როგორც ჩანს, ქალის სამარხის ინვენტარს წარმოადგენდა. მიცვალებული რკინის სარეცელზე

იწვა. სარეცელი წარმოადგენდა ოთხკუთხედ ჩარჩოს, რომელიც ვერცხლით მოპირკეთებულ ოთხ საყრდენზე იდგა. სარეცლის ეს ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული აქემენიდურ ირანში. ამავე დროს, როგორც აღნიშნავენ, იგი გარკვეულ მსგავსებას ბერძნულ სამყაროსათვის დამახასიათებელ სარეცლებთანაც აელენდა. აქვე დაღასტურდა ოქროს ბალთები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ხატისუღლები, ბრინჯაოს ზარაკები, ვერძის მინიატურული ქანდაკება, მინისა და ქვის მძივები და სხვ.

ნასტაკისი სამაღლოს მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იყო გაშენებული. ქალაქს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეჭირა. ნასტაკისში აღმოჩენილი იყო დორიული ორდენის სვეტისთავები, არქიტრავი, ქვის საძირკველზე ალიზით ნაგები შენობების ნაშთები. ნასტაკისი ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. აქ დიდი რაოდენობით მზადდებოდა საკმაოდ მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი და მშენებლობაში ფართედ გამოყენებული კრამიტი; ამგვარ ნაწარმზე, მაშინ, როგორც ჩანს, დიდი მოთხოვნილება იყო. საინტერესოა, რომ სამაღლოზე ნასტაკისსა და სარკინეში იღენტური კრამიტი იყო გავრცელებული, რაც თითქოს მის ადგილობრივ წარმოებაზე უნდა მიუთითებდეს. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ იბერიაში გავრცელებული კრამიტის დამზადების წესი ელინისტური ხანის მცირე აზიასთან უშუალოდ არსებული კულტურული გზით იყო შემოსული (ხაზარაძე, ცქიტიშვილი 2005: 15). რაც შესაძლებელია იმაზეც მიუთითებდეს, რომ იბერიაში ბერძენი ოსტატები მუშაობდნენ (Гагошидзе 1981: 63-64).

სამაღლოსა და ციხია-გორაზე აღმოჩენილ კრამიტზე გაურკვეველი ასო-ნიშნები იყო გამოსახული. ნ. ხაზარაძემ დაადგინა, რომ ეს ნიშნები განხილული უნდა იყოს, როგორც რიცხვითი სახელები, რომლებიც ძველბერძნული (იონური) ანბანური ნუმერაციის სისტემას განეკუთვნებოდა და პროდუქციის აღრიცხვისათვის იყო გამოყენებული (ხაზარაძე, ცქიტიშვილი 2005: 209-212).

ამ პერიოდში ფართოდ ერცელდება ელინისტური კულტურისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკა, რომელიც უცხო იყო შიდა ქართლში გამოელენილი კულტურის წინა ციკლისთვის. როგორც ვარაუდობდნენ, ეს ტრადიცია იბერიაში სამხრეთიდან, კერძოდ, ირანიდან იყო შემოსული (Гагошидзе 1981: 91-92).

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სამაღლოზე აღმოჩენილმა მოხატული კერამიკის იმ ნიმუშებმა, რომლებზეც სიუჟეტიანი, მრავალფიგურიანი კომპოზიციებია წარმოდგენილი. ეს არის დიდი ზომის, მოხატული პითოსები, რომლებსაც აშკარად საკულტო

დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. პითოსებზე ფრიზებად დანაწილებულ კომპოზიციებში ძირითადად ადამიანების მიერ შესრულებული რიტუალური ფერხულის და ბრძოლის სცენებია წარმოდგენილი. ამ რთულ კომპოზიციებში ასახულია მითი, როგორც რიტუალური დრამა. მაგრამ ამჯერად ჩემთვის მნიშნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ წინა ციკლისთვის დამახასიათებელი ძეგლებისაგან განსხვავებით, ელინისტური ხანის ძეგლებზე იგრძნობა პროფესიონალი ოსტატის თავისებური ხელწერა, რომელიც ეპოქის შესატყვისი მხატერული მიმდინარეობაა. მისთვის დამახასიათებელი ცოცხალი რეალიზმი და ექსპრესიულობა ელინისტური კულტურის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ. როგორც ჩანს, ოსტატი კარგად ფლობდა თანადროული ელინისტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მანერას; ამავე დროს იცნობდა ადგილობრივი მომხმარებლის მოთხოვნილებებს და ცდილობდა მისადაგებოდა მას.

„მცხეთა ქვეყანა“ და „მცხეთა-ქალაქი“ ელინისტურ ხანაში განიცდის დაწინაურებას. ამას, გარკვეულ წილად, ხელი შეუწყო ამ რეგიონის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ამ ტერიტორიაზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, მცხეთა აკონტროლებდა აგრეთვე სომხეთში, ალბანეთში, დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალ გზებს.

მცხეთა, მეფე ფარნავაზის დროს, ქართლის სამეფოს დედაქალაქად იქნა გამოცხადებული.

„დიდი მცხეთა“ ერთ დიდ, შეკრულ ქალაქს არ წარმოადგენდა, ის უფრო დასახლებათა კომპლექსი იყო, რომელიც სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგებოდა და მტკვრის ორივე სანაპიროზე იყო გაშლილი. ქართულ საისტორიო წყაროებში ქალაქი შემდეგნაირად მოიხსენიება. მცხეთა და უბანნი მისნი – სარკინე, ციხე დიდი გზანავი, მუხრანთ კერძო ქალაქი, ურიათა უბანი და სხვ. ამ უბნების ერთმანეთთან დაკავშირება კარგად აგებული გზებითა და ხიდებით იყო შესაძლებელი (აფაქიძე 1963).

მცხეთის უძველესი ციხე არმაზციხე იყო. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ამ ადგილს „ქართლი“ ერქვა, ვინაიდან სწორედ აქ დამკვიდრდა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი - ქართლოსი. ამ ადგილს შემდეგ არმაზი ეწოდა და აშენდა მცხეთის „დედა ციხე“. დღეს ამ ადგილს ბაგინეთი ჰქვია.

არმაზციხე ქვითკირით იყო ნაშენი. იგი სამეთვალყურეო კოშკებით იყო გარშემორტყმული. როგორც ვარაუდობენ, სწორედ აქ იყო განლაგებული სამეფო რეზიდენცია. აქ ძვ. წ. II-I სს-ით დათარიღებული რამდენიმე შენობა იქნა აღმოჩენილი. განსაკუთრებით საინ-

ტერესოა ე. წ. „სვეტებიანი დარბაზი“, რომლის ფართობი 185 კვ. მ. შეადგენდა. იგი ქვათლილებით იყო ნაგები და ორფერდა სახურავით იყო გადახურული. დარბაზის გრძელ ღერძზე, ექვსი სვეტი იყო განლაგებული. შენობას სამი ფასადი ჰქონდა, რომელიც კარგად იყო მოპირკეთებული. ფასადს ცოკოლი შემოუყვებოდა. დარბაზში შესელა ფართო კიბით იყო შესაძლებელი. შენობაში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ოქროს ფურცლები, რომლებიც როგორც ჩანს სვეტების მოსაპირკეთებლად იყო გამოყენებული. იატაკზე დიდი რაოდენობით ეყარა ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები და „ეგვიპტური პასტისაგან“ დამზადებული ნატეხები. დარბაზის იატაკი ვარდისფერი ფხვნილით იყო მოპირკეთებული.

სასახლის წინ აღმოჩენილი იყო ქვის წყობის ფრაგმენტები, რომებსაც ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობოდა. როგორც ჩანს, ამ „მუდმივი ცეცხლის“ აღგილი იყო განლაგებული.

ცნობილია, რომ ელინისტური ხანის ქალაქებში ცალკე იყო გამოყოფილი აღმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრები. ტაძარი აღმინისტრაციული კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა. მთავარი ყურადღება არა ტაძარზე, არამედ მონარქის განდიდებისკენ, შესაბამისად, მის სასახლის სიდიადის ჩვენებაზე იყო მიმართული. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია იბერიაშიც მოქმედებდა. ამაზე მეტყველებს არმაზციხესთან მდებარე ზევით განხილული სასახლის მორთულობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი მდიდრული დეკორატიული მოსართავები ამ პერიოდის იბერიის არც ერთ ტაძარში არ ყოფილა დადასტურებული.

ამ ტრადიციაში, ჩემი აზრით, უშუალოდ აქემენიდური ირანის გავლენა შეინიშნება. ამ პერიოდის ირანული ხელოვნების მთავარ ამოცანას მონარქის, მიწიერი მეუფისა და მბრძანებლის განდიდებისკენ იყო წარმართული. სასახლის მორთულობაში დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა ოქროს ფურცლები, ჭიქური ორნამენტები, ქანდაკებები და სხვ.

მცხეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს სევსამორაწიწამური წარმოადგენდა. იგი მადენის ციხესთან იყო აგებული. მადენის ციხე ქალაქს არაგვის ხეობიდან კეტავდა, ხოლო მარჯვენა მხარეს ბებრის ციხე იცავდა. ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უბანი იყო, „საკუთრივ მცხეთა“, რომელიც კოდმანის გზით სარკინესთან იყო დაკავშირებული.

„დიდი მცხეთის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სარკინე წარმოადგენდა. იგი 8 კმ-ით იყო დაცილებული მცხეთას და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სარკინის ქედის სამხრეთ დასავლეთ კალთების ტერასებზე იყო განლაგებული. ქალაქი დაცული იყო ქვიტკი-

რითა და ალიზით ნაშენი დიდი გალავნით. ტერასებზე ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი. ისინი ქვათლილებით, ალიზ-აგურით იყო ნაშენი და კრამიტით იყო გადახურული. დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ელინისტური ხანის სვეტებისა და ნახევარსვეტების ნაშთები, იონური ორდენის სვეტისთავები, კარნიზები. ისინი მცირე ზომის ნაგებობას ეკუთვნოდა, რომელსაც სავარაუდოდ საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

ქალაქი სარკინე მცხეთის რკინის საწარმო უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა რკინისა და სხვა მეტალების მოპოვებისა და დამუშავების სახელოსნოები. აღმოჩენილია დიდი ქურები, სადაც რკინის გამოწურვა ხდებოდა. ქურებში მიკვლეულია „ლუგვი“ რკინა და მისგან მიღებული „სადედნე“ და „სახელადო“ რკინა, რომლისგანაც მზადდებოდა მრავალრიცხოვანი იარაღი და სხვადასხვა სახის ხელსაწყოები. აღმოჩენილია ლითონის სადნობი თიხის ჭურჭელი (ტიგელები), საოქრომჭედლო ტვიფრი, რაც სარკინეში საოქრომჭედლო სახელოსნოების არსებობაზე მეტყველებს.

როგორც ჩანს, სარკინე, რკინის ნაწარმით ამარაგებდა არა მხოლოდ მცხეთას, არამედ მთლიანად მთელს იბერიას. აქ მიღებულ ნაწარმს უკვე სასაქონლო სახე ჰქონდა მიღებული (Бохочадзе 1975).

მცხეთა წარმოადგენდა კერამიკული წარმოების უმნიშვნელოვანეს ცენტრს იგი „საკუთრივ მცხეთის“ ტერიტორიაზე იყო განლაგებული. დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი აღგილობრივად დამზადებული კრამიტი. ღარისებრ კრამიტზე მარტივი ნიშნები იყო ჩაჭედილი - ხელის ანაბეჭდები, წერილფეხა საქონლის ჩლიქები და სხვ. მცხეთაში ამზადებდნენ წითელი კეცის კერამიკას, საღვინე ქვევრებს, დერგებს, მოხატულ ჭურჭელს, წყალსადენის მილებს და სხვ.

როგორც ჩანს, მცხეთაში მზადდებოდა ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნაწარმი. მისი მრავალსახეობა და შესრულების მაღალი ხარისხი, იმაზე მეტყველებს, რომ ისინი სპეციალურ, დიდ სახელოსნოებში მზადდებოდა, რომლებიც შესაძლებელია ჯერ აღგილობრივი მმართველის, ხოლო შემდეგ მეფის გამგებლობაში შედიოდნენ.

მცხეთაში აქტიურად მოქმედებდნენ ბაზრები, რომლებიც სპეციალურ მოედნებზე იყო გამართული. ვაჭრობდნენ, როგორც აღგილობრივი, ისე უცხოეთიდან შემოსული ნაწარმით – ბაზრები ხალხმრავლობით გამოირჩეოდა, გაიგონებდი როგორც ქართულ, ისე სომხურ, სირიულ, ბერძნულ ენებს.

საინტერესოა, რომ მცხეთაში არსებობდა სხვადასხვა ეთნიკური ხალხით დასახლებული უბნები. წყაროებში ხშირად არის მოხსენიებული „ჯურიათა უბანი“.

მცხეთა და მისი უბნები სასოფლო რაიონებსაც მოიცავდნენ. აქ მსხვილი ზერები იყო გამართული. განვითარებული იყო მეღვინეობაც. აქ შექმნილი სასოფლო სამეურნეო საქონელი ამარაგებდა არა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას, არამედ ჯარსაც.

ელინისტური ხანის იბერიაში ფუნქციონირებდნენ დიდი ტაძრები. საინტერესო მასალა იქნა გამოვლენილი „ციხია გორაზე“ ჩატარებული გათხრების შედეგად. „ციხია გორა“ მდებარეობდა მდ. კავთურას ხეობაში და ათიოდე კილომეტრით იყო დაცილებული სამადლო-ნასტაკისს. იგი წარმოადგენდა დიდ ბორცვს, რომელზეც რთული დაგეგმარების სატაძრო კომპლექსი იყო გაშენებული. ბორცვის წვერი დაცული იყო ალიზით ნაშენი და შიგნიდან მობათქაშებული კედლით. ეზოში იდგა კვადრატული ფორმის ტაძარი, რომელიც დამატებით, საგანგებოდ აშენებული კედლით იყო დაცული. ტაძარსა და კედელს შორის სათავსოები იყო განლაგებული. გარდა ამისა, ეზოში აღმართული იყო კვადრატული ფორმის საკურთხეველი. „ციხია გორაზე“ აღმოჩენილ იქნა აქემენიდური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ქვისგან გამოთლილი სვეტის კაპიტალები, რომლებიც ურთიერთშურგშექცეულ, უეხებმოკვეთილ ხარების გამოსახულებებს წარმოადგენდა. ამგვარი სვეტისთავები აქემენიდური ირანის, პერსეპოლისა და სუზის სასახლეებიდან არის ცნობილი. ტაძარს საკუთარი მეურნეობა ჰქონდა – წისქვილი, მარანი და სხვა სამეურნეო სათავსოები. როგორც ჩანს, „ციხია-გორა“ წარმოადგენდა იბერიის სამეფოს ჩამოყალიბებამდე არსებულ პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს (Гагошидзе 1981: 20-21). იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს ტერიტორია ადრე აქემენიდური ირანის XVIII საგრაპიაში იყო გაერთიანებული (ხაზარაძე, ცქიტიშვილი 2005: 21).

ურბანისის მახლობლად, „დედოფლის მინდორზე“ ერცელი საგაძრო კომპლექსი იყო გაშენებული, რომელიც ი. გაგოშიძის აზრით, ძვ. წ. II ს. ეკუთვნოდა (Гагошидзе 1977: 102-108). გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა თანადროულ შენობათა გრანდიოზული კომპლექსი. იგი წარმოადგენდა გალავნით დაცულ სწორკუთხედ მოედანს, რომლის ფართობი დაახლოებით 6 ჰექტარს შეადგენდა. მოედნის სამხრეთ ნაწილში იდგა ცენტრალური ტაძარი, ცელა (46X30 მ.), რომელიც ოთხკუთხედი მოყვანილობის ოთხ სვეტზე იყო დაყრდნობილი. ტაძრის ცენტრში, ასევე ოთხკუთხედი ფორმის საკურთხეველი იყო განლაგებული. დარბაზი და მისკენ მიმავალი პორტიკი, სამი მხრიდან, კორიდორებით იყო გარშემორტყმული.

ჩრდილოეთის მხრიდან, ტაძარს ეკვროდა „აივანი“ – ორ სვეტიანი, ღია პორტიკი.

მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით, 90 მ. დაცილებით, აღმოჩენილ იქნა მცირე ნაგებობათა კომპლექსი. იგი შედგებოდა ღია პორტიკის, საკურთხევლიანი პატარა სენაკისა და დერეფნისაგან. ამ ნაგებობის აღმოსავლეთითა და დასავლეთით, სიმეტრიულად საზეიმო კარიბჭეები იყო განლაგებული. თითოეული მათგანი შედგებოდა ექვს სვეტისა და ორი, გარე და შიდა პორტიკისაგან.

ეს უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი ძლიერი ხანძრის შედეგად იყო განადგურებული.

ი. გაგოშიძის აზრით, ტაძარი მაზდეისტური რელიგიის იმ ღვთაებების სახელზე იყო აგებული, რომლებიც ადგილობრივ კულტურებთან იყვნენ შერწყმული. ხოლო მთავარი ტაძარი ავესტური ანაპიტას სახელზე იყო აგებული.

ჩემთვის ძნელია გადაჭრით საუბარი იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი ღვთაების სახელზე იყო აგებული ტაძარი, მაგრამ ცხადია, რომ აქ წარმოდგენილი გარემო აქემენიდური კულტურისა და რელიგიის ძლიერი გავლენით იყო შექმნილი. აქვე აღვნიშნავ, რომ ირანული რელიგია და მითოლოგია ურთულესი ფენომენი იყო, რადგან იგი მრავალრიცხოვანი ირანული ტომების შეხედულებათა ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა, რომელმაც ჯერ კიდევ ინდოირანული ტომების ერთობის დროს დაიწყო ჩამოყალიბება.

ელინიზმის ხანაში მოქმედ ირანულ რელიგიურ სისტემას ახასიათებდა აშკარად გამოხატული სინკრეტიზმი. ამ დროს იცელებოდნენ და ყალიბდებოდნენ ახალი იდეები. ამგვარ პირობებში ყალიბდებოდა ზოროასტრიზმისათვის დამახასიათებელი საღვთო კანონი, რომელსაც ბევრი, არქაიკისათვის დამახასიათებელი მოტივი ჰქონდა შეთვისებული.

ზოროასტრიზმის ყველა მიმდინარეობის ხასიათს განსაზღვრავდა აშკარად გამოხატული დუალიზმი. სამყაროში მოქმედი ძირითადი მორალური კანონი სინათლესა და ცეცხლში იყო განსახიერებული. მათ უპირისპირდებოდა წყვდიადი, ბოროტება და სიცრუე. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების დროს მოქმედებდნენ კეთილი სულები, რომლებსაც სათაეუში აჰუმაზანდა იდგა (აქედან მომდინარეობს მაზდეიზმი, როგორც რელიგიური მიმდინარეობა), ბოროტ ძალებს კი დევები განასახიერებდნენ.

ირანულ რელიგიას ახასიათებდა აგრეთვე გნოსეოლოგიური დუალიზმიც. მკაცრად იყო გამიჯნული მიწიერი და ზემდგომი სულიერი, არაამქვეყნიური სამყარო, სადაც ასევე ვლინდებოდა კეთილისა და ბოროტის მუდმივი დაპირისპირება.

ცეცხლი და წყალი წარმოადგენდა ყოფიერების ყველა ფორმის საფუძველს. ცეცხლი სამყაროს ყველა ელემენტის აუცილებელი ნაწილი იყო და ადამიანის სულშიც აქტიურად იყო ჩართული. ალბათ ამიტომ, უცხოელები ირანელებს ცეცხლ-თაყვანისმცემლებს უწოდებდნენ, ვინაიდან მათ ტაძრებში მუდმივად ენთო ცეცხლი (Мифы народов Мира, I, 1980: 560-564).

ნიშანდობლივია ისიც, რომ წერილობით წყაროებში ირანული რელიგიური პანთეონი საკმაოდ აბსტრაქტულად იყო წარმოდგენილი. ღვთაებებს არ ჰქონდათ აშკარად გამოკვეთილი ანთროპომორფული სახე. ყოველი მათგანი ინარჩუნებდა გარდასახვის საოცარ უნარს. ღვთაებათა იპოსტასები ძირითადად ცხოველთა და ფრინველთა სახით იყო წარმოდგენილი (Луконин 1987: 77-78).

აქემენიდური ირანის კულტურის გავლენა შეინიშნება იბერიის მდიდრულ სამარხების ინვენტარშიც. მაგალითისათვის, ამჯერად, მხოლოდ ცნობილი „ახალგორის განძის“ მოკლე აღწერით შემოვიფარგლები. „ახალგორის განძში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი ვერცხლის თასი. ამ თასებზე გრავირებით შესრულებული ლოგოსები და სხვა ორნამენტული სახეები ირანული კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ირანული ხელოვნების გავლენა ეტყობა ცხენის რახტის ოქროს სამკაულებს, ოქროს მრგვალ საყურეებს, ხატისუღლებს, მთვარისებრ საკიდებს და სხვ. ანალოგიური ხასიათის მდიდრული სამარხები აღმოჩენილია ყანჩაეთში, ციხია გორაზე, ალგეთში და სხვ. აშკარაა ისიც, რომ ეს სამარხები ადგილობრივ არისტოკრატიას ეკუთვნოდა.

ელინიზმი დღეს განიხილება, როგორც კულტურის ახალი, თავისებური სტრუქტურა, რომელიც შედგება როგორც ბერძნული, ისე აღმოსავლური ელემენტებისაგან (Тарн 1949: 20-21), როგორც განვითარების ისეთი საფეხური, როდესაც ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობანი. აღმოსავლეთის ქვეყნებში ბერძნებს მაღალგანვითარებული ადგილობრივი კულტურა დახვდათ, რომელშიც წარმოდგენილი იყო, როგორც ძველაღმოსავლური კულტურის ტრადიციები, ასევე საკუთარი, ძველი და ახალი მიღწევები.

აქვე მინდა აღვნიშნო, იბერთა, ისევე როგორც კოლხეთი, არ წარმოადგენდა ელინისტური სახელმწიფოების კლასიკურ ნიმუშს.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იბერია და კოლხეთიც ელინისტური კულტურის გავრცელების ორბიტაში იყვნენ მოქცეულნი და ამ ახალი კულტურის მნიშვნელოვანი გავლენა განიცადეს. უნდა ითქვას ისიც, რომ კოლხეთი ძალიან აღრე დაუკავშირდა ბერძნულ სამყა-

როს და ბუნებრიეია ამ კულტურის საკმაოდ ძლიერი გაელენა განიცადა. ამასთან ერთად, ძვ. წ. V ს-დან კოლხეთში ძლიერად შეინიშნება ახალი კულტურის ძლიერი ნაკადი, რომელიც აქემენიდურ ირანთან არის დაკავშირებული. მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ კოლხეთში არ შეწყვეტილა ადგილობრიეი კულტურის ძლიერი ტრადიციები, რომელიც ხანგრძლიეი პერიოდის მანძილზე აქ მტკიცე და გამძლე აღმოჩნდა.

რაც შეეხება იბერიას, ის მხოლოდ ელინისტურ ხანაში დაწინაურდა, საერთაშორისო არენაზე მოიპოვა საკუთარი ადგილი. ქვეყანა აქტიურად ჩაება საერთაშორისო ვაჭრობაში, შენდებოდა გზები, ქალაქები. მაღალგანვითარებას მიაღწია კულტურამ, რომელიც ამ პერიოდში აქემენიდური ირანის კულტურის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ეს შეეხება რელიგიას, ტაძრების ხასიათს, მშენებლობაში გამოყენებულ არქიტექტურულ დეტალებს, მცირე ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომელსაც აღგილობრიეი არისტოკრატია გამოიყენებდა.

ელინისტური ხანის იბერიაში შეიქმნა ყველა წინა პირობა, ერთიანი სამეფოს შექმნისათვის. მართლაც, კულტურის ამ ციკლის დასასრულს, ტახტზე ავიდა მეფე ფარნავაზი, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი. სწორედ მან დაასრულა ქართლის ძველი სამეფოს ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მან ერთი სამეფოს ხელქვეით გააერთიანა იბერია და კოლხეთის ნაწილი. „მეფე იქნა ყოველსა ქართლსა და ენგურსა ზედა“ – ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“. მეფე ქვეყნის გაძლიერებისაკენ მიმართულ კარგად გააზრებულ პოლიტიკას ატარებდა, ცდილობდა წესრიგში მოეყვანა ქვეყნის საშინაო ცხოვრება, აშენებდა ციხეებს და ზრუნავდა ქვეყნის თავდასცვისუნარიანობაზე. ფარნავაზის მიერ გატარებული ძლიერი პოლიტიკა ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიის ერთიან, ორგანულ სისტემად ჩამოყალიბებას ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გზაზე.

რაც მთავარია, ფარნავაზმა მნიშვნელოვანი რელიგიური რეფორმა ჩაატარა. მან შექმნა უზენაეს ღვთაებათა რელიგიური ჰანთეონი, რომელიც სახელმწიფო რანგში იქნა აყვანილი. მან უზენაესი ღვთაების, არმაზის კერპი აღმართა და აზოს მიერ არიან ქართლიდან წამოყვანილი ღვთაებები გაცი და გა, არმაზს დაუქვემდებარა.

სწორედ არიან შენიშნული, რომ ძველ სამყაროში, იმ პერიოდიდან, როდესაც კულტურული გმირების, ან ღვთაებების აღგილს ღმერთები დაიკავებენ, შეიძლება საუბარი ძველი სამეფოების ჩამოყალიბების ურთულესი და ხანგრძლივი ციკლის დასრულებაზე.

მაშინ იქმნება ახალი რეალობა, როდესაც ადამიანი რადიკალურად განასხვავებდა ერთმანეთისაგან ადამიანსა და ღმერთს, ადამიანურსა და ღმერთების სამყაროს. ძლიერდებოდა განცდა იმისა, რომ ადამიანს მოწესრიგებულ სამყაროში უნდა ეცხოვრა და ამ წესრიგს უზრუნველყოფდნენ ღმერთები და კანონები (Родин 2005: 18-20).

კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ციკლი წარმოადგენს კულტურის ახალ სახეს, ის განხილული უნდა იყოს როგორც კულტურის ახალი მთლიანობა, რომელსაც აქვს განვითარების ძლიერი შესაძლებლობები და წინსვლის ძლიერი პერსპექტივები. მნიშვნელოვანია, რომ ისინი სრულად იყო გამოვლენილი განვითარების შემდგომ პერიოდში, როდესაც იბერიის სამეფომ განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია.

დამოწმებული ლიტერატურა:

ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.

გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1981.

დ. მუსხელიშვილი, მეცნიერის არქივიდან, ანალები, №8, თბ., 2012.

დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1975.

დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.

ნ. ხაზარაძე, ო. ცქიტიშვილი ციხია-გორას კრამიტი, ნ. ხაზარაძე, სამხ. კავკასია და ახლ. აღმოსავლეთი, თბ., 2005.

დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.

მ. ხიდაშელი, შიდა ქართლის საცხოვრისი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კრ. საქართველოს ძველი კულტურის საკითხები, თბ., 2010.

ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003.

ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.

А. Бохочадзе, Настакиси, Саркине, Дзалиси - Города иберии античной эпохи, КСИА АН СССР, 2, М., 1975.

Ю, Гагошидзе, Раскопки храма в Дедоплис-Миндори, КСИА АНСССР, 15, 1977.

Ю. Гагошидзе, Самадло, I, Тб., 1979, II, Тб., 1981.

Ш. Дедабришвили, Курганы Алазанской долины, Тб., 1979.

К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970.

В. Г. Луконин, Древний и средневековый Иран, М., 1987.

В. Б. Массон, О культурных стандартах в древнейших земледельческо-скотоводческих обществах, Сб. Древний Восток и мировая культура, М., 1981.

Мифы народов Мира, I, М., 1980.

И. Ф. Муриан, Цикличность как одна из форм осознания реальных процессов в истории и искусстве, Сб., Циклические ритмы в истории, культуре, искусстве, М. 2004.

В. М. Родин, Понятие «цикл» и типы циклов в культуре, Сб. Циклические ритмы в истории, культуре, искусстве, М., 2004.

В. М. Родин, Теория культуры, М., 2005.

В Тарн, Эллинистическая цивилизация, М., 1949.

Цкитишвили, Результаты работ на Цихиа-гора, КСИА АНСССР, 1977, 151.

О. Шпенглер, Закат Европы, Минск, 1998.

Manana Khidasheli

THE MAIN CYCLES OF CULTURE DEVELOPMENT IN ANCIENT CULTURE OF EAST GEORGIA

Today the cyclic theory of the development of culture is considered to be a method of the study of history and culture, while cycling – a natural course of historical development. The notion of a cycle in culture involves not only repetition, reiteration, but also its genesis, rise and finally, fall.

In the South Caucasus the oldest cycle of culture is associated with early agriculture. Kuro-Arax culture dates from the 4th and 3rd millenniums B.C. This culture was distinguished by surprising integrity and encompassed very vast territory. In this cycle of culture plough- agriculture and seasonal cattle breeding were developed, building activity reached high levels and bases for metallurgy were created.

By the end of the 3rd millennium B.C. the population starts to abandon the places of inhabitance, which points to the termination of this cycle of culture. It is interesting that in the area of Kuro-Arax culture begins to appear a new cultural entity which in scientific literature is known as the culture of early kurgans. In these kurgans, new elements of burial rituals are observed, such as a chariot, stretcher and bed, designed for a dead person. Those burial mounds were collective. It is unknown where and how the people who were buried in those kurgans lived. The final stage of this culture or cycle was "the splendid culture of big kurgans" of Trialeti. The custom and ritual of burial evidenced in this culture acquires a more complicated form.

This cycle of culture disappears approximately by the second half of the 2nd millennium B.C.

The new cycle flourishes in Shida Kartli in the 15th -6th centuries B.C. In this period both Shida and Kvemo Kartli were intensely populated. The population lived on hills. In the development of hills- residences, a common regularity was observed. Initially the population lived on tops of hills surrounded with ditches, but gradually it descended lower and lower and finally, by the 7th -5th centuries it settled at the foot of the hills. In Khovle, such settlement already has a district of craftsmen, where professional masters worked. In hills-settlements of Shida Kartli one-type dwellings were built only. These dwellings were functioning as both family chapels and domiciles for individual, small families.

Material, domestic and spiritual culture of this period in Shida Kartly is distinguished by surprising integrity. It is supposed that on these hills resided Georgian population (D. Muskhelishvili)

The next, most significant cycle in Iberia commences in Hellenic Age, in the 4th -3rd centuries B.C. The state is rather strong. Iberia participates in international trade, roads, towns, cathedrals and castles are built. The culture enjoys intense development.

In Iberia of Hellenistic Age prerequisites were formed for creation of the unified kingdom. This cycle ended by creation of ancient kingdom. King Parnavaz was enthroned. He carried out significant reforms and created religious pantheon of supreme deities, which was elevated to the state rank.

The cycle of culture functioning in Iberia of Hellenistic Age was an extremely important type of culture. It should be viewed as a new cultural unit with its own image, great potential for development progress.